სსიპ აჭარის მუზეუმი
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

მუზეუმის მაცნე

X



ბათუმი 2018

მუზეუმის ექსპოზიცია. ბუნების განყოფილება 1939 წ.

მუზეუმის ექსპოზიცია. მოდის განყოფილება

სსიპ აჭარის მუზეუმი
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

1908 -2018

მუზეუმის მაცნე

ბათუმი 2018

მთავარი რედაქტორი

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი ნუგზარ მგელაძე

ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე

სამდივნო: რუსუდან კობრავა

ნანა ქორიძე

ნანული სებუა

ზაალ შენგელია

დალი კახიძე

© გამომცემლობა "თეგი"

ISSN 1987-6807

ნანა ქორიძე

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი -110

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი დაარსდა 1908 წელს პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელთან არსებული საბავშვო მუზეუმის ბაზაზე. იგი მდებარეობდა ვოზნესენსკისა და ოლღას (ამჟამად, პ.მელიქიშვილისა და ვ.გორგასალის) ქუჩების კვეთაში. 1910 წლის 9 მაისიდან მუზეუმი გადატანილი იქნა საქალაქო საბჭოს შენობაში. 1912 წლიდან გადაკეთდა საქალაქო მუზეუმად, ხოლო 1924 წლიდან იწოდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმად. იმავე წელს გადაიტანეს ყოფილ სამხედრო ტაძარში, ხოლო 1930 წ. 25 იანვრიდან მუზეუმი ერთსართულიან ხაზინის შენობაში მოათავსეს, რომელიც ეკუთვნოდა სომეხ ვაჭარს აშოტ მდოიანცს და მდებარეობდა გურიის შესახვევის N4-ში. 1943 წლიდან მუზეუმს ეწოდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმი.

ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მუზეუმი 1939 წლიდან ეწევა, მას შემდეგ, რაც დაიწყო კომპლექსური ექსპედიციები აჭარის მასშტაბით და თავი მოუყარა ნამდვილ სამუზეუმო ნივთიერ მასალას. 1955 წელს გამოიცა მუზეუმის შრომების პირველი ტომი, რომელმაც იმთავითვე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება, ხოლო 2008 წლიდან გამოდის მუზეუმის ყოველწლიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „მუზეუმის მაცნე“.

1957 წელს მუზეუმის ძველ შენობაზე დაშენდა მეორე სართული, სადაც დღემდე ფუნქციონერებს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი. ხარიტონ ახვლედიანის სახელს მუზეუმი 2005 წლიდან ატარებს. მის სახელთანაა დაკავშირებული მუზეუმის, როგორც სამხარეთმცოდნეო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარება-განმტკიცება. ხარიტონ ახვლედიანი 1938-1989 წლებში იყო მუზეუმის დირექტორი და სამუზეუმო საქმის ფუძემდებელი აჭარაში.

მუზეუმში დაცულია 180000 -მდე ექსპონატი: უნიკალური ნივთები, კოლექციები, ფოტოები, ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერი და დოკუმენტური მასალები, აჭარის ფლორისა და ფაუნის ამსახველი ექსპონატები. მათ შორის მნიშვნელოვანია ბუნების ისტორიული ძეგლები, გეოლოგიური კოლექციები, მინერალები, ჩლიქოსანთა რქების კოლექცია, სიფრიფანა ფრთოსანთა კოლექცია (პეპლები). მეტად საინტერესოა ექსპონატები, რომლებიც საერთაშორისო წითელ წიგნშია შესული. ესაა გოდერძის გაქვავებული ტყის ნიმუშები. მათგან აღსანიშნავია გიგანტური ვაზის გაქვავებული მერქანი, ასევე არსიანის ქედიდან ჩამოტანილი გიგანტური ხის ოპალიზებული ნიმუში.

მშვნელოვანია მუზეუმის ფონდში დაცული წერილობითი წყაროები, დაახლოებით 6000-მდე ერთეული, მათ შორისაა მსოფლიო მნიშვნელობის ხელნაწერები და უნიკალური წიგნადი ფონდი.

მუზეუმს აქვს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადაც ინახება 63 000 წიგნი სხვადასხვა ენაზე. მათ შორის ბევრია ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში 2015 წელს ჩატარდა სრული რეაბილიტაცია. მუზეუმის ორ სართულზე განთავსდა საექსპოზიციო დარბაზები. ფართი გაიზარდა 40 კვ.მ-ით. ინტერიერის შესაბამისი დიზაინით. გამოცალკევდა განსაკუთრებული ექსპონატის სტატუსით ანტიკური კრატერი. მუზეუმის ექსპოზიცია კონცეპტუალურად განახლებულია.

კეთილმოწყობილია მუზეუმის ეზო შესაბამისი სამუზეუმო ექსპონატებით.

მუზეუმის ეზოში აშენდა ახალი სამსართულიანი კორპუსი ბუნების, ისტორიის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების თანამშრომლებისათვის. მესამე სართულზე განთავსდა მხატვრული ტილოების საცავი.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მუზეუმს სისტემატური კომუნიკაცია აქვს სკოლებთან, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ტარდება ექსკურსიები და საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები.

მუზეუმს აქვს ფილიალები: მემედ აბაშიძის სახელობის, ილია ჭავჭავაძის სახელობის და რელიგიის მუზეუმები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №12 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ახალი სამუზეუმო გაერთიანება სსიპ „აჭარის მუზეუმი“, რომელშიც ბათუმის სხვა მუზეუმებთან ერთად, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმიც გაერთიანდა.

მუზეუმის შენობა, 1939 წ.

ოთარ გოგოლიშვილი

აჭარის საგანმანათლებლო ცენტრები და პედაგოგები 1880–1910–იან წლებში

საქართველოს უძველესი და განუყოფელი მხარე – აჭარა ძველთაგანვე გამოირჩეოდა ქრისტიანული კულტურულ-საგანმანათლებლო კერებით და ადგილობრივი მოსახლეობის განათლებისადმი დაუცხრომელი სურვილით.

თურქთა 300 წლიანმა ბატონობამ აღნიშნული კერები ყველგან მოშალა და საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად დააკნინა. განათლების ძირითადი მიზანი მუსლიმანური რელიგიის შესწავლა გახდა, რომლის მისაღწევად „მედრესეს“ ტიპის სასწავლებელიც საკმარისი იყო, მაგრამ 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ბათუმი გახდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი, აუცილებელი შეიქმნა სწავლა-განათლების ახალი კერების დაარსება. ამ პრობლემით არა მარტო ქართული საზოგადოება იყო დაინტერესებული, არამედ რუსეთის იმპერიალისტური ძალები, რადგან მათ სურდათ სახელმწიფო სადავეების ხელში ჩაგდება და განათლებული მოხელეების აღზრდა. აჭარის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ეხლა ჩვენ ერთი უდიდესი მოვალეობა გვაწევს, ძმებს ძმურად უნდა დახვდეთ, ყველგან და ყველაფერში, უნდა იმისათვის თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში უძმებთ, ჭირში მივეშველებით, ჩვენი ერთმანეთში დაურღვეველი კავშირის გაბმაც უეჭველია, ეს ისმინეთ და გაიგეთ ქართველობავ“. ამ მოწოდებასაც გამოეხმაურნენ ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალები, ისინი მოითხოვდნენ აჭარაში განათლებისა და კულტურის აღორძინების მიზნით გახსნილიყო ქართული სკოლები.

იაკობ გოგებაშვილი კი ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცეული ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი დღისა“ ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელი განათლების და სწავლის აკვანი, ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

გაზეთ „დროების“ 1878 წლის №26-ში სერგეი მესხი თავის წერილში მოგვითხრობს 1878 წლის ივნისში თბილისში ჩამოსულ შერიფ ხიმშიაშვილსა და მ. მეფისოვის (არტაანის ოლქის მფლობელი) სტუმრობას სტეფანე მელიქიშვილის ოჯახში, სადაც განიხილებოდა აჭარის ზოგადი პრობლემები და რაც ყველაზე საინტერესოა აქ გამოვლინდა შერიფ ბეგის ტკივილი, კერძოდ, ის ამბობს: „კაი იქნება ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შეერთებულნი, მაგრამ თუ არ იქნება, საცა უნდა ვინატროთ, ერთად იყვნენ... განათლებაი ეჭირვება ბატონო იმათ, ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ შკოლა გამართოთ, ასწავლეთ და ასე უნდა, აბა რა ძმა ხართ თუ ისე აბდლურად დატოვეთ?!“

შერიფ ბეგის ეს ტკივილიანი ნათქვამი გულთან მიიტანა იმდროინდელმა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით და აქტიურად დაიწყო მოღვაწეობა მხარის ოფიციალურ მმართველობასთან ერთად სკოლების დასაარსებლად.

ჩვენი მიზანია საარქივო მასალაზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებული სასწავლებლები და მათში მოღვაწე პედაგოგები, წარმოდგენილ მასალაში მითითებულია სკოლების დაარსების თარიღები და მასწავლებელთა ნამსახურების სიები.

სწორედ დიდი ილია ჭავჭავაძისა და ხუსეინ აბაშიძის თაოსნობით და ძალისხმევით 1881 წლის მარტში ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა.

1882 წელს კონსტანტინე ერისთავის თაოსნობით და ინიციატივით ბათუმში გაიხსნა ქალთა ორწლიანი სასწავლებელი, რომელიც მოგვიანებით მარიამის სახელობის ქალთა პროგიმნაზიებად გადაკეთდა.

1889 წელის 8 ოქტომბერს გაიხსნა ბათუმის საოსტატო-სახელოსნო სასწავლებელი.

1897 წელს გაიხსნა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია.

1899 წელს ბათუმში გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი.

1910 წლის მონაცემებით შედგენილ და ბეჭდურად გამოცემულ „ბათუმის ოლქის მიმოხილვაში“, რომელიც დაცულია ბათუმის ცენტრალური არქივის „ქუთაისის გუბერნიის მმართველობის ფონდში“ (ფ.130; ს.258), მოცემულია ყველა ის სასწავლებელი, რომელიც იმ დროისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა. ჩამონათვალი იწყება მისი საიმპერატორო უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ვაჟთა გიმნაზიით, რომელიც დაარსებული იყო 1890 წელს, ბათუმის ქალთა გიმნაზია დაარსებული 1890 წელს, ბათუმის საქალაქო სასწავლებული დაარსებული 1881 წელს, ბათუმის საოსტატო-სახელოსნო დაარსებულია 1911 წელს. ბათუმის ოლქის სასწავლებელი იყოფოდა სახაზინო და საზოგადოებრივ ტიპებად.

სახაზინო:

ხოლოდნაია–სოლობოდას დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი დაარსებული 1895 წელს, ჩურუქ-სუს ვაჟთა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი – 1895 წელს.

საზოგადოებრივი:

ბათუმის ბერძნული საქალაქო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, დაარსებული – 1896 წელს.

ბათუმის პუშკინის სახელობის პირველი ერთკლასიანი სასწავლებელი – 1899 წელს.

ბათუმის პუშკინის სახელობის მეორე ერთკლასიანი სასწავლებელი – 1903 წელს.

ბათუმის პუშკინის სახელობის მესამე ერთკლასიანი სასწავლებელი –1896 წელს

ბათუმის გოგოლის სახელობის მეოთხე ერთკლასიანი სასწავლებელი – 1903 წელს

ბათუმის პუშკინის სახელობის მეხუთე ერთკლასიანი სასწავლებელი – 1908 წელს.

ბათუმის სარკინიგზო ნორმალური სასწავლებელი – 1907 წელს

ქედის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი – 1903 წელს.

მურღულის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი – 1909 წელს.

ხულოს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი – 1897 წელს.

ბარცხანის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი – 1909 წელს.

ბორჩხის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი – 1909 წელს.

კვირიკის ერთკლასიანი სოფლის სასწავლებელი – 1904 წელს.

მარადიდის ერთკლასიანი სოფლის სასწავლებელი – 1909 წელს.

ორთაბათუმის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი – 1907 წელს.

სათლელ-რაბათის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი – 1898 წელს.

სამწყაროს ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი – 1909 წელს.

ჩურუქ-სუს ქალთა ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი – 1901 წელს.

ერგე-ჩაქვის ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი – 1909 წელს.

ბათუმის სომხურ-კათოლიკური სასწავლებელი – 1992 წელს.

საეკლესიო-სამრევლო სკოლები 1910 წლისთვის იყო – 7.

აქვე წარმოგიდგენთ სკოლებში მოღვაწე პედაგოგთა ნამსახურებ სიებს, რომელიც უფრო სრულყოფილს ხდიდა მათ ბიოგრაფიებს.

1. აბაკაროვა ისაბენა, აბაკარაღა ოღლი – ზედამხედველი ჩურუქ-სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის, 53 წლის, მუსლიმანი, აქვს წმ. ანას მე-3 ხარისხის და წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენი, 1884 წელს დაამთავრა კავკასიის სამასწავლობლო სემინარიის რუსული კურსი, 1884 წელს მოეწყო აგდაშის საერებო სასწავლებლის მეორე მასწავლებლად, 1886 წელს ზედამხედველი იყო შოხლინსკის საერო სასწავლებელში, 1895 წელს დაინიშნა ჩურუქ-სუს

პირველი სასწავლებლის ზედამხედველად, უცოლო, ხელფასი წლიურად 450 მან. (ქ.ც.ა. ფ.92. ს. 37.ფ.1–2).

2. ასტაფევი ნინა ალაქსანდრეს ასული – ბათუმის გოგოლის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 26 წლის, მართლმადიდებელი, 1904 წელს მიიღო 7 კლასის განათლება ბათუმის ქალთა გიმნაზიაში, 1910 წელს დაამთავრა 8 კლასი პეტერბურგის ქალთა გიმნაზიაში 1911 წელს დაიწყო მუშაობა ბათუმის გოგოლის სახელობის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად– 800 მან. (ქ.ც.ა. ქ. 92.ს.37.3–4).

3. გოლევჩენკო ანდრია პავლეს ძე – ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებელი, 28 წლის მართლმადიდებელი, 1901 წელს დაამთავრა ეკეტერინობარის საქალაქო 6 კლასიანი საწავლებლის პედაგოგიური კურსი, სწავლების უფლებით ორკლასიან სასწავლებელში. 1901 წელს დაინიშნა კალბაშის ორკლასიან სასწავლებელში, 1902 წელს დაინიშნა ზედამხედველად ბუკროგლუტიუნის ორკლასიან სასწავლებელში. 1904 წელს გადაყვანილ იქნა ზედამხედველად კოლაკინის ერთკლასიან სასწავლებელში. 1905 წელს დაინიშნა ელისავედოპოლის სარკინიგზო სასწავლებელში, 1911 წელს დაინიშნა ბათუმის სარკინიგზო სასწავლებელში, დაოჯახებული ელენე ივანეს ასულ სემინისინზე, ხელფასი წლიურად 480 მან. (ქ.ც.ა. ქ. 92.ს.37. ფ.17–18).

4. გომან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ბათუმის ექვსკლასიანი საქალაქო დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, შეთავსებული აქვს მუზეუმის ხელმძღვანელის თანამდებობა ამავე სასწავლებელში ხელსაქმეებთან დაკავშირებით, 46 წლის, მართლმადიდებელი, მიიღო საოჯახო განათლება, ხელსაქმე ისწავლა ოდესაში და მოსკოვში, 1895 წელს მოეწყო ბათუმის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში ხელსაქმის მასწავლებლად, 1906 წელს მოეწყო ბათუმის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, 1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ბრძანებით დაინიშნა ხელმძღვანელად ბათუმის ექვსკლასიან სასწავლებელთან არსებულ მუზეუმსა და სახელოსნოში, რომელიც ამ მუზეუმთან არსებობდა, დაოჯახებულია სევერინა კონსტანტინეს ასულ მერჟოვსკიზე, შვილი ნიკოლოზი 23 წლის, მართლმადიდებელი, ხელფასი წლიურად 600 მან.(ქ.ც.ა. ქ. 92.ს.37.ფ. 19–20.)

5. ზახაროვი გიორგი სტეფანეს ძე – ბათუმის პუშკინის დაწყებითი ერთკლასიანი სააწავლებლის კოლეგიის რეგისტრატორი. 46 წლის, სომხურ–გრიგორიანული სასწავლებლის, 1887 წელს დაამთავრა სრული კურსი კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის, 1887 წელს დაინიშნა ჯვარცმის ერთკლასიან სასწავლებელში, 1896 წელს გადაყვანილ იქნა ბათუმის ქალაქის სადირექციო სასწავლებლში, 1906 წელს ბათუმის ქალაქის სამმართველოს მიერ დაინიშნა მასწავლებლად ბათუმის პუშკინის სახელობის დაწყებითი ერთკლასიან სასწავლებელში, ხელფასი წლიურად 600 მან. (ქ.ც.ა. ქ. 92.ს. 37.ფ. 53–54).

6. ივანოვა ანტონინა ილიას ასული – ბათუმის ერთკლასიანი სარკინიგზო სასწავლებლის ხელმძღვანელი, 28 წლის, მართლმადიდებელი, 1904 წელს დაამთავრა დიდი მთავრობის თბილისის ოლგა თეოდორეს ასულის ქალთა გიმნაზია. 1904 წელს დაინიშნა მასწავლებლად სამტრედიის სარკინიგზო სასწავლებელში, 1906 წელს გადაყვანილ იქნა ელისავედოპოლის სარკინიგზო სასწავლებელში. 1909 წ. ალექსანროპოლის სარკინიგზო სასწავლებელში. 1911 წელს დაინიშნა ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის ხელმძღვანელად. გაუთხოვარი, ხელფასი 700 მან. (ქ.ც.ა. ქ.92. ს.37. ფ.58–59).

7. ლოლუა მარია ელიზბარის ასული – ბათუმის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელსაქმის მასწავლებელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, 1902 წელს დაამთავრა თბილისის კერძო პროფ. სასწავლებელი, აქვს მოწმობა თბილისის სახელოსნოს მართველობის, 1905 წელს დაიწყო მუშაობა ბათუმის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში. გაუთხოვარი.

8. ქარცივაძე სოფია იოთამის ასელი – ბათუმის პირველი ქართული ერთკლასიანი გიმნაზიის მასწავლებელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელი. 1899 წელს დაიწყო მუშაობა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში. გაუთხოვარი, ხელფასი 800 მან. (ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 37.ფ. 71–72).

9. ვაგილნაია მარია გაბრიელის ასული – ჩურუქ-სუს ერთკლასიანი ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს 9 კლასიანი სასწავლებელი. 1905 წელს მოეწყო მასწავლებლად ბათუმის ქალთა სასწავლებელში. 1906 წლიდან ჩურუქ-სუს ქალთა საწავლებლის ხელმძღვანელია, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 400 მან(ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 38.ფ.1–2)

10. მესხი ქეთევან ივანეს ასული – ბათუმის მეორე ქართული საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 24 წლის, მართლმადიდებელი. 1907 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი და მიეცა ატესტატი. 1908 წელს დაინიშნა ბათუმის საქალაქო მუსლიმანურ სასწავლებელში. 1911 წელს გადაყვანილი იქნა მეორე ქართულ საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, ხელფასი წლიურად 800 მან. (ქ.ც.ა.ქ. 92.ს. 38.ფ. 16–17)

11. მურადოვა ივანე ქრისტეფორეს ძე – ჩურუქ-სუს ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელი, 25 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია, ამავე წელს დაინიშნა მასწავლებლად ეროვნულ სახალხო სასწავლებლის დირექციის ბაშნარაშედის სასწავლებელში, 1912 წელს გადაყვანილ იქნა მურღულის სკოლაში, 1910 წელს წარმატებული მსახურებისათვის დაჯილდოებული იქნა კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ. 1914 წელს დაინიშნა ჩურუქ–სუს ნორმალურ სასწავლებელში, დაოჯახებული ელენე გიორგის ასულ სულიდიძეზე, ჰყავს ქალიშვილი ოლღა, ხელფასი წლიურად 400 მან. (ქ.ც.ა.ფ. 38.ს. 38.ფ. 23)

12. ოლხოვსკი ანტონინა პეტრეს ასული – ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებელი, 26 წლის, მართლმადიდებელი. დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია. დიდი მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის სახელობის, 1908 წელს დაინიშნა მასწავლებლად მიხაილოვის სარკინიგზო სასწავლებელში, 1910 წელს გადაიყვანეს ბათუმის სარკინიგზო სასწავლებელში. ხელფასი 480 მან. (ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 38.ფ.28–29)

13. სურგულაძე მარია მიხეილის ასული – ბათუმის საქალაქო დაწყებითი მუსლიმანური სკოლის მასწავლებელი, 25 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის სწავლების სრული კურსი. ბათუმის ქალაქის მმართველობის დადგენილებით 1911 წელს არჩეული იქნა მასწავლებლად ბათუმის დაწყებით მუსლიმანურ სკოლაში და დამტკიცებული იქნა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლის დირექტორის მიერ. გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 400 მან. (ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 38.ფ. 53–54)

14. ჩაპლიგ ნარსენ მიხეილის ძე – ჩურუქ–სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელი, 23 წლის, მართლმადიდებელი, 1911 წელს დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი, ამავე წელსვე დაიწყო მუშაობა ზემოთ ხსენებულ სასწავლებელში, დასაოჯახებელი, ხელფასი წლიურად 360 მან (ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 38.ფ. 76–77).

15. შარაშიძე ტროფინ დავითის ძე– ბათუმის მეორე ქართული საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელმძღვანელი, კოლეგიის რეგისტრატორი, 50 წლის, მართლმადიდებელი, მიღებული აქვს ვერცხლის მედალი ალექსანდრეს ლენტით, დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის სამი კლასი. 1886 წელს დაინიშნა კორცხელის დაწყებით სასწავლებელში, 1888 წელს დაინიშნა ზედამხედველად წალენჯიხის ორკლასიან სასწავლებელში, 1891 წელს გადაყვანილ იქნა ქვათანის ორკლასიან სასწავლებელში ამავე წელს სასწავლებლის ზედამხედველად, 1892 წელს გადაყვანილი იქნა ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში. 1899–1903 წწ. იყო ციხის ორკლასიანი

დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველი 1903 წელს დაინიშნა ბათუმის საქალაქო დაწყებით 6 კლასიან სასწავლებელში. 1905 წლიდან ამ სასწავლებლის ხელმძღვანელია, დაოჯახებული, ჰყავს 5 შვილი: თინათინი, სამსონი, ზაქარია, მიხეილი, ილია. ხელფასი წლიურად 800 მან. (ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 38.ფ. 105–106).

16. შარაშიძე ემილია გრაციონის ასული – ჩურუქ-სუს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი 37 წლის, მართლმადიდებელი, 1895 წელს დაამთავრა ყაზანის ქალთა გიმნაზია, 1896 წელს დაამთავრა სარატოვის მერვე ქალთა გიმნაზია. 1912 წლიდან ჩურუქ-სუს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელია. ქვრივი. ხელფასი წლიურად 300 მან. (ქ.ც.ა.ფ. 92.ს. 38.ფ. 109–110).

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლის დირექციის ფონდი გვაძლევს საშუალებას გავეცნოთ აგრეთვე 1906 წლისათვის ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლის მგელაძე ფილიპე ბუჩუს ძის ნამსახურებ სიას, რომლის თანახმადაც იგი 31 წლისაა, მართლმადიდებელი, დაამთავრა კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი, დაინიშნა მასწავლებლად დვაბზუს სასოფლო სკოლაში, 1892 წელს გადაიყვანეს სიმონეთის ერთკლასიან სასოფლო სასწავლებელში, 1894 წელს გადაიყვანეს დვაბზუს სასოფლო სასწავლებელში, 1895 წელს ზედამხედველია შემოქმედის ორკლასიანი სასოფლო სასწავლებლის, 1897 წლიდან გადაიყვანეს ბახვის ორკლასიან სასწავლებელში. 1899 წელს გადაიყვანეს ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებით ერთკლასიან სასწავლებელში. დაოჯახებული – მეუღლე ანნა სტანისლავის ასული სოლომინოვა, უშვილო, ხელფასი წლიურად 800 მან.(ქ.ც.ა. ფ.92. ს.20. ფ.1–2).

როგორც უკვე მოგახსენეთ, მოცემული მასალით მოგაწოდეთ ინფორმაცია XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებულ სასწავლებლებზე და პედაგოგებზე, რომლებიც ამ სასწავლებლებში მოღვაწეობდნენ (მათ ნამსახურებ სიებზე დაყრდნობით). სწორედ იმდროინდელი საგანმანათლებლო ცენტრის ღირსეული გამგრძელებლები არიან დღევანდელი აჭარის სკოლები თუ უნივერსიტეტები, რომლებიც წარმატებით ვითარდებიან, რადგანაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ სკოლების გახსნა და ბავშვის აღზრდა-განვითარება ყოველი დროის უდიდესი საქმეა. რადგანაც კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალყური ვადევნოთ დროთა ვითარებას. საჭიროა, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების ღირსეულად აღზრდას და მივცეთ მათ გზა განათლებისაკენ.

დიდი ადამიანის ბიოგრაფი კვლევას იწყებს შორიდან, ამავე დიდი ადამიანის წინაპრებიდან. სწორედ ამიტომ ხშირად უნდა გავიხსენოთ ჩვენი წინაპრების მიერ განვლილი რთული გზა და წარსულის გახსენებით და გაანალიზებით შევძლოთ გავძლიერდეთ სულიერად და მოვახდინოთ საკუთარი თავის რეალიზება მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა და საარქივო დოკუმენტები:

1. ქ.ც.ა. – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №23, საქმეები: 19,42; ფონდი №92, საქმეები 20, 37, 38; ფონდი №130, საქმე 258.
2. ბაბილოძე გ., სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში 1921–1957 წ.წ, თბილისი 1958 წ.
3. კომახიძე თ, დუდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. ბათუმი 1998 წ.

ალექსანდრე ჩხაიძე

მიგრაციული პროცესების ძირითადი მომენტები აჭარაში თანზიმათის პერიოდში (XIX ს. 40-70-იან წლებში)[1]

1853-1856 წწ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა ე.წ. ყირიმის ომი. მოგვიანებით მასში რუსეთის წინააღმდეგ ჩაერთო ზოგი ევროპული სახელმწიფო. საბრძოლო ოპერაციები სხვადასხვა, საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. ამასთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო თეატრი კავკასია იყო, მათ შორის აჭარა-გურიის და აჭარა-ახალციხის მოსაზღვრე ტერიტორია. საერთო იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე ომმა ქართველებში ავტომატურად გამოიწვია ძმათა შორის დაპირისპირება. ისინი ორივე მხარეს იბრძოდნენ. ომში თავისი როლი რელიგიამაც ითამაშა, თუმცა ჩვენთან ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მდგომარეობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ნებით თუ იძულებით რუსეთის დროშების ქვეშ დარაზმულნი იყვნენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები მათ შორის ქრისტიანი ქართველებიც და სხვადასხვა ეროვნების მაჰმადიანებიც. ოსმალეთის დროშების ქვეშ კი დარაზმულნი იყვნენ ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომები,მათ შორის მაჰმადიანი ქართველებიც და სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანებიც. ომს საზღვარი კავკასიაში არ შეუცვლია.

ძმათა შორის სისხლის ღვრამ თავისი დაღი დაამჩნია რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების, კავკასიის საზღვრისპირა მცხოვრებ მოსახლეობაზე. აქ ქართველებიც იარაღით ხელში ერთმანეთს ებრძოდნენ. ცხადია მრავალი წელი იქნებოდა საჭირო, გარდა ფიზიკურისა, სულიერი იარების მოსარჩენად. თუმცა ომის შემდეგ მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ურთიერთობა, არა ყველასათვის, მაგრამ თანდათან განახლდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1859 წელს წერდა, რომ გურულებს ქობულეთლებთან და აჭარლებთან აქვთ ახლო ურთიერთობა, ნათესაური კავშირი და დანაშაულის ჩამდენი გურული ყოველთვის საიმედო თავშესაფარს ნახულობს მათთან (17.49).

ყირიმის ომმა, მოსახლეობის შეიარაღებამ ნიადაგი შეუქმნა უკანონობას, ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას. ამასთან მაშინდელ უსამართლო სამყაროში იყვნენ სხვადასხვა მიზეზით ხელისუფლებასთან დაპირისპირებული შეიარაღებული პირებიც. მათი ქმედებები სამხედრო კონფლიქტის შემდეგაც გრძელდებოდა და საზღვრის გადაკვეთაში ახლა ისინი აქტიურობდნენ, რომლებიც ჯგუფურად თუ ცალ-ცალკე ზოგჯერ კი ხშირი გადასვლა-გადმოსვლით არღვევდნენ საზღვარს და ხელისუფლებებს (ორივე მხარეს) პრობლემებს უქმნიდნენ (18.ფურც.15,20,25,26). ეს იყო თავისებური, რასაც დემოგრაფები უწოდებდნენ „მაქოსებური მიგრაცია“. თანაც აჭარიდან ორივე მიმართულებით: ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. საქმე ეხებოდა ძირითადად 50-იანი წლების მეორე ნახევარს. მართალია დროთა განმავლობაში ხელისუფლებათა მკაცრი მოპყრობა გარკვეულად მოქმედებდა, მაგრამ უსამართლო ქვეყანაში რა გამოლევს თავზეხელაღებულებს.

ყირიმის ომის დამთავრებიდან (1856 წ.) მოყოლებული რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე (1877 წ.) აჭარიდან გურიაში მიგრაციის შესახებ ისტორიკოსებიდან ერთადერთი აზრს გამოთქვამს აბელ სურგულაძე. თავის ნაშრომში მას ჯერ მოჰყავს ფაქტები 1838-1850 წლების მიგრაციისა აჭარიდან „საქრისტიანო საქართველოში“. რატომღაც მხოლოდ ჩრდილოეთით და არ აღნიშნავს არც აღმოსავლეთ მიმართულებას (ახალციხისკენ) და არც საპირისპირო შემთხვევებს, რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში ჩასახლებაზე. მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა, ათასობით

[1] გაგრძელება., დასაწყისი იხ.: „მუზეუმის მაცნე“ №IX, ბათუმი 2017 წ.

მუჰაჯირთა აჭარაში ჩასახლებაზე. ამ საკითხს კიდევ შევეხებით. შემდეგ კი წერს: „მოტანილი საარქივო მასალა მხოლოდ 1838-1850 წლების საგადასახლებო მოძრაობას ასახავს, მაგრამ რამდენად თანზიმათის შედეგებით რეჟიმი სულ უფრო მძიმდებოდა, ამდენად ეჭვს გარეშეა, რომ „საქრისტიანო საქართველოში“ გადასახლების (ფარული თუ აშკარა) პროცესი ინტენსიურად გრძელდებოდა შემდეგაც, ვიდრე 1878 წელს განთავისუფლებული აჭარა საბოლოოდ არ დაუბრუნდა დედასამშობლოს“ (2. 22-23). აქ გაურკვეველია 1856-1877 წლების აჭარაში თანზიმათის რა შედეგებზეა საუბარი რომელმაც გამოიწვია (?- ა.ჩ) „ინტენსიური“ მიგრაცია „საქრისტიანო საქართველოში“ საჭირო იყო კონკრეტული მიზეზების და ფაქტების მოყვანა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აზრს, რომ მოცემულ პერიოდში (1856-1877 წწ) აჭარიდან ხდებოდა მოსახლეობის „ინტენსიური“ ჩასახლება ერთი მიმართულებით „საქრისტიანო საქართველოში“. ჯერ ერთი იგი სუსტი ნაკადით ხასიათდებოდა, მეორეც მოძრაობას საპირისპირო მიმართულებაც ახლდა, ანუ საცხოვრებლად გადასვლან როგორც აჭარიდან ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთითნ ისე პირიქით. ამასთან აღვნიშნავთ, რომ ხელისუფლების მიმართ მუქარა, რომ მასიურად გადასახლდებოდნენ (თუ რუსული პრესა არ იტყუება) ეტყობა იყო, თუმცა გადასახლება არა. კერძოდ გაზეთი „Голос“ 1878 წ. მარტში ქობულეთლების შესახებ წერდა: „ორმოციან წლებამდე ისინი არ უხდიდნენ თურქებს არავითარ გამოსაღებს. ამ დროიდან თურქმა მუდირებმა[2] შეძლეს ძლივს დაებეგრათ ხალხი „Как бы“ (ასეა გაზეთში-ა.ჩ) მეათედით, მაგრამ რეალური გადასახადი გადახდილი კომლიდან თურქეთის მთავრობისთვის არა თუ მეათედი, მისი Земних (ასეა გაზეთში-ა.ჩ) ნაწარმოების მეოცედ წილს არ შეადგენს“. შემდეგ გაზეთი გვამცნობს, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ეს იცის, მაგრამ ვერაფერს აწყობს, რადგან როცა ეგზეკუცია ხდებოდა ქობულეთლები იკრიბებოდნენ ჩოლოქზე და ამბობდნენ, რომ გადავიდოდნენ რუსებთან, თუკი თურქები გაზრდიდნენ გადასახადს (19.3). გაზეთის მონაცემები გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. ის, რომ ქობულეთლები 40-იან წლებამდე ანუ თანზიმათამდე არ იხდიდნენ „გამოსაღებს“, უნდა ეხებოდეს ცენტრისთვის განკუთვნილ სახელმწიფო გადასახადებს. ქობულეთი ანუ ჩურუქ-სუ იმ დროს საზღვარზე მყოფი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომელსაც სანჯაყ ბეგები თავდგირიძეები მართვადნენ. ქობულეთელი გლეხობა უდაოდ ასრულებდა მათ წინაშე გარკვეულ ვალდებულებას.

მშვიდობიანობის პერიოდში ორ უზარმაზარ იმპერიას შორის, მოსახლეობის მიერ სხვადასხვა მიზნით და საშუალებით საზღვრის გადაკვეთას სამართლებრივი მოწესრიგება სჭირდებოდა. ამიტომ ადგილი ჰქონდა საზღვრის ოფიციალურად გადაკვეთის საკითხების შემდგომ რეგულირებას. ამასთან უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევებში კი ურთიერთობა ადგილებზე ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, უმეტეს შემთხვევაში ჩვენს კავკასიის სასაზღვრო ხაზზე მოიკოჭლებდა. მოვიყვანთ ორ შესაბამისს ფაქტს. პირველ შემთხვევაში ნაწყვეტს რუსული საბუთიდან საკითხის ოფიციალურად მოწესრიგების მცდელობის თაობაზე, სათაურით: ახსნა განმარტების შესახებ თურქეთის სამინისტროსა და ჩვენს მისიას შორის კონსტანტინეპოლში რუსული პასპორტების გაცემასთან დაკავშირებით. საქმე დაიწყო 1858 წ. 25 მაისს, დამთავრდა 1868 წ. 17 მაისს.

1859 წ. 28 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალი წერდა: თურქი ქვეშევრდომები ჩვენს ქვეშევრდომობაში გადმოდიან რათა ისარგებლონ ჩვენი მფარველობით თურქეთის ხელისუფლების წინაშე ან კიდევ დანაშაულის გაქცევის მიზნით. ამიტომ გუბერნიის

[2] მუდირი – ოსმალეთის სახელმწიფოს ჩინოვნიკი, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი.

ხელმძღვანელებს ვთხოვ, რომ თურქი ქვეშევრდომები ჩვენს ქვეშევრდომობაში მიიღონ ძალზე (Разборчиво) გარკვეულად (20. ფურც. 46).

მეორე ფაქტი კი ეხება ადგილზე, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში წამოჭრილი პრობლემების მოგვარების მცდელობას. საბუთის სათაურია: რეკრუტიდან გამოქცეული ბაკ-ოღლი საალის თურქეთში გადასახლების შესახებ. დაიწყო 1866 წ. 18 ივლისს დამთავრდა 1866 წ. 13 დეკემბერს. სათაურის მიხედვით, საბუთის შინაარსიდანაც ვგებულობთ, რომ ბაკ-ოღლი საალი 1857 წელს რეკრუტიდან თავის არიდების მიზნით თურქეთიდან საქართველოში გამოქცეულა. „თურქეთის გენერალურ კონსულს მხედველობაში აქვს რა ორ მეგობრულ სახელმწიფოს შორის არსებული წესი, რომელიც შეეფარდება ბაკ-ოღლის მსგავსი პირების გაცემას თხოვს“ ბაკ ოღლი მომიყვანეთ საკონსულოშიო (21. ფურც. 1). აქ მითითებულია წესი და არა რაიმე ოფიციალური შეთანხმება ამასთან საბუთის მიხედვით რუსეთსა და თურქეთს შორის იმ დროს არ არსებობდა კარტელი (ასეა ტექსტში – ა.ჩ.) დამნაშავეთა ურთიერთ გაცვლაზე (იქვე, ფურც. 2) რაც სასაზღვრო ზოლში პრობლემების ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნდათ, რაც შეეხება ბაკ-ოღლის ის ვერ მონახეს (იქვე. ფურც. 3).

ოსმალეთის საქართველოდან რუსეთის საქართველოში საცხოვრებლად გადმომსვლელთა მნიშვნელოვანი მოტივი, როგორც აღვნიშნეთ, გახლდათ ტანჯული ცხოვრების შემსუბუქებისაკენ სწრაფვა. იგივე შეიძლება ვთქვათ რუსეთის იმპერიიდან ჯერ ბატონყმური სისტემისაგან, შემდეგ, მიუხედავად რეფორმებისა შემორჩენილი უსამართლობისაგან ოსმალეთში გაქცეულ ქართველ გლეხებზე. ახლა მოვიყვანთ მონაცემებს რუსული ხელისუფლების მიერ ყირიმის ომის შემდგომ, კერძოდ 1859 წელს შედგენილი საბუთებიდან: ტყვედ ჩავარდნილი გურულები- ვკითხულობთ იქ-ადვილად იცვლიან სარწმუნოებას, ხდებიან მუსლიმები და განთავისუფლების შემდეგაც უჭირთ ქრისტიანულ სარწმუნოებაში დაბრუნება (16.49). მეორე საბუთში კი ვკითხულობთ: „გურულები, რომლებიც ხვდებიან თურქეთში, იცვლიან რა იქ თავის სარწმუნოებას, ხდებიან მუჰამედის ისეთი თავგამოდებული თაყვანისმცემლები, რომ არც ჩვენ კონსულთა დარწმუნება, არც იქაურ ეკლესიის მოძღვართა დარიგება, არც მიცემული სახსრები სამშობლოში დაბრუნებისთვის ვერ აიძულებს ამ რენეგატებს მათი წინაპრების სარწმუნოებისადმი დაბრუნებას“ (იქვე. 521). ამ შემთხვევებში გამაჰმადიანების და ოსმალეთის იმპერიაში დასახლების სხვადასხვა მოტივი შეიძლება არსებობდეს, მათ შორის ჩაგრული ცხოვრების შემსუბუქების სურვილი, სისხლის აღების წესი და სხვა.

ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდში აჭარის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ გვაქვს მიახლოებითი მონაცემები. 1871 წლის აღწერით (ოსმალო მოხელეები აღწერდნენ მხოლოდ მამაკაცთა რაოდენობას) აქ ცხოვრობდა 27 ათასამდე მამაკაცი (22, 201). ამას მიმატებული ერთი ამდენივე მდედრობითი სქესის მცხოვრები და გამოდის, რომ აღნიშნულ წელს აჭარაში ცხოვრობდა 55 ათასამდე სული. დაახლოებით ამდენ რაოდენობას ვვარაუდობთ აქ თანზიმათის პერიოდში. ომს და საგარეო მიგრაციულ პროცესს არ უნდა მოეხდინა მასზე მკვეთრი ცვლილება.

თანზიმათის პერიოდში აჭარის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში მოხდა გარკვეული ცვლილებები. მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ (როგროც დღეს), მაშინ მათი უმრავლესობა მაჰმადიანი იყო. ქართველების გვერდით აქ ადრეც ცხოვრობდნენ მცირე რაოდენობით, სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთაც მოცემულ პერიოდში გარკვეული რაოდენობა კიდევ დაემატა. განსხვავებული და დაუზუსტებელია მონაცემები აქ ზოგი ეთნიკური უმცირესობის რაოდენობაზე, ზოგი კი შედარებით სანდოა.

მპყრობელი ერის, თურქების რაოდენობა აჭარაში თუ არ ჩავთვლით ყირიმის ომის პერიოდს, როცა ჩვენს რეგიონში ოსმალეთის ჯარები იყო თავმოყრილი, ბევრი არ იყო. მათი რაოდენობის

შესახებ საქართველოს დემოგრაფიის სპეციალისტი ვ. ჯაოშვილი წერს: „მიახლოებითი გამოთვლით აჭარაში უნდა ვიგულისხმოთ 1.8 ათასი თურქი“ (23. 82). ისიც ზღვისპირა რაიონებში. ესენი ძირითადად იქნებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკები ოჯახებთან ერთად, სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები.

ჩვენს რეგიონში ადრე დამკვიდრებულ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან ბერძნები. ცნობილია, რომ მათი პირველი დასახლების გაჩენა საქართველოში მოხდა შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიური კოლონიზაციის დროს (ძვ.წ. VII-VI სს). ის არ იყო მრავალრიცხოვანი და დროთა განმავლობაში მათი ნაწილს აქ ასიმილაცია უნდა განეცადა. ოსმალური წყაროს მიხედვით: „1850 წ. ბათუმში გადმოსახლებულან ანატოლიის ბერძნები“ (14. №217, ფურც.VIII). ამას ადასტურებს ვ. ჯაოშვილიც: „XIX ს. შუა წლებში ბერძნები ჩამოსახლდნენ ზღვისპირა აჭარაში“ (24. 233). 1871 წ. ოსმალური სტატისტიკით[3] ბერძნები რეგისტრირებულია მხოლოდ ქ. ბათუმში 18 ოჯახი, სადაც ცხოვრობდა 41 მამაკაცი (22.201). სავარაუდოდ ამას მიმატებული ერთი ამდენივე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი და მივიღებთ 82 სულ ბერძენს. იმ დროს ტრაპიზონში ინგლისის ელჩის ვ.ჯ. პალგრევის მიხედვით 1868 წ. ქ. ბათუმში ცხოვრობდა 350 ბერძენი (14№588, ფურც.17). იმავე წელს კი მას ბათუმის კაზაში (52 სოფელი) დაფიქსირებული აქვს 804 ბერძენი (იქვე, ფურც.7). სავარაუდოდ ამაში შედის ქ. ბათუმის ბერძენთა რაოდენობაც. ხოლო გონიოს ნაჰიეში (ნაგულისხმებია სოფლებიც) კი 626 ბერძენი (იქვე, ფურც. 13). განსხვავება მნიშვნელოვანია: პალგრევის მიხედვით 1868 წ. ბათუმისა და გონიოს რაიონებში ცხოვრობდა 1400-მდე ბერძენი. ოსმალური სტატისტიკით 1876 წ. მათი რაოდენობა იყო 82 და ისიც ქ. ბათუმში. ეტყობა პალგრევი მთელ მართმადიდებლურ მრევლს, მათ შორის ქართველებს ბერძნებად მიიჩნევდა, მითუმეტეს, რომ მისი აზრით ყველა ადგილობრივი ქართველი გამაჰმადიანებული იყო.

ასევე სხვაობაა ოსმალურ სტატისტიკასა და პალგერვის მონაცემებს შორის სომხებთან დაკავშირებით. ოსმალური საბუთის მიხედვით 1871წ. ბათუმში დაფიქსირებულია კათოლიკეთა 3 კომლი 8 სულით და სომეხთა 4 კომლი 34 სულით (22.201). შესაძლოა კათოლიკეებში იგივე სომხები იგულისხმება, რადგან სომეხთა ნაწილი ბთუმში იმ დროს ამ სარწმუნოებას აღიარებდა. პალგრევის მიხედვით კი 1868 წ. ბათუმის კაზაში (სოფლებით) ცხოვრობდა 214 სომეხი (14,№588, ფურც. 7), ქ. ბათუმში – 120 (იქვე, ფურც. 17). შესაძლოა ქალაქელი ბათუმელი სომხები შედიოდნენ იმ 214 სულში. ასევე პალგრევი იმ პერიოდში გონიოს ნაჰიეში ასახელებს 436 სომეხს, ისინი ახლახან ჩამოსახლდნენ ლივანადან (იქვე, ფურც. 13).

აჭარაში იმ დროს ცხოვრობდნენ ქურთებიც. თუმცა ისინი აქ ადრე ჩამოსახლდნენ, საერთოდ „ცალკეული ქურთული ტომები საქართველოში, კერძოდ მესხეთში XVI საუკუნიდან ჩნდებიან“ (25), ე.ი. იმ დროს როცა ოსმალეთმა სამცხე- საათაბაგო დაიპყრო. ისინი ბათუმის სამხრეთით ჭოროხის ხეობაში, კახაბრის მახლობლად ცხოვრობდნენ, ამიტომ მათ კახაბრელ ქურთებსაც უწოდებდნენ. მონაცემებს მათ შესახებ ოსმალურ სტატისტიკაში ვერ ვნახულობთ. ქურთები ოსმალეთის იმპერიაში, მერე თურქეთის რესპუბლიკაში საუკუნოვან განმათავისუფლებელ ბრძოლებს ეწეოდნენ და ეწევიან თურქების წინააღმდეგ. შესაძლოა ოსმალებს ამიტომ არ უნდოდათ მათი დანახვა, ან კიდევ იმიტომ, რომ ჩვენს რეგიონში ქურთები ცხოვრების მომთაბარე წესს ეწეოდნენ. გ. ყაზბეგის მიხედვით მათი რაოდენობა აქ 1874 წელს 600 სულს აღწევდა (26.28), სხვათაშორის მე-19 ს. 80-იან წლებში კი 800 სულს (25). პალგრევი წერს, რომ ისინი დაუმორჩილებლობით გამოირჩევიან და ცხვრის დიდი ფარები დაჰყავთ ზემო აჭარის მთებში (14, №588, ფურც. 39). ასევე აღწერს რა გონიოს ნაჰიეს, პალგრევი გვამცნობს, რომ კარჩხალ-დაღის

[3] ოსმალური სტატისტიკის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის მონაცემები სანდო არ უნდა იყოს. ეტყობა, სხვა ეროვნებების რაოდენობა შემცირებულია.

საძოვრებზე მწყემსების უმეტესობა არიან ქურთები (იქვე, ფურც. 54). აჭარის მოსახლეობის ეთნიკურ უმცირესობათა შორის ქურთებს ახასიათებდათ მეცხოველეობასთან დაკავშირებული სეზონური მიგრაცია.

XIX ს. 60-იან წლებში აჭარის ეთნიკურ სტრუქტურაში გარკვეული ცვლილება შეიტანა აფხაზმა მუჰაჯირებმა[4*]. აფხაზთა თავიანთი საცხოვრებლიდან ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება ძირითადად დაკავშირებული იყო ცარიზმის პოლიტიკასთან. ისინი უმნიშვნელო რაოდენობით აჭარაში ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში დასახლდნენ (27.4). მათი ერთი ჯგუფი კი აქ 1862 წ. ჩამოსახლდა (იქვე, 21). კავკასიის მთიელები, სხვებს შორის აფხაზებიც, საცხოვრებლად დიდ ჯგუფად ოსმალეთის იმპერიაში 1864 წ. წავიდნენ (იქვე, 10). რადგანაც ისინი ცარიზმმა იძულებული გახადა წასულიყვნენ საკუთარი სამშობლოდან, ცხადია განაწყენებულნი იყვნენ რუსეთის ხელისუფლებაზე. მათი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში, სასაზღვრო რაიონში დასახლების გამო რუსეთის ხელისუფლება იქ ელოდა უსიამოვნო ინციდენტებს. ამიტომ დაიწყეს ზომების მიღება აჭარის როგორც აღმოსავლეთ ისე ჩრდილოეთ საზღვარზე. ამასთან დაკავშირებით ახალციხის მაზრის უფროსმა შეისწავლა რა მდგომარეობა 1865 წ. 26 მაისს მოახსენა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, რომ 1864 წელს კავკასიიდან თურქეთში გადასახლებული მთის ტომებიდან (ეტყობა აქ საქმე ეხება არა მხოლოდ აფხაზ-აფსუებს - ა. ჩ) იმავე წლის ოქტომბერში ოთხი ათასზე მეტი ოჯახი თურქეთის მთავრობის განკარგულებაში დაასახლეს სანჯაყებში: ფოცხოვი, არდაგანი, ჩილდირი, შავშეთი, ზემო აჭარა, ზემო არტანუჯი. მოსულთა თანაცხოვრება ადგილობრივებთან ცუდად წავიდა. ჩამოსულები მიჩვეულნი იყვნენ ძარცვას და მეომრულ ცხოვრებას. ისინი არბევდნენ არა მხოლოდ რაიებს (ამ შემთხვევაში გლეხებს-ა.ჩ), არამედ ბეგებს. ამიტომ ამათ მიმართეს მთავრობას საჩივრებით. მთავრობამ მთიელებს (ჩამოსულებს-ა.ჩ.) გამოუგზავნა კომისარი წინადადებით გადასახლებულიყვნენ თურქეთის სიღრმეში, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ. შემდეგ მათ შესთავაზეს გადასახლებულიყვნენ ოლთისის ოლქში (ლივანაში). ისინი არც ამაზე დათანხმდნენ. თვითონ აირჩიეს კახაბრის სანჯაყი, რომელიც მდებარეობს აჭარასა და ბათუმს შორის, მთავრობამ ნება მისცა. მაისის დასაწყისში მთიელები, ოთხი ათას ოჯახზე მეტი გადავიდა მუდმივად კახაბერში. აქ მათ ქურთები დახვდათ. ქურთები მომთაბარეობენ, შესაძლოა მეურნეობის არ მქონე მთიელებმაც მომთაბარეობა დაიწყონ ახალციხის ახლოს და აქედან მტაცებელ აჭარლებთან და ქურთებთან ერთად თავს დაესხნენ ამ მაზრას ძარცვის და ყაჩაღობის მიზნით. მე გავეცი განკარგულება საზღვარზე შეიარაღებული ყარაულის დაყენების შესახებ, რადგან აქ თათრები ცხოვრობენ, მათი ერთმორწმუნეები და მათ ყარაულზე დაყრდნობა მთლიანად არ შეიძლება (28. ფურც. 3-4).

რუსეთის ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა არა მხოლოდ აჭარის აღმოსავლეთ საზღვრის მონაკვეთზე, არამედ აჭარის ჩრდილო საზღვარზეც. აღნიშნული მოხსენების დაწერის თარიღიდან ორიოდე თვის შემეგ 1865 წ. ივლისში გენერალ ადიუტანტმა ორბელიანმა მიიღო სამსახურებრივი ცნობა, რომ რადგანაც აჭარაში ჩამოსახლდნენ ჯიგიტები და გვემუქრებიან, გურიის საზღვარზე მივიდა გურიის მილიცია. ამათ საცხოვრებელი არ აქვთ და მასალას ყიდულობენ აჭარლებისაგან. რადგან მილიციონერებს ცოტა ხელფასი აქვთ, გავუზარდოთ (იქვე,ფურც. 10). პალგრევის ანგარიშით 1864 წ. ბათუმის კაზაში ჩამოსახლებულ ჩერქეზთა და აფხაზთა რაოდენობა იყო 9500 სული (14№588, ფურც.7). ვფიქრობთ ბათუმის კაზასათვის ეს გაბერილი ციფრია.

[4] მუჰაჯირი – არაბული სიტყვაა და ემიგრაციას ნიშნავს. ამასთან აფხაზურ, ჩერქეზულ და კავკასიის სხვა ხალხების ენებზე ამ ტერმინმა ძირითადად ძალდატანებით გადასახლებულთა მნიშვნელობა შეიძინა.

1866 წ. აფხაზეთში მოხვდა ფართომაშტაბიანი ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური ხასიათის აჯანყება. იგი იმავე წელს ჩაახშვეს. შედეგად ოსმალეთში გადასახლდა (ზოგი ნებით, ზოგი ძალდატანებით) აფხაზ-აფსუათა 3358 ოჯახი - 19342 სული (29. 58) პალგრევის მიხედვით 1867 წ. ბათუმის კაზაში ჩასახლდა 1200 აფხაზი (14 №558, ფურც.7). ვ. სიჭინავა ცდილობს დაადგინოს მათი დასახლების ადგილები : კალტიბაური, ყუშადიე, იამამიე, ბედენიე, ფეზიე, სოუქ-სუ, იჯადიე, ფერიე და სხვა (30.53). თ. აჩუგბა ამ ადგილებს უმატებს: გონიოს, ჭარნალს, მახინჯაურს, ჩაქვს, ციხისძირს და სხვა ტერიტორიებს (27.28).

რუსეთის იმპერიის კავკასიის მხარის მაჰმადიანთა მუჰაჯირობა ოსმალეთის ფარგლებში ამ დროისათვის და მერეც ოსმალეთის იმპერიის ხელისუფალთა წახალისებით ხასიათდებოდა. აფხაზ მუჰაჯირთა აჭარაში დასახლებისთვის დაუჯილდოვებიათ ლაზისტანელი ფეოდალი შაინ ოღლი (31.167).

აფხაზთა შესახებ აჭარაში ოსმალური სტატისტიკა დუმს, სამაგიეროდ იძლევა ცნობებს ჩერქეზთა შესახებ. აქ უდაოდ აფხაზებიც ან მხოლოდ აფხაზებია ნაგულისხმევი, რადგანაც „...თურქები ეთნონიმ „ჩერქეზის“ ქვეშ საკუთრივ ჩერქეზების გარდა, აფხაზებსაც გულისხმობდნენ...“ (27. 23). 1871 წელს ბათუმის რაიონში დაფიქსირებულია მათი 495 კომლი, შესაბამისაად 2874 სული, გონიოს ნაჰიეში კი მათი კომლების რაოდენობა 235-ს შეადგენდა სადაც ცხოვრობდა 944 სული (22. 201). ამათ გარდა ჩერქეზები (აფხაზები (?)- ა.ჩ) ქობულეთის რაიონშიც იყვნენ. 1878 წლისთვის ა.ფრენკელი გადმოგვცემს : „ ჩერქეზი-„ემიგრანტები“ ცხოვრობენ ბათუმის და ჩურუქ-სუს (ქობულეთის-ა.ჩ) ოლქებში. მათით მცხოვრებლები უკიდურესად უკმაყოფილონი არიან და მოხარულნი იქნებიან განთავისუფლდნენ მათგან, რადგანაც მცხოვრებლები ბევრს ითმენენ ჩერქეზთა ქურდობის და ყაჩაღობისგან“ (32.9-10) .

აჭარაში აფხაზ ჩამოსახლებულთა რაოდენობის თაობაზე მონაცემები სხვადასხვაა: ათი ათასამდე და მეტიც, თუმცა ისინი ცუდი ეკონომიკური პირობების, ეპიდემიების თუ სხვა მიზეზების გამო საცხოვრებლად მასიურად გადადიოდნენ ოსმალეთის სიღრმეში (27.31) დარჩენილების შთამომავლები აქ დღესაც ცხოვრობენ.

არის მონაცემები, რომ XIX ს. 70-იან წლებში ბათუმში მცირე რაოდენობით უნდა ყოფილიყო არაბები (33.38), ზანგები (34.106), რუსებიც და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის ომამდე (1877-1878 წწ.) აჭარა გურიის საზღვარზე, თუ არ ჩავთვლით ეთნიკურ უმცირესობას, მიგრანტთა სახელმწიფოთაშორისი ნაკადი სუსტი იყო. მასიურ გადასახლებას ოფიციალურად საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზნით ადგილი არ ჰქონია. ამ შემთვევაში გასათვალისწინებელია ომის შედეგები. ჯერ ერთი ეკონომიკური ზარალი, რომელიც ორივე ისედაც ღარიბ მხარეს მიადგა. ასევე, როგორც აღვნიშნეთ ადგილობრივმა ბრძოლებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ორ იმპერიაში ჩარჩენილ ძმებს შორის. ამასთან, საზღვრის ორივე მხარეს შორის მაინც რჩებოდა ახლობლობის შეგრძნება. დრო გადიოდა და აქ საჭიროდ მიგვაჩნია ჟურნალ „ივერიის“ 1877 წლის ივლისში გამოქვეყნებული სტატიის ერთი ციტატის მოყვანა, რომ გურულებსა და ქობულეთლებს შორის ,,განსხვავება მხოლოდ სარწმუნოებაა, რადგან ქობულეთლები მაჰმადიანები არიან, მაგრამ იმათშიაც მრავალი საიდუმლო ქრისტიანია... ერთმანეთში მოყვარობის გამო გურია-ქობულეთს ერთმანეთში დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ და სამზღვარ -ახლოს მდებარე სოფლები ქორწილს და ქელეხს ისე არ გადაიხდიან , რომ ერთმანეთი არ მიიწვიონ, ერთი სიტყვით ჭირში და ლხინში ერთობა აქვთ“ (35. 8-9). ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის რელიგიურ კუთვნილებასა და ერთგულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი დათმობა იმდროინდელ გაუნათლებელ, ღვთისმოშიშ ქვეყანაში ძალზედ მცირე ნაწილს თუ შეეძლო.

მოკლედ, თანზიმათის პერიოდში, რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის აჭარის მონაკვეთის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას შორის სხვადასხვაგვარი ურთიერთობა: სავაჭრო, ნათესაური, საცხოვრებლად გადასვლა ან დროებითი თავშესაფრის ძიება და ა. შ. ჩვეულებრივად რჩებოდა. ამასთან ხელისუფლებასაც ემუქრებოდნენ, რომ გაზრდილი გადასახადების, რეკრუტის, თვითნებობის საპროტესტოდ საზღვარს იქეთ გაიქცეოდნენ.

რაც შეეხება ორ იმპერიას შორის მასიური მიგრაციის საკითხს იგი, აჭარა-გურიის საზღვარზე არა, მაგრამ სხვაგან მაინც იდგა. კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის მთავარი სამმართველოს უფროსის კანცელარიაში 1868 წ. იანვარში შედგა საქმე, რომელშიც არის ტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსულის მაშნინის მოხსენება დათარიღებული 27 ნოემბრით (სავარაუდოდ, 1867 წლით-ა.ჩ) იქ ვკითხულობთ, რომ 60 ოჯახს ბაფრის და 67 ოჯახს სამსუნის მიდამოების სოფლებიდან სურთ რუსეთში გადმოსახლება, მაგრამ ხელს უშლიან. ეს არაა პირველი შემთხვევა როცა პორტა ამტკიცებს თავის არამეგობრულ დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ (36. ფურც.3). აქ არ არის დასახელებული არც გადასახლების მსურველთა ეროვნული შემადგენლობა, არც გადასახლების მიზეზები, არც გადასახლების დანიშნულების ადგილი. თუმცა, რადგან საქმე კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ შეადგინა სავარაუდოდ ეს მიმართულება უნდა იყოს. იმავე პერიოდში რუსეთის იმპერიაში ახალციხის მაზრაში იყვნენ ოსმალეთში გადასხლების მსურველნი. 1868 წ. 23 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალის მთავარი სამმართველოს უფროსი წერდა, რომ პორტას სურს აღძრას საკითხი ახალციხის მაზრიდან 1500 მუსლიმის თურქეთში გადასახლების თაობაზე, რომელთაც თითქოს ძალით აქრისტიანებდნენ. ახალციხის მუსლიმებში არ შეიმჩნევა გადასხლების სურვილი. არის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები (37.ფურც.7). იმავე საკითხზე თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის 1869 წ. 29 აგვისტოს მოხსენების მიხედვით: ახალციხის მაზრიდან მცხოვრებთა სწრაფვა გადასახლებისაკენ არ არის. არის ცალკეული შემთხვევები რომლებიც გამოწვეულია: 1. ახალციხის მუსლიმთა შიშით მათი სარწმუნოების გამო. 2. მიწისმფლობელთა შევიწროება,რომელიც გამოხატულია საადგილმამულო გამოსაღების ზრდაში. 3.ბევრ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების თვითნებური მოქცევა, რომელიც იძლევა უკმაყოფილობის საბაბს. 4. სოფლის სკოლების შემოღება. ვერ გაიგეს. ჰგონიათ ესენი რეკრუტთა ასაყვანად და მაჰმადიანთა შესავიწროებლადაა გაკეთებული (იქვე, ფურც. 9-10).

აჭარაში გარდა სახელმწიფოთაშორისი მიგრაციისა, რომელიც მუდმივად საცხოვრებლად გადასვლას ითვალისწინებდა, არსებობდა სეზონური მიგრაციაც. ის აქ იყო, როგორც რეგიონული ისე სახელმწიფოთაშორისი.

იმ დროს აჭარის ეკონომიკის ძირითად სფეროს სოფლის მეურნეობა შეადგენდა. მის მნიშვნელოვან დარგს კი მეცხოველეობა წარმოადგენდა. აჭარლებს, ისევე როგროც აქ მცხოვრებ ქურთებს თავიანთი პირუტყვი სივრცობრივ მოძრაობაში ჰყავდათ. აჭარის შიდა რეგიონში არსებული სეზონური მიგრაციული პროცესი დაკავშირებული იყო მეურნეობის ზოგი დარგის თავისებურებებთან. ესაა პირუტყვის გადარეკვა, ხე-ტყის დამზადება თუ სხვა, რაც მოითხოვდა საცხოვრებელი ადგილის დროებით გამოცვლას. ასევე ეკონომიკური აუცილებლობით და ოფიციალური ნებართვით ხდებოდა საზღვრის დროებით გადაკვეთაც. „მესაზღვრე სამხედრო ნაწილები ვალდებულნი იყვნენ თავისუფლად გაეტარებინათ ხალხი ჯოგითა და ბარგით, გადმოსასვლელი ადგილები განსაკუთრებული პირამიდებით იყო აღნიშნული. მარტო 1858 წელს საქართველოს საძოვრებზე ჯოგით გადმოსულა 300 კომლი, საძოვრებით სარგებლობისთვის ისინი უმნიშვნელო თანხას უხდიდნენ გურიის თავადებს“ (3.113-114).

იმ პერიოდში, ჩვენს რეგიონში, როცა ნატურალური მეურნეობის რღვევა მხოლოდ ძალას იკრებდა, ფაქტობრივად უგზოობის პირობებში აღნიშნული სეზონური მიგრაციული პროცესი

ზომიერების ფარგლებში პროგრესული მოვლენა იყო, რადგან ხდებოდა ადამიანის შრომის რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის სოციალური მობილურობა, ეკონომიკური კავშირების დამყარება სხვადასხვა რაიონებს შორის.

ცალკე უნდა შევეხოთ ბუნებრივი პირობების როლს, განსაკუთრებით განსახილველ პერიოდში ცუდი გზებისა და ფაქტობრივად ნატურალური მეურნეობის დროს. აჭარა ოროგრაფიულად უფრო რთულია ვიდრე მთელი დანარჩენი საქართველო. ზღვის დონიდან 200 მეტრამდე ტერიტორიას უჭირავს მხოლოდ 13%, ხოლო ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მეტ ტერიტორიას კი – რეგიონის 60 % მდე. მთაში მცხოვრებ გლეხს, რომელსაც მცირე მიწიანობა სტანჯავდა გაუთავებელი ჭიდილი უხდებოდა აქაურ ბუნებრივ პირობებთან (რთული რელიეფი, ჰავა, ნიადაგები და სხვა). ამას კი ემატებოდა სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ნიადაგის ეროზია, თოვლის ზვავები და სხვა). ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით : „1851 წ. მაგალითად, მაჭახელაში „კლდე კრკვინა“-მ 25 კომლი ჩანთქა და ერთი ნაეკლესიარე ჯამე“ (39.77). უდაოდ, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და მასთან ერთად სტიქიური მოვლენები, თუნდაც იმის მსგავსი, რომლის მომსწრენიც ჩვენ ვართ აჭარის უახლოესი ისტორიის პერიოდში განაპირობებდა მოსახლეობის მიერ იძულებით საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას.

ზემოთ აღვნიშნეთ სისხლის აღების წესის შესახებ. ის იყო იმ დროისათვის და არა მარტო იმ დროისათვის აქტუალური პრობლემა. მასში ჩათრეული პირები კი პოტენციური მიგრანტები გახლდათ. საერთოდ, სისხლის აღების წესი სათავეს იღებს წინა კლასობრივ საზოგადოებაში. იგი ქვეყანაში ძირითადად მართლმსაჯულების სისტემის გამართვამ უნდა მოსპოს. იმ დროს აჭარაში უპირველეს ყოვლისა მართლმსაჯულების სისტემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს სისხლის აღების წესის არსებობა, რომელიც იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. იგივე პრობლემა იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. შურნაძიები პირი უნდა დამალულიყო. მას ან ტყესა და ღრეში უნდა ეწანწალა ან სხვაგან წასულიყო საცხოვრებლად. აქედან გამომდინარე მოცემულ პერიოდშიც არც თუ იშვიათი შემთხვევა იყო აღნიშნული მიზეზით აჭარელის საცხოვრებლად სხვაგან წასვლა ან სხვა რეგიონში მცხოვრები პირის აქ ჩამოსახლება.

ვუკოლ იაშვილი წერს: „ძველად ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირის მცხოვრები ჯელალ ბერიძე წასულა გურიაში სიმინდის სასყიდლად. გურიაში მას უნახავს 120 წლის მოხუცი კაცი. ამ მოხუცს, რომ გაუგია, ხიხაძირიდან არის ეს კაციო, გამოუკითხავს ამბები: ხიხაძირში ხიდთან ერთი მადის (ურთხელა) ხე იყო, ახლა არის თუ არაო. ჯელალს უპასუხნია: არისო, შემდეგ მოხუცს შეუკითხავს : ყანა ნაახორევი არის თუ არაო. ჯელალს დაუდასტურებია, რომ არისო. ამის შემდეგ მოხუცს უამბნია: მე ხიხაძირში დაბადებული და იქ გაზრდილი ვარ, მაგრამ იმ ხანებში მოხდა ჩხუბი და მე მეზობლეთან ერთად გამოვიხიზნე გურიაში, როგორც შემდეგ გავიგე, თათრებს გაუმუსლიმანებიათ აჭარა* და ის ჩემი სამშობლო ხიხაძირიც-ო“ (39.35).

* * *

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოდთქმული გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას. XIX ს. 40-70-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში, მათ შორის აჭარაში გატარდა თანზიმათი ანუ რეფორმები. ეს იყო ჩვენს რეგიონში თურქთა ბატონობის ბოლო პერიოდი. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ცალკეულ, ტენდენციურ ფაქტებზე აგებულ, ზოგჯერ კი უსაფუძვლო მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნებს თითქოს თანზიმათი გახდა აჭარაში მიგრაციის მძლავრი ფაქტორი. მითუმეტეს, ისიც ერთი მიმართლებით „საქრისტიანო საქართველოსკენ“. ჩვენს

* აჭარა ფაქტობრივად მთლიანად გამაჰმადიანდა სწორედ თანზიმათის პერიოდში.

რეგიონში მოცემულ პერიოდში მიგრაციული პროცესი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა (უდაოდ როგორც ადრე) და იგი მრავალი მიმართულების გახლდათ.

ჩამოვთვალოთ აჭარაში თანზიმათის პერიოდში მიგრაციის პროცესის ძირითადი ნიშნები:

1. მიგრაციის ფაქტორები: სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული, სამხედრო, ასევე სხვა საზოგადოებრივი სახის.

2. დანიშნულებისა და შედეგების მიხედვით: სახელმწიფოთაშორისი და შიდა სახელმწიფო.

3. დროის მიხედვით: მუდმივი, დროებითი, სეზონური.

4. რაოდენობის მიხედვით: ჯგუფური, ინდივიდუალური.

5. ნებაყოფლობითი, ძალდატანებითი, იძულებითი.

6. არაქართველთა ჩამოსახლების შედეგად გარკვეული ცვლილებანი ეთნიკურ სტრუქტურაში.

7. მრავალი მიმართულების. რეგიონში ჩამოსახლებასა და საცხოვრებლად სხვაგან წასვლას[5*] საბოლოო ჯამში მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ან კლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მიუტანია.

ჩამოთვლილი ძირითადი ნიშნების ცალკ-ცალკე განხილვა არ არის მიზანშეწონილი, ისინი კომპლექსურად უნდა იქნეს შეჯამებული.

მიგრაციის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია, კაცობრიობის მარადიული მისწრაფება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ. ეს ჩვენ რეგიონსა და განსახილველ პერიოდსაც ეხება. თუმცა ადამიანის სურვილი შეიქმნას ცხოვრების უკეთესი პირობები სუბიექტური ფაქტორია. მის რეალიზაციას კი ობიექტური პირობები სჭირდება. აქედან გამომდინარე, ასევე საკითხის უფრო გამარტივებისათვის დავაკონკრეტოთ აღნიშნული მიგრაციული ფაქტორები:

1. <u>რელიგია</u>. ერთი მხრივ თურქთა მიერ ქართული მიწების დაპყრობას და აქ ისლამის გავრცელების ხელშეწყობას მოჰყვა ზოგი ქრისტიანის გადასახლება ჩრდილოეთში, ქრისტიანულ სამყაროში. თუმცა ამასთან, ის ზოგჯერ უნდა ყოფილიყო შირმა ცხოვრების უკეთესი პირობების მაძიებლებისათვის. მეორე მხრივ, რადგან ისლამი ფორმალურად უარყოფს ბატონყმობას რუსეთის საქართველოდანაც ყმები გარბოდნენ ოსმალეთის საქართველოში და იღებდნენ ისლამს. ესენიც ცხოვრების უკეთესი პირობების მაძიებელნი იყვნენ.

2. <u>სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის მხრიდან ექსპლუატაციის ფორმები:</u> შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციის თვითნებობა, მძიმე გადასახადები, უკანონობა გადასახადთა აკრეფისას და სხვა. ეს ორივე იმპერიის სისტემური მანკი გახლდათ და აქედან გამომდინარე მიგრაციაც ორმხრივი იყო.

3. <u>სამხედრო ვალდებულება, რეკრუტი</u> ორივე იმპერიაში ახალგაზრდა მამაკაცებს მძიმე ტვირთად აწვათ და ისიც ზოგჯერ მათი დამალვის, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის მიზეზად იქცა.

4. <u>რთული ბუნებრივი პირობები და სტიქიური მოვლენები</u> ასევე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის სერიოზულ მოტივად გვევლინება. სხვათა შორის ეს დღესაც პრობლემაა.

5. <u>ჯანმრთელობის (ეპიდემიის გავრცელება), ასევე ეკონომიკური მდგომარეობა</u> (პურის უკმარისობა) 1839-1840 წლებში (შესაძლოა მანამდეც და შემდეგაც) იქცა ოსმალეთიდან რუსეთის საქართველოში მოსახლეობის გამოქცევის მიზეზად.

6. <u>პოლიტიკური.</u> გურიაში 1841წ. აჯანყებას და მის ჩახჩობას მოჰყვა გურულთა ერთი, მცირე ნაწილის ემიგრაცია ოსმალეთის საქართველოში.

---

[5] ქვეყანაში მოსახლეობის საცხოვრებლად ჩამოსვლას და წასვლას შორის რაოდენობრივ სხვაობას დემოგრაფები აფასებენ დადებითი და უარყოფითი სალდოთი.

7. <u>კრიმინალები, ასევე უსამართლო სისტემისაგან დაჩაგრულნი და უსამართლობასთან მებრძოლნი</u> ახდენდნენ (ზოგჯერ ხშირადაც) საზღვრის დროებით გადაკვეთა-გადმოკვეთას, ან შეიძლება საზღვრის გადაკვეთას იქ საბოლოოდ დამკვიდრების მიზნით.

8. <u>სისხლის აღების წესი</u> საქართველოში ხშირად აცვლევინებდა ადამიანებს საცხოვრებელ ადგილს

9. <u>სამხედრო</u>. ყირიმის ომის დროს, ქართველთა ორივე მეომარი მხარის სასარგებლოდ, ე.ი. ძმათაშორისმა ბრძოლამ, ომის შემდეგ აჭარის საზღვარზე მიგრაციული პროცესი გარკვეულად შეაფერხა. თუმცა საზღვრის მიღმა მყოფ ქართველებში ახლობლობის გრძნობა არასოდეს გამქრალა.

10. ეკონომიკური პირობები, როგორიც იყო მაგალითად პირუტყვის გადარეკვა, ხე-ტყის დამზადება, ვაჭრობა და სხვა, იწვევდა <u>დროებით</u> და <u>სეზონური</u> მიგრაციას. ესენი კი იყო როგორც შიგა სახელმწიფო ისე სახელმწიფოთაშორისი

წყაროები და ლიტერატურა

1. უზუნაძე რ, სურმანიძე რ, ზოსიძე ნ. ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი 2013 წ.
2. სურგულაძე ა. განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი 1978 წ.
3. მეგრელიძე შ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს სსრ. თბილისი 1963 წ
4. მგელაძე ვ. ზემო აჭარული სოფელი ძველად. ბათუმი 1973 წ.
5. ჭიჭინაძე ზ. და სხვათა მიერ, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, II-III ტომი, ტფილისი 1924 წ.
6. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სსცსა), ფონდი (ფ)11, საქმე 779.
7. Акты Кавказской археографиской комисии (К.А.К), Т. IX, 1838-1844 гг. Издань подь редакциею предьседателя комисии Д.СС. АД. Берже Тифлис типография канцелярии главно-начальствющаго гражданскогою частью на Кавказ 1884 г
8. სსცსა, ფ. 11, საქმე 1170
9. სსცსა,ფ. 16, საქმე 7095
10. იქვე, საქმე 7111
11. Новая история стран зарубежной Азии и Африки. Ленинград, 1971 г.
12. სსცსა,ფ.16, საქმე 7296
13. იქვე , საქმე 8085
14. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N249.
15. სსცსა, ფ. 11, საქმე 2043
16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი 1970 წ.
17. Акты К.А.К ,Т XII ,1856-1862, 1904 წ.
18. სსცსა, ფ. 11, საქმე 3022
19. გაზეთი„ГОЛОСЬ“ , 1878 წ. 1 (13) მარტი , №60
20. სსცსა, ფ. 11. საქმე 3181
21. სსცსა, ფ.8 . საქმე 5346
22. Emiroglu Küdret, Trabzon Vilayeti Salnamesi-1871, Safak Matbaacilik ltd sti, Ankara, aralik , 1993
23. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბილისი 1996 წ.

24. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში. თბილისი, 1984 წ
25. Google-ს საძიებო სისტემაში - ქურთები.
26. Г.Казбег. Военно-статистический и стратегическии очерк Лазистанского санджака, типография окружнаго штаба кавказскаго округа.
27. თ. აჩუგბა, აფხაზთა დასახლება აჭარაში. ბათუმი 1988 წ.
28. სსცსა, ფ.8, საქმე 4706
29. საქართველოს ისტორია, ტ. IV, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბილსი, 2012 წ
30. სიჭინავა ვ. ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი 1958 წ.
31. ახვლედიანი ხ. ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები). ბათუმი 1944 წ.
32. А. Френкеля, Очерки Чурук-су и Батума типография А.А.Михельсона. Тифлис. 1879 г.
33. Батумское побережье ,,Русские тропики", сборник статеи, Подь редакцией С. А. Анисимова,Батумь, типографя Таварткиладзе, 1911г.
34. ჟურნალი „ლიტერატურილი აჭარა", №11, 2000 წ. გვ. 106
35. ჟურნალი „ივერია", 1877 წ. №20, 14 ივლისი
36. სსცსა, ფ. 5, საქმე 618
37. იქვე, საქმე 622
38. ჭიჭინაძე ზ. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი 1913 წ.
39. იაშვილი ვ. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი 1948 წ.

მაყვალა გოგუა

სახელოვანი ბრძოლის ისტორიიდან (1877-1878 წ.წ.)

საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარას. იგი საქართველოს სისხლხორცეული ნაწილია, მას ბევრი მძიმე განსაცდელი გამოუვლია. საქართველოს ამ უძველესი მხარის წარსული მდიდარია სამშობლოსათვის თავდადებისა და გმირული ბრძოლების ფურცლებით.

მე-16 საუკუნეში მომხდურებმა საქართველოს მოწყვიტეს მისი საუკეთესო სამხრეთი ნაწილი და იქ თავიანთი მმართველობა დაამყარეს. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად თურქეთმა დაიპყრო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და მკვიდრ მოსახლეობას თავისი რეჟიმი მოახვია თავს. ეს მხარე 24 სანჯაყად (ადმინისტრაციულ ერთეულად) დაყვეს. აღწერეს მოსახლეობა და შეადგინეს ეგრეთ წოდებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ამიერიდან მიწით სარგებლობის უფლება ეძლეოდათ გამუსულმანებულ სამხედრო პირებს. ქართველებს დაეკისრათ მრავალმხრივი გადასახადები. ცდილობდნენ მოესპოთ ქრისტიანული მატერიალური და სულიერი კულტურა. სამაგიეროდ კი აარსებდნენ ჯამე-მედრესეებს.

რუსეთთან შეერთებამდე ბათუმში სადაც 1.383 სული ცხოვრობდა, სამი დიდი ჯამე იყო: „აზიზიე“, „მუფთიე“ და „ ახმედიე“. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ რუსეთის გამოყენებით დედა-სამშობლოსათვის დაებრუნებინათ ძალით მიტაცებული სამხრეთ საქართველო. ოკუპანტები სამხრეთ საქართველოს მკვიდრთ უნდობლად უყურებდნენ.

ჯერ საქართველოსა და შემდეგ რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში ოსმალეთის წარუმატებლობას ქართველ მაჰმადიანებს აბრალებდნენ.

დიდი და გულმოდგინე მუშაობა წარმოებდა სამხრეთ საქართველოში, რათა ქართველ მოსახლეობას ქართული ენა არ დავიწყებოდა. ქართული საზოგადოება მუდამ ზრუნავდა მისი შენარჩუნებისთვის და ამ მიზნით ხშირად შემოჰქონდა სამხრეთ საქართველოში და კერძოდ აჭარაში ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. მაშინ ბათუმელი ლევან და გრიგოლ მჭედლიშვილები თბილისიდან იწერდნენ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს და ავრცელებდნენ მოსახლეობაში. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა 1860 წელს თბილისიდან და ახალციხიდან მიიღო წიგნები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ოსმალო დამპყრობლებისა და მათი მომხრე მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდა. ამ დროს ახალციხის ფაშა იყო შერიფი, რომელმაც თავისი მოქმედებით ხალხს თავი შეაძულა. სამხრეთ საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ამ დროს ხელმძღვანელობდა სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი.

სელიმ ბეგ ხიმშიაშვილს მაშინ მოუხდა ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ, როცა აჭარაში დაძაბული მდგომარეობა იყო ეკონომიკა დაცემული იყო. ტყვეთა მოტაცება და ადამიანებით ვაჭრობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შერიფ ფაშას თავგასულობამ ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. სელიმ ხიმშიაშვილმა არა მარტო აჭარლები არამედ მთელი სამხეთ საქართველო აამხედრა ფაშას წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან. სელიმმა შეძლო ფაშას დამარცხება და თითონ გახდა ახალციხის ფაშა.

სელიმი თავიდანვე ოსმალეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი. იგი არც ჯარით არ ეხმარებოდა იუსუფ ფაშას. სულთანის რეჟიმმა და რუსეთის უღირსმა მოხელეებმა თავი მოაბეზრეს სელიმს. ამიტომ მან წერილი მიწერა ციციანოვს. „მე არამც თუ თქვენთან ომი და თქვენი დაშორება

მინდა, არამედ მენატრება, რომ თქვენი ჯარის დახმარებით მთელი ამ გურჯისტანის ადგილები ჩამოართვეს ოსმალეთს და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბაგობის დროს იყო“. მეფის მოხელეები არ ენდობოდნენ სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც მეამბოხე მთავარს. შექმნილი მდგომარეობის გამო სელიმის მიზანი განუხორციელებელი დარჩა. მან თავი შესწირა სამშობლოსათვის უთანასწორო ბრძოლას. სიკვდილის წინ მას განუცხადებია: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემ შვილებსაც დავუტოვებ“ (აჭმ. შრომები, ტ II. 1972:8)

ბრძოლა არც შეწყვეტილა. 1828 წლის 7 მაისს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ამ ომში არზრუმის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ომში თავი გამოიჩინა ქართველმა გენერალმა ანდრონიკაშვილმა .ქართველთა ლაშქარმა, რომელიც იბრძოდა რუსეთის ჯართან ერთად. წინაპირობა მიწების დასაბრუნებლად იყო ასევე 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. ამ ომში მთავარი არზრუმის დაკავება იყო. ჯარს გენერალი პასკევიჩი სარდლობდა. აიღეს არზრუმი, აქედან გზა სტამბულისაკენ გახსნილი იყო.

არზრუმის აღების შემდეგ ქართველ ხალხში ახალი ძალით გაიშალა ოსმალების მიერ მიტაცებული ქართული მიწების შემოერთების სურვილი. 1829 წლის 14 სექტემბერს გაფორმდა ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება. ხელშეკრულების შემდეგაც აჭარაში განმათავისუფლებელი ბრძოლა არ შეჩერებულა. მოსახლეობის უკმაყოფილება თანდათან მატულობდა. აჭარის და ჭანეთის მოსახლეობის ნაწილი იძულებული გამხდარა გურიაში გადასახლებულიყო. ისტორიკოსი მ. დუმბაძე წერს: ჭანეთიდან და ჩაქვიდან 150 ოჯახი აყრილა და გურიის საზღვართან მისულა.ისინი საქართველოში შემოსვლისათვის რუსეთის მთავრობის ნებართვას ითხოვდნენ. მათ გარდა, აქედან მოდიოდა კიდევ 400 მდე მაჰმადიანი ქართველი. (აჭმ შრომები, ტ II. 1972:9)

ასეთ ვითარებაში იყო აჭარა, როცა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წლების ომი დაიწყო. ომის მსვლელობაში ყურადღება მიიქცია ბათუმმა, რომელსაც როგორც ეკონომიური ისე სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.ბათუმის ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ხომალდთა ერთადერთი საიმედო თავშესაფარი იყო, რუსეთის მიერ მისი დაუფლება ოსმალეთს წაართმევდა უკანასკნელ სამხედრო-საზღვაო ბაზას პონტოზე და გადააქცევდა მას მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ზღვად.

გურიის საზღვრებთან ბრძოლაში პირველად წარმატება ოსმალეთის მხარეზე იყო, რადგან გურიის მილიცის უმრავლესობა მოქმედებდა სამეგრელოში ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ. შავი ზღვის სანაპიროზე ომერ-ფაშას ჯარების წინააღმდეგ მამაცურად მოქმედებდა ქართული მილიცია. ამ პერიოდში ყარსის ციხე ალყაში მოაქცია რუსეთის ჯარმა და მალე აიღო კიდეც.

1856 წლის 25 თებერვალს დაიწყო პარიზის კონგრესი, რომელიც 30 მარტს დამთავრდა. ამ კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთს დაუბრუნეს ყარსი, მოხდა შავი ზღვის ნეიტრალიზება.

ქრისტიან ქართველებს მუდამ აწუხებდათ მაჰმადიანი ქართველების ბედი. ქართველთა განთავისუფლების ბედი 1877-1878 წლების ომმა გადაწყვიტა.ქართველ საზოგადოებას დიდად აინტერესებდა სამხრეთის მუსლიმანი ქართველების მდგომარეობა , ამ მიზნით ბევრმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერმა-დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა. პ.უმიკაშვილმა,ი.კერესელიძემ. გ. ერისთავმა, ნ. ნიკოლაძემ. გ. ნიკოლაძემ, გ. გურიელმა და სხვებმა იმოგზაურეს ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე.

სამხრეთ საქართველოში ამ დროს მეტად მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა სუფევდა. ყველა რაიონში დაიწყო აჯანყება. მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით მან საზღვრისპირა რაიონებში იფეთქა.

აჭარელი პატრიოტები ემზადებოდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოსთან შეერთებისათვის. მზადდებოდა აჯანყება, რომელსაც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა. ჯერ კიდევ ქობულეთის აჯანყების შესახებ ს. მესხი ე. მელიქიშვილს თბილისიდან საზღვარგარეთ წერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს-აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ. იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომლებიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი) ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში'' (მესხი, 1980:190.)

ომისათვის ორივე მხარე ემზადებოდა. შიპკის უღელტეხილზე ბრძოლებში უდიდესი გმირობა გამოიჩინა არტილერიის მე-3 ბრიგადის თავადმა ივანე ონისიმეს-ძე ვაჩნაძემ (მეგრელიძე, 1974:66). დიდი ბრძოლები გაიმართა მდ. ჩოლოქზე. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაიმართა მუხაესტატესა და ხუცუბანისათვის.

სამხრეთ საქართველოში საომარი ოპერაციები უმთავრესად ბათუმის, ყარსისა და არტაანის მიმართულებით წარმოებდა. ბათუმის მიმართულებით ბრძოლების მთავარი პუნქტი იყო ციხისძირი. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაჩაღდა 1878 წლის 18 იანვარს. ციხისძირთან წარმოებულ ბრძლებში ბევრი ადამიანი დაიღუპა. დიდი წარმატებები მოიპოვეს რუსეთის ჯარებმა და ქართულმა მილიციამ. განსაკუთრებით აქტიურობდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. მან ყველა კუთხეში შექმნა თავის მომხრეთა ჯგუფი. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოხელეებთან, კერძოდ:ი. კერესელიძესთან, გ. ყაზბეგთან, გ. გურიელთან, დ. ბაქრაძესთან,

ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, მტკიცედ ადგა აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970:447).

ომი თანდათან მწვავდებოდა. რუსეთის ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და იკავებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, როცა ოსმალეთის დედაქალაქს ორი მხრიდან დაემუქრა რუსის ჯარი. დაშინებულმა ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, კერძოდ ინგლისმა გააფრთხილა რუსეთის მთავრობა, არ შესულიყო სტამბოლში. რუსეთის მთავრობამ ამის გარანტია არ მისცა მთავრობას.

რუსეთის მთავრობა ომის დამთავრებას აჭიანურებდა რუსეთის ჯარების მოძრაობა სტამბოლის მიმართულებით არ შეჩერებულა. ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ 31 იანვარს ანდრიანოპოლში (ედირნეს) ზავის წინასწარ პირობებზე მოაწერეს ხელი. ეს არ მოეწონა ინგლისს და 8 თებერვალს დიდი ბრიტანეთის ფლოტი შევიდა სტამბოლის სრუტეში სულთანთან შეთანხმების გარეშე, თუმცა მალევე უკან გაიყვანა. ინგლისი და ავსტრია რუსეთის მთავრობას წინადადებას აძლევდნენ, რათა ჯარები არ შეეყვანა სტამბოლში. მიუხედავად ამისა ოსმალეთმა 1878 წლის 3 მარტს ხელი მოაწერა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებას. ამ ზავით. ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა 410 მილიონი მანეთი მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. 1878 წლის 30 მაისს ხელი მოეწერა რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას. ამ ხელშეკრულებით ინგლისი წინააღმდეგი არ იყო, რომ ბათუმი, ყარსი, აგრეთვე სხვა ოლქები და ქალაქები რუსეთს გადასცემოდა. თუმცა ინგლისმა საიდუმლო ხელშეკრულება გააფორმა ოსმალეთთან კვიპროსის თაობაზე.

რუსეთ-ოსმალეთის ზავის საბოლოო პირობების შემუშავებას მიეძღვნა ბერლინის კონგრესი, რომელიც გაიხსნა 1878 წლის 13 ივნისს და გაგრძელდა 13 ივლისამდე. კონგრესს ესწრებოდა 6 სახელმწიფოს წარმომადგენელი, ბისმარკი (გერმანია), გორჩაკოვი (რუსეთი), ბიკონსფილდი (ინგლისი), ანდრაში (ავსტრია-უნგრეთი), კონგრესზე მწვავედ დაისვა ბათუმის საკითხი დიდი

დავის შემდეგ ბათუმი მაინც გადაეცა რუსეთს., მაგრამ იგი თავისუფალ ნავსადგურად პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. რუსეთს გადაეცა ყარსისა და არტაანის ოლქები ბაიაზეთი, რომელიც სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთს გადასცეს, ისევ ოსმალეთს დარჩა.(აჭმ შრომები, ტ II. 1972: 34)

ადგილობრივი ოსმალოფილები მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ შემოეშვათ რუსეთის ჯარები აჭარაში. დერვიშ-ფაშა აწყობდა პროვოკაციებს რუსეთის წინააღმდეგ, ასევე ხალხს აქეზებდა ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ ბათუმში. ინლისელებმა სამი ხომალდი იარაღი მოიტანეს და დაარიგეს მოსახლეობაში.

ბათუმში მოქმედებდა ე. წ. ინთიკამის (შურისმაძიებელი) ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენდა ტერორისტული აქტების ჩადენა რუსების წინააღმდეგ.

ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბებულა ოსმალეთში, მისი წევრები იგზავნებოდნენ პროვინციებში. გენერალ კომაროვის მოკვლაც ქონდათ განზრახული, რომელიც მაშინ ბათუმის გუბერნატორი იყო.

ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთის ჯარი 15 აგვისტოს უნდა შემოსულიყო სამი მიმართულებით: ჭოროხის, აჭარისწყალის ხეობის და ქობულეთის მხრიდან, მაგრამ მთავარსარდალმა აჭარის ჩაბარების ვადა 10 დღით გადადო, ასე რომ 25 აგვისტოსათვის დერვიშ - ფაშას ბათუმი მთლიანად უნდა დაეცალა.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი შემოვიდა ბათუმში. გენერალ სვიატოპოლ-მირსკიმ დერვიშ ფაშასაგან ჩაიბარა ქალაქი. დერვიშ- ფაშის უკანასკნელი გემი ბათუმის ნავსადგურიდან 31 აგვისტოს გავიდა.

ბერლინის ხელშეკრულებისა და რუსეთის მთავრობის მიმართვის მე-4 მუხლის თანახმად სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას უფლება ჰქონდა მუჰაჯირად წასულიყო ოსმალეთში სამი წლის ვადით. ამან გამოიწვია დიდი აღშფოთება მოსახლეობაში, რადგან ბევრი ადამიანი ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს.

ქართველი ხალხი აღტაცებით შეხვდა ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწების დედა-სამშობლოსთან შეერთებას. 1878 წლის ნოემბერში ქართველმა საზოგადოებამ აჭარის დელეგაცია მიიპატიჟა თბილისში. სამხრეთ საქართველოს შემოერთებით აღტაცებული ილია ჭავჭავაძე ქართველ ხალხს მოუწოდებდა: „ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთან მოვიდნენ, შეეწივნენ, რითაც შეგიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით. ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ამისა და ძმის წინაშე“ (აჭმ შრომები, ტ II. 1972: 18)

აჭარაში გამოგზავნილ მუშაკებს ილია განსაკუთრებულ რჩევა-დარიგებას აძლევდა. საქართველოსთან შეერთების შემდეგ აჭარის პროგრესული მოღვაწეები, მათ შორის შერიფ ხიმშიაშვილი ქართველ ხალხს სთხოვდა დახმარებას და აჭარელ ახალგაზრდობას მოუწოდებდა სწავლა-განათლებისაკენ.

განუსაზღვრელად დიდია სხვა კუთხეების ქართველთა ამაგი აჭარლების განთავისუფლებისა და გათვითცნობიერების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტომი II. ბათუმი 1972 წ.

2 მეგრელიძე შ., საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი 1974 წ. 3

მესხი მ., წერილები. თბილისი 1980 წ.

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V. თბილისი 1970 წ.

გურულების რაზმი ხუცუბანში

გურულების რაზმი ციხისძირში

ქართველების რაზმი ხუცუბანთან

ქართველების რაზმი ციხისძირში

ეთერ კიღურაძე

ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის დროს
(მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების მიხედვით)

1914 წლის ივლისში მეფის მთავრობის ბრძანებით საყოველთაო მობილიზაცია დაიწყო. 19 ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთ-გერმანიის ომში თურქეთი თითქოს ნეიტრალური იყო, მაგრამ რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა საქმის ნამდვილი ვითარება. 1914 წლის 31 ივლისს მეფის ნაცვალის მოადგილე სამოქალაქო ნაწილში ჰოფმაისტერი პეტერსონი დეპეშით ატყობინებდა ბათუმის გენერალ-გუბერნატორს რომანოვსკის რუსეთ-თურქეთს შორის მოსალოდნელი ომის შესახებ და სთხოვდა მას, ეცნობებინა მისთვის თუ როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება. რომანოვსკი პასუხობდა, რომ მოსახლეობა რუსეთს სიმპათიურად უყურებდა. იგი მეფის ნაცვალს სთხოვდა ნებართვას, რომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მილიცია შეეკრიბათ. ამ დროს რუსეთ-თურქეთის საზღვრებზე ჯარების დაჯგუფება და შეგროვება დაიწყო. ართვინის ოლქის უფროსი ბათუმის გუბერნატორს აცნობებდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მილიციაში ჩაწერას ითხოვდნენ, მათი რიცხვი სამასს კაცამდე აღწევდა.

რუსეთის მთავრობას ხელთ ჰქონდა საიდუმლო ცნობები თურქეთის საომარი მზადების შესახებ. რომანოვსკის აცნობებდნენ, რომ ენვერ-ბეგმა რამდენიმე კაცი მოავლინა მექაში არაბების გადმოსაბირებლად, რათა ამ დროს თურქეთის მთავრობას დახმარებოდა. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლში შემოვიდა ორი სამხედრო გემი თურქეთში გერმანიიდან. 100-ზე მეტი გერმანელი ოფიცერი მოავლინეს, ომის შემთხვევაში მთავარსარდლად ვარაუდობდნენ ენვერ-ბეგს (ენვერ-ფაშა), ხოლო შტაბის უფროსად გენერალ სანდერსის, ასეთი იყო თურქეთი „ნეიტრალიტეტი“ რუსეთ-გერმანიის ომის დროს. 2 აგვისტოს სულთანმა საიდუმლო ხელშეკრულება დადო გერმანიასთან, ხოლო 10 აგვისტოს გერმანიის ხომალდები „გებენი“ და „ბრასლაუ“ შავ ზღვაში შემოუშვა გემებს თურქული დროშები ჰქონდათ და მეზღვაურებს ფესკები ეხურათ. ენვერ-ფაშა ამავე დროს სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან, ინგლისთან და საფრანგეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ომის დროს რუსეთის მოკავშირედ გამოდიოდა, „გებენისა“ და „ბრასლაუს“ შავ ზღვაში შემოსვლა მის გარეშე არ მომხდარა და მასში ჩერჩილის ხელი ერია. მას უნდოდა რუსეთი შავ ზღვაზე არ გაძლიერებულიყო.

1914 წლის ნოემბერში დაიწყო ბრძოლა, თურქები შემოიჭრნენ ართვინში, არტანუჯში, ბორჩხაში, მათ აჭარისწყლამდე მოაღწიეს. ამ დროს კავკასიის ძალები რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იყო გადასროლილი. ამიტომ კავკასიის ფრონტი სუსტი აღმოჩნდა, რამაც ერთგვარი უპირატესობა მისცა თურქეთის ჯარს. მაგრამ მდგომარეობა მალე გამოსწორდა, რუსეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ.

1914 წლის 27 ნოემბერს, დღის 2 საათზე თურქებმა გერმანიისაგან გადმოცემული კრეისერებიდან – „გებენიდან“ და „ბრესლაუდან“ ყუმბარები დაუშინეს ქალაქ ბათუმს. რუსეთის სიმაგრეებისა და გემების საპასუხო ცეცხლის შედეგად „გებენი“ და „ბრესლაუ“ უკუიქცნენ. რამდენიმე ყუმბარა დაეცა დღევანდელი ბათუმის ზღვისპირა პარკში. აღნიშნული ყუმბარები დაცულია აჭარის მუზეუმში (აჭმ. ხ.ფ.დრ.III. 1953:93).

მნიშვნელოვანი მსხვერპლი ამ დაბომბვის დროს არ ყოფილა. დაიღუპა მოხუცი ადამიანი და დაიჭრა ერთი კაცი. ძლიერ დაზარალდა შენობა, რომელშიც მოთავსებული იყო რუსეთ-აზიის ბანკი. ქალაქის დაბომბვამ მოსახლეობა დაარწმუნა იმაში, რომ რუსული ხელისუფლება არ იყო

ძლიერი და არც მისი სამხედრო ძალები გამოირჩეოდა დიდი ბრძოლისუნარიანობით. მართალია შემდეგ დაბომბვებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მოსახლეობა ძლიერ დაშინდა. მდგომარეობა გართულდა მას შემდეგ რაც რუსეთის მთავრობამ ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანა. ამის გამო კავკასიისა და განსაკუთრებით ბათუმის ოლქის საზღვრები სუსტად დაცული აღმოჩნდა. ბათუმის ციხესიმაგრის უფროსი გენერალი იოლშინი კავკასიის ფრონტის სარდლის თანამდებობისათვის შეუფერებელი პიროვნება იყო. იგი თავიდანვე დაიბნა და შექმნილ ვითარებაში სასაცილოდ გამოიყურებოდა, მეტად კომედიური იყო მისი მოქმედება მანამ, სანამ გერმანული გემები ბათუმს დაბომბავდნენ კერძოდ, როდესაც იოლშინმა გაიგო, რომ გერმანული გემები შავ ზღვაზე ბატონობდნენ და მათ ზღვისპირა პარკის (ბულვარი) მეშვეობით შეეძლოთ ციხესიმაგრის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი დაბომბვა, ამის თავიდან ასაცილებლად გასცა ბრძანება, მოეჭრათ ხეები, მაგრამ მისი ეს ბრძანება არ შეასრულეს და ქალაქის თავს ივანე ანდრონიკაშვილს სთხოვეს დაეცვა ქალაქის მშვენება - ბულვარი. იოლშინთან არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. ქალაქის თავი საჩივლელად თბილისში წავიდა კავკასიის მეფისნაცვალთან და მეფისნაცვალმა უბრძანა ეს არ გაეკეთებინა (აჭმ. ხ/ფ N4 საქ.126 ფურ.35).

ქალაქის დაბომბვამ დააფრთხო და დააშინა ხელისუფლება. ომის შიშით, რომ ხელმეორედ არ დაებომბათ ბათუმი, დაიწყეს დაწესებულებების გაყვანა.

1914 წლის ომის დაწყებისას ოსმალეთის მოქმედება კვლავ არ იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ მოგვიანებით დაინახეს რა რუსეთის არმიის პასიურობა, დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. სწრაფი და მოულოდნელი დარტყმით დაიკავეს არტანუჯი, არდაგანი და ართვინი. ამასთან დაკავშირებით ბათუმის ოლქის გუბერნატორმა გამოსცა კიდევ ერთი ბრძანება ბათუმის სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლის თაობაზე.

ოსმალეთის არმიის თავდაპირველი წარმატებები გამოწვეული იყო რუსეთის დაბნეულობით, განსაკუთრებით დაზარალდა ზემო აჭარა. მაგალითად სოფელ დარისპარაულში 1914 წლის დეკემბერში ბრძოლა გაიმართა ოსმალთა და რუსეთის ჯარებს შორის. აქ ომი გაგრძელდა თითქმის ერთი კვირა. ამ ხნის განმავლობაში სოფელი ძლიერ დაზარალდა. ოსმალეთის ჯარები აგრესიულად იქცეოდნენ, ანადგურებდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს, ხვრეტდნენ მოსახლეობას. მაგალითად სოფელ ნანეზოღლებში დაწვეს 12 სახლი, მოკლეს 5 ადამიანი, გაიტაცეს 49 ხარი, 42 ძროხა. თავდაპირველად რუსეთის ჯარები წინააღმდეგობას თითქმის არ უწევდნენ. ისინი იხევდნენ უკან ბათუმისაკენ. ჯარისკაცებში საბრძოლო ჟინი მთლიანად დაეცა.

1915 წლის თებერვალში რუსეთმა დაამარცხა სარყიმი შოსთან ოსმალეთის 70 ათასამდე ჯარისკაცი. რუსეთის ჯარმა სასტიკად დაამარცხა აგრეთვე ოსმალები ართვინთან. გაიგეს რა ართვინთან და სხვაგან ოსმალეთის დამარცხების შესახებ, ბათუმის მოსახლეობა დაწყნარდა და ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ომი ახალ უბედურებებს უმზადებდა ბათუმის ოლქის ადგილობრივ მოსახლეობას. რუსეთის სარდლობამ, კერძოდ ლიახოვმა და გენერალ-გუბერნატორმა რომანოვსკიმ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა მოღალატეებად გამოაცხადეს. საერთო ძალისხმევამ და პროცესმა გასჭრა და რუსეთის მთავრობამ მოღალატეობის ბრძანებით მხოლოდ 9 კაცი მისცა აჭარელთაგან ბათუმის სასამართლოს. ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა დასაცავად გამოვიდნენ ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები: შ.მესხიშვილი, ევ.გეგეჭკორი, მ.ფაღავა, ი.მაჭავარიანი, გ.ანჯაფარიძე და სხვები. უდიდესი ღვაწლი მიუძღვის დრამატურგ სიო ჭანტურიშვილს, რომელმაც შეძლო გაენთავისუფლებინა 108 აჭარელი (გოგოლიშვილი, 2005).

ძალზე მნიშვნელოვანი იყო გერმანელთა საქმე. ბათუმის პოლიციამ გუბერნატორს შეუდგინა ოლქში მცხოვრებ გერმანელთა სია, სადაც ყველაზე უარყოფითად იყო წარმოდგენილი ექიმი

ევენგიტი და მასწავლებელი შულცი. პოლიციის დასმენიდან გახდა ცნობილი რომ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში ზიზღით მოიხსენიებდნენ რუსებს და უწოდებდნენ მათ ბოროტსა და ველურ კოლონიზატორებს, რომლებიც ბარბაროსული მეთოდებით მართავდნენ კოლონიებს. მათი თქმით სულ მალე დადგება დრო ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად, პოლიციას აუცილებლად მიაჩნიათ მათი გასახლება (აჭმ. ხ.ფ. პ4 საქ. 126. ფურც.35).

ქალაქის სამხედრო კომენდატი პირფერობდა და აღნიშნავდა - გერმანელი ოფიცერი ამბობდა რომ: ბათუმის ნავსადგურში ხშირად შემოდიოდა ოსმალური გემები, რომლებსაც აქედან იი რაოდენობით გააქვთ სხვადასხვა სახის საქონელი. ხშირად მომიკრავს ყური ნავსადგურში მყოფი ხალხისაგან, ეს ნაძარცვი გააქვთ აქედანო“. (აჭმ. ხ/ფ 4. საქ. 906. ფ.10).

თუმცა გენერალ კუკ კოლისს არ დაუვლია ბათუმის ოლქის სოფლები, მაგრამ მისთვის ცნობილი გახდა ის, რომ ოლქის მოსახლეობიდან ძირითადი ნაწილი საქართველოსკენ იხრებოდა. ამის შესახებ 1919 წლის დეკემბერში მას აცნობებდა უილამსი. აქვე უილამსი იმასაც აღნიშნავდა რომ მემედ აბაშიძისა და მისი ჯგუფის ავტორიტეტი ხალხში დღითი დღე იზრდებოდა და მათ უფრო მეტი მომხრეები ჰყავს, ვიდრე სხვა დაჯგუფებებს. იგივე უილამსი იმასაც ატყობინებდა კუკ კოლისს, რომ ქობულეთში ისევე ძლიერია „სადაო მილეთები“ და მათ საკმაო რაოდენობით ჯარი ჰყავს. საჭიროების შემთხვევაში ისინი შეძლებდნენ წინააღმდეგობის გაწევას. (აჭმ. ხ/ფ. N4. საქ.146. ფ.20).

ექსპოზიციაში გამოფენილია პირველი მსოფლიო ომში (1914-1918 წწ) გამოყენებული ყუმბარის ნამსხვრევები. პირველ მსოფლიო ომში გამოყენებული საკვების გადამტანი კომპლექტი, რუსული წარმოების ამხანაგობა „კალჩუგინა“-ს ლიტერატურა სამხედრო სწავლებისათვის 1914-1918 წწ. პირველი მსოფლიო ომის ფინეთის ფრონტის მონაწილის სიმონ პატარაიას სურათი. ტრაპიზონის ფრონტის მონაწილის ს.გონჩარის პირადი ნივთები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთი აქტიურად ჩაერია საქართველოს პოლიტიკაში, რის შედეგადაც სათავე დაედო საქართველოს დემოკრატიული რესპიბლიკის საგარეო პოლიტიკაში ინგლისურ ორიენტაციას. საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ინგლისელების დახმარებით. ხელისუფლების საზრუნავს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომლის ერთი ნაწილი ბათუმის ოლქისა და არტაან ოლთისის ოკრუგების ოკუპაცია ოსმალეთმა 1918 წლის დასაწყისში მოახდინა. (გოგოლიშვილი 2012:162).

ქალაქში სრული უწესრიგობა იყო ბინებს ძარცვავდნენ, სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. ბათუმის სკოლების ინვენტარი თურქეთში გაჰქონდათ. მიჰქონდათ სამხედრო საჭურველი: ზარბაზნები, ყუმბარები და სხვა.

ქალაქში წარმოუდგენილი სიბინძურე სუფევდა, ქუჩებში, ეზოებში უსუფთაობის გამო შმორის სუნი იდგა. ტერიტორიაზე ისეთი მაღალი ბალახი იყო, რომ გავლა არ შეიძლებოდა.

სასამართლოს ნაცვლად ჯოხით ცემა იყო შემოღებული. წესად იყო ათიდან ას ჯოხამდე და კიდევ მეტის დარტყმა ადამიანს ცემდნენ, როგორც პირუტყვს (ახვლედიანი 1956: 250).

ამ ხანებში ბათუმს ესტუმრა ენვერ-ფაშა, მუთერესიფმა მოიხმო ქალაქის თავი კ.საბახტარიშვილი და დაავალა დაუყოვნებლივ მოეწვია საბჭოს საგანგებო კრება, რომ ენვერ-ფაშასთვის ქალაქს ბანკეტი გაემართა. საბჭოს სხდომაზე შეიქმნა დიდი ბაასი ამის თაობაზე, ვინაიდან კლუბის ბუფეტის მოიჯარადე, რომელსაც დააკისრეს ბანკეტის გამართვა, განთავისუფლებას იხვეწებოდა ქალაქში არაფერი იშოვებოდა და გარედან რამესი მოტანა შეუძლებელიაო.

ამ ცხარე ბაასის დროს ხმოსნებმა ფანჯრიდან თვალი მოჰკრეს, რომ ერთი ინდაური და ერთი მამალი დასეირნობდნენ ქუჩაზე ქალაქის თვითმმართველობის სახლის წინ. ქალაქის თავმა და ხმოსანმა ბინიატ-ოღლიმ მიატოვეს სხდომა, გამოეკიდნენ ამ ფრინველებს დაიჭირეს ისინი, იქვე გადასცეს ბუფეტის მოიჯარადეს და თან შეუკვეთეს რომ ამგვარი საშუალებით ეშოვნა სხვაგვარი ხორაგეულობა ბანკეტისათვის.

მოიჯარადეს რომ მოახსენეს ეს შემთხვევა, თურმე ბევრი იცინა და ქალაქის თავს ქება და მადლობა შემოუთვალა ასეთი მარჯვე ნადირობისთვის. (ივ.მესხი. მოგონებანი აჭმ. ხ/ფ/ N61).

ბათუმის კონფერენციაზე (1918 წ. 11-26 მაისი, 31 მაისი-4 ივნისი) გასაგზავნ დელეგაციაში შევიდა 45 კაცი, მათგან დელეგატი იყო ექვსი ა.ჩხენკელი (თავმჯდომარე) და ნ.ნიკოლაძე - ქართველოთაგან, რ.კაჩაზნუნი და ა.ხატისიანი - სომხეთიდან, მ.გაჯინსკი და რასულ-ზადი აზერბაიჯანიდან. მათ ახლდათ მრჩევლები, ეროვნული სახკომის მდივნები, სამხედრო მისია, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები და ა.შ. 6 მაისს დელეგაცია ბათუმში ჩამოვიდა და დაბინავდა სასტუმრო „ორიენტალში“ (დღეს გოგებაშვილის ქ.N10).

ბათუმში ოსმალეთის საზავო დელეგაციას შეხვდა მემედ აბაშიძე, მიესალმა როგორც სტუმრებს და ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სახელით მოითხოვა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.

კონფერენციის პირველ სხდომაზე (11 მაისი) გამოვლინდა უთანხმოებანი როგორც ამიერკავკასიისა და ოსმალეთის, ასევე ამ უკანასკნელისა და გერმანიის დელეგაციებს შორის. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკება წარემართათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე აზრის იყო გერმანიის მხარეც, მაგრამ ჰალილ-ბეიმ განაცხადა, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ ჩაშალა ტრაპიზონის კონფერენცია, რის გამოც საქმე ხელახალ სამხედრო შეტაკებამდე მივიდა, დაიღვარა სისხლი, ამიტომ შემდგომი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოთხოვნებს ვერ დაეფუძვნებიანო“. სანაცვლოდ მან ა.ჩხენკელს შესთავაზა ხელშეკრულების ახალი პროექტი, ოსმალეთის ხელში დამატებით უნდა გადასულიყო ახალქალაქის, რომლითაც დაეფუძნება ახალციხის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის რაიონები ამით აღდგებოდა 1828 წლის საზღვარი.

ამით აღშფოთებული გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ლუდენდორფი 1918 წ. 15 მაისს ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ფონ სექტს წერდა: „კიდევ ერთხელ გთხოვთ ენვერ-ფაშას ტერიტორიული მოთხოვნები მოაქციოთ ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში... (ვინაიდან საქართველოში თურქეთის შეჭრა გამოიწვევს გართულებებს ამ უკანასკნელსა და გერმანიას შორის“. ბათუმის კონფერენციაზე კი ოსმალეთის დელეგაციას პროტესტით მიმართა ფონ ლოსოვმა, რის შესახებაც აცნობა დანარჩენ მოკავშირეებსაც.

1918 წ. 22 მაისს კავკასიის საკითხი სპეციალურად განიხილეს გერმანიის საგარეო უწყების სხდომაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა რიჰარდ ფონ კილმანმა, როდესაც შეეხო ოსმალთა პრეტენზიებს კავკასიაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბათუმის დაკავების შემდეგ პორტა ოცნებობს შექმნას კავკასიურ-თურქული სახელმწიფო“ ჩვენ ვცდილობთ გავლენა მოვახდინოთ მასზე, მაგრამ უშედეგოდ, 25 მაისს ლუდენდორფი კატეგორიულად მოითხოვს ფონ სექტისაგან გამოიყენოს თავისი გავლენა, რათა შეაჩეროს ოსმალთა შემდგომი წინსვლა კავკასიის წინააღმდეგ და აიძულოს ის „თავისი მოქმედების ცენტრი გადაიტანოს მესოპოტამიასა და სპარსეთში“ ინგლისის ჯარების წინააღმდეგ.

შექმნილ ვითარებაში ქართველმა დელეგატებმაც მართებულად ჩათვალეს გამოეყენებინათ მოკავშირეებს შორის არსებული უთანხმოება და გერმანიის დახმარებით აელაგმათ ოსმალეთის ესპანსიური მისწრაფებები და გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ საკითხს

ეხებოდა ა.ჩხენკელის მიერ ბათუმიდან სოციალ-დემოკრატი ლიდერებისადმი გაგზავნილი წერილები. 1918 წ. 12-16 მაისს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების საკითხი დაისვა.

მდგომარეობის ადგილზე გასარკვევად 17 მაისს ბათუმში ჩამოვიდა ნოე ჟორდანია. ის დარწმუნდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობაში. სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და შეუდგა ამისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას, ხოლო ბათუმში დარჩენილი გერმანელი და ქართველი დელეგატები ინტენსიურად შეუდგნენ ამ ორი ქვეყნის მომავალი ხელშეკრულების ტექსტების მომზადებას. მთელი ეს საქმიანობა მიმდინარეობდა კონსპირაციულად.

დამოუკიდებლობის აქტით ქვეყნის პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა: გამოცხადდა საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტი, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თანასწორობა განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა სოციალური მდგომარეობისა და სქესისა: საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხისათვის განვითარების ფართო ასპარეზის უზრუნველყოფა.

სულ გაფორმდა 4 ხელშეკრულება. მათ შორის ძირითადი იყო შეთანხმება „საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების შესახებ“ ორი დამატებით. ის ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულების განმსაზღვრელად აღიარებდა ბრესტის ხელშეკრულებას და ორივე სახელმწიფოს დედაქალაქში აწესებდა დიპლომატიურ წარმომადგენლებს. ამით გერმანიამ ფაქტობრივად (დე ფაქტოდ) ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს საზღვრები მოიცავენ ყოფილ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოკრუგს. იმავე 28 მაისს „მინა ჰორნი“ ზღვაში გავიდა. გემს თან გაჰყვა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია: აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი. ისინი მიემგზავრებოდნენ ბერლინში გერმანისათან ურთიერთობის საბოლოოდ მოსაგვარებლად და ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის.

ამრიგად, კავკასიის ფრონტის მოშლის შემდეგ, ამ რეგიონში პირველობისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გერმანია და მისი მოკავშირე ოსმალეთი. მათმა მეტოქეობამ და ამ საფუძველზე ოსმალეთის მცდელობამ რაც შეიძლება სწრაფად დაიპყრო ამიერკავკასია - დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანიასთან დაახლოება. შექმნილ სიტუაციაში ეს ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

1918 წლის 22 მარტს ოსმალეთის სამხედრო ძალები ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შეტევაზე გადმოვიდნენ. ქართული ჯარი ამ დროს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა და მისი ნაწილები მიმოფანტული იყო სხვადასხვა ადგილას. ქუთაისში იდგა ქართული მსროლელი პოლკის 3 ბატალიონი. იმ დღეებში შეიქმნა მეხუთე ქართული მსროლელი პოლკი 4000 კაცის რაოდენობით. გორში წვრთნას გადიოდა მეოთხე მსროლელი პოლკის 400 მებრძოლი, დაახლოებით ამდენივე კაცს მოითვლიდა ავჭალაში მდგომი მეშვიდე პოლკიც. თბილისში იდგა და ივსებოდა პირველი ცხენოსანი პოლკი. საქართველოსათვის ამ მძიმე სიტუაციაში მხოლოდ უკრაინის რადამ გამოთქვა მზადყოფნა დასახმარებლად უკრაინაში საქართველოს სამხედრო საქმეთა რწმუნებულის-ვაჩეიშვილის თაოსნობით ოდესის ოლქში აღირიცხა ქართველი ჯარისკაცები, რომლებმაც მოკლე დროში ჩამოაყალიბეს ორი პოლკი, სამშობლოში მათი დაბრუნება თავად უკრაინის ცენტრალური რადის გენერალური სამდივნოს წარმომადგენელმა შულიგინმა ითავა.

1918 წლის მარტის დამლევისათვის ბათუმი საომარ ყაიდაზე ცხოვრობდა. ბათუმში თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა სამხედრო ძალამ: ბათუმის დაცვა ორი სტრატეგიული მიმართულებით

დაიგეგმა. ერთი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სარფი გონიოს ხაზით, მეორე ჭოროხის ხეობით, ერგესაკენ. ორივე ხაზი ერთიანდებოდა ქალაქის მისადგომებთან, კახაბერ-ადლიას შორის და ქმნიდა მესამე სტრატეგიულ ხაზს. 9 აპრილს ოსმალებმა ბრძოლით დაიკავეს სოფელ ერგეს მეტად ხელსაყრელი პოზიცია. 23 აპრილს დაიწყო კონტრშეტევა ოზურგეთის გამოსახსნელად. შეიქმნა მტრის განდევნის შესაძლებლობა, მაგრამ გიორგი მაზნიაშვილს თბილისიდან მოულოდნელად სამარი მოქმედების შეჩერების ბრძანება მოუვიდა.

ბათუმის ზავით სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთს დარჩა. მაგრამ ერს ასულდგმულებდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მაღალი იდეალები. ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ პროგრესული ძალები და ორგანიზაციები, ისინი ირაზმებოდნენ მემედ აბაშიძის, რეჯებ ნიჟარაძის, ქემალ ნოღაიდელის, იუსუფ ქათამაძის, სულეიმან ნიჟარაძის, ჰაიდარ აბაშიძის, ჯემალ ქიქავას და სხვა პატრიოტების გარშემო.

ომი ტვირთად დააწვა ბათუმის და საერთოდ, ოლქის სამრეწველო ეკონომიურ ცხოვრებას. დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმრავლესობა. სერიოზულად დაზიანდა ტექნიკის უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული სპილენძის მრეწველობა (ართვინის ოკრუგი), შეწყდა მდინარე ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში მიმდინარე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები, დაუსაქმებელი და ცხოვრების სახსარ მოკლებული დარჩა ათასობით ადამიანი.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო სოფლად. გადაიწვა და განადგურდა ათასობით ჰექტარი სავარგული, ხეხილისა და მარცვლეულის (სიმინდი, ქერი, ხორბალი) ფართობები. მოიშალა ადრე კარგად ორგანიზებული საშინაო ვაჭრობაც, დაეცა ფულის კურსი და ფასებმა პირველი მოთხოვნილების საგნებზე ომამდელ დონეს, საშუალოდ, 300%-ით გადააჭარბა.

ოკუპაციამ შეაფერხა კულტურული ცხოვრებაც. გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ქალაქ ბათუმის ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობას და ქართველ მუსლიმანებს თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნას პირდებოდნენ. სადაც თურქული ენის სწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პრესაც. დაიხურა ყველა ადგილობრივი გამოცემა. ჟურნალ-გაზეთები აღარც თბილისიდან შემოდიოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები მაინც ცდილობდნენ მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

1918 წლის შემოდგომაზე ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში, მან უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებული სახელმწიფოების ყველა ულტიმატუმი, მათ შორის ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ამრიგად, მოკლე დროში შეიქმნა პერსპექტივები დედასამშობლოსთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისევ დასაბრუნებლად. 1918 წლის ნოემბრის დამლევს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხ., სახალხო–განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიდან სამხრეთ საქართველოში. ბათუმი 1956 წ.
2. გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ–პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში. ნაკვეთი II. ბათუმი 1999 წ.
3. გოგოლიშვილი ო., სოციალურ-ეროვნული მოძრაობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში. ბათუმი 2005 წ.
4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. ბათუმი 2008 წ.

5. ჩხეიძე ჯ. ბათუმის ისტორიის ნარკვევები. ბათუმი 1959 წ.
6. აჭმ. ხ.ფ. N126.
7. აჭმ შრომები, ტ. III, ბათუმი 1958 წ.

პირველ მსოფლიო ომში (1914-1918 წწ) გამოყენებული საკვების გადასატანი კომპლექტი და ყუმბარის ნამსხვრევები



პირველი მსოფლიო ომის დროს გამოყენებული ტყვიამფრქვევი „მაქსიმკა“

ლიტერატურა სამხედრო სწავლებისათვის

რუსუდან კობრავა

ბათუმის ერთი ქუჩა – კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა

ქუჩა, რომელიც ოფიციალურად კონსტანტინე გამსახურდიას სახელს ატარებს, ბათუმის ისტორიაში გასული საუკუნის დასაწყისიდანვე ყველაზე ცნობილი და განაშენიანებული ქუჩაა. იგი იწყება ეგნატე ნინოშვილის ქუჩიდან და მთავრდება ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან. ქუჩას პირველი სახელი დონდუკოვო-კორსაკოვის 1892 წელს ეწოდა, როდესაც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება ბათუმში ქუჩებისათვის სახელწოდებების დარქმევის შესახებ (Ватумъ и его окрестности,1906:524). ამავე პერიოდში გამოჩნდა ამ ქუჩაზე ქვის პირველი შენობები. დონდუკოვო-კორსაკოვი ცნობილი პიროვნება გახლდათ რუსეთის იმპერიის სამხედრო წრეებში. იგი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს გენერალ-ადიუტანტის წოდებით იმპერიის არმიის მე-13 კორპუსს ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით კი კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მეთაურისა და ჯარების მთავარსარდლის მოვალეობასაც ასრულებდა.

ქუჩას სახელი შეეცვალა 1918 წელს, როცა ბათუმი ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს. ბათუმის გუბერნატორად დანიშნულმა ჰამიდ ბეიმ 1918 წლის 22 აგვისტოს გამოსცა ქუჩების სახელების შეცვლის განკარგულება. იგი იუწყებოდა, რომ ბათუმის ქუჩების სახელები და წარწერები ფირნიშებზე შეიცვალოს და დაიწეროს თურქულ ენაზე. დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩას ეწოდა 37-ე არმიის სახელი. (აჭმ.ხ.ფ. N422, 1949:86)

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუჩას სახელწოდება კვლავ შეეცვალა და ეწოდა ლენინის სახელი. 1993 წელს კი მიენიჭა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი.

კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა საკმაოდ კეთილმოწყობილი და პრესტიჟული ადგილი იყო ბათუმში ადრე და ასევეა ამჟამადაც. ამ ქუჩაზე მდებარეობს ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული ევროპული სტილის შენობები, რომლებიც ქალაქის მშვენებას წარმოადგენენ. თითქმის ყველა ძველი შენობა არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს და მათ დაცვაზე სახელმწიფო ზრუნავს.

ქუჩის დასაწყისში ბულვარის მხარეს (კ.გამსახურდიას 2, ე.ნინოშვილის 9) დგას ქვის სახლი, რომელიც აშენებულია XIX საუკუნის 80-იან წლებში და წარმოადგენდა მიხეილის ციხესიმაგრის საინჟინრო სამმართველოს (Суворов, 1895:15) სამმართველოს უფროსი იყო გენერალ-მაიორი მიტროფანე ნიკოლოზის ძე ოგონ-დოგანოვსკი. სახლზე გაკრული მემორიალური დაფები გვამცნობენ, რომ ამ სახლში 1905, 1907, 1908, 1911, 1912 წლებში ჩერდებოდა დიდი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა, 1905-1907 წლებში კი ცხოვრობდა ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი დიმიტრის ძე სვიშევსკი. დ. სვიშევსკის დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების საქმეში. ის სხვა წლებშიც ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში. 1927 წელს მან შეადგინა ბათუმის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების გენერალური გეგმა სახელმოხვეჭილ ხუროთმოძღვარ ი.ფილინთან ერთად, რის საფუძველზეც მიმდინარეობდა 1957 წლამდე ქალაქის განაშენიანება და რეკონსტრუქცია. დ.სვიშევსკიმ დააპროექტა და ააგო ქ. ბათუმში არაერთი შენობა. მის მიერაა აშენებული საცხოვრებელი სახლები ახლანდელი ზ. გორგილაძის N23 და N50, ლუკა ასათიანის N71, ყოფილი სასტუმრო „პირველი მაისი“ (ამჟ. ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლო), სამი საცხოვრებელი სახლი ბათუმში, თამარის დასახლებაში და ა.შ.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შენობაში განთავსდა შინაგან საქმეთა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები (Справочник... 1924:82).

თავდაპირველად სახლი ორსართულიანი იყო. 1953 წელს დააშენეს მესამე სართული და სამხედრო მოსამსახურეები შეასახლეს.

ამჟამად შენობას მრავალფუნქციური დანიშნულება აქვს. ზედა სართულები საცხოვრებელია, პირველ სართულზე კი სავაჭრო ობიექტებია განთავსებული.

ხსენებული შენობა მნიშვნელოვანია, როგორც ზღვისპირა უბნის არქიტექტურულ-გეგმარებითი დომინანტი. აღსანიშნავია აგრეთვე მშენებლობის მაღალი ხარისხი და ოსტატობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს ე. ნონოშვილის N7, კ. გამსახურდიას N1 მდებარე შენობა, რომელიც აშენებულია XX საუკუნის 30-იან წლებში. შენობა საბჭოთა არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუშია. მას საკვანძო ადგილი ენიჭება უბნის განაშენიანებაში. კლასიცისტური ელემენტების გამოყენება და უხვი დეკორი ამ ნაგებობას განსაკუთრებულ მხატვრულ ღირებულებას სძენს (ბათუმის არქიტექტურული ძეგლები, 2012:131)

ამჟამად შენობის მე-2 და მე-3 სართულები საცხოვრებელია. პირველ სართულზე კი კომერციული ობიექტებია განთავსებული.

საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ერთ-ერთ ასევე საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს კ. გამსახურდიას ქ. N4, რუსთაველის ქ. N4 მდებარე სამსართულიანი კუთხის სახლი, რომელიც აშენებულია XX საუკუნის შუა წლებში და წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლს. შენობას აქვს მაღალი ნახევარსარდაფი. ფასადების გაფორმებაში გამოყენებულია კლასიცისტური ელემენტები. მესამე სართულზე რუსთაველის ქუჩის მხრიდან დაშენებულია მე-4 სართული. ამჟამად სახლის პირველ სართულზე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია განთავსებული, ზედა სართულები კი საცხოვრებელი ფართია.

კ. გამსახურდიას ქ. N 9 -ში მდებარე სამ სართულიანი შენობა აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში და ეკუთვნოდა იუნკელ ჩერტკოვს.ეს შენობა მეზობელი სხვა შენობების მსგავსად ქვის მაღალ ცოკოლზეა დაფუძნებული. 1922 წელს განხორციელებული მუნიციპალიზაციის შემდეგ შენობის პირველი სართული დაიკავეს საბჭოთა მოსამსახურეებმა და კერძო პირებმა, მე-2 სართული კი საქართველოს სახალხო ბანკმა. სარდაფის სართულში განთავსდა დიდი სასაწყობე, რომელიც სამხედრო კომისარიატის განკარგულებაში გადავიდა. მას შემდეგ შენობამ რამდენჯერმე შეიცვალა მობინადრეები, მაგრამ ძირითადად ის დარჩა სახელმწიფო სტრუქტურების განკარგულებაში. ამ სახლში წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა აჭარის ა.რ. განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. დღეს კი აჭარის მთავრობის აპარატია დაბინავებული (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, V, 2015:99).

ამ შენობის მოპირდაპირედ (კ.გამსახურდიას ქ.N10) მიმზიდველად გამოიყურება აგურის ორსართულიანი სახლი, რომელშიც ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მუშაობს. ამ შენობასაც საინტერესო ისტორია აქვს და ძველი მფლობელები ჰყავს. შენობა იმთავითვე განკუთვნილი იყო სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებისათვის, რომელიც აიგო 1908-1909 წლებში და აქ ბანკი განთავსდა 1910 წლის 1იანვრიდან (Ватумъ и его окрестности въ описании Н.А. Вєру,1910:276). 1922 წლის მუნიციპალიზაციის გრიგალმა ამ შენობასაც გადაუარა. შენობა ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადაეცა, 1931 წელს კი აქ ბინა დაიდო აჭარისტანის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც სხვადასხვა წლებში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აჭარის არ მთავრობამ, 2004 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და 2007 წლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჩაანაცვლა.

კ.გამსახურდიასა და მ.აბაშიძის გამზირის კუთხეში (11-20) თავს იწონებს ბათუმის ერთ-ერთი ულამაზესი, რენესანსულ-ბაროკოულ სტილში შესრულებული აგურის ნაგებობა. სახლს ორი სადარბაზო შესასვლელი აქვს კ.გამსახურდიას ქუჩის მხრიდან შენობის ცენტრში და მ.აბაშიძის

გამზირის მხრიდან შენობის კიდეში. მ.აბაშიძის მხრიდან შენობა პატარა ეზოთი მთავრდება, სადაც ფლიგელში ასასვლელი აჟურულ-მოაჯირიანი კიბეა აღმართული. ამ სახლს ბათუმში ორი სახელით იცნობენ „საბაევის სახლი“ და „სახლი ტიტანებით“. შენობა აშენებულია 1903-1904 წლებში. ქვაში გამოკვეთილი ტიტანები სახლს მოგვიანებით XX საუკუნის 10-იან წლებში დაამატეს, როცა ბათუმში ქუთაისიდან ჩამოვიდა იმ დროისათვის ცნობილი სკულპტორი გვარად პოლოლიკაშვილი, რომელიც საცხოვრებლად დარჩა ბათუმში და 1918 წელს თურქების ქალაქში შემოსვლის დროს თურქმა ასკერებმა მოკლეს და ცხედარი აჭარისწყალში მოისროლეს.

ამ სახლის მფლობელის, ცნობილი ბათუმელი კომერსანტისა და ქველმოქმედის ნიკოლოზ საბაშვილის (საბაევის) შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ნიკოლოზ ანტონის ძე საბაშვილი, დაბადებული დაახლოებით 1860 წელს წარმოშობით ახალციხის რაიონის სოფ. ვალედან იყო, ქართველი კათოლიკე გადმოსახლდა ბათუმში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამ ქალაქის გაშენებასა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას შესაბამისი განათლება მიღებული არ ჰქონდა, მაგრამ ბუნებით ნიჭიერმა კაცმა დიდ წარმატებას მიაღწია თავის საქმიანობაში. ჰქონდა ჭურჭლის მაღაზია. შემდეგ მთელ შემოსავალს აბანდებდა უძრავ ქონებაში. შეიძინა 11 სახლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემოთ აღნიშნული სახლი, რომელიც მანვე ააშენა და მასში მისი ოჯახი ცხოვრობდა. XX საუკუნის ოციან წლებში ბათუმში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომ ამ სახლზე არქიტექტურულ სამკაულად დადგმულ ფიგურებში დიდძალი ოქრო იპოვეს, სინამდვილეში კი ეს ამბავი გვერდით მდგომ ექიმ ჩერტკოვის სახლში მომხდარა. ქონება ოჯახს არაფერი დარჩენია, რადგან ყველაფერი უძრავ ქონებაში იყო დაბანდებული. ცოტაოდენი ოქროს ნივთები კი, რომლებიც ბებიას ჰქონია, 1918 წელს ბათუმის ოკუპაციის დროს, როცა ოჯახი კონსტანტინეპოლში გაიქცა, იქ ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მიუბარებიათ შესანახად და ახლაც იქ უნდა იყოს.

ნიკოლოზ საბაშვილის მეუღლე ფეფო ნაზარიშვილი, ასევე ქართველი კათოლიკე იყო. მათ ჰყავდათ 9 შვილი – 5 ვაჟი და 4 ქალი, რომელთაც იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიიღეს და სხვადასხვა ადგილას დასახლდნენ. 1928 წლისათვის ოჯახი გაერთიანდა და დაბინავდნენ თბილისში, ბესიკის ქუჩაზე, ერისთავების სახლში. ნიკოლოზ საბაევი გარდაიცვალა 1934 წელს თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე (გაზეთი ,,ბათუმელები'', 2011. 5. 12). ცნობილია, რომ ნ. საბაევი იყო ბათუმის სათათბიროს II, III, IV, V დაVI მოწვევების ხმოსანი 1895-1915 წლებში (მესხი, 1914: 63).

საბაევის სახლში სხვადასხვა დროს განთავსებული იყო რუსეთ-ჩინეთის ბანკი და ნებაყოფლობითი ფლოტი, რომლის აგენტი იყო ვ.ა.სერგეენკო (Батумъ и его окрестности... 1910:63). სახლის მუნიციპალიზაცია მოხდა 1922 წელს. მოგვიანებით ამ ლამაზ შენობაში ლენინის ქუჩის მხრიდან ბინა დაიდო ქალაქისა და აჭარის არ პროკურატურამ, ინტერნაციონალის (შემდგომში სტალინის) ქუჩის მხრიდან კი ფინანსთა სამინისტრომ. ბათუმელებს კარგად ახსოვთ აგრეთვე კუთხიდან სარდაფში ჩასასვლელის თავზე გაკეთებული აბრა ,,ლომბარდი''. დღეს ამ შენობაში თავის საქმიანობას ახორციელებს აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება.

საბაევის სახლის მოპირდაპირედ ქუჩის მეორე მხარეს, კ.გამსახურდიასა და მ.აბაშიძის ქუჩების კუთხეში (13-23) დღესაც ლამაზად გამოიყურება შეულესავი, მოვარდისფერო აგურით ნაგები სამსართულიანი შენობა. სახლს ბათუმელები ვოლფენზონის სახლის სახელით იცნობენ, თუმცა 1890 წელს შედგენილი შეფასებითი უწყების მიხედვით დონდუკოვო-კორსაკოვისა და მარინსკი პროსპექტის კვეთაში მდებარე ორსართულიანი სახლი ეკუთვნოდა ინჟინერ ოსინსკის მეუღლეს. 1896 წლის მაისში ოსინსკის მეუღლისაგან სახლი შეიძინა პირველი გილდიის ვაჭარმა შიმონ მანაშეს ძე ვოლფენზონმა, რომელმაც სახლს მიაშენა ფლიგელი (სამხრეთ–დასავლეთ

საქართველო... 2015:94-95). მ.ვოლფენზონი იყო ბათუმის სათათბიროს თავმჯდომარე 1918-1919 წლებში. (ა.ჭმ.ხ.ფ. N422, 1949:9) ვოლფენზონის სახლში სხვადასვა დროს ფუნქციონირებდა სადაზღვევო საზოგადოება „ნიუ-ორკი“. ბათუმის ოლქის საბაჟო, სტომატოლოგ ი. მ.სიმონოვიჩის სტომატოლოგიური კლინიკა (Всеовщий адрес ежегодник г Ватума... 1902: 66). 1884-1919 წლებში შენობაში ფუნქციონირებდა ავსტრიის საკონსულო. 1922 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვოლფენზონის სამსართულიანი სახლი დაექვემდებარა მუნიციპალიზაციას და გადაეცა ქალაქის კომუნალურ განყოფილებას. 1923 წელს შენობაში განთავსდა შრომის სასახლე,ხოლო 1925 წელს კომგანყოფილების კოლეგიის გადაწყვეტილებით შენობა და მასთან მდებარე ფლიგელი გადაეცა აჭარისტანის პროფკავშირს. სხვადასხვა წლებში აქ განთავსებული იყო აჭარის არ კულტურის სამინისტრო (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო... 2015:94-95).

კ.გამსახურდიას და მ.აბაშიძის 12-25-ში დგას მასშტაბური ზომის ნაგებობა, რომლის ცენტრალურ ფასადზე მოთავსებულ მედალიონზე გამოკვეთილია ,,1900“, რაც აშენების წელს ნიშნავს. შენობა თავიდანვე ბანკისათვის იყო გათვალისწინებული და იმყოფებოდა თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების მფლობელობაში (Всеовщий адрес ежегодник... 1902:92) მუნიციპალიზაციის შემდეგ 1923 წლის 2 იანვრიდან შენობის მეორე სართული კვლავ ბანკს დაეთმო, პირველ სართულზე კი „საზკვებისა“ და „საქწიგნის“ მაღაზიები განთავსდა. 2010-2011 წლებში შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. სახლს კუთხეში მიაშენეს კოშკურა და შეიცვალა, გადახალისდა ფასადი. ორივე ქუჩის მიმართულებით კარნიზებზე დაიდგა მოოქროვილი ქანდაკებები და მემედ აბაშიძის ქუჩის მხრიდან აჟურული აივანი. კოშკში დამონტაჟდა ციფრული საათი, რომლის ანალოგი მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია. 2015 წელს ყოფილ წიგნის მაღაზიაში გაიხსნა კაფე „БК'“ – წიგნი ბათუმში, რითაც ეს ადგილი კვლავ ბათუმელთა საყვარელ ადგილად დარჩა.

კ. გამსახურდიას 15, ა.მელაშვილის 26-ში მდებარე სამსართულიანი ქვის სახლი ეკუთვნოდა პ.მ. მაზმანიდის. შენობა 1922 წ. დაექვემდებარა მუნიციპალიზაციას და აქ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები განთავსდა. ა.მელაშვილის ქუჩის მხრიდან შენობის მე-2 სართულზე განთავსებული იყო აჭარის ასსრ იუსტიციის დეპარტამენტი და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ამჟამად მე-2 და მე-3 სართულები საცხოვრებელ ფართს წარმოადგენს. პირველი სართული კი სავაჭრო ობიექტებს უჭირავს.

არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს კ.გამსახურდიას ქ.N18-ში მდებარე სახლი ,რომელიც აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს და ეკუთვნოდა კარაპეტ პუჩინიანს. 1931 წლის 30 ოქტომბერს სახლი საჯარო ვაჭრობით გაიყიდა მასზე რიცხული სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების ასანაზღაურებლად (გაზეთი ,,საბჭოთა აჭარისტანი'' 30.10.1931 . N 242:4) ამჟამად სახლის მეორე სართულზე ორ ოთახში ცხოვრობს კ.პუჩინიანის შვილიშვილი ირა პუჩინიანი. მისი ინფორმაციით, სახლის მეორე ნაწილში 1910 წლიდან ცხოვრობდა მაქსიმილიან კლებანსკი, ახლა კი მის შვილიშვილს იაკობ ნორდშტეინს ეკუთვნის. საბჭოთა პერიოდში შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო სპორტული მაღაზია. შემდეგ მაღაზია ,,სალამანდრა“. 2004 წლიდან კი ფუნქციონირებს ლიტერატურული კაფე.

კ.გამსახურდიას ქ. N20, იმნაძის ქ. N2-ში მდებარე სახლი აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს და ეკუთვნოდა ვ.ა. ვიტუშინსკის. სახლის მეორე სართულზე განთავსებული იყო სასტუმრო ,,პეტერბურგსკაია“. როგორც ერთ-ერთი წყარო იუწყება, სასტუმროსთან იყო რესტორანი ფრანგული და რუსული სამზარეულოთი. სასტუმროს ჰქონდა აბაზანა და ტელეფონი N46. სასტუმროს ნომრის ფასი 1-დან 5 მანეთამდე მერყეობდა (Всеобщий адресъ…1902:97). სხვა წყაროს მიხედვით, სასტუმრო „პეტერბურგი“ მდებარეობდა დონდუკოვო-კორსაკოვისა (ახლანდელი კ.

გამსახურდიას) და სკობოლევის (ახლ. ბლაგოევგრადის) ქუჩების კვეთაში მარინის პროსპექტთან (ახლ. მ.აბაშიძის გამზირი) და ბულვართან ახლოს. შემნახველი იყო ათანასე თავდიშვილი (Батумъ и его окрестности Н.А.Веру, 1910:73). სასტუმრო მდებარეობდა ორი ქუჩის კუთხეში. პირველ სართულზე ვ.ვიტუშინსკის გახსნილი ჰქონდა საკუთარი აფთიაქი. აფთიაქის არენდატორი იყო პროვიზორი ა.ა ბალუსკი. იქვე გვერდით კი გახსნილი იყო თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის მმართველი იყო ი.მ ხუდადოვი (Всеобщий адресъ ежегодникъ г.Батума на 1902 г. 1902:92).

ამჟამად შენობის მეორე სართული საცხოვრებელ ფართს წარმოადგენს, პირველ სართულზე კი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია განთავსებული.

კ.გამსახუდრიას ქუჩაზე N23-ში მდებარეობს სომხურ-გრიგორიანული ეკლესია ,,სუბრ-პრკიჩი", რომელიც 1890 წელს აშენდა ავსტრიელი არქიტექტორის მარფელდის პროექტით და მსხვილი მეწარმის მანთაშევის შემოწირულობით. ასეთი შენობა ერთია, თუ არ ჩავთვლით ,,სურბ-აკოპის" ეკლესიას პარიზში, რომელიც იგივე პროექტითაა ნაგები (ალბომი ბათუმი, 2006:5). 1937 წელს ეკლესია დახურეს. წლების მანძილზე შენობა დაკავებული ჰქონდა სხვადასხვა ორგანიზაციას, ბოლოს აქ პლანეტარიუმი განთავსდა. 1996 წლიდან შენობა დაუბრუნდა ეკლესიას. ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები და თავდაპირველი სახე შეიძინა. ეკლესიის საშენ მასალად ძირითადად ქვა და აგურია გამოყენებული. (გაზეთი ,,აჭარა" 2003.19.06:6). რამდენიმე წლის წინათ,სომხური ეკლესიის ეზოში ქვის ჯვარი- ჰაჩქარი აღიმართა. ჰაჩქარის ტრადიცია მე-7 საუკუნიდან მოდის და მას სიმბოლური დატვირთვა აქვს. მისი ბარელიეფი მრევლის აღმსარებლობაზე მიუთითებს. ქვის ჯვართან გრიგორიანული ეკლესიის მამები საზეიმო და სამგლოვიარო წირვებს აღავლენენ ხოლმე. (ბათუმის არქიტექტურული ძეგლები, 2012:68).

ეკლესიის ეზოში დგას ხე მაგნოლია. წარწერა გვამცნობს,რომ ეს ხე 1890 წელს დარგო უდიდესმა სომეხმა მხატვარ-მარინისტმა და მეცენატმა ივან (ოვანეს) აივაზოვსკიმ.

ბათუმში კ.გამსახურდიას ქუჩაზე სომხურ-კათოლიკური ეკლესიაც მდებარეობდა (კ.გამსახურდიას და ვ.გორგასალის ქუჩების კუთხე). აღნიშნული ნაგებობა დღესაც არის შემორჩენილი. სომხურ-კათოლიკური ეკლესიის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ალ. ფრენკელის წიგნში „ნარკვევები ჩურუკ-სუსა და ბათუმზე", რომელიც 1879 წელს გამოიცა თბილისში რუსულ ენაზე. წიგნის ავტორი თან ახლდა რუს-ქართველთა ლაშქარს, რომელმაც 1877-1878 წლების ომის შედეგად და ბერლინის კონგრესის შეთანხმების საფუძველზე სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი ოსმალთაგან გაათავისუფლა. წიგნის მიხედვით ,,აქაური სომხები რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებისანი არიან. ღვთისმსახურებას ისინი ლათინურ ენაზე კი არ ასრულებენ, როგორც ყველა კათოლიკე, არამედ სომხურზე. ქალები ლოცვის დროს შიგ ეკლესიაში არ იმყოფებიან. გარეთ, შესასვლელთან გააგებენ ცალკე მაღალ და ფართო ადგილს. ეკლესიის იატაკზე ნოხები აფენია და ზედ ბალიშები აწყვია. ესაა ცალკეულ პირთა ადგილები და ყოველ მათგანზე კათოლიკე თავსდება წირვის შესასრულებლად. მღვდელთა ჩაცმულობა, მორთულობა და ქსოვილი მართლმადიდებელთა მსგავსი სამოსია და არაფერია აქვს საერთო დასავლეთელ მღვდლების ჩაცმულობასთან" (ფრენკელი, 2012:98).

ათეული წლების წინათ გაუქმებული ეკლესიის შენობაში ფუნქციონირებდა ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის ცენტრი. ამჭამად შენობა უფუნქციოდაა.

სომხურ-გრიგორიანული და სომხურ-კათოლიკური ეკლესიების აშენების განსხვავებული თარიღები აქვს მითითებული რუს სამხედრო ისტორიკოსს ლისოვსკის, რომელმაც 1883 წელს აღწერა ბათუმი. მისი ცნობის მიხედვით, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია აშენებულია 1873 წელს, ხოლო სომხურ-კათოლიკური ეკლესია – 1876 წელს (გოგოლიშვილი, 2017:280).

შენობა, რომელშიც ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეა განთავსებული (კ. გამსახურდიას 37), აგებულია XX ს-ის დასაწყისში სტეფანე მაცოიანის მიერ და წარმოადგენდა მის საცხოვრებელს. სახლი დაექვემდებარა მუნიციპალიზაციას. 1932 წლის 22 ოქტომბრის N247 დადგენილებით ქ.ბათუმის საბჭოს სააუქციონო კამერამ საჯარო ვაჭრობით ს.მაცოიანის უძრავი ქონება გაყიდა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების ასანაზღაურებლად (გაზ."საბჭოთა აჭარისტანი", 22. X.1932.).

წლების განმავლობაში ამ შენობაში განთავსებული იყო კრუპსკაიას სახელობის ქალთა პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც შემდეგ გადავიდა ახლ. გორგილაძის ქ.N9 (ყოფილი პედაგოგიური კოლეჯის შენობა), ხოლო მაცოიანის სახლში განთავსდა ბათუმის პიონერთა სასახლე (ამჟამად ბათუმის მოსწავლე -ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე) და ამჟამადაც იქ მდებარეობს.

კ.გამსახურდიას N41 და ს.ზუბალაშვილის N16-ში მდებარეობს ერთი შეხედვით საკმაოდ მოკრძალებული არქიტექტურის მქონე ორსართულიანი სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ლ.ნ. კოკოჩევსა და გ.ნ. ნიკიტინს. სახლი აშენებულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. აქ პირველ სართულზე განთავსებული იყო კოკოჩევისა და ნიკიტინის აფთიაქი,რომელიც 1902 წლიდან ფუნქციონირებდა. 1922 წელს შენობა დაექვემდებარა მუნიციპალიზაციას (газ. Известия 15. 04. 1922 г.). საბჭოთა პერიოდში აფთიაქი კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას. სახლზე გაკრულია მემორიალური დაფა, რომელიც გვამცნობს, რომ ამ სახლში 1955-1982 წლებში ცხოვრობდა საქართველოს და აჭარის დამსახურებული ინჟინერი მ.ო. უსტიაშვილი.

ამჟამად სახლის პირველ სართულზე სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია, მეორე სართული კი საცხოვრებელ ფართს წარმოადგენს.

ბოლო წლებში კ.გამსახურდიას ქუჩას ჩაუტარდა მასშტაბური სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოიკირწყლა ტრანსპორტის სავალი ნაწილი, გაფართოვდა ტროტუარები. ყველა შენობა შეკეთდა და შეიღება. აშენდა თანამედროვე შენობები, რომლებმაც კიდევ უფრო მეტი სილამაზე შესძინა ამ ძველ და ცენტრალურ ქუჩას. საცხოვრებელი სახლებისა და სხვა დანიშნულების შენობებს შორის ქუჩის მშვენებას წარმოადგენს სასტუმრო ,,გოლდენ პალასი'' კ.გამსახურდიას ქ. N8-ში. მაღალი კლასის სასტუმრო უკრაინულმა კომპანიამ ,,ვიშერ ინტერპრაიზერმა'' ააგო, რომელშიც ინვესტირებული იქნა 15 მილიონი დოლარი. სასტუმროში 51 ნომერი, კაზინო და რესტორანი ფუნქციონირებს. სასტუმრო 2014 წლის 11 იანვარს გაიხსნა.

სასტუმროს მოპირდაპირედ, ბათუმის დრამატული თეატრის წინ სკვერში დგას ნეპტუნის შადრევანი. შადრევნის ნეპტუნის მოოქროვილი ფიგურა მისი ღვთიური ჭესტით წყლების დამშვიდებისა და მართვის უნარს გამოხატავს. შადრევანი 2010 წელს დამონტაჟდა ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ. თითბერის მასალისაგან დამზადებული ძეგლი ჩინეთიდან ჩამოიტანეს და მის დამონტაჟებაში ჩინელი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ძეგლის ღირებულებამ 500000 ლარი შეადგინა. ამ ძეგლის XVI საუკუნის ორიგინალი ნეპტუნის შადრევანი იტალიაში ქალაქ ბოლონიაში იმავე სახელის მქონე ნეპტუნის მოედანზე დგას. 2011 წელს შადრევანის ცენტრში მდგარი ნეპტუნის ქანდაკება და ჰერალდიკური ფარები მოაოქროვეს. შადრევნის საფუძველი უბრალო ქვისაგან, ხოლო მოპირკეთება მარმარილოსგანაა შესრულებული. შადრევნის თასს კვადრატული ფორმა აქვს. ფიგურული, ოდნავ შიგნით შეზნექილი კუთხეებით თასის შუა გულში აღმართულია პოსტამენტი, რომელზეც ნეპტუნის სამკაპიანი მოოქროვილი ქანდაკება დგას. პოსტამენტის გარშემო ნეპტუნის ქვეშევრდომების – ზღვის სამეფოს ბინადრებია. სირინოზების, დელფინების, ნერეიდების და სხვა მითიური არსებების ფიგურებიდან წყლის

ნაკადები გადმოედინება. პოსტამენტის გვერდებზე კი მოოქროვილი ჰერალდიკური ფარებია მიმაგრებული ლათინური წარწერით „LIBERTAS” (თავისუფლება).

დღესდღეობით ნეპტუნის შადრევანი ბათუმში ტურისტებისათვის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილია.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა დღესაც რჩება ქალაქის ერთ-ერთ ლამაზ, მიმზიდველ და ხალხმრავალ ქუჩად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოლიშვილი ო., უცხოელი ავტორები XIX საუკუნის ბათუმის შესახებ, თბილისი. 2017 წ.
2. ბათუმის არქიტექტურული ძეგლები. ბათუმი 2012 წ.
3. ალბომი ბათუმი. 2006 წელი. ქ.ბათუმის მერია. სარეკლამო-საგამომცემლო კომპანია ჯი-ეი-თი.
4. თევზაძე ვ., ბათუმის საკულტო-რელიგიური ნაგებობები. – გაზეთი ,,აჭარა''. 19.06.2013 წ.
5. რურუა მ., შენობები, ადამიანები, ისტორიები. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, V, თბილისი 2015 წ.
6. საბაშვილი ბ., მოგონებები ბათუმელ მეწარმეზე. – გაზეთი ,,ბათუმელები'', 2011 წლის 5-11 დეკემბერი N5.
7. ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქსუსა და ბათუმზე. – გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ.სურმანიძემ, თბილისი 2012 წ.
8. გაზეთი ,,საბჭოთა აჭარისტანი“. 22. X, 1932 წ.
9. აჭმ.ხ.ფ. – Архивные материалы и документы об Ангийской и Турецкой окупации Аджарии с 1918 по 1920 г. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. N422, 1949 წ.
10. Батумъ и его окрестности. Бат.1906 г.
11. Батумъ и его окрестности во описании Н.А.Веру. Бат.1910 г.
12. Всеобщий адресъ эжегодникъ г.Батума на 1902 г. Къ краткимъ очеркомъ истории Батумскаго края Н.С.Державина. Бат.1902 г.
13. Гурская Н. Путеводитель и справочная книжка по г.Батума и окрестностям. Тифл.1901г.
14. Список Муниципализированных домов. Газета Известия 15 апреля. 1922 г.
15. Справочник-указатель Аджаристана на 1924г. Тифл.1924 г.
16. Суворов. Описание г.Батума. Тифл.1895 г.
17. Месхи. Памятная книжка глассныхъ Батумской городской думы на 1914 г. Батумъ 1914 г.

კ. გამსახურდიას I, ე. ნინოშვილის 7

კ. გამსახურდიას 2, ე. ნინოშვილის 9

კ. გამსახურდიას 4, შ. რუსთაველის 4

სასტუმრო გოლდენ პალასი.
კ. გამსახურდიას 8



ნეპტუნის შადრევანი

აჭარის არ მთავრობის აპარატი.
კ. გამსახურდიას 9

საკონსტიტუციო სასამართლო.
კ. გამსახურდიას 10

კ.გამსახურდიას 11, მ. აბაშიძის 20.
სახლი ტიტანებით

კ. გამსახურდიას 12, მ. აბაშიძის

კ. გამსახურდიას 13, მ.აბაშიძის 23

კ. გამსახურდიას 15, ა. მელაშვილის 26

კ. გამსახურდიას 18

კ. გამსახურდიას 20, ნ. იმნაძის 2

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია.
კ. გამსახურდიას 23

კ. გამსახურდიას 37
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე

კ. გამსახურდიას 41

ყოფილი სომხურ-კათოლიკური ეკლესია
კ. გამსახურდიას ქუჩაზე. XX ს. 50-იანი წლები

ასმათ ბაჯელიძე

მცენარეულობის ღვთაება ქართულ ჩუქურთმაში
(მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული მასალები მდიდარია ხალხურ ორნამეტში ჩაწნული მცენარეული სახეებით. ქსოვილებზე, ხეზე გამოსახული მცენარეები რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება და იმდენად ღრმად აქვთ გადგმული ფესვები ერის ისტორიულ წარსულში, რომ ღვთაებაზე საუბრის დროს (მცენარეული, ცხოველური, ასტრალური), საქმე გვაქვს წარმართულ სარწმუნოებასთან.

ძველ ქართულსა და მეზობელ ერთა მწერლობაში მოიპოვება ცნობები წარმართობის შესახებ. მრავალი წარმართობის დროინდელი წეს-ჩვეულება და თქმულება აქვს შემორჩენილი ხალხის მეხსიერებას. ეს კი ასახვას პოულობდა საუკუნეთა მანძილზე ხელოვნებაში – ჩუქურთმა, ქსოვა, ქარგვა, მხატვრობა და ასე შემდეგ, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჟამთა ვითარებას ვერ უძლებს ქსოვილი, ხე და ნადგურდება.

მუზეუმში დაცული ორანამენტირებული ხის ნივთები განეკუთვნება XVII-XVIII, XIX საუკუნეებს. უფრო ადრინდელი მასალა შემონახული არ არის.

ადამიანი აღმერთებდა იმას, რაც მოსწონდა და რისგანაც სიკეთე ახსოვდა, მაგრამ აღმერთებდა იმასაც, რისიც ეშინოდა და წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ე.ი თაყვანს სცემდა კეთილს, როგორც მფარველს და თაყვანს სცემდა მისთვის საშიშ სახეებს, რომ მათი გული მოეგო და არ განერისხებინა. მცენარეულ ღვთაებაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები მცენარეებს სულიერად მიიჩნევდნენ და სათანადო პატივსაც მიაგებდნენ. ფშავური ხალხური ეპოსი სავსეა ამგვარი მაგალითებით. ბებერი მინდია მცენარეების, ცხოველების საუბარს ხვდება და მათთან საუბარიც შეუძლია: საქართველოში თითქმის ყოველ კუთხეში დღემდე არის შემორჩენილი ხეთა მსახურების შემთხვევები, განსაკუთრებით მუხას სცემდენ თაყვანს ხევსურები და ფშაველები. მათ სწამდათ, რომ არსებობს მუხის ანგელოზი. ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ წერს, რომ ყველგან, ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ახლაც არის შემორჩენილი ხეთა მსახურების ნაშთი. ასეთი მცენარეებია ცაცხვი, მუხა (ჯავახიშვილი,1979:232). ეს უკანასკნელი მარადიულობის გამომხატველი იყო. მუხის თაყვანისცემის არსებობის დამამტკიცებელია სამეგრელოში ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და მუხის სალოცავი ადგილი იყო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მუხას სამკურნალო თვისებები ჰქონდა. გარდა ამისა, მუხის ტოტზე ეკიდა ოქროს საწმისი. ლეგენდის მიხედვით ტყავი, რომელზედაც ოქროს დამუშვების საიდუმლოება ეწერა.

მუხის კულტი გავრცელებული იყო გურიაში. კერძოდ, სოფელ ლიხაურში XII-XIII საუკუნეებში აგებულია „ღვთისმშობლის“ ეკლესია და სოფელ აჭის წმინდა გიორგის ეკლესია. სოფლის ცენტრს ჯვარს ეძახიან, რადგანაც გზები სოფლის ცენტრში ჯვარედინად კვეთენ ერთმანეთს. აქვეა დიდი ასწლოვანი მუხის ხე, რომელიც მტერთან ბრძოლაში გაძლიერების სიმბოლოდ არის მიჩნეული. სუროს იყენებდნენ ჭრილობების სამკურნალოდ, ტკივილგამაყუჩებლად, ხოლო ნახარში ღრძილების ტკივილის და დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

ერთ-ერთი მეტად საინტერესო ორნამენტია ვაზის მტევნები. საქართველო ვაზის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, სადაც ვაზის მოშენებას ოდითგანვე მისდევდნენ. ქრისტიანული სარწმუნოების მიღების შემდეგ უფრო პოპულარული კულტურა გახდა. ცნობილია, რომ წმინდა ნინოს ეპყრა

ჯვარი ვაზისა. ჯამის კარებზე ვაზის მტევნების გამოსახულება ვაზის კულტურის აშკარა დემონსტრირებაა.

დიდი სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა ხალხურ მედიცინაში შროშანს. მას იყენებდნენ წყალმანკის საწინააღმდეგოდ. ამიტომ ლოცვის დროს ხშირად მოიხსენიებენ კიდეც. ქართლში თაყვანს სცემდნენ ცაცხვის ხეს. გამორჩეული ცაცხვის უზარმაზარ ხესთან მიჰქონდათ შესაწირავი. ასევე მუხას თაყვანს სცემდენ აფხაზები. ამის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერს „აფშილები და აფხაზები თაყვანს სცემდნენ ტყეებსა და ხეებს იმიტომ, რომ მათ ხეები გულუბრყვილოდ ღვთაებად მიაჩნდათ“ (ვარშალომიძე, 1979 :16).

სამეგრელოში სწამთ ტყის მეფის „ტაში მაფას“ არსებობა. ხალხური რწმენით მინდორსა და ყვავილსაც ჰყავდა თავისი მფარველი. კახეთში მას მინდორთ ბატონს და მის ასულს უწოდებდნენ. ასული საოცრად ლამაზი და მსუბუქია. იგი ყვავილიდან ყვავილზე დახტის და მათი ნექტარით იკვებება.

აჭარაში მინდვრისა და ყვავილების მფარველს „ტყის ფერიას“ უწოდებენ. იგი საოცრად ლამაზია და შეუძლია ადამიანის ხმით ლაპარაკი, მაგრამ შენ არ უნდა გამოელაპარაკო, თორემ იმდენად ლამაზია, შეიძლება შეცდე და წაჰყვე კიდეც (მთქმელი ფადიმე კახიძე 83 წლის, სოფ. ხერთვისი. ჩაწერილია 1998 წელს). დროთა განმავლობაში მცენარეებისადმი თაყვანისცემამ საწესჩვეულებო ხასიათი მიიღო და ორნამენტი ესთეტიკური დონის ზრდის, მისი სრულყოფის მაჩვენებელი გახდა.

ამგვარად, მცენარეული ორნამენტი და არა მარტო მცენარეული, ყოფისა და კულტურის განვითარების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა და განვითარებადი, მოძრავი ელემენტია. აქედან გამომდინარე, ორნამენტს შეისწავლიან ეთნოგრაფები, რელიგიის ისტორიის მკვლევარები, ხელოვნებათმცოდნეები, რადგან იგი შესანიშნავი წყაროა, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის შესწავლის მიზნით, ასევე ყოფის, კულტურის, წეს-ჩვეულებების, ესთეტიკური დონის გასარკვევად. როგორც აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიული მასალები უხვია ხალხურ ორნამენტში ჩაწნული მცენარეული სახეებით. ხეზე, ქვაზე და ქსოვილებზე გვხვდება და ხშირად რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ამსახველ მნიშვნელობას იძენენ.

ხეზე კვეთის ორანამენტში გამორჩეული ადგილი უკავია სიცოცხლის ხეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ხის რამდენიმე ვარიანტია გამოვლენილი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და მათ შორის აჭარაში. ორნამენტში დომინირებს მცენარის ერთ-ერთი სახე კერძოდ შროშანი. იგი გვხდება ქვის ჯვრებზე და მიჩნეულია სიცოცხლის სიმბოლოდ. სიცოცხლის ორნამენტი აღმოაჩინა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ ხულოს რაიონ სოფელ ღორჯომში ჯამეს შემამკობელ ორნამენტში. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდში დაცულია ჯამეს კარი სოფელ ბარათაულიდან, რომელიც ცალფაა და მხოლოდ კარის გარეთა მხარეა მოჩუქურთმებული. კარის ჩუქურთმის ძირითად ნაწილს შემოხვეული აქვს ღერო შროშანის გაშლილი და გაუშლელი ყვავილებით. კარის ქვედა ნაწილში მცენარის ღეროა შემოხვეული და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ოთხ საფეხურადაა გამოსახული. საფეხურებს შორის ორი ბორჯღალოა და ექვსი პატარა ზომის ვარსკვლავი. მოჩუქურთმებული ზოლიდან აღმართულია ხის სწორი ღერო, რომლის გარდი-გარდმო სიმეტრიულად გადაშლილია შტოები, მცირე ზომის ფოთლებითა და და შროშანის ყვავილებით.

ამრიგად, აჭარის მუზეუმში დაცული ეთნოგარაფიული მასალები როგორც აღვნიშნეთ, ფრიად მდიდარია ხალხურ ორნამენტში ჩაწნული მცენარეების სახეებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, ბათუმი 1979 წ.
2. ოსმალური დოკუმენტური წყაროები აჭარის შესახებ. კრებული „მაცნე“N 4. ბათუმი 1979 წ.
3. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, თბილისი 1979 წ.
4. ქედის რაიონის სოფელ ხერთვისის მკვიდრის ფადიმე კახიძის მონათხრობი. ჩაწერილია ასმათ ბაჯელიძის მიერ 1998 წელს.

მცენარეული ორნამენტი. სვეტის შემკულობა. ზენდიდი,
ქედა. XVII-XVIII ს.ს.

კარი მცენარეული ორნამენტებით
XVII -XVIII.ს.ს. დიდაჭარა. ხულო



კარი ჯვრისა და ბორჯღალოს ორნამენტებით.
XVII-XVIII ს.ს. ჭვანა. შუახევი

ხის ფრამგმენტი ორნამენტირებული. XVIII-XIX ს.ს. ჩხუტუნეთი, ხელვაჩაური

ხის ორნამენტირებული ფრაგმენტი
XVIII-XIX ს.ს. ცხმორისი. ქედა

საშა ლეკვეიშვილი

ქართველი ინტელიგენცია სამუზეუმო საქმიანობაში ეთნოგრაფიის როლის შესახებ

ქართულმა ეთნოგრაფიამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, ხოლო როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. ეთნოგრაფიული ცოდნის საწყისები შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ძვ. წ. აღრიცხვით V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თხზულებებში არა მარტო აღწერილობით ცნობებს ვხვდებით ქართველთა წინაპრებზე, არამედ იმ დროისათვის სერიოზულ თეორიულ მოსაზრებებსაც, სახელდობრ კოლხთა ეთნოგენეზისის შესახებ.

ქართული ეთნოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიკვლეულ უძველეს არქეოლოგიურ მასალას, მდიდარ საისტორიო და სასულიერო მწერლობას. მაგალითად, ცურტაველის „შუშანიკის წამება“ ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლიცაა და V საუკუნის საქართველოს სინამდვილის თვალსაჩინო სარკეც. ასევე ითქმის გიორგი მერჩულეს, ბასილ ზარზმელის, იოანე საბანისძის და სხვა უკვდავ ქმნილებებზე. ქართული ისტორიული ძეგლები: „მოქცევაი ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენენ ეთნოგრაფიული მასალის განზოგადების გასაოცარ ნიმუშებს. აღსანიშნავია ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრებასა ქართუელთა მეფეთსა და პირველთაგანი მამათა და ნათესავთა“, რომელიც მხოლოდ ქართველთა კი არა, მთელი კავკასიის ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის ფასდაუდებელი ნაშრომია.

იშვიათი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვის, შენახვის ტრადიცია, ადრეულ ხანაში წარმოშობილი, საქართველოს ისტორიის შემდეგ პერიოდშიაც გაგრძელებულა და კიდევ უფრო მეტად ცხოველი ხასიათი მიუღია, ოღონდ ახლა წარმართულ ტაძრებსა და ქრისტიანულ ეკლესიებთან ერთად ამგვარი ნივთები სამეფო სალაროებში ინახებოდა და სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა. მაგალითად, ჟამთა აღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხვამლის სამალავში დაცული იყო სამეფოს სალაროდან გადატანილი ძველი დროიდან მომდინარე კოლექციები. აქ ინახებოდა ვახტანგ გორგასალის ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი, თამარ მეფის პირადი ნივთები და სხვა. მეორე ამგვარი სამალავი იყო „მონასტერი სამებისა“, სადაც ინახებოდა მცხეთის ტაძრის განძი.

მნიშვნელოვანია თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა თავის შრომაში „ისტორია ივერიისა ანუ გიორგიისა“, სადაც ის წერს: „...იპოვნეს რაოდენნიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპი მსახურებისა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი გაუხრწნელად იცვობოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა აღა-მაჰმად-ხან ყაჯრისსა, წარწყმედილ იქმნნეს“.

ვახუშტი ბატონიშვილმა XVIII საუკუნეში შექმნა სამაგალითო ნაშრომები: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „საქართველოს ისტორია“, რომელთაც ქართული ეთნოგრაფიისათვის საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება. მან შეძლო მეცნიერულად აესახა საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილე. ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის სინთეზით ერის ეთნოფსიქოლოგიის გარკვევა. ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებანი ფაქტობრივად საქართველოს შესახებ მეცნიერთა აზრით ნამდვილ ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ენციკლოპედიას წარმოადგენს. მისი ნაშრომების პირველი გამომცემელი მარი ბროსე წერდა: „ვახუშტიმ ისე აღწერა თავისი სამშობლო, როგორც არც ერთი აზიური ქვეყანა, გარდა ჩინეთისა, არ ყოფილა აღწერილი“.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იოანე ბაგრატიონი თავის მოხსენებით ბარათში სახელმწიფო რეფორმის შესახებ 1799 წელს მამას - მეფე გიორგი XIII რომ წარუდგინა, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებასთან ერთად მოითხოვდა მუზეუმის დაარსებას.

XIX საუკუნის I ნახევარში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ეთნოგრაფიული მასალების შეკრების მიმართ, რაც კარგად ჩანს „ტბილისსკიე ვედომოსტის“ ფურცლებიდან. მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის მეგობარს თხოვს შეაგროვოს მისთვის დაღესტანში ეთნოგრაფიული საგნები, ხოლო გრიგოლ ორბელიანი ავალებს თავის კორესპონდენტს აფხაზეთში ყურადღება მიაქციოს და აღწეროს ეთნოგრაფიული მოვლენები. ამავე დროს გრიგოლ ორბელიანი წერდა, რომ ის ამაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებს.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ქართველი და კავკასიელი მოყვარული ეთნოგრაფებისა და მხარეთმცოდნეების ცხოვრებაში ახალი ხანა დგება.

რაფიელ ერისთავის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ეთნოგრაფიის სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საპატიო მისია. იგი მიიწვიეს ახლად დაარსებული მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის კურატორად, სადაც მას ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების, სათანადო ფონდების შექმნისა და კატალოგების შემდგენლის მეტად საპატიო მისია დაეკისრა.

რაფიელ ერისთავი პირველი მკვლევარია, რომელიც ეწეოდა წინასწარი პროგრამით განსაზღვრულ ინტენსიურ საველე მუშაობას, უშუალოდ ადგილზე იწერდა ეთნოგრაფიულ მასალას და ადარებდა მას სხვა კუთხეების მონაცემებს. იგი იყო ეთნოგრაფიული სამუზეუმო კოლექციების ერთ-ერთი პირველი შემკრები და, რაც მთავარია, ამ კოლექციების სისტემაში მომყვანი, სამუზეუმო კატალოგის პირველი შემდგენელი, ეთნოგრაფიული კვლევით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევართა კონსულტანტი - მრჩეველი და პროგრამების შემდგენელი. რაფიელ ერისთავი მასალას კრებდა უშუალოდ დაკვირვებისა და გამოკითხვის საშუალებით. მას კარგად ესმოდა მასალის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. მასალის შეკრებამდე იგი გარკვეულ გეგმა-კითხვარს ადგენდა.

რაფიელ ერისთავმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართულ ეთნოგრაფიაში ცალკეულ წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულების სპეციალური კვლევის მეთოდიკა. მის მიერ პირველადაა აღწერილი ყოფის ელემენტები, რომლებიც დღესაც იშვიათობას წარმოადგენს. იგი მიუთითებდა მასალის შეკრების დროს მთხრობელთა ინდივიდუალურ მიდგომას.

შემოქმედებითი მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა რ. ერისთავის სამუზეუმო საქმიანობაც. სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების გამოვლენის, ფიქსაციის, აღრიცხვა-პასპორტიზაციისა და მუზეუმის ფონდებში მისი დაუნჯების, აგრეთვე სათანადო კატალოგის შედგენის პრინციპებში ნათლად ჩანს მკვლევარის თანამედროვე სამუზეუმო საქმიანობის უახლესი მეცნიერული მიღწევების ცოდნა და სათანადო გამოყენება. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა რაფიელ ერისთავის მიერ შეგროვებულ სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას, ორიგინალობასა და კუთხის სპეციფიკურობას, რის მიხედვითაც კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება იმპერიის მასშტაბის ერთ-ერთ წამყვან სამხარეთმცოდნეო-ეთნოგრაფიულ ცენტრად იქცა.

რაფიელ ერისთავი მიჩნეულია ახალი პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ აღიარებულ ფუძემდებლად.

ცნობილმა ეთნოგრაფმა და ლექსიკოგრაფმა თედო სახოკიამ პრაქტიკულად პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილის მეცნიერული კვლევის შედეგების

რეალურ ინტეგრაციას ევროპულ წრეებში, რაც სცილდებოდა უბრალო ინფორმაციულობის ზღვარს და ხელს უწყობდა ქართული ეთნოლოგიის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

თედო სახოკიას ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს ეთნოგრაფიული ნაშრომი „მოგზაურობანი“, რომლის მიზანი იყო ფართო მკითხველისათვის გაეცნო იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა.

მეტად მნიშვნელოვანი იყო სახოკიას მოგზაურობა აჭარაში, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან. ავტორი ზემო აჭარაში გურია-აჭარის მთიდან გადასულა და მისი ყურადღდება მიუქცევია აჭარელთა ეროვნული ცნობიერების საკითხს. აჭარელი გლეხისა თუ წარჩინებული ფენის ყოფა-ცხოვრების ყველა დეტალის აღწერისას თედო სახოკია მრავალგზის უსვამს ხაზს მათ ტრადიციულ ქართულ ხასიათს. აჭარელის კარმიდამო, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი მეურნეობის დარგები და მათი გაძღოლის ხერხები, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები, სისხლის აღების ზნე-ჩვეულება, რწმენა-წარმოდგენები, მშობლიური ენის შემონახულობა და დაცვა, სამშობლო მიწის სიყვარული და ერთგულება, აგრეთვე ყოფის სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები თედო სახოკიას უცილობლად მიაჩნია იმის დასტურად, რომ აჭარის მოსახლეობამ უცხოელ დამპყრობთა უღლის პირობებშიც კი შემოინახა ცხოვრების ქართული წესი – ქართველობა.

ავტორის ამ მონაცემებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ადგილისა და როლის განზოგადოებული შეფასებისას.

გიორგი ჩიტაია ასე აფასებდა თედო სახოკიას შემოქმედებას: „თედო სახოკია თავისი დროისათვის კარგად მომზადებული, გამჭრიახი და გონება მახვილი მკვლევარი-ეთნოგრაფია, მას დაწერილი და დაბეჭდილი აქვს არა ერთი და ორი ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ამასთან ერთად, თედო სახოკია ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი შემგროვებელია. მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული საკოლექციო მასალები სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული, სახელდობრ: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ლენინგრადი), საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების მუზეუმში (პარიზი) და სხვა. თედო სახოკიას არაერთგზის მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ეთნოგრაფიულ ყრილობებში. მის მონაცემებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ქონდა აჭარის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის, ადგილისა და როლის განზოგადოებული შეფასებისას სამხრეთ-დასავლეთ და საერთოდ, საქართველოს უახლეს ისტორიაში“ (ჩიტაია, 1926:29).

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ეროვნული მეცნიერების წამყვანი დარგის – ეთნოგრაფიის პრობლემებით იყო დაინტერესებული ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, რომელთაც ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერ-მკვლევართა ახალი ნაკადი შეემატა. ამ პერიოდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების ფორმირებისა და ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პლატონ იოსელიანს, რომელმაც ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას.

პლატონ იოსელიანის ეთნოგრაფიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ეთნოგრაფიული შენიშვნები“, რომელშიც ვრცლად მიმოიხილავს სახალხო დღეობებსა და წეს-ჩვეულებებს. ნაშრომში განხილული საკითხები პასუხობდა ეპოქის მეცნიერულ დონეს და კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების თვალთახედვით ახლად აღმოცენებული სამეცნიერო დისციპლინის – ქართული ეთნოგრაფიის ორიგინალურ შენაძენს წარმოადგენდა.

საქართველოში ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების თეორიული და მეთოდოლო-გიური საფუძვლები ახალ საფეხურზე აიყვანა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთმა

ფუძემდებელმა დიმიტრი ბაქრაძემ თავის შემოქმედებაში. მისი ნაშრომები „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“ და სხვა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ფასდაუდებელია. ნაშრომებში იგი ერთ-ერთი პირველი იძლევა ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდის ქართული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას.

დიმიტრი ბაქრაძე შეუპოვრად და დაუღალავად იბრძოდა, რათა შეჩერებულიყო ეროვნული კულტურის ძეგლთა გაქრობის პროცესი. „ამას გარდა, დასძენდა დიმიტრი ბაქრაძე, რამდენი გუჯრები, მანუსკრიპტები და ოქმები... ლპებიან ტყუილ-უბრალოდ დაუდევრობის გამო და იკარგებიან... საზოგადო წრეებში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება აზრი ცხოვრების ინტერესებისათვის სიძველეთა დაფანტული ძეგლების ცენტრალურ პუნქტებში თავმოყრის შესახებ... ამ მიზნით ყალიბდება მუზეუმები“... დიმიტრი ბაქრაძის წინადადებით, მუზეუმი უნდა ჩაბარებოდა მუდმივ კომიტეტს, რომელშიც უნდა შესულიყვნენ საქართველოს სიძველეების შესწავლაზე მომუშავე უმაღლესი განათლების მქონე პირები.

დიმიტრი ბაქრაძის შეუპოვარი მოთხოვნების შედეგად მეტად სერიოზულად და მწვავედ დაისვა მუზეუმის შექმნის საკითხი. ეგზარქოსი იძულებული გახდა მუზეუმის შექმნაზე თანხმობა გამოეცხადებინა. 1888 წელს გაიხსნა საეკლესიო მუზეუმი. დიმიტრი ბაქრაძის მითითებათა საფუძველზე ჩამოყალიბებული მუზეუმი ფაქტიურად მასვე ჩაბარდა სახელმძღვანელოდ.

ცნობილი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი წერდა, რომ მუზეუმს საფუძვლად დაედო დიმიტრი ბაქრაძის მიერ შედგენილი წესდება, შედგა მუზეუმის კომიტეტი, რომელშიაც „გროვდება ძველი ნივთეულობა და საუკუნოდ უნდა დაცულ იქნას დროთა შემუსვრისა და გახრწნისაგანო“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) დღეისათვის დაცული მრავალი ასეული ხელნაწერი და ხელოვნების უიშვიათესი განძი დიმიტრი ბაქრაძის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად გადაურჩა ჟამთა სიავისაგან გაოხრებას.

მოსე ჯანაშვილი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე იყო საქართველოს საეკლესიო მუზეუმების გამგე. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების შეგროვებას, არქეოლოგიური ძეგლების სისტემატიზაციას.

მოსე ჯანაშვილი ახალი ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება. მის მნიშვნელოვან ეთნოლოგიურ ნაშრომებად უნდა ჩაითვალოს პირველწყაროზე დაყრდნობით შედგენილი საგაზეთო წერილები, მონოგრაფიები საინგილოსა და აფხაზეთის შესახებ. პუბლიკაციები მიუძღვნა საქართველოს სხვასასხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს.

პეტრე უმიკაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ოსმალთა უღელქვეშ მყოფი, შემდგომ კი ახლადშემოერთებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, აჭარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემებს. არა ერთი ლიტერატურული პუბლიცისტური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის ავტორია. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ზეპირსიტყვიერების პოპულარული, ზოგჯერ კი ახალი, სრულიად უცნობი ნიმუშების – ლექსების, ზღაპრების, გამოცანებისა და ანდაზების შეკრება-გამოქვეყნების საქმეში.

XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ნაყოფიერად მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე.

აღსანიშნავია მისი ეთნოგრაფიული წერილები და ნარკვევები თურქეთის უღლისაგან ახლად განთავისუფლებული სამაჰმადიანო საქართველოს მოსახლეობის საოჯახო და სულიერი

კულტურისა და სოციალური ურთიერთობის ტრადიციული ფორმებისა და ინსტიტუტების შესახებ.

ნარკვევებში აღწერილია სამაჰმადიანო საქართველოს სოფლების, დასახლების ფორმების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სხვა კულტურულ-ყოფითი რეალიების, ტრადიციული ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების, ოჯახისა და ქორწინების ფორმების ვრცელი აღწერილობანი მოსახლეობის მიერ უცხოელ დამპყრობთა მიმართ გაწეული წინააღმდეგობებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო ფონზე.

მნიშვნელოვანი იყო ზაქარია ჭიჭინაძის საგამომცემლო მოღვაწეობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ქართული ხელნაწერების შეგროვება და წიგნების გავრცელება, რასაც იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ახლად შემოერთებულ ქართულ პროვინციებში – აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში.

XIX საუკუნის შუა წლებში დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მიმდინარე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესმა საქართველოშიც ჰპოვა გამოძახილი. 1850 წელს თბილისში დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელთანაც ადგილობრივი საზოგადოების ინიციატივით 1852 წელს ჩამოყალიბდა „კავკასიის მუზეუმი“. მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის პირველი მზრუნველი იყო პოეტი და ეთნოგრაფი რაფიელ ერისთავი, მაგრამ ეს წამოწყება მეფის რუსეთის მთავრობამ ჩაახშო და მუზეუმმა 1856 წელს არსებობა შეწყვიტა. კავკასიის კოლექციების ბაზაზე 1865 წელს თბილისში დაარსდა „კავკასიის მუზეუმი“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გ. რადე. მის დროს მუზეუმში ბატონობდა ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების რასისტული და ანტიკვარული მეთოდი. საუკეთესო ეთნოგრაფიული კოლექციები უცხოეთის მუზეუმებში (ჰამბურგი, ლაიფციგი, ბერლინი) იგზავნებოდა.

ქართველი მოწინავე საზოგადოება არ ურიგდებოდა სამუზეუმო საქმიანობაში შექმნილ რთულ ვითარებას და გულმოდგინედ იბრძოდა ეროვნული მუზეუმის დაარსებისათვის.

მეცნიერის, მკვლევარის, წყაროთმცოდნის, აკადემიკოსის, ღვთისკაცის, საქართველოს საგანძურის მცველის ექვთიმე თაყაიშვილის მიზანი იყო საქართველოსა და მისი კულტურის ისტორიის კვლევა, სათანადო ძეგლების დაუღალავად შეგროვება, შესწავლა, გამოქვეყნება და საბოლოოდ ეროვნულ მუზეუმში თავმოყრა.

1905 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა შემოიკრიბა წლობით ნაცადი თანამოაზრეები და დაარსეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. შეიმუშავეს წესდება, რომელიც 1907 წელს დაამტკიცა მთავრობამ. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მთავარ მიზნად ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა მუზეუმისა და წიგნთსაცავის დაარსება. 1908 წელს აგებულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მისმა მესვეურებმა დაუთმეს საზოგადოების მუზეუმს ჯერ ერთი ოთახი, შემდეგ კი ექვთიმეს გულმოდგინე ცდით, მესამე სართულის მთელი მარჯვენა ფრთა, რომელშიც გადმოვიდა წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკა და საეკლესიო მუზეუმი. ამრიგად, სამ მეზობლად მდებარე დარბაზში მოთავსდა სამი სხვადასხვა ქართული მუზეუმი. 1917 წლის ბოლოსათვის მუზეუმს ჰქონდა 2432 არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთი.

ექვთიმე თაყაიშვილის მიზანი იყო ეროვნულ მუზეუმს საკუთარი შენობა ჰქონოდა. დაიწყო ქართველი მეცენატის მოძებნა. მუზეუმის აშენება თავისი ხარჯით იკისრა სარაჯიშვილმა, მაგრამ სიცოცხლეში ვერ მოასწრო და ანდერძით დაუტოვა სათანადო თანხა. თბილისის თავადაზნაურობის კრებამ სამუზეუმო კომისიის თხოვნით გამოუყო მას 50 000 მანეთი, მაგრამ აქედან მხოლოდ 15 000 მისცა. აღნიშნული ფულითა და წერა-კითხვის საზოგადოების თანხით შეძენილ იქნა „ფიქრის გორა“, იმ აზრით, რომ სულ მალე ქართული უნივერსიტეტის შენობის

პირისპირ აღიმართებოდა ქართული მუზეუმის შენობაც. ეს ჩანაფიქრი ჩაიშალა, მაგრამ შემდეგ ყოფილი კავკასიის მუზეუმი იქცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმად, რომლის დებულების შედგენაში მონაწილეობა მიიღო ექვთიმე თაყაიშვილმა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მუზეუმს შენობა აუგეს (ახლანდელი), სულ მალე მას ხელოვნების დიდი მუზეუმიც შეემატა.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1921 წელს შეწყვიტა არსებობა. ამავე წელს ექვთიმე თაყაიშვილი საზღვარგარეთ გაჰყვა იქ წაღებულ სამუზეუმო ქონებას, რათა მისი სიტყვით რომ ვთქვათ: „დაიცვას იგი ყოველგვარი მოულოდნელი და მოსალოდნელი საშიშროებისაგან“. რაც შემდგომ წლებში დადასტურდა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ საზღვარგარეთიდან ჩამობრუნებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა გულწრფელად გამოხატა თავისი ზნეობრივი კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენი ერის კულტურული საუნჯის – მათ შორის მის მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილი კოლექციების დაცვა-შესწავლა საიმედო დაწესებულებათა და მუშაკთა ხელთ იყო.

ექვთიმე თაყაიშვილი სხვა უდიდეს სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ღირსეულად ითვლება ქართული სამუზეუმო საქმის ფუძემდებლად.

ილია ჭავჭავაძემ თავისი მოღვაწეობის პირველივე წლებიდან მიაქცია ყურადღება სამუზეუმო საქმიანობას, მისი აზრით ქართველი ხალხის ისტორიის დაწერა შეუძლებელია, თუ არ იქნება შეკრებილი ხალხის წეს-ჩვეულებები, ადათები. მისივე მეთაურობით ჩამოყალიბდა ეთნოგრაფების ჯგუფი, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

ილია აღფრთოვანებით შეხვდა საეკლესიო მუზეუმის გახსნას: „ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაენერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს“, - წერდა იგი 1887 წელს სტატიაში „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“. ეს იყო პროგრამული დოკუმენტი ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე იყო თავისი ეპოქის საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი, ეთნოგრაფიული კვლევის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, ადამიანი, რომელმაც რაფიელ ერისთავთან, ნიკოლოზ ხიზანიშვილსა და სხვებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა ეთნოგრაფიის მეცნიერებების – ამ დარგის დებულებები და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ილიამ შეძლო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელთა კვალიფიციური კადრები და ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისა და კვლევა-ძიებისათვის ფართო მასშტაბები მიეცა. მოპოვებული მასალა იმდროინდელ პრესაში შუქდებოდა.

ილია ჭავჭავაძე ყურადღებას აქცევდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებას, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში. მისი შეხედულება ხალხის ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე, ხალხური სიმართლის ტრადიციულ ფორმებზე, მის ადგილსა და როლზე ცხოვრების ქართული წესის ფორმირების პროცესში ეპოქალური თეორიული კვლევა-ძიების დონეზეა წარმოჩენილი.

იგი აღნიშნავდა, რომ ეთნოგრაფიას აქვს არა მარტო შემეცნებითი ფუნქცია, არამედ, მასთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, ხალხის ყოფის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეს ფორმულირებული წინამძღვრები მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეტის თანადროულ დემოკრატიულ იდეებთან და საფუძვლად დაედო იმ პერიოდში საქართველოში ეთნოგრაფიის განვითარებას.

XIX საუკუნის II ნახევარში ეთნოგრაფია წარმოადგენდა საზოგადოებრივი აზრის განვითარების ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს, რომლის მედროშედ ილია ითვლებოდა.

აკაკი წერეთელმა წარუშლელი კვალი დააჩნია XIX საუკუნის საზოგადოებრივი მოძრაობის ყველა სფეროს. უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის სოციალური და ეროვნული განვითარების, საზოგადოებრივი თვითშეგნების გაღვიძებისა და კულტურული აღორძინების საქმეში.

ქართულ ხალხურ შემოქმედებას პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მიაჩნდა, რომ საქართველო უძველესი დროიდან მოყოლებული „იყო ხიდად და გზად იმ დიდი მოძრაობის დროს, როდესაც სხვადასხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველესი დროიდან ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწმე“, და ბუნებრივია, ყოველივე ეს ხალხურ შემოქმედებაში აისახებოდა.

აკაკიმ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით შეძლო დაეარსებინა სპეციალური ყოველთვიური ორგანო „კრებული“, რომელმაც 3 წელს (1897-1900) იარსება. კრებულის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ლეგენდები და წერილები ხალხური შემოქმედების შესახებ. აკაკი იყო არა მარტო ხალხური შემოქმედების უბადლო შემკრები და პატივისმცემელი, არამედ ის იყო ფოლკლორის მკვლევარიც და გამომყენებელიც. მის ყველა წერილსა და დოკუმენტურ პროზაში ეთნოგრაფიულ მასალას დიდი ადგილი უჭირავს.

აკაკის სიტყვით „ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულობა, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რასაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოდ, ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისი ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა“.

1913 წლის 30 მარტს თბილისის ქართულ თეატრში სალიტერატურო საღამოზე აკაკიმ წაიკითხა მოხსენება „ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა“, სადაც მან ჩამოაყალიბა რამდენიმე ძირითადი თეზისი. აკაკი წერეთელი ხალხურ პოეზიას მაღალ ხელოვნურ მოვლენად თვლიდა. „ხალხური შემოქმედება გენიოსობამდე აღწევს, ისინი ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტებს ქმნიდნენ. ხალხი შეუდარებელია, გენიოსია არა მარტო ლირიკული საურათების დახატვაში, არამედ საკაცობრიო იდეების წარმოსახვაშიც“. აკაკის ეს შეხედულება ქართულ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაზე უცილობლივ ვრცელდება ქართულ სინამდვილეში დაუნჯებულ ყოფისა და კულტურის რეალიებზე, მათი აღნუსხვის, გადარჩენისა და მომავალი თაობებისათვის შემონახვის აუცილებლობაზე.

აკაკი წერეთლის პუბლიცისტურ-მეცნიერული შემოქმედებიდან ჩანს, რომ თერგდალეულ ლიდერებთან ერთად, პოეტის ღვაწლს საქართველოს ეთნოლოგიის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესში ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნდა.

საქართველოში ეთნოგრაფია დამოუკიდებელ მეცნიერებად XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში მეცნიერულ კვლევა-ძიებას სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება, სადაც თავმოყრილი იყო ყოფილი „კავკასიური მუზეუმის“, „კავკასიის მუზეუმის“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის და სხვა ეთნოგრაფიული კოლექციები. აქვე მოღვაწეობდა ფორმირების პროცეში მყოფი ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების მცირერიცხოვანი ჯგუფი.

ეთნოგრაფიის ცალკეული პრობლემების მეცნიერულ კვლევაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს.

1921 წლის 24 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა სახელმწიფო მუზეუმის შემსწავლელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. კომისიას დავალებული ჰქონდა მუზეუმის ყოველმხრივი შესწავლა. კომისიამ მუშაობა იმავე წლის 13 დეკემბერს დაამთავრა. დასკვნაში, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მიერ იყო დაწერილი, მოცემული იყო მუზეუმის ისტორიის მიმოხილვა, მისი მდგომარეობა და ოპტიმისტური პერსპექტივები.

კავკასიის მუზეუმში უმეტესი წლის მანძილზე „არც ერთი ქართველი თანამშრომელი, დარაჯიც კი არ მოიპოვებოდა“. პირველი და ერთადერთი ქართველი თანამშრომელი იყო გეოლოგი ნ. ყიფიანი 1913 წლიდან.

1926 წლის 27 ივნისს საზოგადოების საგანგებო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ივანე ჯავახიშვილი დიდი სინანულით უსვამდა ხაზს საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევის ჩამორჩენილ მდგომარეობას და აუცილებად მიიჩნევდა საზოგადოების მუშაობაში ამ ნაკლის სასწრაფო აღმოფხვრას.

1931 წლის 27 სექტემბრიდან საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. მუზეუმში მის მისვლას თან მოჰყვა მთელი რიგი ახალი წინადადებების წამოყენება და შემდეგ მათი დანერგვა მუზეუმის მუშაობაში.

საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერებების საბოლოო ჩამოყალიბების საქმეში ივანე ჯავახიშვილი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შემდგომ გაშლა-გაფართოებასა და მასში ახალგაზრდა კადრების ჩაბმის საკითხს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვების დროს მის აღნუსხვას, ტექნიკურ მხარეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ სიტყვიერად ჩაწერილი ნივთებისა და იარაღების ფოტოსურათების გადაღება თუ არქიტექტურული ჩანახატებისა და ჩანახაზების ფიქსაციასთან ერთად საჭიროა იმის ჩაწერა თუ ვისთან ინახება ესა თუ ის ნივთი, მათი მუზეუმისათვის შეძენის შესაძლებლობა და ამასთანავე საჭირო იყო ჩაწერილი მასალის ტექნიკური პასპორტიზაციაც – კერძოდ, მომთხრობელის გვარის, სახელის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის ზუსტი ჩვენება და სხვა.

სამუზეუმო კოლექციების შეგროვებასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულად ზრუნავდა მათ დაცვაზე. თითოეულ სამუზეუმო ნივთს იგი განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მისთვის მუზეუმი ისეთ სამეცნიერო ლაბორატორიას წარმოადგენდა, რომელიც მოწოდებული იყო ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგების გამოფენის მეშვეობით ხალხში, ფართო მასებში გაევრცელებინა.

ივანე ჯავახიშვილი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი შეხედულებისა და უდიდესი ძალისა და ენერგიის წყალობით შეძლო მრავალრიცხოვანი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციების ორგანიზება, რომელთა მონაწილეებმა ფეხდაფეხ შემოიარეს საქართველოს ყოველი კუთხე და კუნჭული და მრავალფეროვან მასალებთან ერთად მოახერხეს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველი უნიკალური რეალიების ფოტო და არქიტექტორული ფიქსაცია.

დიდია ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერის მთავარი მომენტის – რესპოდენტთან ინტერვიუს ანუ ეთნოგრაფიული მასალის უშუალო მოძიებისა და ჩაწერა-ფიქსაციის მეთოდის მიმართ. მკვლევარი დიდ ყურადღებასა და გამოცდილებას მოითხოვდა რესპოდენტისა და ჩაწერილი მასალის, მოპოვებული სამუზეუმო კოლექციების პასპორტიზაციის და სათანადო კატალოგიზაციის პროცესების მიმართ, რაც თავად ჩამწერ-ინტერვიუერის მაღალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მომზადებას ითვალისწინებდა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „სამუზეუმო მუშაკს სამი თვისება უნდა ჰქონდეს: 1) ის მეცნიერი მკვლევარი უნდა იყოს; 2) მან სამუზეუმო ექსპონატების დაცვა-კონსერვაციის წესები და საშუალებაც უნდა იცოდეს, ყველამ თეორიულად, ზოგმა მათგანმა კი საგანგებოდ პრაქტიკულადაც; 3) მან მუზეუმის როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანებიც კარგად უნდა იცოდეს და სამუზეუმო საგნების გამოფენის, ექსპოზიციის პრინციპებიც“. იგი თვლიდა, რომ გამოფენას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ივანე ჯავახიშვილი მხარს უჭერდა იმას, რომ მუზეუმი ასრულებდეს თავის მნიშვნელოვან ამოცანას: კრებდეს, უვლიდეს და იცავდეს კულტურულ ფასეულობებს. ამავე დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული მეცნიერების განვითარებასა და მისი მონაპოვრების პოპულარიზაციაში სამუზეუმო საქმიანობას. სხვადასხვა მასალებსა და კოლექციებზე დაყრდნობით დაიწერა ივანე ჯავახიშვილის არაერთი ისტორიულ ეთნოგრაფიული გამოკვლევა, რომელთაც თავის დროზე უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ახალგაზრდა ქართული ეთნოგრაფიის პრობლემურ მიმართულებათა განსაზღვრის საქმეში.

ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებელს ივანე ჯავახიშვილს XX საუკუნის დასაწყისიდანვე საგანგებო ღვაწლი მიუძღვის, იმ დროს ჯერ კიდევ რთული სამეცნიერო-ორგანიზაციული პრობლემების წინაშე მდგომი ქართული ეთნოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩამოყალიბების საქმეში.

სამუზეუმო საქმიანობა ეთნოგრაფიული მუშაობის განუყრელი ნაწილია. კოლექციების გამოვლენა-შეკრება და მათი დაუნჯება-დამუშავება მეცნიერული საქმიანობის რთული, სპეციფიკური სახეა, რომელიც ორ მიზანს ისახავს: ნივთის შთამომავლობისათვის შემონახვას და მის სამეცნიერო წყაროდ ქცევას. სრულყოფილად ფიქსირებული ექსპონატი ისტორიული დოკუმენტის ძალას იძენს, იგი მხოლოდ სამუზეუმო რელიქვია კი არ არის, არამედ მარადმეტყველი, სანდო საბუთი. ეთნოგრაფიული ნივთი კაცობრიობის კულტურის ელემენტი და „ადამიანის შრომის ჯამია“. მის შექმნაში ჩაქსოვილია მწარმოებლის შესაძლებლობა, განპირობებული მისივე განვითარების დონით.

გიორგი ჩიტაიას სახელთანაა დაკავშირებული თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური სკოლის შექმნა და ჩამოყალიბება, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება. იგი იყო საქართველოს ეთნოგრაფიის ძირითადი მეცნიერული პრობლემებისა და მიმართულებების განმსაზღვრელი, მათი ერთ-ერთი მკვლევარი, რომელზედაც შემდგომ მთელი თაობები აღიზარდნენ და ქართული ეთნოგრაფია თავისი მიღწევებითა და წარმატებებით მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს.

1922 წლიდან გიორგი ჩიტაიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1938 წლიდან კი ამავე მუზეუმში საქართველოს ეთნოგრაფიის ფართომასშტაბიანი საველე და კამერალური კვლევა-ძიების პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის წარმატებებს საქვეყნო და საერთაშორისო ასპარეზზე.

გიორგი ჩიტაია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას, როგორც ეთნოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებათა განვითარების ფუნდამენტურ საყრდენს.

გიორგი ჩიტაიას კლასიფიკაციით ეთნოგრაფიული ძეგლები ორგვარია: ადგილზე დასაცავი (ეთნოგრაფიული ნიშან-თვისებების მატარებელი – ქალაქი, სოფელი, უბანი, ქუჩა, კარ-მიდამო, ნაგებობა და ა.შ.) და მუზეუმში გადმოსატანი (საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულებების ნივთები). პირველი რიგის ძეგლები ეთნოგრაფიის ნაკრძალთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ხოლო მცირეთაგან მუზეუმში დასაუნჯებელი ექსპონატები შეირჩევა.

ახალი ქართული ეთნოლოგიის მიზნებსა და ამოცანებს, მის თეორიულ და მეთოდოლოგიურ წინამძღვრებს გიორგი ჩიტაიამ მიუძღვნაა ისეთი ფუძემდებლური ნაშრომები, როგორიცაა „სვანური საკურცხილი“ (1925 წ.) და „ქართული ეთნოლოგია“ (1926 წ.).

გიორგი ჩიტაიამ გადაუდებელ ამოცანად გამოაცხადა საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ეფექტური მეთოდის შემუშავება და ჩამოყალიბების. სამი პრინციპი: ტოტალური დესკრიფცია, ეთნოსპეციფიკა და ისტორიზმი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ძირითად ნიშანთვისებად იქცა, რამაც განაპირობა მისი აღიარება ევროპულ სამეცნიერო წრეებში.

ამ მხრივ ჩვენში არსებული ვითარება გიორგი ჩიტაიას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რაც მას არც თუ ისე ოპტიმისტურ განწყობას უქმნიდა. „ჩვენი ძველებური ზნე-ჩვეულებები და მატერიალური კულტურის ობიექტები, დღემუდამ ხელიდან გვეცლება, სამუდამოდ ქრება და ჩვენ ვერ მოგვიხერხებია და ვერც გვითავებია, რომ მათი ათვლა-აღრიცხვა მაინც მოგვესწრო... ამგვარი ეთნოგრაფიული დეტალები კი, ჯერჯერობით, ბედად გადარჩენილი, ჩვენში მრავლად მოიპოვება და ჩვენი გადრდაუვალი მოვალეობაც სასწრაფოდ შევაგროვოთ ეს წვრილმანი მაინც, რომ მეცნიერებას მათი შესწავლისა და გამოკვლევის საშუალება მიეცეს... დრო საშურია, დაყოვნება - დანაშაული, მეცნიერების და სისწორით გაგებული ეროვნული თავმოყვარეობის სახელით ეს საქმე უნდა გაკეთდეს, თუ არ გვსურს მომავალმა შეგნებულმა თაობამ ქვა და გუნდა მოგვაყაროს“, - წერდა იგი.

გიორგი ჩიტაიას თაოსნობით თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეთნოგრაფიის კათედრა (1940 წ). გაიხსნა ებრაელთა ეთნოგრაფიის მუზეუმი თბილისში, საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმი (1966 წ.). ხელმძღვანელობდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების დაარსებას საქართველოში. შექმნა პირველი სალექციო კურსი – ზოგადი ეთნოგრაფიის შესავალი. დააზუსტა ეთნოგრაფიის საგნის მიზნები და ამოცანები, შეიმუშავა საველე-კამერალური ეთნოგრაფიის კვლევა-ძიების ახალი „კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი“. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევაში.

ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პროცესში ქართველმა ხალხმა შექმნა ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი ისეთი მონაცემები, რომლებიც შეადგენენ ქართველი ხალხის კულტურის ძირითად ფონდს. ეთნოგრაფიულ ყოფაში წარმოდგენილი ამ ფონდის შემადგენელი მრავალი მონაცემი ასახულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში.

რა გვქონდა ძველად და რა გამოდგება დღეს – ეს არის ის პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს ქართულმა ეთნოგრაფიამ. ეს შეეხება, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ყველა სფეროს. ეთნოგრაფიული მეცნიერება ახალ ყოფას უნდა სწავლობდეს ძველთან მოუწყვეტლივ, მასთან მჭიდრო კავშირში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გეგეშიძე მ. გიორგი ჩიტაია, თბილისი 1980 წ.
2. დუმბაძე მ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი 1950 წ.
3. ითონიშვილი ვ. ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები. თბილისი 1989 წ.
4. ლომთათიძე გ. ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი 1990 წ.
5. მეგრელიძე ი. ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი 1978 წ.
6. ჟორდანია გ. კავკასიური მუზეუმის დაარსება. თბილისი 1951 წ.
7. საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოფენა. თბილისი 1958 წ.
8. სურგულაძე ა. ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისი 1977 წ.
9. ფრუიძე ლ. ყოფა და ტრადიციები. თბილისი 1981 წ.
10. შამილაძე ვ, მიმინოშვილი ო. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ტ. I, თბილისი 2009 წ.
11. ჩიტაია გ. ქართული ეთნოლოგია, ტფილისი 1926 წ.
12. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, I ნაწ, თბილისი 1979 წ.
13. ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბილისი 1984 წ.
14. ჭყონია ი. საქართველოს ეთნოგრაფიული თავკაცი. – „მაცნე“ – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია № 2, თბილისი 1981 წ.
15. ქსე, ტ. IV, თბილისი 1979 წ.

რაფიელ ერისთავი



დიმიტრი ბაქრაძე



ზაქარია ჭიჭინაძე

თედო სახოკია

ილია ჭავჭავაძე



აკაკი წერეთელი



ექვთიმე თაყაიშვილი

ივანე ჯავახიშვილი

გიორგი ჩიტაია

შორენა მახარაძე

ქალის სამკაული აჭარაში

ქართული სამკაული ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. სამკაული პრაქტიკული დანიშნულების გარდა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სოციალურ და ქონებრივ მდგომარეობას, გამოხატავს ეროვნულ, სქესობრივ, ასაკობრივ თავისებურებას და ესთეტიკურ გემოვნებას.

სამკაული ადამიანის თანმდევი ატრიბუტია და ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანი. თუმცა ვერავინ განსაზღვრავს იმ დროს, როცა ადამიანმა უბრალოდ პირველად აიღო და თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მუდმივ სამშვენისად გაიხადა. სამკაულში ყველაზე ნათლად აისახება ერის თუ საზოგადოების კულტურა. სამკაულები არ არის მხოლოდ სამშვენისები პირდაპირი გაგებით, სამკაულებში ასახულია ის რელიგიური რქმენა-წარმოდგენები და ისტორია, რომელიც საქართველოს ამა თუ იმ ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი (ლორთქიფანიძე,2015:25).

დღეს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს სამკაულად მიჩნეულია სამხრეთ აფრიკაში, ბლომბოსის გამოქვაბულში აღმოჩენილი ნიჟარის მძივები, რომლებიც დაახლოებით 100 000 წლით თარიღდება. ხოლო საქართველოში ერთ-ერთი პირველი ექსპონატი, რომლის შესახებ ანტიკური კულტურის მკვლევარი ნინო ლორთქიფანიძე ადასტურებს, იმერეთში ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი ძველი ქვის ხანით დათარიღებული ძვლის ფირფიტის საკიდია.

საქართველო საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კერაა. იგი სამართლიანად ითვლება ლითონის დამუშავების ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ მსოფლიოში. არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ აქ ადამიანები სპილენძს ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში ამუშავებდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა, კერძოდ ხალიბებმა (სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ტომთა ერთი ჯგუფის სახელწოდება ანტიკური ხანის მწერლების ცნობებში, ჰეროდოტეს და სტრაბონის მოსაზრებით) უკვე იცოდნენ ბრინჯაოს დამზადება, ეუფლებოდნენ სხვა ლითონებსაც: ტყვიას, ვერცხლსა და ოქროს (სტრაბონის გეოგრაფია, 1957: 120-124).

საქართველოში ოქრომჭედლობას აღმავალი ხასიათი მიეცა ძვ.წ. II ათასწლეულში, რომლის უბრწყინვალესი ნიმუშია საყოველთაოდ ცნობილი თრიალეთური კულტურის ვერცხლისა და ოქროს ნივთები, რომლებშიც გამოვლენილია ოქრომჭედლობის ყველა ხერხი: გავარსი, გრანულაცია, მორჩილვა, გრეხილი, დაფანჯვრა, თვლებით ინკუსტრაცია. ამ რიგის უბრწყინვალესი ნიმუშია თრიალეთში აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი გავარსიანი ოქროს ყელსაბამი-სარდიონისა და აქატის დაზოლილი ქვებით.

განსაკუთრებით ოქრომჭედლობა გაძლიერდა ძვ.წ. II ათასწლეულში. საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულის განხილვა გვიჩვენებს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის აქაური ოქრომჭედლები უკვე ფლობდნენ ლითონის დამუშავების უმთავრეს ხერხებს-ჭედვას, ჩამოსხმას, რჩილვას. ამ მხრივ აღსანიშნავია ალაზნის ველზე ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნი ლომის ოქროს ქანდაკება.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით საოქრომჭედლო ნაწარმი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარში. ვანის ნაქალაქარის სამარხები საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეების ქვეყნის ახლო მეზობელი ცენტრების (ეგვიპტე, ირანი, კვიპროსი) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველ დროში არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა მძლავრი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების (რჩილვა, ჭედვა, გავარსი, ტვიფრვა) გამოყენებით საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე

ნიმუშებს. ამათგან ოქომჭედლობის შედევრს წარმოადგენს კოლხი ქალის დიადემა, რომელიც თავისი ფორმით წმინდა კოლხურია. შექმნილია ძვ.წ. V საუკუნეში სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობი ოსტატის მიერ. დიადემაზე წარმოდგენილია ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური საბერძნეთის ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი ცხოველთა ბროლისა. ისინი საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისათვის იყო განკუთვნილი. დიადემა თავსაბურავზე მაგრდებოდა და არა შიშველ თავზე. უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი ანალოგი ვანის დიადემისა არ მოიპოვება.

საინტერესო და ყველასთვის საყურადღებოა ვანში აღმოჩენილი ოქროს გავარსიანი ნივთები. კუს გამოსახულებით შემკული ყელსაბამი, 0,1-0,2 მმ დიამეტრის ოქროს ბურთულები დიდი სიზუსტით არის ჩამოსხმული ნივთების ზედაპირზე. დიდი კუს გარდა ყველა დანარჩენი გამოსახულება მირჩილულია ოქროს მძივებზე და აქვს ცისფერი პასტით ინკუსტრირებული თვლები. ეს ყელსაბამი კლასიკური ოქრომჭედლობის ეპოქის ერთ-ერთი შედევრია.

ქართული საიუველირო ხელოვნების ცენტრი ძირითადად მცხეთა უნდა ყოფილიყო. ხელოვნების შედევრს შეიძლება მივაკუთვნოთ არმაზის ხევის ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის უამრავი ნივთი. ნაპოვნია სხვადასხვა სამკაული, საბეჭდავი-ბეჭდები, სატევრები, დიადემები, ბალთები, საყურეები, ყელსაბამები და ასე შემდეგ. ამ დროის ოსტატები კარგად დაეუფლნენ დაზგაზე ჭრის ტექნიკას, ხდება ნაკეთობათა ინკუსტრაცია ძოწისა და სარდიონის ქვებით, აგრეთვე ცისფერი პასტით.

X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლება. ამ პერიოდში არნახულ გაფურჩქვნას მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ეკლესიების კედლებზე შემონახული მხატვრობა ადასტურებს სამკაულის წარმოების აღმავლობას. ამ დროისათვის შემოგვრჩა მხოლოდ რამოდენიმე ოქროს ნივთი და სადა ოქროს ჯვარი, რომელიც თამარ მეფის ჯვრის სახელითაა ცნობილი. ჯვარი შემკულია ხუთი ბრტყელი ლალით, ოთხი დაწახნაგებული ზურმუხტით და ექვსი მარგალიტით. ჯვრის უკანა პირზე სევადით გამოყვანილი ასომთავრული წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ მისი მფლობელი მეფეთ-მეფე თამარი იყო. სიცოცხლეში თამარ მეფე ამ ჯვარს არ იშორებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჯვრისთვის დაამზადეს ტიხრული მინანქრით შემკული სპეციალური ყუთი-სტავროთეკა და როგორც ქართველი ხახლხის ერთ-ერთი უწმინდესი სალოცავი, გადასცეს გელათის მონასტერს. იგი 1921 წლამდე ინახებოდა მონასტერში, სანამ სხვა სამუზეუმო ფასეულობასთან ერთად არ გაიტანეს საფრანგეთში. 1945 წელს განძი დაუბრუნდა ქართულ კულტურას.

ქართველი ოქრომჭედლები, რომლებიც მოღვაწეობდნენ XII-XIII საუკუნეებში, იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები. დღემდე შემორჩენილია ბექას მხოლოდ ორი ნაწარმოები-ანჩისხატის ჩარჩოს მოჭედილობა და წყაროსთავის სახარების ყდა. რაც შეეხება ბეშქენ ოპიზარს, მისი ნამუშევარია ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედილობა, რომელიც გელათის მონასტერში ინახებოდა (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია).

XIV-XVIII საუკუნეების ქართული ხელოვნება, მათ შორის ოქრომჭედლობა მოექცა ერთი მხრივ ირანისა და მეორე მხრივ ევროპული კულტურის გავლენის ქვეშ. ამის კვალია ირანული ფირუზის მოჭარბება და მინანქრის მოხატულობის გაჩენა ქალის სამკაულში. მოხატული მინანქარი ქართულ ოქრომჭედლობაში რუსეთიდან გავრცელდა.

XIX საუკუნეში ჩვენში ოქრომჭედლებს-იუველირს რატომღაც მებრილიანტეს უწოდებდნენ. თბილისსა და ქუთაისში არსებობდა პროფესიული ამქარი, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ოსტატები, შეგირდები. ჰქონდათ ამქართა დროშები.

XIX საუკუნის თბილისი რჩებოდა ხელოსნობისა და მათ შორის ლითონის მხატვრული დამუშავების არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის უდიდეს ცენტრად. ქართველი

ხელოსნების გვერდით ლეკი და სომეხი ხელოსნები მუშაობდნენ. ოქრომჭედლობის მეორე მსხვილი ცენტრი საქართველოში ახალციხე იყო, რომელიც ცნობილი გახლდათ თავისი ფილიგრანული ნაწარმით.

ქართული სამკაულის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აჭარელი ქალის სამკაულს. სამწუხაროდ აჭარელი ქალის სამკაულის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. აჭარელი ქალის სამკაული მრავალსახოვნებით ხასიათდება. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აჭარელი ქალი უმეტესად ვერცხლის სამკაულებს ეტანებოდა, მაგრამ მათ გვერდით ოქრო-სპილენძისა და მძივ-მონეტებისაგან გაკეთებულ სამკაულსაც ხმარობდა. სამკაულს ატარებდნენ როგორც სადღესასწაულოდ, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მიუხედავად ზოგიერთი უცხოური გავლენისა, სამკაულმა აჭარაში შემოინახა ადგილობრივი თავისებურებანი. სამკაულში, მათი ტარების წესებში ამოიკითხება ქალის სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, ასაკობრივი განსხვავება.

სამკაული და საერეთოდ, საიუველირო ნაკეთობანი აჭარაში ძირითადად შემოჰქონდათ ახალციხიდან, თურქეთის სხვადასხვა რაიონებიდან, რის შედეგადაც შეინიშნება ნასესხები ფორმები. საოქრომჭედლო სახელოსნოები ბათუმისა და ახალციხის გარდა არსებობდა ხერთვისში, აწყურსა და ახალქალაქში.

აჭარაში გავრცელებული სამკაულების შესწავლით ირკვევა, რომ სამკაულის მასალად გამოყენებულია ფირუზი, ლალი, მარჯანი, ფერადი მინა. ფერებიდან ჭარბობდა ცირსფერი, წითელი, მწვანე, უფრო ხშირად არის გამოყენებული ფერადი მინის მძივები და ინკუსტრირებული თვლები.

ზემო აჭარაში სხვადასხვა ძვირფას ქვებს ძველთაგანვე მიაწერდნენ მიზნობრივ და მაგიურ მნიშვნელობას. ამა თუ იმ ფერის ქვის ტარება განპირობებული იყო არა მარტო ესტეთიკური თვასაზრისით, არამედ ავადმყოფისა და ავი თვალისაგან დაცვის ფუნქციითაც. თვლიდნენ, რომ ქარვა, მარჯანი, ფირუზი სასარგებლო გავლენას ახდენდა ადამიანზე. გადმოცემით, ზემო აჭარაში სხვადასხვა ფერის ქვების გამოყენებას, უკანასკნელ წლებში მაინც, ესთეტიკური მხარე განაპირობებდა. სამკაულებს ჩამოეცალა თავისი პირველადი ფუნქცია და გაიზარდა ესთეტიკური მხარე, თვით ნივთები კი გადაიქცნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშად. მხოლოდ ზოგიერთებმა შეინარჩუნა თავისი პირველადი მნიშვნელობა, მაგალითად, ჰამაილმა (სამსონია, 2005: 82), რომელსაც ავი თვალისაგან დაცვის მიზნით უკეთებდნენ ადამიანებს. იგი მზადდებოდა სამკუთხა ან ოთხკუთხა წითელი ფერის ფარჩის ქსოვილისაგან და შემკული იყო სხვადასხვა ფერის ძაფებით, მძივებითა და ოქროსფერი კლიტებით.

აჭარელი ქალის სამკაული როგორც დანიშნულების, ასევე მოხმარების წესის მიხედვით იყოფა: თავის, ყელის, გულის, ხელისა და წელის სამკაულად.

ექსპედიციების დროს ზემო აჭარაში მეცნიერების მიერ მიკვლეული და შესწავლილია ყელსაბამი ჯიღჯიღა, ბეჭედი, საყურე, მინის მძივი, კორდომი (გულსაკიდი), მონეტების ყელსაბამი, ვერცხლის ქამარი, ქამრის ბალთა, ვერცხლის ძეწკვი.

მონეტები მიმაგრებული იყო ლეჩაქის იმ ნაწილზე, რომელიც შუბლზეა გადმოშვებული. მიღებული იყო სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის მძივებით შემკობა პატარძლის საწორქილო თავსაბურავის იმ ნაწილისა, რომელიც შუბლს ეფინებოდა.

თავსამკაულის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა საყბური. საყბურად იყენებდნენ ქარვისა და სხვადასხვა ფერის წვრილი მძივების გრეხილს. მძივებს აასხამდნენ ძეწკვზე ან მსხვილ ძაფზე. შემდეგ რამოდენიმე ასხმას ერთმანეთზე გადაგრეხდნენ და საყბურის ბოლოებს ფენის ნაპირებზე მიამაგრებდნენ. პატარძალი საყბურს 30 წლამდე ატარებდა.

ძველ საქართველოში საყბური იხმარებოდა საყბეურის სახელწოდებით. მაგალითად, ანას, ქსნის ერისთავის ასულის მზითვის წიგნში ნათქვამია: „გამოგვიტანებია პატიოსანი გაიდელი მისის... საყბეურითა...“ (ჯავახიშვილი, 1962: 148).

ქალის სამკაულთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული ელემენტია საყურე, ანუ როგორც ძველად ეწოდებოდა-საყური. საბას განმარტებით „საყური ყურის სამკაულია“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1966: 98). ჯავახიშვილი კი წერდა: „საყური სპარსულია“. საყურე მზითვის წიგნებშიცაა მოხსენებული, მაგალითად, პატიოსანი საყურე ბადახშანის ლალისა, მისის ორის მარგალიტითა, მისის პატიოსანის ჯინჯილითა, ორმოცისა ფარსანგის იაგუნდითა, მისის ფირუზქარითა, მისის ოთხის ნიშაბურის ფირუზითა“ (ჯავახიშვილი, 1962: 150).

ზემო აჭარაში 6-7 წლის ასაკიდან გოგონებს ყურებს გაუხვრეტდნენ და საყურეებს დაკიდებდნენ. ქალის საყურე მასიური, ხოლო ახალგაზრდა, გაუთხოვარი გოგონების საყურე შედარებით პატარა ზომისა და სადა იყო.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საყურეები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. საყურეები, რომლებსაც ელიფსის ფორმა აქვს ისინი დამზადებულია საკმაოდ მსხვილი ვერცხლის მავთულისაგან. ზედა ნაწილი ასრულებდა შესაბნევის ფუნქციას, ხოლო ქვედა ნაწილი ზედას უკავშირდებოდა წვრილი მავთულით. 2. საყურეები ძეწკვის საკიდებით. ძირითად ნაწილს შეადგენს შესაბნევი. ქვედა ნაწილზე მირჩილულია სხვადასხვა ფორმის საგნების გამოსახულებანი. შიგა მხარეზე მას გააჩნია პატარა რგოლები ძეწკვისათვის. ძეწკვზე მაგრდებოდა საშუალო ზომის ფირფიტები. 3. ვერცხლის რგოლსაკიდიანი საყურე.

საყურე ქალის სამკაულის ძირითადი ელემენტი იყო. მას განსაკუთრებული მოწონება ჰქონდა ქალწულობის პერიოდში, თუმცა მას გათხოვილი ქალებიც ატარებდნენ.

აჭარელი ქალის შემკულობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გულსამკაულს. ძველად ამ სამ-კაულს ქალიშვილებიცა და გათხოვილებიც ხმარობდნენ. ამ სამკაულს ჯიღჯიღას უწოდნებდნენ.

ჯიღჯიღა ვერცხლის ან უბრალო ლითონისაგან ნამზადი გულსაკიდია. იგი ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ვიწრო და მოკლე მილაკებისაგან შედგება. ჯიღჯიღას ცენტრალური ნაწილი ოთხკუთხა, ორნამენტირებული ფირფიტით არის დამშვენებული. ფირფიტა შემკულია ერთი წითელი და ოთხი ფირუზისფერი თვლით, ფირფიტაზე დაკენჭილი მავთულით გამოყვანილია ყვავილისა და ფოთლების გამოსახულება. ცენტრალური ფირფიტის ორივე მხარეს ვერცხლის ფირფიტების წყება თანაბარი რაოდენობითაა ასხმული. ეს ფირფიტები ორი ნაწილისაგან შედგება და ერთმანეთთან პატარა რგოლითაა დაკავშირებული. მოხმარების დროს ფირფიტის ბოლო ნაწილი თავისუფლად მოძრაობს. ჯიღჯიღას დასრულებულ სახეს აძლევს სამი მოდიდო მსხლისფერი ფორმის ფირფიტა, რომლებიც შემკულია სარდიონის თვლებით და დაკენჭილი მავთულით შედგენილი მცენარეული ორნამენტით.

ჯიღჯიღა ყელის სამკაულია, მაგრამ ხშირად იგი მკერდის დამაშვენებელ სამკაულად გვევლინება, „ჯიღჯიღა ძვირფას სამკაულად ითვლებოდა და ხულოს რაიონში ჩაწერილი ცნობით მისი ღირებულება ერთი ძროხის საფასურს უდრიდა“ (სამსონია, 2005:80).

ყელის სამკაულიდან ფართოდ იყო გავრცელებული მარჯნის, ფირუზისა და ქარვის მძივები, მძივებად ასხმული თურქული მონეტები. მონეტები უმეტესად შემოტანილია (ორივე მხრიდან მონეტებს არაბული წარწერა აქვს). მონეტების რიცხვი სამკაულზე 13-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ძეწკვზე მონეტებს სიდიდის მიხედვით აასხამდნენ. შუაში მოზრდილ მონეტას ჰკიდებდნენ. შემდეგ თანდათანობით მომცრო ზომისას.

მონეტები წარმოადგენდა გათხოვილი ქალის შემკულობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს.

ზემო აჭარის მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობდა ქარვის მძივები. მსხვილ ქარვას ეძახდნენ „კეთილ ქარვას“. მოხუცების გადმოცემით ძველად ქარვას ხმარობდნენ არა მარტო როგორც სამკაულად, არამედ მას სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა. ქარვას ყიდულობდნენ ბათუმში მოხეტიალე ვაჭრებისაგან. ქალები ქარვის მძივებს ძლიერ უფრთხილდებოდნენ, რადგანაც იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ვერცხლის ძეწკვი საქორწინო სამკაულის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ძეწკვზე ჩამოცმული იყო ვერცხლის პატარა სეგმენტი სახოხიალა, რომელიც თავისუფლად მოძრაობდა მასზე ორივე მიმართულებით. ძეწკვს ორ მეტრამდე სიგრძე ჰქონდა. ის ყველასათვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა, ამიტომ მხოლოდ შეძლებულ კაცს შეეძლო მისი ყიდვა.

საგულე სამკაულთაგან ზემო აჭარაში აღმოჩნდა სამკაულის ორიგინალური სახეობა- ვერცხლის კორდომი. კორდომი სხვადასხვა ზომის მზადდებოდა. მას მხოლოდ გათხოვილი ქალი ატარებდა. კორდომი მაგრდებოდა სამოსელზე, მკერდს ზემოთ, მარჯვნივ. იგი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლის ბოლოებზე ძეწკვის ბურთულები ან სპირალებია მიმაგრებული. კორდომის ზედაპირი ორივე მხრიდან კარგადაა ორნამენტირებული. კორდომს მეტწილად სანამუსო სამოსელზე იკეთებდნენ დღესასწაულებისა და ქორწილის დროს.

ხელის სამკაულთაგან ზემო აჭარაში გავრცელებული იყო ბეჭდები და სამაჯურები, რომლებიც ვერცხლისა და სპილენძისაგან მზადდებოდა. გავრცელებული იყო თვლიანი ვერცხლისა და უთვლო, სადა, რგოლისებური ბეჭედი. მასზე ამოკვეთილი იყო გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი, ზოგჯერ კი არაბული წარწერები. ბეჭედს ყველა ასაკის ქალები ატარებდნენ. ბეჭდებს იკეთებდნენ ყველა თითზე გარდა ნეკისა და ცერა თითისა. სადღესასწაულო და საქორწინო ცერემონიალის დროს ქალები იკეთებდნენ რამდენიმე ბეჭედს. ბეჭედი აჭარელი ქალის ყოველდღიური სახმარი სამკაული იყო. ბეჭედი აუცილებელი ელემენტი იყო სარძლოს დანიშვნის პროცესში. ნიშნობის დროს ერთი ოქროს ბეჭედი აუცილებლად უნდა დაეტოვებინა საქმროს ოჯახის წარმომადგენელს საპატარძლოსათვის.

ხელის სამკაულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამაჯურს. სამაჯურის ორ ტიპს გამოყოფდნენ: 1. სადად დამზადებული ვერცხლის მთლიანი რგოლი, მომრგვალებული ბოლოებით და ძეწკვის საკიდით. 2. მაჯაზე მჭიდროდ მორგებული, რომლის ბოლოები არ იკეტება.

დიდი მოწონებით სარგებლობდა გრეხილზე აცმული ფერადი მძივების ნაერთი, ასეთი სამაჯური ყველა ასაკის ქალის ნიადაგ სატარებელი სამკაული იყო. ჩვეულებრივი სამაჯური წყვილი უნდა ყოფილიყო. გამონაკლის შემთხვევაში ცალსაც ატარებდნენ.

სადღესასწაულო ტანსაცმელთან ერთად აჭარელი ქალი სხვადასხვანაირ ვერცხლისა და ლითონის ქამარს ატარებდა, რომელსაც საქმროს ოჯახი საჩუქრად უგზავნიდა პატარძალს. ვაჟის მშობლები წინასწარ ცდილობდნენ თავი არ შეერცხვინათ და თანხას იმარაგებდა ოჯახი, რათა ვერცხლის ქამარი ან საერთოდ, სამკაულები შეეძინათ. ქამარში ნათლად ვლინდება ქალის სოციალური მდგომარეობა.

მდიდარი ქალის შემკულობის აუცილებელი ატრიბუტი ვერცხლის ქამარი იყო, ღარიბი კი ფერადი ლითონის ან სირმაქსოვილი ყაითნის ქამარს ატარებდა.

ზემო აჭარაში გავრცელებული ქამრები, მასალისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფა: 1. ვერცხლის ან ფერადი ლითონის; 2. სირმაქსოვილი ყაითნის ქამარი ვერცხლის ბალთით; 3. თასმაზე ასხმული ვერცხლის მოსევადებული ფირფიტებიანი ქამარი.

ვერცხლის ქამრები ეთნოგრაფიულ ყოფას დღემდე შემორჩა. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია გრეხილი და ცვარვა, რაც ქართული ოქროჭედლობის ხერხებია. ვერცხლის ოსტატები მაღალი გემოვნებითა და დახვეწილი ტექნიკით ამზადებდნენ ქალის ქამრებს. პირველი

ტიპის ქამარი შედგება სწორკუთხა და ოვალური მოყვანილობის დედალ-მამალი ბალთისა და მართკუთხედი ფორმის მოძრავი სეგმენტისაგან. ქამრის ბალთაზე რთული კომპოზიციაა გამოსახული. მასზე აჟურული ტექნიკით გამოყვანილია მხენარეული ორნამენტი. ბალთა ფარავს ქამრის შესაკრავ კავსა და ყურს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ბალთის შუა ნაწილში მოთავსებულია კონცენტრული წრეები, რომელთა შუაში ზურმუხტის, ფირუზის ან მარჯნის თვალია ჩასმული.

ბალთის დანარჩენი მაწილი შევსებულია გრეხილი, დაკენჭილი მავთულით გამოყვანილი მცენარეული ორნამენტებით.

არქეოლოგიური მასალების გამოყენებით დასტურდება, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ ვერცხლის ქამრებს „წინაპრები“ გააჩნია ანტიკური ხანიდან. ძვ. წ. V საუკუნის 30-იანი წლებით დათარიღებული ფიჭვნარის სამაროვნის განათხარ მასალაში გვხვდება ვერცხლის პატარა ბალთა, რომლის ენა დაცული არაა. ა. კახიძის ვარაუდით, ეს ბალთა შეიძლება ადგილობრივი ნაკეთობა იყოს, რომელიც ბერძენ მოახალშენეებს გამოუყენებიათ (კახიძე, 1971: 60).

დიდ ყურადღებას იპყრობს ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ბალთა, რომელსაც ფრთებგაშლილი მტრედის სკულპტურული გამოსახულება ამშვენებს (სამსონია, 2005: 92).

ასევე საინტერესოა აჭარის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ტანსაცმლის დასამაგრებელი თუ შესამკობელი საშუალებები-ქამრის ბალთები, ღილები, მინის მძივები, ოქროს კილიტები და ვერცხლის საკინძი. აქვე აღმოჩნდა ოქროს რგოლ-საკიდები, ოქროს მძივები, ვერცხლის სამაჯურები, ბრინჯაოსა და გიშრის მძივები და სხვა (კახიძე, 1971: 60-78).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვერცხლის მასიური ქამარი. ვერცხლის ქამრებს ოქრომჭედლები ტრადიციული სევადით ამკობდნენ. სევადით ამოავსებდნენ ვერცხლის ნივთებზე ამოკვეთილ ორნამენტს. სევადი კეთილშობილი ლითნის შემკობის ადგილობრივი, ქართული და კავკასიური ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა 2000 წელს ითვლის (გაგოშიძე, 1981: 26).

აღნიშნული ტიპის სარტყლები ახალციხის გარდა ბათუმშიც მზადდებოდა. გრეხილური ქამრები ახალციხური სახელით გავრცელებული იყო მთელ სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაშიც. აჭარული ვერცხლის ქამრები სრულ მსგავსებას ამჟღავნებს მესხურ ვერცხლის ქამრებთან. ასევე, მათი მსგავსება აღინიშნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

არქეოლოგიური მონაპოვარი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამოსელის შემკობასა და სამკაულს აჭარაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. აჭარული სამკაული ხარბად ღებულობდა და ითვისებდა მეზობელი ხალხის მიღწევებს ამ დარგში, მაგრამ მას ადგილობრივ იერსახეს აძლევდა. ზემო აჭარაში ძველქართული ნიმუშების გვერდით გავრცელებული იყო არაქართული სამკაულიც-მონეტებიანი ყელისა და შუბლის სამკაული, ფილიგრანული საკიდები ნახევარმთვარის გამოსახულებით, რაც შესაძლოა ოსმალთა ბატონობის პერიოდს უკავშირდებოდეს.

ამრიგად, აჭარელი ქალის სამკაული განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართული სამკაულის ხელოვნების განვითარებაში და მნიშვნელოვნად ამდიდრებს ზოგადად ქართული სამკაულის შესწავლის ისტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგოშიძე ი., ქართველი ქალის სამკაული. თბილისი 1981 წ.
2. კახიძე ა., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები. ბათუმი 1971 წ.
3. ლორთქიფანიძე ნ. ძველი ქართული სამკაული. თბილისი 2015 წ.
4. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში. ბათუმი 2005 წ.
5. სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი 1957 წ.
6. ჯავახიშვილი ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი 1962 წ.



თამარის ჯვარი

გულსაბნევი

ოქროს საყურეები

ოქროს ყელსაბამი

ვერცხლის მონეტებიანი გულსაბნევი

კორდომი

ვერცხლის გულსაბნევი – ჯიღჯიღა

ვერცხლის გულსაბნევი

ვერცხლის ქამარი

ვერცხლის ქამრის ფრაგმენტი

ვერცხლის სამაჯურები

ვერცხლის ღილკილოები

მზიური მჟავანაძე

საუკუნოვანი ოდა სახლები აჭარაში

ქართველი ხალხის ყოფის შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო სათავსოების შესწავლას. მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომლებიც მოპოვებულია დასავლეთ საქართველოში, ავსებენ არქეოლოგიური და წერილობითი მონაცემები.

შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომების სამეურნეო ყოფის შესახებ, კერძოდ, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებზე და სათავსოებზე არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, მწერალთა და მკვლევართა შრომებში. ამ რიგის მასალებიდან ინტერესს იწვევს ცნობილი რომაელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ცნობები და ანტიკური პერიოდის ავტორების (ჰეპოკრატე, ქსენოფონტე, აპოლონ როდოსელი, არიანე) ზოგიერთი მონაცემები, ძველი კოლხური ნაგებობების არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებ.

ვიტრიუსის ცნობების მიხედვით კოლხები „ხე-ტყის სიუხვის გამო პირდაპირ დედამიწაზე ალაგებენ მარჯვნივ და მარცხნივ მთელ-მთელ ძელებს და ამ ორ წყებას შუა ტოვებენ ადგილს, ძელების სიგრძის ოდენს, შემდეგ ძელების თავ-ბოლოზე გარდიგარდმო ალაგებენ ორ სხვა წყებას. შემდეგ ოთხივე მხარეზე შენაცვლებით ერთი მეორის მოპირდაპირე მხარეზე ალაგებენ ძელებს ისე, რომ კუთხეებს აერთებენ, რაც კედლებს წარმოქმნიან და ფუძის შეუცვლელად აგებენ ქოხებს, ხოლო ხარვეზებს რაც რჩება ძელებს შუა, მასალის სისქის გამო, ისინი ავსებენ ნაფოტებით და თიხით. სწორედ ასევე გარდიგარდმო კოჭების ბოლოთი და მათი თანდათან დამოკლებით, თითქოს საფეხურიაო. შუა აკეთებენ პირამიდისებურ კენწეროს, რომელსაც შემდეგ გადახურავენ ფოთლებითა და თიხით“. ამ ტიპის ნაგებობები ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აღარ დასტურდება.

ამგვარი ნაგებობების საინტერესო სახე „კონტურა“, კინტრიშის ხეობაში (ქობულეთის რ-ნი) ეთნოგრაფიული მასალებით აღუდგენია თ.ჩიქოვანს (ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი).

დღემდე შემონახული ძველი ნაგებობების შესწავლით დგინდება ამ რიგის შენობების ერთგვარი ევოლუცია და მოსჩანს მათი განვითარების გზა მარტივიდან რთულისაკენ. ხალხური არქიტექტურული მონაცემების გვერდით ყურადღებას იქცევს ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიური მასალა: „ქოხი“, „ჯარგვალი“. მათ შორის ქოხი ყველაზე ძველი უნდა იყოს და იგი ქვისგან და ხისგან ნაგები ადრინდელი ნაგებობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ხოლო „ჯარგვალი“ მისი მომდევნო საფეხური. ჯარგვალმა და ქოხმა თავის მხრივ განიცადა განვითარება. ქოხი ამჟამად ფიცრული ორსართულიანი ნაგებობის აღმნიშვნელია, ხოლო ჯარგვალი მორებისაგან ნაშენი ქოხის ტიპის ნაგებობა (აჭმ ხ.ფ.N 786).

აჭარის ულამაზეს სოფლებში დღეს თანამედროვე სახლებია, მაგრამ იშვიათად გვხვდება ძველი ტიპური სახლები, რომლებიც დღეს ისეთივე სახითაა შემორჩენილი, როგორიც იყო როცა ააგეს.

აჭარაში სახლის მშენებლობა სხვადასხვა წესების დაცვით ხდებოდა. თავდაპირველად სახლის მშენებლობამდე სამოსახლოს შერჩევა ხდებოდა. ლეგენდის თანახმად, სამოსახლო ადგილს მონიშნავდნენ, იქ ქვას დადებდნენ და რამოდენიმე დღის შემდეგ შეამოწმებდნენ, თუ ქვის ქვეშ ჭიანჭველა დახვდებოდათ ე.ი. ის ადგილი კარგი იყო საცხოვრებლად, ხოლო თუ ქვის ქვეშ ჭიაყელა დახვდებოდათ, მაშინ იმ ადგილს საცხოვრებლად უვარგისად მიიჩნევდნენ. სახლის შენებას კვირას იწყებდნენ. მშენებლობის დაწყება ამ დღეს სიკეთისა და ბედნიერების მომასწავებელი იყო. სამშენებლო მასალად აღიარებული იყო ნაძვის და ფიჭვის, ცაცხვის სწორად ნაზარდი

ახალგაზრდა, მაგრამ „დამწიფებული“ ხეები. ოსტატთა დახასიათებით, ფიჭვის, ნაძვისა და ცაცხვის მასალა თბილია. მას კარგად ეგუება როგორც ადამიანი, ასევე ცხოველიც. ხეს მხოლოდ შემოდგომასა და ზამთარში ჭრიდნენ, მაშინ როცა ხეში წყალი არ იყო. ფიცარი ლამაზი თეთრი ფერისა გამოდიოდა, გამოირჩეოდა გამძლეობით.

სახლები ძირითადად ორსართულიანი იგებოდა. პირველი სართული განკუთვნილი იყო ცხოველებისათვის და მეორე სართულზე თვითონ ცხოვრობდნენ. ფანჯრების მაგივრად სარკმლები ჰქონდათ, საიდანაც მბჟუტავი სინათლე შედიოდა (აჭმ ხ.ფ. N 119).

შემდგომში აჭარის მცხოვრებნი აგებდნენ ფართო ფანჯრებიან ნათელ ორსართულიან სახლებს. ცხოველებისათვის კი ცალკე აგებდნენ. პირველ სართულს (პლატის) თლილი ქვებისაგან მშრალი წყობით აგებდნენ. მეორე სართულს ხისაგან. სახლის მშენებელს უსტა ერქვა. სახლის შენებისათვის საჭირო იარაღებს უწოდებდნენ სახელოვნო (საუსტიო იარაღს). საუსტიო იარაღები იყო: 1. ცული, 2. ხერხი. 3. ელქესერი (ეჩო), 4. მათხაპი (ბურღი), 5. პლანიე (ფიცრის გასასწორებელი), 6. სალაშინი (რენდე), 7. ხელის ხერხი, 8. გამბული ხერხი, 9. ფერგელი, 10. რესმა (ფიცრის შუა ადგილის გასაბურღი), 11. ლარი (ამზადებდნენ შალის ძაფისაგან, რომელსაც რამდენიმე ცალს შეგრეხენ და გამოდის საშუალო ზომის თოკი), 12. ლარის ყუთი, 13. ლარის მიწა, 14. სატეხი, 15. პირთხელი (თეგი), 16. აირქესერი (თოხეჩო), 17. ქლიბი, 18. ჩარხი (მრგვალი სალესი ქვა), 19. ერბო ქვა (პირის ასაწყობი ქვა. გაჩარხვის შემდეგ ილესება იარაღი), 20. თარაზო, 21. ზუზი, 22. არშინი ან მეტრი, 23. ყურშუმ ყელუმი (მრგვალი ფანქარი), 24. ქელფეთი (გაზი), 25. ჩაქუჩი, 26. აჩმა (ფიცრის პირის ამოსაღები), 27. განიშკაფი (ბოყვის პირის ამოსაღები), 28. ქამფური (პოლის პირის ამოსაღები), 29. შაქურქა (თავნის პირის ამოსაღები), 30. იზმირი (თხელი სატეხი), 31. ურატა (კორკოტი) ხის ჩაქუჩი (აჭმ ხ.ფ.N 133).

საშუალო სახლს 200-მდე ფიცარი სჭირდებოდა, მთლიანი სახლის სიმაღლე 8 არშინამდე უნდა ყოფილიყო, სიგანე 5-6, სართულის სიმაღლე განისაზღვრებოდა 3 არშინით, ქვედა სართულის კი 2,5 არშინით.

სახლის აშენებისას ერთურთს ეხმარებოდნენ. სახლის აშენება დიდ კეთილშობილურ საქმედ ითვლებოდა. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდნენ ოსტატ-მშენებლები. სახლის შენებას სახურავამდე რომ მიიყვანდნენ, სახლის პატრონი 10 მეტრის მატერიას გადმოფენდა, მშენებლები კაკუნს დაიწყებდნენ, ნაჭრით ასაჩუქრებდა სახლის მეპატრონე ერთ-ერთ მშენებელს და მშენებლებს კარგად უმასპინძლდებოდა, სახლს კრამიტით დახურავდნენ. სახლები ძირითადად 4-5 ოთახისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი სასტუმრო ოთახი იყო, რომელსაც განსაკუთრებულად აფორმებდნენ. აუცილებელი იყო ბუხარი, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობის გათბობის საშუალება იყო. გარდა გათბობისა, სახლის სამკაულად იყო მიღებული. ყველა სახლში 2 ან მეტი ბუხარი იყო (აჭმ ხ.ფ.N 113).

სახლიდან რამოდენიმე მეტრის დაშორებით განლაგებული იყო:ბეღელი, ნალია, საბძელი, საქათმე და ფურნე.

ძალიან საინტერესო და ულამაზესი გახლავთ ქობულეთის რ-ნ სოფელ ლეღვაში შემორჩენილი საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ნაგებობებით.

სახლი 1850 წელს აუგია სულეიმან ესაძეს. სახლი კაკლის ხის ბოძებზეა დადგმული და ფიცრებითაა ნაშენი. ნათელი ფანჯრებით, გარედან ორი ხის კიბით შეიძლება შესვლა. ერთი კიბე სამზარეულო ოთახში შედის, რომელიც ცოტათი თითქოს გამოყოფილია სახლისაგან, რომელსაც ოჯახის წევრები მოდგმულს ეძახიან. სახლი 4 ოთახისაგან და 2 ბუხრისაგან შედგება. სახურავად კრამიტია გამოყენებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღესაც ცხოვრობენ ამ სახლში და ისეთივე

დატვირთვა აქვს იმ სამეურნეო-ნაგებობასაც, რომელიც განთავსებულია ამ ეზოში, როგორც ჰქონდა წლების წინ.

ამ ეზოში განთავსებული ნალია (სასიმინდე) თავდაპირველად ხის ბიძებზე ყოფილა შემოდგმული, შემდეგ შეუცვლიათ ლითონის ბოძებით. ნალია კაკლის ფიცრებითაა ნაშენი და შიფერით დახურული სამკუთხედად.

მარცვლეული კულტურის დასამუშავებელ საშუალებას წარმოადგენს ჩამური, რომელიც ნალიის ქვემოთ არის განთავსებული. აქვეა ბეღელი. „ბეღელი ნალიების განვითარებულ სახეს წარმოადგენს. ბეღელს მარცვლეულისა და რძის პროდუქტების შესანახად იყენებდნენ (შემოდგომიდან-შემოდგომამდე). ბეღელი კეთდებოდა ცაცხვის საგულდაგულოდ გამხმარი ძელებისაგან. ოსტატთა დახასიათებით, ცაცხვის ხე პროდუქტებს უხარია, ამავე დროს თაგვი ვერ ჭრის და მატლი არ უჩნდება. ბეღელში კეთდებოდა სასიმინდე, სალობიე და სხვა ხაროები. ხაროების იქით-აქეთ თაროებზე გვარდებით რძის პროდუქტებს, თაფლს და სხვას ინახავდნენ, ხოლო საგანგებოდ გაკეთებულ სხვენზე კი ხმელ ხილს, კაკალს და სხვა აწყობდნენ. (აჭმ ხ.ფ. N 578. გვ.12).აქვეა საბძელი,რომელიც განკუთვნილი იყო პირუტყვის დასაბინავებლად. არანაკლებ საინტერესოა ხულოს რ-ნ სოფელ ქვედა თხილვანაში შემორჩენილი საცხოვრებელი სახლი, რომელიც 1922 წელს დაუდ ცეცხლაძეს აუშენებია. სახლი სამ სართულიანია, რომლის პირველი სართული მდინარის თლილი ქვებითაა ნაშენი, რომელსაც ძირითადად სარდაფად იყენებდნენ, რომლის სიმაღლე 3 მეტრია, ხოლო მეორე და მესამე სართულები ხის ფიცრებითაა აგებული. ხის პირველ სართულზე 4 ოთახია განთავსებული, ხოლო მეორეზე 5 ოთახი, სასტუმრო ოთახი ცალკე კიბითა და ცალკე შესასვლელით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

სასტუმრო ოთახის კედელზე ამოტვიფრულია ამ ოჯახში მოსულ სტუმართა სია. ეს იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი პატივით სარგებლობდა აჭარაში სტუმარი. ეს სახლი იმითაც გამოირჩევა, რომ აქ განთავსებულია 4 ბუხარი, 2 მეორე სართულზე და 2 მესამე სართულზე. სახურავად ყავარი ყოფილა გამოყენებული, რომელიც 1983 წელს შეუცვლიათ უჟანგავი ლითონით.

კარგად არის შემონახული ამ სახლის ეზოში განთავსებული ფურუნი, რომელიც ძირითადად პურის საცხობად გამოიყენებოდა.

ასევე კარგადაა შემონახული ქობულეთის რ-ნ სოფელ ზედა სამებაში შემორჩენილი საცხოვრებელი სახლი, რომელიც 1937 წელს აუგია სულეიმან ხარაზს. სახლის პირველი სართული ქვითაა ნაშენი, ხოლო მეორე წაბლისა და ცაცხვის ფიცრებით. ამ შემთხვევაშიც პირველი სართული სარდაფად იყო გამოყენებული, ხოლო მეორე საცხოვრებლად. მეორე სართულზე 4 ოთახია განთავსებული. ერთი დიდი სასტუმრო ოთახია, ორი ბუხრით.

მიუხედავად იმისა, რომ 1980 წელს ამავე ეზოში ააგეს ქვის ორსართულიანი სახლი, ამ სახლის უხუცესები 95 წლის სულეიმან ხარაზი და მისი მეუღლე ნარგულ მჟავანაძე სიცოცხლის ბოლომდე ძველ სახლში ცხოვრობენ.

ასევე კარგადაა შემონახული ამ სახლის მოპირდაპირედ ეზოში მდგარი ნალია, სასიმინდე. ნალია მიწაში მრგვალ ბოძებზე დგას, ხოლო გვერდები ფარჩხით აქვს შემოქსოვილი, წინა მხარე კაკლის ფიცრებით.

ამრიგად, დავინახეთ, რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აჭარაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობას. მდიდარი ტრადიციების დამსახურებაა ეს კოპწიად და ლამაზად შემორჩენილი ოდა სახლები, რომლებიც დღემდე ალამაზებს ჩვენს სოფლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითაძე ა., საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობის ისტორიიდან აჭარაში – აჭმ. ხ.ფ. N 786. ბათუმი, 1978 წ.
2. ნიკოლაიშვილი ჭ., ქართული სახლის ტიპი. – აჭმ. ხ.ფ.N133. ბათუმი 1952 წ.
3. მახარაძე ე., ახალი სახლის ტიპები. – აჭმ. ხ.ფ. N 119. ბათუმი 1951 წ.

საცხოვრებელი სახლი და საყოფაცხოვრებო ნაგებობები სოფელ ლეღვაში

ნალია

საცხოვრებელი სახლი სოფელ თხილვანაში

საბძელი

ბეღელი

ბუხარი

საცხოვრებელი სახლი ზედა სამებაში

72

ფურუნი

ჩამური

ნალია (სოფ. ზედა სამება)

იზო აბაიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღესასწაულები (1919-1920 წლები)

1918 წლის 26 მაისს, გაზაფხულის ამ დიდებულ დღეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა - აღდგა ქართული ეროვნული სახელმწიფო, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც ქვეყანას მთელი საუკუნის განმავლობაში გაკარგული ჰქონდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეროვნული მოძრაობის კანონზომიერი შედეგი იყო. წარმატებით დასრულდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომელსაც გარკვეული დროიდან მეთაურობდნენ თერგდალეულთა მედროშეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან ისინი ბევრნი არიან, ხოლო ყველანი ერთად დიდი ილია ჭავჭავაძის სახით წარმოვიდგინოთ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა. ქართველმა მოღვაწეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მათი თავდადებული ბრძოლა 1918 წლის 26 მაისის აქტით დაგვირვინებულიყო. ქართველმა ერმა, რომელმაც მრავალი მიღწევებით გაამდიდრა საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია, კვლავ მოიპოვა უფლება დამდგარიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა გვერდით და თვითონვე განეგო თავისი სვე-ბედი.

სამ წელიწადს იარსება დამოუკიდებლად დემოკრატიულმა საქართველომ და მხოლოდ 68 წლის შემდეგ კვლავ ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარნი მივაპყრობთ მზერას 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოსაკენ, რამდენადაც საინტერესოა თუ როგორ იდღესასწაულეს საქართველოში ნანატრი დამოუკიდებლობა. მხოლოდ ორჯერ იზეიმა ეს სანუკვარი დღე ქართველმა ხალხმა – 1919 და 1920 წლების 26 მაისს.

ბუნებრივია, რომ დღესასწაული დიდი აღმავლობით აღინიშნა თავისუფალ საქართველოში ქალაქად თუ სოფლად.

ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქების სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის რწმუნებულთა საბჭო ღრმად არის დარწმუნებული საქართველოს ბრწყინვალე მომავლით, სალამს უძღვნის ეროვნული საბჭოს და საქართველოს მთავრობას ამ დიდებული აქტის გამო. თანაც აღუთქვამს თავის რწმუნებულთა სახელით გაორკეცებული ენერგიით და კეთილსინდისიერად ემსახუროს ხალხს და სახელმწიფო აღმშენებლობას, ამიერიდან დამოუკიდებელ საქართველოს, სადაც ქართველთან ერთად თავისუფლად ისარგებლებს ყველა მისი ერთგული მოქალაქე- წერდა გაზ. ,,საქართველო'', 1918 წლის ივნისი.

ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა დედაქალაქი 26 მაისს. დილის მზის სხივებით მოოჭვილ-მოკაზმული შეეგება დღესასწაულს. მთელი თბილისი ეროვნული ალმებით და ვარდ-ყვავილებით იყო მორთული. დილაადრიანად მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. 10 საათისათვის თავისუფლების მოედანზე თავი მოეყარათ საქართველოს ყველა კუთხის წარმომომადგენლებს. აქ ნახავდით მთისა და ბარის, ამერ- იმერეთის შვილებს, აბჯარ-ჩანჩქანში ჩასხმულ თავისუფალ ხევსურებს, ჩაქურაში გამოწყობილ გურულებს, ჩაბალახიან მეგრელებს, თუშებს თუშური ქუდებით, დარბაისელ კახელებს, ამაყ ქიზიყელებს, აჭარა-შავთელ-ჯავახელებს, ლეჩხუმელებს, თბილისელ ჩოხა-ახალუხიან მოქალაქეებს. აქვე იყვნენ გაბნეულნი მომავლის იმედი და ნუგეში - მოსწავლენი, ვაჟნი და ქალნი.

დამფუძნებელი კრების ქუჩის სათავეში გადაჭიმული იყო ხის კამარა, მორთული სახელმწიფო ალმებითა და გერბებით. კამარასთან თავი მოიყარეს ჰეროლდებმა, 500 სულისაგან შემდგარმა ორკესტრმა, ავტომობილებმა, რომელთა მორთვასა და მოწყობაში მონაწილეობდნენ მოქანდაკე და მხატვარი ი. ნიკოლაძე, მხატვრები ქიქოძე და თოიძე, აქ იყო გურულების ხორო, ,,26 მაისის'' გუნდი, კავსაძის ხორო, გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები, დიდებული ,,შევარდენის'' 400 სულიანი გუნდი. ყოველგვარ წესრიგს იცავდნენ გ. ურატაძე, გიორგაძე, მაყაშვილი და სხვები.

ვიდრე ჯარების აღლუმი დაიწყებოდა, სამხედრო ტაძრის გალავანში საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდემ პარაკლისი გადაიხადა და ქართველ ლაშქარს სიტყვით მიმართა მობრძანდა რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია, მოვიდნენ საქართველოში მყოფი ყველა სახელმწიფოთა მისიების წარმომადგენლები. ნოე ჟორდანიამ შემოიარა საქართველოს ლაშქრის ყველა ნაწილები და მიმართა მათ შემდეგი სიტყვებით:,, მოგილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს და იმედი მაქვს რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავთ საქართველოს თავისუფლებას გაუმარჯოს''

გალავნის თავზე ცაში კამარა შეკრა საქართველოს ლაშქრის წარმომადგენელმა. იტალიის მისიის წარმომადგენლები ამ დროს სურათებს იღებდნენ. ნოე ჟორდანიამ შემოუარა საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს და ყველას მიულოცა დღესასწაული. შემდეგ შემოიარა სოლოლაკი, მიმდებარე ქუჩები, მიულოცა იქ ჩამწკრივებულ მოსწავლეებს, ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხელოსნებს, ამქრებს ლაშქრის ინვალიდებს და გაემართა სტადიონისაკენ, სადაც კომპოზიტორმა ფოცხვერაშვილმა პირველმა გახსნა დღესასწაული ეროვნული ჰიმნის შესრულებით, რომელიც სამჯერ იქნა გამეორებული გაძლიერებული ორკესტრით. მისივე ლოტბარობით ,,26 მაისის'' გუნდმა შეასრულა სხვა ხალხური სიმღერები. გაიმართა ფერხული, ლეკური და სხვა ადათ- ჩვეულებები. დიღმელი გლეხები გამოწყობილი იყვნენ ორიგინალურ ბერიკების ტანსაცმელში, რომელსაც ისინი ყველიერში ასრულებენ. ნაშუადღევს მოედანი ,შევარდენის სავარჯიშო სანახაობებმა დაიკავა. ამ სანახაობებს მოჰყვა ფარიკაობა, რომელსაც ხევსურულად კენჭაობა ჰქვია. ამას მოყვა ბურთაობა ინგლისელებთან ერთად, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. სამაგალითო წესიერება სუფევდა ყველგან.

შებინდებისას მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული შეხვდა დღესასწაულს. ქალაქის შუაში მხატვარ ლადო გუდიაშვილის ნახატი და ყვავილგრეხილებით მორთული საქართველოს გერბია. ამ სანახაობას ჩრდილავდა კოცონი თოფხანის, მამადავითისა და ბოტანიკური მთებიდან, საიდანაც უშვებდნენ ათასფერადოვან რაკეტებსა და მაშხალებს.

საღამოს ყველა თეატრში დაიდგა სადღესასწაულო წარმოდგენები. შესრულდა ჰიმნები, როგორც ეროვნული, ისე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების, რომლებიც ამ საღამოს დაესწრნენ. ამავე დღეს სახელები შეეცვალათ ერევნის მოედანს – თავისუფლების მოედანზე, სასახლის ქუჩას – დამფუძნებელი კრების ქუჩაზე. ყველა კუთხიდან ჩამოსულ დეპუტატებს გაუმართეს სადილი. სუფრას თავმჯდომარეობდა პ. საყვარელიძე. საგულისხმო და მგრძნობიარე სიტყვები წარმოთქვეს ვლასა მგელაძემ, სამაჰმადიანო საქართველოს, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ქართლ-კახეთის, იმერეთის და სხვა წარმომადგენლებმა. ტრამვაის ვაგონებზე ბრწყინავდა ქართული წარწერა. ასეთი იყო ის განცდანი, რომელიც 26 მაისს იგემეს ჩვენმა მამულიშვილებმა დამოუკიდებლობის პირველ დღესასწაულზე“ (.გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,1919:28 მაისი).

ბრწყინვალედ იდღესასწაულა 26 მაისი ბათუმის ქართველობამ. ყველას მკერდს უმშვენებდა საქართველოს მინიატურული დროშა. საზეიმო კრებას, რომელზედაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, უამრავი ხალხი დაესწრო. აქ იყვნენ, როგორც მუსულმანი, ისე ქრისტიანი

ქართველები. კრება გახსნა მუსულმან ქართველთა ეროვნული საბჭოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავჯდომარემ მემედ ბეგ აბაშიძემ, რომელმაც მიულოცა საზოგადოებას ეს ბრწყინვალე დღე და მოუწოდა მთლიანი საქართველოს აღსადგენად. აქვე სიტყვით გამოვიდა ბათუმის ქრისტიან ქართველთა ეროვნული საბჭოს თავჯდომარე გრ. ელიავა, ასევე კ. გოგოლაძე, აკაკი ფაღავა. ტაშისა და ვაშას ძახილით მიიღო კრებამ მემედ აბაშიძის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომლის შინაარსი ასეთია:,,საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე 1919 წლის 26 მაისს. ქ. ბათუმში შეკრებილი მრავალათასიანი ყრილობა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა, აღფრთოვანებით ეგებება დღესასწაულს და აღიარებს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი და სამართლიანი გზა ქართველი ხალხისათვის არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და გაერთიანებული საქართველოს ცხოვრების გზა. ხსენებული ყრილობა ფიცსა სდებს, რომ მთელი თავისი არსებით – სიტყვით თუ საქმით, სულით და გულით, ჭკუით, გონებით,ქონებით და სისხლით შეეწირება თავის სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობას, გაერთიანებისა და თავისუფლების განმტკიცებას, რათა ქართველი ხალხი შევიდეს საკაცობრიო თავისუფალ, თანასწორ, ძმურ საერთაშორისო ოჯახში!'' (გაზ.,,სახალხო საქმე'' 1919: 3 ივნისი, N544)

დიდებულად იდღესასწაულა დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი სოხუმმა. მოედანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სამხედრო პოლკი ლამაზად ჩამწკრივებულიყო აღლუმის მოლოდინში. პარაკლისის შემდეგ ჯარს სიტყვით მიმართა პოლკოვნიკმა თუხარელმა და მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა. ხალხი სანაპიროს ქუჩისაკენ დაიძრა, სადაც სტუდენტებს საუცხოოდ მოერთოთ თაღი დროშებითა და ყვავილების ხლართულით.აქვე გამოფენილი იყო შოთა რუსთაველის ილიას, აკაკის, არჩილ ჯორჯაძის, ნ. ჟორდანიას, ნ. ჩხეიძის და ი. წერეთლის სურათები. დაიჭექა ზარბაზნებმა, აფრიალდა ეროვნული ქართული დროშა. გაიხსნა მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ხ. ბერულავა, სამს. დადიანი, ბერძნულად ილაპარაკა ბერძნების წარმომადგენელმა. გაიმართა სეირნობა, მეჯლისი. ს. დადიანმა მოკლე სიტყვაში მოიხსენია გ. ლასხიშვილი, დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, რომელთა ოცნებას შეადგენდა საქართველოს თავისუფლება. ღამით თეატრში გაიმართა სახალხო წარმოდგენა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო,რომ რაზმის უფროსს პოლკ. თუხარელთან ერთად მთელი ოფიცრობა ფიცს სდებდა, რომ სიცოცხლეს შესწირავდა საქართველოს თავისუფლებას.

ნამდვილი ეროვნული დღესასწაული იყო ზუგდიდში. კარგი ამინდი, ქალაქი მორთულია დროშებით და ყვავილებით. ხალხი ჩამოდიოდა სოფლებიდან და თავს იყრიდა სასახლეში. დროშებით ჩამოიარეს ქალაქის ქუჩები, გაიმართა ცხენოსნების მარული. ბურთაობა და ჭიდაობა. ყველა განიცდიდა რაღაც იდუმალ მხიარულებას.(გაზ. „სახალხო საქმე"1919: 7 ივნისი.)

დამოუკიდებლობის სადღესასწაულოდ ერთობის ქუჩაზე ხალხი შეიკრიბა გორში, ყველა შენობიდან ფრიალებდა ეროვნული დროშები, უკრავდა სამხედრო ორკესტრი. სოციალისტ-ფედერალისტების ბიურო კეკლუცად იყო მორთული. კედელზე ეკიდა რესპუბლიკის ღერბი. ცოცხალ ყვავილებში ჩაესვათ არჩილ ჯორჯაძის და გიორგი ლასხიშვილის სურათები. ქალაქგარეთ დიდ მინდორზე, გაიმართა ჯარების პარადი. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ახალაძემ. გაიმართა ცეკვა, ჭიდაობა, თამაში. გაჩირაღდნებულ ქალაქში გორის ციხეზე ჭაღები ანთია, უშვებენ შუშხუნებს. სხვადასხვა გუნდები ,,დიდებას'' აგუგუნებენ (გაზ. ,,სახალხო საქმე''. 1919: 3. ივნისი).

არავის ახსოვს ისეთი სანახაობა, როგორიც იყო თელავში. კოპწია პატარძალივით კოხტად მორთული დახვდა ამ დიდებულ დღეს. მთელი ქალაქი გარეთ გამოიფინა. 12 საათზე ტრიბუნაზე თავი მოიყარეს დამფუძნებული კრების წევრებმა ს. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჩამოუარა ყველას: ჯარს, მოსწავლეებს, ამქარს და ხალხს, ყველას ულოცავდა დიად დღესასწაულს, შესრულდა ეროვნული ჰიმნი. წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები. მთელი ეს ზღვა ხალხი

სიმღერით, ზურნით, დუდუკ-საზანდარით და სამხედრო მუსიკით გაემართა ნადიკვრისაკენ,, სადაც გასართობ ღონისძიებებთან ერთად გაიმართა ჭიდაობა საჩუქრებით (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919:8 ივნისი).

ახალციხის მაზრაში შეიქმნა 26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომიტეტი. მასში გაერთიანებული იყო ახალციხეში არსებული ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამ დღეს დაკეტილი იყო ყველა სავაჭრო ორგანიზაცია, კერძო ბინებზე და საზოგადო დაწესებულებებზე ფრიალებდა ეროვნული და წითელი დროშები. ჰაეროპლანიდან ფანტავდნენ მოწოდებებს. დამფუძნებელი კრების წევრი. კიკვაძე სამაზრო კლუბში კითხულობს ლექციას ,,26 მაისი და მისი მნიშვნელობა''. წაკითხულ იქნა დამოუკი-დებლობის აქტი და როცა დასასრულს დაიძახა ,,გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას“, ხალხმა დაიგუგუნა და მას ხმა მისცა ზარბაზნების ქუხილმაც. გენერალმა კვინიტაძემ მიიღო სამხედრო პარადი.

დამფუძნებელი კრების წევრმა ოსმან შევვი ეფენდი მიქელაძემ თათრულ-ქართული მოსალოცი სიტყვით მიმართა შეკრებილ ხალხს (გაზ, ,,ერთობა''. 1919: 31 მაისი).

1919-1920 წლების დამოუკიდებლობის სღესასწაულის მომსწრე და მონაწილე აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე ასე იხსენებს 26 მაისის საზეიმო დღეებს ხაშურში: „მახსოვს როგორ გამოეფინა მთელი მოსახლეობა ქალაქის გარეუბანში, ბორჯომ-ქვიშხეთის შარაგზის ახლოს. დილიდან შებინდებამდე უკრავდა ორკესტრი. იყო გულიანი მხიარულება, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, იმართებოდა ქართული ჭიდაობა. სახელდახელოდ აგებულ ფარდულებში იყიდებოდა ხილი, სასმელი, შოთის პურები, სანოვაგე. ზოგნი ცხარედ კამათობდნენ, იმართებოდა მიტინგიც. 26 მაისი იყო ქართველობის საყვარელი საზეიმო დღე. დიდი ივანე ჯავახიშვილის პატრიოტული მოწოდებით სახელოვანი სწავლული ალ. ბარამიძე 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის მისადგომებთან იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

როგორ შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს სხვაგან, ქვეყნის გარეთ?

სტამბოლში, მაისის 26-ში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს აქაურმა ქართველობამ „უმანკო ჩასახვის“ ძმობის მეთაურობით ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი. ახალშენი მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას და მზადაა თავი შესწიროს დამოუკიდებლობის მტკიცედ დაცვას.-ასეთ ცნობას აქვეყნებდა გაზ. ,,სახალხო საქმე'' 1919 წლის 23 ივლისს.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი აზერბაიჯანში ნ. ქარცივაძე ატყობინებს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მაისის 26-ს საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე ბაქოში საქართველოს მისიის შენობაზე ფრიალებდა ეროვნული დროშა. (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 1 ივნისი N539).

„ის, რაც საუკუნოობით კეთდებოდა, მჭიდრო რკინის ხიდი, რომელიც ბარსა და მწვერვალებს შუა გაიჭედა თამარის დროიდან, უცბათ პროვაკატორთა ნაღმით არ უნდა იქნეს აფეთქებული, ოსებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩრდილოეთით ყურება მხოლოდ ცივს თანაგრძნობას მოიპოვებს მათ ისეთსავე ცივს, როგორიცაა მათი დარაჯი მყინვარი, მაშინ, როდესაც ბარი, კურთხეული ქართული ყოველთვის ხელს გაუწვდის და თავის ლხენით დაატკბობს, მაყრულს დაამღერებინებს“ – ასე ეხმაურება დღესასწაულს გაზ. ,,საქართველო“' 1918 წ. თიბათვეს ქ. ცხინვალიდან.

„თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგვზარდა და ჩვენ კაცად გვაქცია. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგია დამაგვირგვინებელი ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღვთიური ნიჭია, ჭეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა იარაღით ხელში

დაიცვას მოპოვებული თავისუფლება თუ ამას პოლიტიკური გარემოება მოითხოვს. მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ხალხს და იმ ერებს, რომელნიც ჩვენთან ერთად ცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში!'' ასეთი იყო სიტყვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორისა, წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე. (გაზ. ,,სახალხო განათლება'' 1989: 24 მაისი'')

საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიესალმნენ მაჰმადიანთა სახელით ფატალი-ხანი ხოელი, ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენელი, ოსების წარმომადგენელი გიორგი გაგლოევი, ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელი ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, გერმანიის კაიზერის რწმუნებული, ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი ფრიკი (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა'' .1919: 26 მაისი).

1918 წლის 26 მაისი დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით „დამოუკიდებლობის დღედ" გამოცხადდა, რომელიც ყოველწლიურად უნდა აღნიშნულიყო. ჭეშმარიტად დიდი სახალხო დღესასწაული საქართველომ იზეიმა 1919 წელს და როგორც გაზეთი ,, ერთობა'' აღნიშნავს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 2 წლის თავის ზეიმი მთლიანად აღიბეჭდა ,, სინემატოგრაფისტების'' მიერ ფირზე და შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელსაც ,, საქართველოს დამოუკიდებლობის 2 წლისთავი'' ეწოდა. ფილმში ასახულია 1920 წლის 26 მაისის საზეიმო ცერემონიალი, მთავრობის და დამფუძნებელი კრების საიუბილეო სხდომა, დელეგაციის ჩამოსვლა ზეიმზე დასასწრებად, მათზე დახვედრა, უცხოეთის ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლების მილოცვა, სამხედრო პარადი ,,სობოროში'', მიტინგი თავისუფლების მოედანზე, სტუმრების საპატივცემულოდ გამართული მსუბუქი საუზმე, საზეიმო მსვლელობა ვაკის მოედანზე, სპორტსმენთა გამოსვლები, საღამოს ფეიერვერკი და სხვა ღონისძიებები, საქართველოს კინოფოტო დოკუმენტალისტთა არქივში შემონახულია 8-10 წუთიანი სიუჟეტი.

1920 წლის 26 მაისის დღესასწაულის წინ თბილისის პროფესიული კავშირების საბჭოს სეკრეტარიატის მიერ გავრცელდა მოწოდება „ყველანი ქუჩებისაკენ'', დილის 12 საათისათვის უნდა შეკრებილიყვნენ მუსიკითა და დროშებით მუშათა სასახლესთან. მოწოდება მთავრდებოდა სიტყვებით: „გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას!", „გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას", „გაუმარჯოს სოციალიზმს!"

26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებდა, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია ამ დღეს დაიცვას წესრიგი, წესრიგის მთავარ გამგედ დაინიშნა გრ. გიორგაძე-დამფუძნებელი კრების წევრი. სდხვადასხვა უბნებზე წესრიგის დამცველად გადანაწილებული იყვნენ:კოწ. ანდრონიკაშვილი, შალ. აბდუშელაშვილი, აკაკი ფაღავა თავის სტუდენტებთან და თანამოქალაქეებთან ერთად, რომელთა განსაკუთრებული „მოწესეს'' ნიშანი უნდა ჰქონოდა .ზეიმის დაწყების ნიშანი თავისუფლების მოედნიდან 7-ჯერ ზარბაზნის გასროლა იყო. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებულ-განათებული შეხვდა საყოველთაო ზეიმს. სხვადასხვა ფერადოვნების შუშხუნებითა და ფეიერვერკებით 1. (გაზ. ,, ერთობა'' N14, 1920 : 26 მაისი)

დამოუკიდებლობის 2 წლისთავის ჩინებულად აღნიშვნას ხელს უწყობდა აგრეთვე კარგი ამინდიც. ვარდ- ყვავილებში მორთული ავტომობილები, ეტლები მოძრაობდნენ თბილისის ქუჩებში. დიღმელი გლეხები, ეტლი, ლინეიკა, მათ მოსდებდნენ ცხენოსნები, გლეხებისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი, 6 უღელი ხარ-კამეჩშებმული გუთანი. გუთნისდედა „ჰოროველას" სიმღერით.

თბილისში მყოფმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საზოგადოებას მიულოცეს დღესასწაული. მათ შორის დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, პოლონეთის და სხვათა მილოცვებს შეუერთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

სასახლიდან მთავრობის წევრები, დამფუძნებელი კრების წევრები, პრეზიდიუმი და სტუმრები სტადიონისაკენ გარმართნენ, ჰაეროპლანებიდან ცვიოდა ფერად-ფერადი ქაღალდები. ,,შევარდენთა'' 8000-იანმა ჯგუფებმა სპორტული ჩვენება გამართეს, კ. ფოცხვერაშვილის მეთაურობით 3-ჯერ შესრულდა ეროვნული ჰიმნი.

26 მაისს მიეცა სახალხო სახალხო დღესასწაულის შინაარსი.როგორც უწინ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში ახლომახლო რაიონები დაფარული იყო რაიონებიდან ჩამოსული გლეხებისა და ქალაქების სუფრებით და ქეიფობდნენ საღამომდე ნამდვილად ქართულად.

დამოუკიდებლობის დღე მთელმა საქართველომ იზეიმა: აი, ზოგიერთი ინფორმაცია საქართველოს ქალაქებიდან:

მაისის 26-ს ქ, ფოთიდან გაიგზავნა დეპეშა: „ქ. ფოთის საქალაქო საბჭო შეკრებილი დამოუკიდებლობის ორი წლისთავზე ფიცს დებს, რომ... დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას... საბჭოს თავჯდომარე სამსონიძე'' (გაზ. ,,სახალხო განათლება N838 10 ივნისი 1920 წ.)

1920 წლის გაზ. „სახალხო საქმე“ N838 10 ივნისი, აქვეყნებს რიზა ხოზრევანიძის წერილს აჭარიდან: „დღევანდელ დღეს, მაისის 26-ს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დღეს განთავისუფლდა საქართველო და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველო,ჩვენთვის, მუსულმანი ქართველებისათვის დიდად სასიხარულოა ეს დღე. ჩვენ დროებით მოწყვეტილი ვართ საქართველოს, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ საქართველოს მთავრობა არ დაგვტოვებს ჩვენ მტრების ხელში და ყველა ზომებს მიიღებს, რომ ჩვენც ჩვენს ძმებთან ერთად ვიდღესასწაულოთ ეროვნული ზეიმი. ამ იმედით მეც მოგილოცავთ, ჩემო ძმებო, ამ დიდ დღესასწაულს.''

თელავში, მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის ხელმძღვანელობით სასეირნო ბარის წის მოეწყო თაღები, მორთული ეროვნული დროშებით და ელექტროფარებით. დამფუძნებელი კრების წევრმა ს. მაჭავარიანმა საზეიმო დღესასწაული გახსნა. ვაჟთა და ქალთა მომღერალმა გუნდმა ზ. ჩხიკვაძის ხელშეწყობით შეასრულა სხვადასხვა ეროვნული სიმღერები. გამოიფინა ცოცხალი სურათები, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ბალეტმა,მასწავლებელ ვახვახიშვილის მიერ შესრულდა შამილის ლოცვა. („გაზ. სახალხო საქმე'', N844. 1920: 8 ივნისი)

დიდებულად ჩაიარა დამოუკიდებლობის 2 წლისთავის დღესასწაულმა ქუთაისში. მზიანი დღე. დროშებით, ნოხებით, ფოთოლ-ყვავილებით მორთული სახლები, ქალაქის ქუჩები ავსებული იყო ხალხით, ყველას აღტაცება და მხიარულება ეტყობოდა. გენერალმა ციციშვილმა მისალმების შემდეგ წაიკითხა დეპეშა, რასაც ტაშისცემითა და „ვაშას“ შეძახილით შეხვდა მოსახლეობა. აქაც გაიმართა „შევარდენის“ ვარჯიშები, ველოსიპედისტთა და ფეხბურთელთა შეჯიბრება. საღამოს ყველა თეატრსა და კლუბებში გაიმართა წარმოდგენები. (გაზ. „სახალხო საქმე“ N.846. 1920: 8 ივნისი)

ყოველწლიურად, მოკრძალებულად, მაგრამ მომავლის იმედით გულანთებული აღნიშნავდა სანუკვარი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს საქართველოს ემიგრაცია. ,, ერთი ქართველიც ნუ დარჩენილა ცოცხალი თუ კვლავ შეურიგდეს მონობას!'' აცხადებს ჯარისკაცი სირაძე (გაზ. ,,თეატრი და ცხოვრება'' N6 1919 წ.)

უცხო ცის ქვეშ ცხოვრება და სამუდამო განსასვენებელი ხვდა წილად ემიგრაციაში წასულ ქართველობას, მაგრამ მათ მკერდში მუდამ ფეთქავდა საქართველოს სიყვარულით ანთებული და

დაწყლულებული გული, რადგან ახსოვდათ, თუ როგორ ესროლეს ტყვიები თბილისს, როგორ გარდაიცვალა დიდი წარსული, მაშინ:

თეთრი კაბები შეღებეს შავად
და აიყვანეს ავი მენავე
უცხო მხარეში მამინაცვალად.

დღესაც კი ეროვნული ჰიმნივით ჟღერს ემიგრაციაში მცხოვრები, აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული, გაზეთ „თეთრი გიორგისა'' და „ქართლოსის'' აქტიური თანამშრომლის ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და მის ხილვას დანატრებული სიმონ ბერეჟიანის ლექსი ,,მგოსანი''

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“

(გაზ, ,,აჭარა''. 1990 წ. 6 ივლისი)

ქართველი ხალხისათვის რევოლუციის მონაპოვარიდან არაფერი არ ყოფილა ისე მტკიცე და ძვირფასი, როგორც 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.(გაზ.,,სოციალისტ -ფედერალისტი'', 1921: 12 მარტი)

ისეთი ძლიერი იყო 26 მაისის ინერციის ძალა, რომ 1921 წელს. ეს დღე უქმედ გამოაცხადა საბჭოთა მთავრობამაც, თუმცა მომდევნო 1922 წელს ოცდაექვსმაისობა სასტიკად აიკრძალა.

1990-იანი წლებში ქართული კინოს სახლში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური კინოფირებით. იმდროინდელი პრესიდან ჩანს, რომ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ფირზე აღბეჭდავდნენ გერმანე გოგიტიძის ხელმძღვანელობით.სამი- ოთხი დღის შემდეგ კი კინოთეატრებში უჩვენებდნენ. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სულ რამდენიმე საათში დატოვა თბილისი, მაგრამ, როგორც ჩანს ემიგრაციაში კინოფირები არ წაუღიათ. ამფირების ნეგატივები ცეკავშირის სინემატოგრაფიულ განყოფილებაში ინახებოდა, ხოლო პოზიტივები კინოთეატრებში იყო გაბნეული. 1937 წლის რეპრესიების დროს კინოსტუდიაში შენახული ფირების ნაწილი გაიწმინდა, მაგრამ სტუდიის მუშაკების მონდომებითა და ხანგრძლივი მუშაობით მოხერხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი ფირების აღდგენა და დღეისათვის ცნობილია, რომ კინოარქივში დაცულია:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
2. გვარდიის დღე.
3. მენშევიკური ჯარების შესვლა აჭარაში და ბათუმში.
4. უცხოეთის დელეგაცია და კიდევ რამდენიმე სხვა კინოფირი.

ამ მასალების მიგნების შემდეგ საქართველოს ფილმოტეკას საშუალება მიეცა აღედგინა და თანამედროვე თაობისათვის ეჩვენებინა ისტორიული სინამდვილე, რომელსაც დღეს საქართველოს ტელეეკრანებიდან პერიოდულად ვეცნობით.

როგორც არ უნდა დატრიალდეს ისტორიის ჩარხი, საქართველოში 26 მაისი დარჩება საყვარელ საზეიმო დღედ. ამ დღეს გათავისუფლდა მონობისაგან ქართველი ერი. ამ დღეს ყოველმა ქართველმა უნდა იგრძნოს ძალა ეროვნული სიამაყისა და სიამოვნებისა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათუმი 1998 წ.
2. გაზ. „თბილისი“. 1990 წ. 25 მაისი.
3. გაზ. „სამშობლო“. 1989 წ. N14. 26 მაისი.
4. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ N61. 1989 წ. 25 მაისი.
5. გაზ. „ერი“. 1991 წ. 22 მაისი.
6 გაზ. „თბილისი“. 1989 წ. 25 მაისი.
7. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1990 წ. 17 აგვისტო.
8. გაზ. ,,აჭარა'' ფიქრები ემიგრანტ პოეტზე. 1990 წ. 6 ივნისი.
9. გაზ. ,,სახალხო საქმე“. 1919 წ. N539, 839. N544
10. გაზ. ,,საქართველო“. 1918 წ ივნისი.
11. გაზ. ,,სახალხო განათლება“. 1989 წ. 24 მაისი.
12. გაზ. „ერთობა''. 1919 წ 31 მაისი.
13. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1919 წლის 28 მაისი.
14. გაზ. „ერთობა“. N 14. 1920 26 მაისი.
15.გაზ. „სახალხო საქმე“. 1920 წ. N. N846 844.
16. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“. 1921წ. 12 მარტი.
17. გაზ. „თეატრი და ცხოვრება“. N 6. 1919 წ.





საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
პირველი წლისთავის ზეიმი 1919 წ. 26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.
1918 წელი

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის სხდომა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობა

სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენის"
ვარჯიში თბილისში

სახალხო გვარდიის თბილისის ბატალიონი
1918 წ.

ნატო ცეცხლაძე

უცხოური სამოვრები
(მუზეუმის ფონდსაცავში დაცული მასალების მიხედვით)

გადმოცემის თანახმად, ჩაი საქართველოში პირველად 1770 წელს გამოჩნდა, როცა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ, სამოვარი და ჩაის ჭურჭელი ერეკლე მეორეს აჩუქა. მე-19 საუკუნის დასასრულს დიდი ყურადღება დაეთმო ჩაის კულტურის განვითარებას აჭარაში, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე. საქმეში ჩაერთო ჩაით მოვაჭრე კონსტანტინე პოპოვი, რომელმაც ბათუმის შემოგარენში (ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში) შეიძინა ნაყოფიერი მიწები და ჩაის ნარგავების გაშენება დაიწყო, მანვე ააშენა ინგლისური დანადგარებით აღჭურვილი ჩაის ფაბრიკები ჩაქვსა და სალიბაურში („რატომ განადგურდა ქართული მეჩაიეობა“ - ლალი ფაცაცია, 2017 წ., http://www.ambebi.ge/sazogadoeba/211106-chai.html).

1892 წელს კონსტანტინე პოპოვი სპეციალურად გაემგზავრა ჩინეთში და პირადად გაეცნო სამხრეთ პროვინციაში მცხოვრებ, 1870 წელს დაბადებულ ლაო ჯონჯაოს, ვისი სახელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული მეჩაიეობის ისტორიაში (მარგიევი ზ., „ჩინელი ლაოს მეორე სამშობლო“, გაზეთი „ბათუმი“, 2003 წ.). პოპოვმა ჩაის ახალგაზრდა ტექნოლოგი აჭარაში ჩამოიყვანა და რეგიონში ჩაის კულტურის გავრცელების, განვითარებისა და გადამუშავების ხელმძღვანელობა ჩააბარა. ლაო ჯონჯაო 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა აჭარაში და დიდი წვლილი შეიტანა ჩაის კულტურის განვითარებაში (შერვაშიძე ნ. „ჩაის კულტურის განვითარება აჭარაში“, ა.ჭ.მ. ხ.ფ. №894, ბათუმი 1983 წ.).

1926 წელს ლაო ჯონჯაო ოჯახთან ერთად დაბრუნდა ჩინეთში. გამგზავრების წინ, მან აჭარაში მცხოვრებ მეგობრებს დაუტოვა პირადი ნივთები, რომლებიც ამჟამად ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდშია დაცული. მათ შორის მნიშვნელოვანია მუზეუმის დარბაზში ექსპონირებული ლაო ჯონჯაოს პირადი სამოვარი, რომელიც მან მოქალაქე გონჩარს დაუტოვა, 1964 წელს კი მუზეუმმა სამოვარი გონჩარისაგან შეიძინა (ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი №15).

სამოვრის, ჩაის დასაყენებელი ხელსაწყოს, გამოყენება და დამკვიდრება აჭარაში ჩაის კულტურის განვითარებამ განაპირობა. სამოვარი გამოიყენებოდა საქალაქო ყოფაში, საზეიმო შეკრებებსა თუ საოჯახო დღესასწაულების დროს. ჩაიზე დაპატიჟება ერთგვარ მოდურ გატაცებად იქცა, რამაც სამოვრის მოხმარება აქტუალური გახადა.

საუკეთესო სამოვრები საქართველოში რუსეთის ქალაქ ტულადან შემოდოდა. სამოვარს რუსეთის სხვადახვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: „სამოგარი“. „სამოკიპეცი“, „სამოგრეი“ და ა.შ. სახელები რუსულია, თუმცა, მოწყობილობა - აზიური. სამოვრის გამოგონების ზუსტი დრო და ადგილი დაუდგენელია, თუმცა ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ძველი რომში სამოვრის მსგავს მოწყობილობას ფართოდ იყენებდნენ. ძველრომაულ აუტეპსაში (სამოვარის ერთ-ერთი წინაპარი) რომაელები სხვადასხვა სასმელებს აყენებდნენ. აუტეპსა ისე იყო მოწყობილი, რომ ზამთარში ნახშირის მეშვეობით მასში ცხელ სასმელებს ხდიდნენ, ხოლო ზაფხულობით, ყინულის დახმარებით, ცივ, გამაგრილებელ ნაყენებს ამზადებდნენ. გარეგნულად აუტეპსა მაღალ ქოთანს ჰგავდა, რომელსაც ერთი მხრიდან ნიშა ჰქონდა, საიდანაც მოწყობილობას გახურებული ნაკვერჩხალი მიეწოდებოდა. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, სამოვრის ჩინურ წინაპარს - „ჰო-გოს“, რომელიც წარმოადგენდა წყლიან ჭურჭელში მოთავსებულ, საკვამურის მქონე, მეტალისა და ფაიფურისაგან დამზადებულ, ღრმა თასს, ჩინელები სუფრაზე ცხელი წვნიანის გასატანად იყენებდნენ, ხოლო რუსებმა „ჰო-გოს“ მუშაობის პრინციპი გადმოიღეს და შექმნეს სამოვარი

ჩაისთვის. ასევე, არსებობს რუსეთში სამოვრის გავრცელების ალტერნატიული ვერსია, რომელიც გვაუწყებს, რომ პირველი სამოვარი პეტრე პირველმა ჩამოიტანა ჰოლანდიიდან, ისევე, როგორც მრავალი სხვა ნოვატორული მოწყობილობა თუ მექანიზმი. ამ ვერსიის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ 1740 წლამდე სამოვრის შესახებ რუსულ წყაროებში არაფერი წერია („სამოვარი — ისტორია და დღევანდელობა“, 2017 წ., https://mzias-supra.com/samovari).

რუსული სამოვრების ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ტულა, სადაც საუკეთესო სამოვრებს ამზადებდნენ. რუსი ხელოსნების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ უბრალო, ულამაზო ჩაის დასაყენებელი მოწყობილობა ხელოვნების ნიმუშად აქციეს. რუსული სამოვარი სპილენძის, მელქიორის, თითბერისა და ფაიფურისაგან მზადდებოდა. ხშირ შემთხვევაში, ხელოსანი, დამკვეთის სურვილისამებ, მოოქროვილ ან მოვერცხლილ სამოვარსაც ამზადებდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვეთა სამოვრების მწარმოებელი რამდენიმე მსხვილი საწარმო, როგორებიცაა: ბატაშევის, ტეილეს, ლომოვის, კაპირზინის, შემერინის და სხვ., რომელთა ნაკეთობების წარმოდგენის გარეშეც არც ერთი საშინაო თუ საერთაშორისო გამოფენა არ ჩაივლიდა.

1850 წელს რუსეთში სამოვრის 28 ქარხანა არსებობდა, მათი წლიური გამომუშავება 120 000 სამოვარს შეადგენდა. თავდაპირველად სამოვარს ნახშირსა და შეშაზე ამუშავებდნენ, შემდეგ ნავთის სამოვრები შემოვიდა მოხმარებაში, და ბოლოს ელექტრო სამოვრებიც გამოჩნდა („История тульского самовара“, Юлия Измайлова, 2014 г., http://xn----dtbjalal8asil4g8c.xn--p1ai/posuda/istoriya-tulskogo-samovara.html).

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდსაცავში ათზე მეტი სამოვარი ინახება, რომლებიც წარმოებულია ქალაქ ტულაში, ბატაშევის, კაპირზინისა და ტეილეს სამოვრების ცნობილ ქარხნებში. აღნიშნული სამოვრების ნაწილი მუზეუმში შემოვიდა სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად, ნაწილი - ბათუმის საბაჟოდან, ნაწილი კი შეძენილია მოქალაქეებისაგან სხვადასხვა წლებში (ფონდების ძირითადი შემოსულობათა საინვენტარო წიგნი № 14; 15; 16).

ძმები ბატაშევების სამოვრების საწარმოს ტულაში სამოვრების მეფედ მოიხსენიებდნენ. 1840 წელს ქარხანა პატარა საწარმოს წარმოადგენდა, მისი დამაარებელი იყო სტეფანე ბატაშევი, რომლის გარდაცვალების შემდეგ ქარხნის აღორძინება-განვითარება ახალგაზრდა ძმებმა - ვასილ და ალექსანდრე ბატაშევებმა გააგრძელეს. 1870 წელს რუსეთის სამრეწველო გამოფენაზე ბატაშევის სამოვრის ქარხანა ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს. ქარხნის საქმეები წარმატებით მიდიოდა, იზრდებოდა სამოვრების წარმოება. 1883 წელს ამსტერდამის სამოვრების გამოფენაზე ქარხანამ ოქროს მედალი მიიღო. 1885 წლისათვის ბატაშევის ქარხანა ტულაში ერთ-ერთ უდიდეს საწარმოს წარმოადგენდა, რომელიც წელიწადში 11 000 სამოვარს აწარმოებდა.

მუზეუმის ფონდში დაცულია ბატაშევის ქარხნის სამი სამოვარი შესაბამისი შტამპით და წარწერით. ერთ-ერთ სამოვარს 19 სხვადასხვა გამოფენაზე მონაწილეობის დამადასტურებელი შტამპი ატყვია. ასევე გამოსახულია იმპერატორ ალექსანდრე მეორის პორტრეტი, მარია ჟოზეფინას პორტრეტი და ა.შ. (ფონდების ძირითადი საინვენტარო წიგნი №15).

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის, ბატაშევის ქარხნის ერთ-ერთ კონკურენტს წარმოადგენდა კაპირზინის სამოვრების ქარხანა, რომელიც დაარსა ივანე კაპირზინმა 1860 წელს. ქარხანა 1923 წლამდე წარმატებით მუშაობდა და ასამდე სხვადასხვა სახეობის სამოვარს აწარმოებდა. ხოლო 1923 წელს კაპირზინის ქარხანა გადავიდა სახელმწიფოს მფლობელობაში და „ლენინის სახელობის პირველი სამოვრების ქარხანა“ ეწოდა. სწორედ ამ ქარხნის პროდუქტს წარმოადგენს მუზეუმის ფონდსაცავში დაცული სამოვარი, რომელიც მუზეუმში 1978 წელს ბათუმის საბაჟოდან შემოვიდა (ფონდების ძირითადი საინვენტარო წიგნი №14).

წლების განმავლობაში სამოვრების ერთ-ერთ წარმატებულ ქარხანად ითვლებოდა ტეილეს სახელობის ქარხანა, რომელიც 1870 წელს პრუსიელმა რეინგოლდ ერდმან ტეილემ დააარსა. 1874 წელს ქარხანამ ორთქლის ენერგიის გამოყენება დაიწყო, რამაც დიდი წარმატება მოუტანა. რეინგოლდ ერდმან ტეილეს გარდაცვალების შემდეგ ქარხანას ჯერ მეუღლე ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი საოჯახო საწარმოს სამი ძმა ტეილეები ჩაუდგნენ სათავეში. 1917 წლის რევოლუციამდე ძმები ტეილეების მფლობელობაში იყო სამოვრების ორი დიდი ქარხანა, სპილენძის საწარმო და სავაჭრო კომპანია. 1919 წლის 31 მარტს ტეილეს სამოვრების ქარხანა სახელმწიფო მფლობელობაში გადავიდა და შეიქმნა ტულის სამოვრების ქარხნების მართვის გაერთიანებული კოლეგია, გაერთიანებული ქარხნების ხელმძღვანელად კი რუდოლფ ტეილე დაინიშნა. მუზეუმის ფონდში დაცულია ტეილეს ქარხანაში წარმოებული სამი სამოვარი („Самовары России“, Популярная энциклопедия.- М.: ООО «Хобби Пресс», 2009.-304 с., ил. Текст и иллюстрации: Л.В. Бритенкова, Н.В. Григорьева, С.П. Калиничев, 2009).

ტულაში სამოვრების წარმოების წარმატების ისტორია დაედო საფუძვლად ტულის სამოვრების მუზეუმის გახსნას 1911 წელს არქიტექტორ სიროცკინის პროექტით. მუზეუმი - „ტულის სამოვრები“ წარმოადგენს ტულის საოლქო ისტორიულ-არქიტექტურული და ლიტერატურული მუზეუმის ფილიალს, მისი ექსპოზიციის სამ დარბაზში წარმოდგენილია სხვადასხვა წლებში წარმოებული სამოვრების კოლექციები, მათი წარმოშობის და განვითარების ისტორია, მემორიალური ნივთები, ფოტოები, მინიატურული, სამგზავრო და სხვადასხვა სახეობის სამოვრების საინტერესო ნიმუშები.

სტატიაში მოცემულ ცნობებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩაის კულტურის განვითარებასთან ერთად აჭარის ყოველდღიურ ყოფაში ფართოდ დამკვიდრდა სამოვრის გამოყენების ტრადიცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონში თავი მოიყარა რუსეთიდან, კერძოდ კი ქალაქ ტულადან შემოტანილმა სამოვრებმა, რომელთა ნიმუშებიც დღეისათვის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდსაცავსა და ექსპოზიციაშია წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შერვაშიძე ნ., „ჩაის კულტურის განვითარება აჭარაში“, ა.ჭ.მ..ხ.ფ. №894, ბათუმი 1983 წ.
2. ფონდების ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი №14, 15, 16.
3. მარგიევი ზ., „ჩინელი ლაოს მეორე სამშობლო“. – გაზეთი „ბათუმი“ 2003 წ.
4. „Самовары России“, Популярная энциклопедия.- М.: ООО «Хобби Пресс», 2009.-304 с., ил. Текст и иллюстрации: Л.В. Бритенкова, Н.В. Григорьева, С.П. Калиничев, 2009 г.
5. „История тульского самовара“, Юлия Измайлова, 2014 г. http://xn----dtbjalal8asil4g8c.xn--p1ai/posuda/istoriya-tulskogo-samovara.html
6. „Торговый дом Б. Г. Тейле с сыновьями“, Прокопьевский городской краеведческий музей http://prk-museum.ru/index.php/kollektsii/fondovye-kollektsii/82-vnutrennie/277-samovarnaya-fabrika-tejle-s-synovyami
7. „სამოვარი — ისტორია და დღევანდელობა“, 2017 წ. https://mzias-supra.com/samovari/
8. ფაცაცია ლ., რატომ განადგურდა ქართული მეჩაიეობა. 2017 წ. http://www.ambebi.ge/sazogadoeba/211106-chai.html

ტეილეს ქარხნის სამოვარი

ტეილეს ქარხნის სამოვარი

ტულის სამოვრების მუზეუმი

ლაო ჯონჯაო

ლაო ჯონჯაოს სამოვარი

ბატაშევი

ბატაშევის ქარხანა

ბატაშევის ქარხნის სამოვარი

კაპირზინის ქარხნის სამოვარი

ლამარა გულორდავა

ვაზის აბორიგენული ჯიშები აჭარაში

საქართველო უძველესი ვაზის სამშობლოა. ვაზი გვხვდება კოლხეთის ტყეებში. მსოფლიოში ცნობილ ვაზის 4000 ჯიშს შორის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 500-ზე მეტი აბორიგენული და კულტურული ვაზის ჯიშია.

ვაზი ადამიანს წინა გეოლოგიური პერიოდიდან მემკვიდრეობით გადმოეცა. 15 მლნ. წლის წინ, დასავლეთ საქართველოში, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში ხარობდა სუბტროპიკული ტყე, სადაც ხარობდა პალმები, ქაფურის ხე, დაფნები, გვიმრისნაირები, ლეღვი, მუხა, ფიჭვისებრნი და სხვ. და რა თქმა უნდა გიგანტური ვაზი, რომელიც ვულკანმა დაფარა. ჩვენს მუზეუმში დაცულია გაქვავებული ვაზის მერქანი, რომელიც ჩამოტანილია გოდერძის ნამარხი ტყიდან.

ჩვენს წინაპრებს პირველად 7000 წლის წინ დაუყენებიათ ღვთაებრივი სასმელი. ათასწლეულების განმავლობაში კი მათი დაუღალავი და მადლიანი მარჯვენის წყალობით მევენახეობა და მეღვინეობა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგად ჩამოყალიბებულა.

ქართველმა ხალხმა ვაზისა და ღვინისადმი განსაკუთრებული სიყვარული ასახა ტრადიციებში, კულტურაში, არქიტექტურაში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.

უძველესი წყაროებიდან მნიშვნელოვანია მითი არგონავტების შესახებ, რომელიც გვამცნობს, რომ დასავლეთ საქართველოში ხეები დაფარული იყო ვაზით, ხოლო დიდებულთა სასახლეში სპეციალურად მოწყობილ შადრევნებიდან ღვინო ჩქეფდა (ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 საუკუნე).

გარეული ვაზის ფოთლების ანაბეჭდი აღმოჩენილია მდ. არაგვის ხეობაში. მრავალი უძველესი ქართული მონასტერი, ტაძრები მოჩუქურთმებულია ვაზის ფოთლებით, მტევნებით.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია უძველესი მარნები მიწაში ჩაფლული ქვევრებით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის, სასმისები, რომლებც ჩვ. წ.აღ-მდე III-II ათასწლეულებით თარიღდება. თრიალეთის სამარხებში ნაპოვნია ბრინჯაოს სასხლავი დანა, ღვინის სასმელი კათხები. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია და სხვა განათხარი მასალა მოწმობს, რომ ათასწლეულების ბოლოს მევენახეობა საქართველოში უკვე საკმაოდ დაწინაურებული იყო. ამას ადასტურებს კახეთში აღმოჩენილი ვაზის ნამგლისებური სასხლავი, რომელიც ბრინჯაოსგანაა დამზადებული, სოფ. ნინოწმინდაში აღმოჩენილია წიპწები, რომლებიც რქაწითელისა და მწვანე ჯიშის არსებობაზე მიუთითებს. მეღვინეობა-მევენახეობაში გამოყენებული ნივთები ამშვენებს საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმს, მათ შორის ჩვენს მუზეუმს.

IV ს-ში წმინდა ნინომ ვაზისგან შეკრული ჯვრით უქადაგა ქართველებს ქრისტეს რჯული. ეს ჯვარი დღემდე ინახება თბილისში, სიონის ტაძარში და მას მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს. საქართველოს გარდა არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს ,,ვაზის ჯვრის კულტი''.

ვაზი და ღვინო ქართველი ერის კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ღვინოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქრისტიანულ რელიგიაში. ზიარებისას მიღებული ღვინო ქრისტეს სისხლთან ასოცირდება. ჯერ კიდევ X-XI სს-ში გელათის აკადემიაში ფლობდნენ ღვინის წარმოების განსაკუთრებულ ხერხს. აქვე შემონახულია უძველესი მარანი. ვაზს მიეძღვნა არაერთი საგალობელი, მათ შორის გამორჩეულია დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე უფლისწულის საგალობელი ,,შენ ხარ ვენახი'', რომელიც ღვთისმშობელს უძღვნა.

საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული ვაზის ჯიშების აღწერა და მევენახეობის განვითარების, ღვინის დაყენების ძველი მეთოდები შესწავლილი აქვს ივანე ჯავახიშვილს ნაშრომში ,,საქართველოს ეკონომიკური აღწერა'' (1934 წ.) მეცნიერს მოყავს 420 ჯიში, აქედან აჭარაში 14 შავი და 12 თეთრია. ამ ნაშრომმა ხელი შეუწყო ვაზის ჯიშების აღდგენას და შესწავლას.

დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან აჭარა მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ კერას წარმოადგენს. აჭარაში სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქვევრები და საწნახლები, ასევე, განვითარებულ მეღვინეობის ტრადიციებზე მიუთითებს. მეღვინეობა ყველაზე მასშტაბურად ქედაში იყო გავრცელებული. სოფ. ქვედა მახუნცეთში კლდეში ნაკვეთი საწნახელია, რომელიც ანტიკურ ხანას განეკუთვნება და დაახლოებით ძვ. წ. აღ.-ით IV- III ს-ით თარიღდება. 2015 წლის მაისში, ხელვაჩაურში, სოფ. კაპნისთავში მცხოვრებმა ხასან კახიძემ საკუთარ საკარმიდამოში VI-XI სს-ის მარანი აღმოაჩინა. ამ აღმოჩენით დასტურდება, რომ აჭარას ღვინის წარმოების მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები აქვს. ღვინის მარანში 11 ქვევრი იქნა აღმოჩენილი, რომელთა ფორმითაც დასტურდება, რომ ჭურჭელი არის როგორც ქართული, ისე ბიზანტიური. ქვევრები საუკუნეების მანძილზე მიწით იყო ამოვსებული.

თურქთა მიერ ამ მხარის დაპყრობისა და მოსახლეობის გამუსულმანების შემდეგ აჭარაში დაეცა მევენახეობა. დარჩა მხოლოდ მაღლარი ვენახების მცირეოდენი ფართობები, რომელთა მოსავალს მხოლოდ სასუფრედ იყენებდნენ. ისლამის რელიგიის გავრცელების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს აჭარის მოსახლეობაში ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ქართული დედაენის მოსპობა, ასევე ვერ შეძლეს ვაზის ამოძირკვაც.

მნიშვნელოვანია ამ მხარის წვლილი ვაზის უმდიდრესი გენოფონდის, ამ ეროვნული განძის შექმნის საქმეში. ცნობილი ამპილოგრაფი მაქსიმე რამიშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ,,გურიის, აჭარისა და სამეგრელოს ვაზის ჯიშები'' აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ვაზის მაღლარი ჯიშები აჭარის ტერიტორიაზე უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში. მის მიერ ნაპოვნია ვაზის სხვადასხვა სახეობანი და ამპელოგრაფიული მეთოდებით შესწავლილია 40-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში.

1934 წლამდე აჭარაში ერთი ჰექტარი დაბლარი ვენახიც არ მოიპოვებოდა. 1945 წლისთვის კი უკვე 160 ჰა დაბლარი ვენახი იყო გაშენებული და ამ ვენახების ძირითადი მასივი (90-95 %) ცოლიკაურისგან (იმერეთის აბორიგენული ჯიში) შედგებოდა. ცოლიკაურის შემდეგ ყველაზე გავრცელებული ჯიში იყო (საწურავი), რომელიც სხვა აბორიგენული ჯიშების მსგავსად, აჭარელ მევენახეებს ხეებზე ან მაღლარ ხეივნებზე ჰქონდათ გაშენებული.

გასულ საუკუნეში ქედაში გაშენებული იყო საცდელ-საკოლექციო ნაკვეთი, სადაც ძირითადად აჭარის აბორიგენული ჯიშები იყო დაცული. ამ კოლექციიის მოწყობა იმ მრავალწლიანი კვლევის შედეგი იყო, რაც 30-40-იან წლებში გასწიეს ამპელოგრაფებმა, განსაკუთრებით კი - მაქსიმე რამიშვილმა. მათ სათითაოდ ჩამოიარეს აჭარის სოფლები, აღნუსხეს, დააკვირდნენ და საკოლექციო ნაკვეთებში გადმოიტანეს აჭარის აბორიგენული ვაზის ჯიშები, რომელთა რაოდენობამ შეადგინა 50 ვაზის ჯიში. ესენია: ალმურა თეთრი, ალმურა შავი, ახალაკი, ბათომურა, ბაღის ყურძენი, ბროლა, ბურძღალა, ბუტკო, გორგოული, ვაიოს საფერავი, თეთრა, თურვანდი, თეთრი კაიკაციშვილისეული, კვირისთავა, კიბურა, კირწწითელა, კლარჯული, კოლოში, კორჩალა, ლივანურა თეთრი, ლივანურა შავი, მათენაური, მაგარა, მეკრენჩხი, მისკიეთა, მორცხულა, მწვანურა, მწვანე აჭარული, ორჯოხული, პოვნილი, სალიკვლევი, საფერავი აჭარული, საწური (საწურავი), სხალთაური, ტყის ვაზი, ტყის ყურძენა, ქორქაულა, შავშურა, შიშველი,

ჩიტისთვალა აჭარული, ჩხუში, ცვითე, ცხენისძუძუ აჭარული, წვიტე, ჭეჭიბერა, ჭიპაკური, ჭოდი, ხარისთვალა აჭარული, ხოფათურა, ჯინეში.

აჭარაში გავრცელებული ყურძნის ჯიშებიდან გამოირჩევა თეთრი აბორიგენული: ბროლა, კლარჯული, თეთრი კაიკაციშვილისეული, თეთრა, ჯავახეთურა, ხოფათური. ასევე წითელი აბორიგენული: ტაკიძურა, საწურავი, ცხენისძუძუ, შავი ლივანურა, ბუტკო, პოვნილი.

ბროლა. ამ ჯიშის ყურძნის მტევანი თხელია, საშუალო სიმკვრივის, ძველად ბროლა ფართოდ ყოფილა გავრცელებული აჭარის მაღალმთიან რაიონებში, მაგრამ დაავადებებისა და მოუვლელობის გამო ერთბაშად განადგურებულა. ამჟამად ერთეული ნარგავები გვხვდება. იგი მაღლარი ვაზია და მიშვებულია მაღალ ხეებზე. აჭარაში მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის კარგია ბროლას გაშენება დაბლარად, ნამყენის სახით. ბროლა წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ადგილობრივი მნიშვნელობის თეთრი სუფრის ღვინის დასამზადებლად.

ცხენისძუძუ აჭარული-აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. ამ სახელს ვაზი ატარებს მისი მარცვლების ცხენის ძუძუსთან მსგავსების გამო. საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხენისძუძუ თურქული ათმეთეს სახელწოდებითაა ცნობილი. იგი ჩამოყალიბდა პონტოს მხარეში, ბუნებრივი გამრავლების გზით საუკუნეთა განმავლობაში განივითარა ამ ზონისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და გამოიყო აჭარის ენდემურ ვაზის ჯიშთა ჯგუფში. ნამყენების სახით დაბლარად ცხენისძუძუ გაშენებულია ქედაში ვაზის საკოლექციო ნაკვეთზე. აჭარული ცხენისძუძუ, როგორც მაღალხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიში, მევენახეობის შემდგომი განვითარების შესაბამისად მიზანშეწონილია ფართოდ გავრცელდეს დაბლარების სახით მთიან რაიონებში.

საწურავი აჭარის წითელყურძნიანი აბორიგენული ვაზის ჯიშია, ენდემური სახეობა. მის პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობა იყენებდა საოჯახო ღვინისა და ყურძნის წვენის დასამზადებლად. თურქების მიერ ამ მხარის დაპყრობამ და ღვინის სმის აკრძალვამ, აგრეთვე ვაზის დაავადებების გავრცელებამ შეამცირა საწურავის გავრცელების არეალი. დღემდე ერთეული ძირები შემორჩა ქედისა და ხულოს რაიონში მაღლარის სახით (სოფ. ვაიო, ზვარე, ფურტიო, ჩაო, ალმე). საწურავი საღვინე ჯიშია. უხვმოსავლიანია. ის შეიძლება იყოს როგორც მაღლარი, ისე დაბლარად აღზრდილი ვაზი.

პოვნილი წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია, გავრცელებულია მაღლარის სახით ქედის რაიონში. გადმოცემით აღნიშნული ჯიში ტყიდან ჩამოუტანიათ, როგორც უხვმოსავლიანი. შემდგომ პერიოდში ფართოდ გავრცელებულა, რადგან ჯიშის სახელწოდება ვერ აღუდგენიათ, დაურქმევიათ ,,პოვნილი''. ამჟამად მცირეოდენი ნარგავების სახით იგი შემორჩენილია ს. სიხალიძეებისა და მეძიბნას მიდამოებში. მოსახლეობა პოვნილის პროდუქციას წარსულში დასაწურად იყენებდა, ამზადებდა საოჯახო მოხმარების ღვინოებს, ხოლო შემდგომ პერიოდში - ყურძნის წვენს ან ბადაგს საზამთროდ. ყურძნად არ ინახავდნენ ცუდი გამძლეობის გამო.

ბუტკო აჭარის უძველესი წითელყურძნიანი აბორიგენული ჯიშია. აჭარის რაიონებში და აგრეთვე შავშეთ-კლარჯეთში შავმარცვლიანი. ბუტკოს არსებობა შორეული წარსულიდან არის ცნობილი. მკვლევართა ცნობით აღნიშნული ჯიში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ამ მხარეში შოთა რუსთაველის ეპოქა (მე-12 ს-ში). ერთეული ძირი მაღლარების სახით გავრცელებულია მხოლოდ ქედის რაიონის სოფ. ვაიოს მიდამოებში. ბუტკო საღვინე ჯიშია, როგორც უხვმოსავლიანი. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მოხმარების ხალისიანი ღვინოების დასამზადებლად.

კლარჯული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშს ეკუთვნის. ჯიში შემოტანილია კლარჯეთიდან, სადაც ამ ვაზის განვითარების მეტად ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები არსებობს. მისი ნაყოფი

გემრიელია. გამოირჩევა მტევნისა და მარცვლების გარეგნული სილამაზით, უხვი მოსავლიანობით. კლარჯულის ნარგავები თითქმის განადგურდა. ამჟამად მისი მხოლოდ ერთეული მაღლარებია გადარჩენილი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მთისპირა სოფლებში. კლარჯულის მასობრივად დანერგვა მიზანშეწონილია ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მაღალ ზონებში. მისი პროდუქცია მიზანშეწონილია სუფრის ყურძნად ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის.

მეკრენჩხი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება მაღალხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს. კოლხეთის ვაზის ტიპიური წარმომადგენელია. მეკრენჩხის ყურძენს ძირითადად საჭმელად ხმარობდნენ, რისთვისაც მას ხშირად ვაზზე ტოვებდნენ შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში და მხოლოდ საჭიროების მიხედვით კრეფდნენ. ღვინოსაც აკეთებდნენ, მაგრამ ხანგრძლივად არ ინახება. მეკრენჩხი იზრდება როგორც მაღლარი, ისე დაბლარი. როგორც უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი სუფრის ყურძნის მომცემმა აბორიგენულმა ჯიშმა ფართო გავრცელება უნდა პოვოს გურია-აჭარაში, განსაკუთრებით ქედისა და შუახევის რაიონებში.

ჯავახეთურა თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. არის საადრეო და იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის ყურძენს. საკმაოდ უხვმოსავლიანია. მისგან ადგილობრივი მოხმარების საოჯახო ღვინოს ამზადებენ. იგი ასწლოვან მაღლარებადაა გავრცელებული სოფ. ჩაოსა და ფურტიოს მიდამოებში. ნამყენების სახით დაბლარად ჯავახეთურა წარმოდგენილია ქედის რაიონში.

ალმურა შავი, საღვინე მიმართულების, ადგილობრივი მოხმარების სუფრის წითელი ღვინოა, საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშია. ალმურა თეთრი სასუფრეა. ხასიათდება მტევნისა და მარცვლის გარეგნული სილამაზით და სიდიდით, სასიამოვნო გემოთი.

თეთრი კაიკაციშვილისეული აჭარის თეთრყურძნიანი და ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. გადმოცემით ეს ჯიში კაიკაციშვილის წინაპართ ტყიდან წამოუღიათ, როგორც უხვმოსავლიანი. მაღლარების სახით ფართოდ გაუვრცელებიათ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში. ამ ჯიშს შემომტანის გვარის მიხედვით უწოდეს კაიკაციშვილისეული. მისი პროდუქცია წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ხარისხოვანი თეთრი ფერის ღვინოების დასამზადებლად. ამიტომ, კაიკაციშვილისეულმა აჭარის თეთრყურძნიან ჯიშებს შორის საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს და მისი გავრცელება გამართლებული იქნება ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მთისპირა სოფლებში.

თეთრა აჭარის ვაზის აბორიგენულ ჯიშებს შორის ძველთაგან ცნობილია. არის უხვმოსავლიანი, საღვინე და სასუფრე ყურძნის ჯიში. თეთრას ყურძენი ვაზზე იანვრამდე რჩება და არ კვდება. თეთრა უხვმოსავლიანი ჯიშია. თეთრა საყურადღებო ჯიშია, განსაკუთრებით ზემო აჭარისათვის. შესაძლებელია თეთრას გაშენება დაბლარად, სადაც იგი უკეთესი ხარისხის პროდუქციას მოგვცემს.

ხოფათური მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიშია. იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო სოფ. ხოფას მიდამოებში, საიდანაც წარმოსდგა თვით ჯიშის სახელწოდებაც. ხოფათური ძველად უპირატესად გავრცელებული იყო შუა და ზემო აჭარის მიკრორაიონებში მაღლარის სახით. მას იყენებდნენ როგორც სასუფრე ყურძენს, ამზადებდნენ ყურძნის წვენს და ბადაგს. ხოფათური აჭარაში შემცირდა დაავადებების გამო. ძირითადად შემორჩენილია ქედისა და შუახევის რაიონებში. გამოიყენება მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. მოსავლიანობის გადიდების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხოფათური კარგი იქნება მომავალში გავაშენოთ დაბლარად, ნამყენების სახით, განსაკუთრებით ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონების მთისპირა ზონებში

ტაკიძურა წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია მაღლარის სახით, მხოლოდ ქობულეთის რაიონის ხუცუბნის, სამების, კვირიკესა და მუხაესტატეს მიდამოებში. ეს ჯიში შემოტანილი ყოფილა ვინმე ტაკიძის მიერ, რომელსაც გაუშენებია სოფ. ხუცუბანში მაღლარის სახით. აქედან დაერქვა ტაკიძურა. წარსულში ეს ჯიში გავრცელებული ყოფილა ქობულეთის რაიონის მთისპირა სოფლებში და გურიიის მოსაზღვრე ადგილებში. მისი გაშენება კარგი იქნება დაბლარად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მთისპირა სოფლებში.

შავი ლივანურა წითელყურძნიანი სუფრის და საღვინე ჯიშია. გადმოცემით ლივანურა არ არის ადგილობრივი, იგი შემოტანილი უნდა იყოს ლივანიდან. ვაზი ფართოდ ყოფილა გავრცელებული აჭარაში. მის პროდუქციას მოსახლეობა ხმარობდა სასუფრედ, ამზადებდნენ აგრეთვე ყურძნის წვენს და ბადაგს ზამთრისთვის. ვაზი შემორჩა ერთეული ძირების სახით ქედის რაიონში. ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრის ბოლომდე ძლებს დაუჭკნობელად. დაკრეფილი ყურძენი დიდი ხნით ინახება. მისი გაშენება დაბლარად ნამყენების სახით კარგ შედეგს მოგვცემს მთიან რაიონებში.

ჭიპაკური საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშია. დღევანდელი მდგომარეობით დაკარგული ჯიშია. ამზადებენ ადგილობრივი მოხმარების სუფრის წითელი ღვინოს, ასევე გამოიყენება სასუფრე ყურძნად.

ჭოდი გამოიყენება ადგილობრივი მოხმარების სასუფრე ყურძნად. საგვიანო პერიოდის ჯიშია. დღევანდელი მდგომარეობით საკოლექციო ჯიშია. იძლევა ადგილობრივი მოხმარების საკმაოდ ხარისხიან სუფრის წითელ ღვინოს.

ჭეჭიბერა საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშია. ცალკე დაყენებული ჭაჭიბერას ღვინო დაბალი ხარისხისაა, მაღალმჟავიანი, ალკოჰოლის დაბალი შემცველობით. ამიტომ გამოიყენება სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შერევით და ადგილობრივი მოხმარების სასუფრე ყურძნად.

მისკიეთა თეთრყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქედის რაიონის სოფ. სიხალიძეებში, მეძიბნაში და თვით ქედის მიდამოებში. გადმოცემით მისკიეთა თურქეთიდან უნდა იყოს შემოტანილი მე-19 ს. პირველ ნახევარში. კარგი იქნება მისი გამრავლება ნამყენების სახით დაბლარად. მისკიეთა უნდა გაშენდეს სამხრეთით მიმართულ ფერდობებზე. ამგვარი ნაკვეთები ქედის რაიონში მრავალ ადგილას შეიძლება იქნეს გამორჩეული. მისკიეთა ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშია. იგი ფართო ყურადღების ღირსია. ამიტომ მასობრივად უნდა იქნეს დანერგილი ნამყენების სახით ქედის რაიონის სოფლებში.

თეთრი ლივანურა გავრცელებულია მაღლარების სახით ზემო აჭარაში, სოფ. ვაიოს მიდამოებში. ადგილობრივთა ცნობით იგი გადმოუტანიათ მათ წინაპრებს 1800-იან წლებში ლივანიდან. მიეკუთვნება ხარისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს. თეთრი ლივანურა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და იგი როგორც ხარისხოვანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის ჯიში, მასობრივად უნდა იქნას გავრცელებული შუა და ზემო აჭარის სოფლებში. მიზანშეწონილია მისი დაბლარად გაშენება ნამყენების სახით ფილოქსერის გამძლე საძირეებზე.

შავშურა ადგილობრივი მნიშვნელობის თეთრყურძნიანი სუფრის ყურძნის ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ხულოს რაიონის სოფ. ჩაოს, ფურტიოს და ალმეს მიდამოებში. გადმოცემით შავშურა აჭარაში შავშეთიდან ყოფილა შემოტანილი. შავშურა როგორც საკმაოდ ხარისხიანი პროდუქციის მომცემი სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში, ყურადღების ღირსია. მისი გაშენება მიზანშეწონილია ხულოს რაიონის მთისპირა სოფლებში ზღ. დ. 800-1000 მ. სიმაღლეზე. მოსავალი გაიზრდება თუ გაშენდება დაბლარად, თანაც მზით განათებულ ფერდობებზე.

ბათომურა წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქობულეთსა და ოზურგეთის რაიონებში. ჯიშის ნამდვილი სახელწოდება დაკარგულია და მიუღია იმ ადგილის

სახელი, სადაც იგი მასობრივად იყო დანერგილი და გავრცელებული (ბათუმი). ადრე ბათომურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით ქვემო აჭარაში. მისი გავრცელების არეალი მეტად შემცირებულია. ხნოვანი ვაზების თითო-ოროლა ძირი მაღლარების სახით ამჟამად გვხვდება სოფ. კვირიკეში, ხუცუბანში. ბათომურა ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის ჯიშია. ყურადღების ღირსია და მისი გამრავლება ნამყენების სახით მიზანშეწონილია ქვემო აჭარის ზონაში.

ვაიოს საფერავი წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქედის რაიონში სოფ. ვაიოს მიდამოებში. იძლევა საკმაოდ ხარისხიან პროდუქციას წითელი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. ვაიოს საფერავის ფართოდ გავრცელება დასაშვებია ქედის რაიონის მთიპირა და სამხრეთით დახრილ ფერდობებზე ნამყენების სახით, ფილოქსერაგამძლე საძირეებზე.

მტრედისფეხა წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ქვემო გურიისა და ქვემო აჭარის მთისპირა სოფლებში. წარსულში მისგან საკმაოდ მაღალი ღირსების ღვინოს ამზადებდნენ და სუფრის ყურძნადაც იყენებდნენ. ამ მიზნით ყურძენს ხშირად დაუკრეფავს ტოვებდნენ ვაზებზე და კრეფდნენ საჭიროების მიხედვით ზამთრის პირზე. ჯიში საყურადღებოა. მისი გამრავლება ნამყენების სახით დასაშვებია სამეგრელოსა და გურიის რაიონებში.

მახათური გურიასა და ქვემო აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიშია. ადრე ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ყურძენს ხშირად ვაზებზე ტოვებდნენ ახალწლამდე ან აკიდოებად ინახავდნენ, რომელიც მთელი ზამთარი ძლებდა. გარდა ამისა მისგან ამზადებდნენ ღვინოს. ამჟამად მახათურას გავრცელების არეალი შეზღუდულია. შემორჩენილია ერთეული მაღლარების სახით სოფლებში კვირიკეში და ზემო სამებაში.

კოლოში აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. ხულოში, სოფ. დეკანაშვილებში გვხვდება კოლოშის ხნოვანი მაღლარები. მოსახლეობა მის მოსავალს ამჟამად მხოლოდ ყურძნად ხმარობს. ამისათვის ყურძენს ან ვაზზე ტოვებენ, ან აკიდოებად ინახავენ. კოლოშის გავრცელება მიზანშეწონილია ხულოს და ქედის რაიონებში, მხოლოდ ნამყენების სახით, სამხრეთულ, მზით განათებულ ფერდობებზე.

მათენაური წითელყურძნიანი, აჭარის აბორიგენული ვაზის ჯიშია. გავრცელებულია მაღლარების სახით ხულოს რაიონის ს. დეკანაშვილებში. ადრე ფართოდ იყო გავრცელებული და მოსახლეობა ძირითადად იყენებდა ყურძნად ან ამზადებდა შესქელებულ წვენს. დაავადებების გამო ჯიშის ნარგავები შეიზღუდა. სამეურნეო დანიშნულებით მათენაური სუფრის ყურძნის ჯიშია. კარგი იქნება მისი გავრცელება ხულოს რაიონის აჭარისწყლის ხეობის მარჯვენა მხარეზე მზით განათებულ კალთებზე.

ჯინეში წითელყურძნიანი ჯიშია. მაღლარად გავრცელებულია ზემო აჭარაში, სოფ. დეკანაშვილებში, ჩაოში, ფურტიოში. მოსახლეობა სასუფრედ ხმარობდა. აკიდოებად ინახავდნენ მთელი ზამთარი. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებს, მხოლოდ ჭკნება. ჯინეში ძირითადად სუფრის ყურძნის ჯიშია. იძლევა ღია ვარდისფერ ღვინოს. მიზანშეწონილია ჯინეშის აღდგენა და მასობრივი გავრცელება ხულოსა და ქედის რაიონში ნამყენების სახით სათანადოდ შერჩეულ საძირეებზე.

ხარისთვალა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. მაგრამ აჭარაში გავრცელებული ხარისთვალას ჯიში განსხვავებულია. იგი მოიპოვება მაღლარად ქედის და ხულოს რაიონში, სოფ. ვაიოში, სიხალიძეებში, ფურთიოში, ჩაოში. აჭარული ხარისთვალა სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფშია, მაგრამ გემური თვისებებით სუფრის ყურძნისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. კულტურულ პირობებში ჩაყენებით აღნიშნული ჯიში მოგვცემს რაოდენობრივ

დიდსა და ხარისხიან პროდუქციას. მისი გაშენება საჭიროა საკოლექციო და ჯიშთა გამოსაცდელ ნაკვეთებზე.

ქორქაულა აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიშია. იგი პონტოური წარმოშობისაა და აჭარის ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. წარსულში ქორქაულა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარების სახით შუა და ზემო აჭარის რაიონში. დაავადების გამო მისი არეალი შემცირდა. იგი მაღლარების სახითაა ხულოში (ჩაოს და ფურტიოს მიდამოებში). ქორქაულას გაშენება მიზანშეწონილია შუა და ზემო აჭარის რაიონში. სამეურნეო დანიშნულებით ქორქაულა მიეკუთვნება საკმაოდ ხარისხოვანი სუფრის ყურძნის და ღვინის ჯიშთა ჯგუფს.

ჩხუში აჭარის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. იგი გავრცელებულია მაღლარების სახით ქედის რაიონში, სოფ. სიხალიძეებისა და ასამბაძეების მიდამოებში. ჩხუში საშუალო ზრდა-განვითარების ვაზია. კარგ ამინდში საკმაოდ უხვმოსავლიანია. სუსტი გამძლეა ავადმყოფობათა მიმართ. სამეურნეო თვალსაზრისით მისი გაშენება დასაშვებია მხოლოდ საკოლექციო ნაკვეთებში შემდგომი დაკვირვებისათვის.

ღვანურა წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. გავრცელებულია ერთეული ძირების სახით, ხულოს რაიონში, სოფ. ჩაოს, ფურტიოს, და სხალთის მიდამოებში. ადრე მის მოსავალს ძირითადად ყურძნად ან წვენად იყენებდნენ. გადარჩენილი ვაზები მობერებულია. სამეურნეო დანიშნულებით ღვანურა საღვინე ჯიშია. მისგან ადგილობრივი მოხმარების ღვინო ან ყურძნის წვენი მზადდება. ყურძენი არ ინახება. ღვანურა ფართო ღირებულებას მოკლებულია. ამიტომ მისი აღდგენა და გაშენება დასაშვებია სხვა ჯიშებთან შერევით. აგრეთვე საკოლექციო და ჯიშთა გამოსაცდელ ნაკვეთებში შემდგომ დასაკვირვებლად.

ჩიტისთვალა წითელყურძნიანი ჯიშია. გავრცელებულია ასწლოვანი მაღლარების სახით ზემო აჭარაში, ხულოს რაიონში. იძლევა დაბალხარისხოვან მასალას, რის გამოც იგი ინტერესს მოკლებულია.

კიბურა ვარდისფერყურძნიან ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის. გავრცელებულია თითო-ოროლა ძირის სახით მაღლარად ქედის რაიონში. კიბურა აჭარულ ვაზის აბორიგენული ვაზია. სოკოვან ავადმყოფობებს ვერ უძლებს. ავადდება ჭრაქით. სამეურნეო თვალსაზრისით კიბურა ინტერესს მოკლებულია. იძლევა მდარე პროდუქციას. შესაძლებელია კულტურულ პირობებში ჩაყენებით მისი პროდუქციის ღირსება გაუმჯობესდეს. ამ მიზნით კარგი იქნება იგი გაშენებულ იქნეს ნამყენების სახით ჯიშთა გამოსაცდელ და საკოლექციო ნაკვეთებში შემდგომი დაკვირვებისათვის.

ტყისყურძენა გავრცელებულია მაღლარების სახით ზემო აჭარაში. განსაკუთრებით ტყეებსა და გზების სანაპიროებზე. აჭარული ტყისყურძენა მეტად დაბალ ხარისხოვან პროდუქციას იძლევა, რის გამოც იგი სამეურნეო ღირებულებას სრულად მოკლებულია. მცირედ მოსავლიანობის გამო ტყისყურძენა სამეურნეო ღირებულებას მოკლებულია. მაგრამ როგორც ძლიერად მზარდი და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით გამძლე ჯიში, მისი გაშენება დასაშვებია მხოლოდ კვლევითი მიზნებისათვის ჯიშთა გამოსაცდელ და საკოლექციო ნაკვეთებში.

ბოლო წლებში აჭარის რეგიონში მევენახეობის დარგი გამოცოცხლდა. ამას ხელი შეუწყო ,,აჭარული ღვინის სახლის'' აქტიურობამ. ასევე ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო ვაზის იმ უნიკალური და იშვიათი ჯიშების აღდგენა, რომლებიც საქართველოში გარკვეული პერიოდის წინ მოჰყავდათ მევენახეებს და სხვადასხვა მიზეზის გამო დღეს ან შემცირებული რაოდენობით ან საერთოდ არ მოჰყავთ.

მევენახეობა-მეღვინეობიოს აღდგენა-განვითარებასთან დაკავშირებით, ქედის საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთში გაშენდა როგორც ადგილობრივი, ასევე შემოტანილი ვაზის 29 ჯიში. გარდა

ამისა წარმოებდა დაკვირვება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში მაღლარ ვაზზე. შესწავლილ და აღწერილ იქნა 40-მდე ჯიში.

ქობულეთში, გვარა-ხუცუბანში ორგანიზაცია ,,აგროსერვისცენტრის'' ვაზისა და ხეხილის საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობა 2013 წლიდან არსებობს, სადაც სასუფრე და საღვინე ყურძნის 32 უნიკალური ჯიშია დარგული. 2014 წლიდან აგრო-სერვის ცენტრმა აჭარაში დაიწყო ვაზის ნერგების გაცემა. ძირითადად მევენახეებზე გაიცემა ჩხავერის და ცოლიკაურის ნერგები, რაზეც მოთხოვნა და ინტერესი ტრადიციულად ყველაზე დიდია.

შეიძლება, რომ აჭარაში დღემდე შემორჩენილი ვაზის სხვადასხვა ჯიშები, თავისი სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებებით მიმზიდველი არ იყოს, მაგრამ ისინი გარემო პირობებისადმი გამძლეობითა და სიცოცხლისუნარიანობის უნიკალური თვისებებით, უთუოდ წაადგება ახალი, უხვმოსავლიანი და დაავადებებისადმი გამძლე ახალი ჯიშების სელექციის, მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეს.

ბოლო წლებში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა პროცესებმა, მოსახლეობის შიშმა მოსალოდნელი შიმშილისა, წინა პლანზე ერთწლიანი სათოხნი კულტურების წარმოება წამოწია და მევენახეობას განსაკუთრებული ზიანი მიაყენა. ამის შედეგად აჭარაში შემცირდა ვენახების ფართობები. აქედან გამომდინარე დღეს ქართული სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა აჭარაში გადარჩენილი აბორიგენული ვაზის ჯიშებზე ადრე დაწყებული კვლევების გაგრძელება, საკოლექციო-სადედე ნაკვეთების და სანერგეების აღდგენა, მევენახეობის, როგორც დარგის აღორძინება და შემდგომი განვითარება.

ამ მიმართებით აჭარის მთავრობამ მიზნობრივი პროგრამით რეგიონის მოსახლეობას უფასოდ დაურიგა ვაზის ნერგები. აჭარის სოფლებში გაშენდა 50 ჰა-მდე საღვინე ვაზის ჯიშები. გათვალისწინებულია ვაზის პლანტაციების 1000-1200 ჰა-მდე გაზრდა.

ბოლო წლებში ბათუმ-ლაზეთის ეპარქიის უშუალო ინიციატივით სისტემატურად იმართება ოჯახში დამზადებული ღვინოების ფართომასშტაბიანი ფესტივალები. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ვაზის გავრცელებას აჭარაში. ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სამეცნიერო კვლევითი მუშაობის თემატიკის ფარგლებში საკმაოდ დიდი ხანია მუშავდება აჭარაში შემორჩენილი აბორიგენული და ინტროდუქცირებული ვაზის ჯიშების შესწავლისა და მისი შემდგომი გაშენების, ყურძნის გადამუშავების საკითხები, რაც სახელმწიფოსაგან უფრო მეტ დახმარებასა და მხარდაჭერას მოითხოვს. ამრიგად მევენახეობა იყო და უნდა დარჩეს აჭარის აგრარული სექტორის ერთ-ერთ წამყვან დარგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარისაშვილი გ., მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში. 2016 წ. (google-ს საძიებო სისტემაში: Vinoge.com./mevenaxeoba/mevenaxeoba-megvineoba-awarasi).
2. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ, ტაბიძე დ. საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი 1960 წ.
3. მაღრაძე დ., მდინარაძე ი. ვაზისა და ხეხილის გენოფონდი საქართველოში (სამეცნიერო შრომის კრებული). თბილისი 2008 წ.
4. ნუცუბიძე მ., მევენახეობა აჭარაში. ბათუმი 1976 წ.
5. რამიშვილი მ., გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი 1948 წ.
6. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020'. აპრილი, 2014 წ.
7. ფოტოსურათები: catalog. Elkana. Org.ge . საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნება.
8. ცქიტიშვილი ალ., გაზეთი ,,ბათუმელები''. 11.08.2014 წ.
9. ფოტოსურათები: google-ს საძიებო სისტემაში: catalog. Elkana. Org.ge . საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნება.
10. https: //ka.wikipedia. org. /wik/. ქართული ვაზის ჯიშები.
11. georgianwine. Gov.ge/geo/ჯიშების მრავალფეროვნება
12. https//sites. Googl. Com./a/iliani. Edu.ge მეღვინეობა აჭარაში.

გიგანტური ვაზის ღერო გოდერძის ნამარხი ტყიდან (15 მლნ. წ.)

ბროლა

ცხენისძუძუ აჭარული

საწურავი

კლარჯულა

მეკრენჩხი



ჯავახეთურა

ალმურა თეთრი

ხოფათური

ტაკიძურა

ღვანურა

ზათომურა

აჭარული თეთრი

ლივანურა თეთრი

ჩიტისთვალა

თამარ ტარიელაძე

აჭარის ფლორის დასაცავი ობიექტები

აჭარა ნოტიო, თბილი ჰავით განპირობებული ფლორის სუბტროპიკული ხასიათით, აშკარად გამოირჩევა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხისაგან. მის მრავალრიცხოვან ხეობებში, მთებსა და სანაპირო დაბლობებზე შემონახულია წარსული გეოლოგიური პერიოდებიდან შემორჩენილი ისეთი მცენარეები, რომელთა გავრცელების თავისებურება, სეზონური განვითარების რიტმი და სასიცოცხლო ფორმები ამ რეგიონს მკაფიოდ გამოხატულ ორიგინალურ მნიშვნელობას ანიჭებს. მათ შორისაა, როგორც წყვეტილი (დიზუნქციური) არეალის მქონე ჰიმენოფილუმი, სამეფო გვიმრა, ნარტეციუმი, ხემარწყვა და სხვები. ასევე კოლხური წარმოშობის სურო, ბაძგი, ძმერხალი, ხეჭრელი, კრაზანა და სხვა.

კიდევ უფრო საინტერესოა ვიწრო არეალის მქონე აჭარა-ჭანეთის ენდემები: სმირნოვისა და უნგერნის შქერი, მედვედევის არყი, წყავმაზა, ეპიგეა, ჩაგისებრი ფურისულა, ჭანური ზამბახი, აჭარული ყოჩივარდა, კრასნოვის თეთრყვავილა, ალბოვის და აჭარული ღიღილო და სხვა.

აჭარის სანაპირო ზოლში ხეობებში მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვნახოთ მოყვავილე მცენარეები; ზოგიერთი მათგანი წელიწადში ორჯერ ყვავილობს, ზოგი კი შემოდგომა-ზამთარში. აქვე გვხვდება წყავის, შქერის, ბაძგის და სხვათა ხემაგვარი ფორმები, რომლებსაც ტიპიურ ხეებსა და ბუჩქებს შორის გარდამავალი ადგილი უჭირავთ. ეს ფორმები უწინარეს ყოვლისა აჭარის ჰავის კუთვნილებაა.

ცალკეულ სახეობათა გარდა, აჭარაში გვხვდება მცენარეთა უძველესი დაჯგუფებებიც - რელიქტიური ტყეები, შქერიანის სხვადასხვა ვარიანტი და მაღალბალახეულობა. ყველა ეს მცენარე და დაჯგუფება განსაკუთრებული დაცვის ობიექტია.

ცნობილია, რომ იშვიათ რელიქტებზე, მათი კონსერვაციული ბუნების გამო, ძლიერ უარყოფითად მოქმედებს ჩვეული საარსებო გარემოს შეცვლა. რადგან ჩვენი კუთხის რელიქტური სახეობები ძირითადად ტყის მცენარეებია. აუცილებელია ტყეების დაცვა და ძველი ფიტოლანდშაფტების შენარჩუნება. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალში ინახება მრავალი რელიქტური სახეობა და მცენარეული ფორმაცია, მაგრამ აჭარის სანაპირო ხეობები, გარკვეული ერთფეროვნების მიუხედავად, თავისებურებებითაც ხასიათდება. მაგალითად კინტრიშის ხეობა გამოირჩევა წაბლნარების მნიშვნელოვანი მასივით. დეხვას ხეობა-ურთხელის მეტი რაოდენობით და ჯგუფური გავრცელებით. ჩაქვის ხეობაში წაბლნარებისა და ურთხელის გარდა გვაქვს უნგერნის შქერის მნიშვნელოვანი რაყები, ჰიმენოფილუმი, სკოპოლია, კრასნოვის თეთრყვავილა და სხვა. ყოროლისწყლის ხეობაში მოიპოვება ეპიგეა, უნგერნის შქერის ვრცელი მასივები, შქერიანის ფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკვეთები და სხვა. მთა მტირალას ფერდობები და ხეობები უძველესი კოლხური ბუნების კლასიკური მაგალითია. ჭარნალის ხეობაში ხარობს წაბლის, წიფლის, ცაცხვის, ქორაფის, უნგერნის და პონტოს შქერი, ბამბუკისა და წყავის უნიკალური ეგზემპლარები, რომელთა დაცვა და აღრიცხვა ფრიად საჭიროა. აქვე გვხვდება შქერიანის იშვიათი ვარიანტი წყავის სიჭარბით. აღნიშნული და მთელი რიგი სხვა თავისებურებები გვიჩვენებს, რომ აჭარის სანაპირო რაიონის იშვიათი ფლორისა და მცენარეულობის დაცვის, შესწავლისა და აღდგენისათვის სრულიად არაა საკმარისი მარტო კინტრიშის ხეობაზე ზრუნვა.

როგორც ცნობილია, კავკასია საყოველთაოდ აღიარებულია გამორჩეულ ეკორეგიონად. იგი ფიგურირებს მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონით უნიკალური და დაცვის საჭიროების თვალსაზრისით პრიორიტეტული 25 რეგიონის ნუსხაში-ტროპიკული ანდების,

ბრაზილიის ატლანტიკური ტყეების, მადაგასკარის, ფილიპინების, ახალი ზელანდიის, ხმელთაშუა ზღვისპირეთის და სხვათა გვერდით.

აჭარა მდებარეობს კავკასიის ეკორეგიონის დასავლეთ მცირე კავკასიონის მონაკვეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც გამოირჩევა უძველესი კოლხური ფლორის უნიკალური მრავალფეროვნებით. ამას ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ კოლხეთი გამყინვარებათა პერიოდში წარმოადგენდა სითბოს მოყვარული სახეობების თავშესაფარს, აქ „ზომიერი პირობების მოყვარული“ ტყეები უწყვეტად ხარობს მესამეული პერიოდიდან (ანუ მილიონ წელზე მეტ ხანს); აღმოსავლეთ ევრაზიაში ეს არის მართლაცდა განსაკუთრებული მონაკვეთი. ამასთან თვით კოლხეთის ფარგლებში სამხრეთ კოლხეთი (აჭარა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორია) გამოირჩევა უძველესი ენდემების (ანუ დედამიწაზე მხოლოდ ამ მონაკვეთში გავრცელებული სახეობების) სიუხვით.

ბათუმის სანაპირო თითქოს სხვა ბიოლოგიური ოლქია, სხვაგვარი ბუნების კუნძულია ჩვენს ქვეყანაში. მცენარეულობის ეს მასივი ბუნების იშვიათი ძეგლია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ქვეყნის ფლორის თვალსაზრისითაც. ამიტომ იგი ჯეროვნად უნდა დავიცვათ. მისი მოვლა საჭიროა არა მარტო სამეცნიერო და საგანმანათლებლო, არამედ სამეურნეო თვალსაზრისითაც. ჩვენი სანაპიროს მზარდ ქალაქებსა და კურორტებს ესაჭიროება სულ უფრო მეტი წყალი, სუფთა ჰაერი და ბუნების მშვენიერება, ეს კი ბუნების დაუცველად შეუძლებელია.

საქართველოში ბუნების ტერიტორიულ დაცვას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უძველეს წარსულში თანდათანობით იქმნებოდა სამართლებრივი ნორმებიც. ძველ ქართულ წყაროებში საინტერესო ცნობებია შემონახული ბუნების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის შესახებ. თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენებულია „ტყის მცველნი“, ხოლო ერთ-ერთ უფრო ადრინდელ სიგელში (1078 წ) დასახელებულნი არიან „ტყის მცველთუხუცესნი“. „ტყის მცველნი“ მოხსენებული არიან აგრეთვე „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს). „დასტურლამალში“ (XVIII ს) გვხვდება წყლისა და საძოვრების გამოყენების მარეგულირებელი ნორმები. ამ ძეგლის ერთ-ერთი პარაგრაფით დაცულია ქორისა და შევარდენის ბუდეები. ვახტანგ მეფის კანონთა წიგნშიც გათვალისწინებულია წყლის, ტყისა და საძოვრების დაცვა. იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი პროექტი XVIII ს) ვკითხულობთ:“აგრეთვე იყოს სანადიროთა ტყეთა და მინდორთა უფროსი კაცი, სამეფო სანადიროები ამას ებაროს, უმისოდ ვერვინ ინადირებდეს იქი“. ამასთან ფრინველთა და პირუტყვთა გამრავლების ჟამს აკრძალული იყო ნადირობა.

მე-20 საუკუნემდე ბუნებრივ ტერიტორიებს იცავდნენ ძირითადად რელიგიური წარმოდგენების შესაბამისად. (მაგ. ხატის ტყეები საქართველოს მთაში-ხევში ხევსურეთში, მთიულეთში და სხვა), საფეოდალო-სამონადირეო სავარგულებად გამოყენების მიზნით. დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება სამეცნიერო საფუძველზე დაყრდნობით ჩვენში მე-20 საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო. 1912 წელს დაარსდა კავკასიაში პირველი ლაგოდეხის ნაკრძალი.

აჭარაში პირველი დაცული ტერიტორიები - კინტრიშისა და ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალები - 1959 წელს შეიქმნა, თუმცა ხანმოკლე პერიოდის შემდეგ 1961 წელს, გაუგებარი მიზეზების გამო ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალი გაუქმდა. საქართველოში დღეისათვის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნების ძეგლი, 12 აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტია, საერთო ფართობით 500 000 ჰა-მდე, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 7%-ს შეადგენს. მათ შორის აჭარაში 2 სახელმწიფო ნაკრძალი (კინტრიშის და ქობულეთის), 1 ეროვნული პარკი (მტირალას), 1 აღკვეთილი (ქობულეთის) და 1 დაცული ლანდშაფტია (კინტრიშის). ასევე არსებობს დაგეგმარების პროცესში მყოფი ორი დაცული ტერიტორია:

მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონა (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია) და მაჭახელას დაცული ლანდშაფტი.

მტირალას ეროვნული პარკი დაარსდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 მაისს მიღებული კანონით „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“. იგი შეიქმნა უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემების ხანგრძლივი დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში ეკოტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

მისი ტერიტორია ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ფარგლებშია მოქცეული. გეოგრაფიულად იგი მიეკუთვნება სამხრეთ კოლხეთს და მცირე კავკასიონს, სახელდობრ აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს - შავი ზღვის მახლობლად მდებარე ქობულეთ-ჩაქვის ქედის მონაკვეთს. ეროვნული პარკის საერთო ფართობი 15806 ჰა-ს შეადგენს და იგი მთლიანად უნიკალური კოლხური ტყით დაფარული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებით არის წარმოდგენილი.

ეროვნული პარკი დაცული ტერიტორიაა, ანუ ისეთი ტერიტორიაა, სადაც ქვეყნის ბუნების გამორჩეული მონაკვეთი, ერის „ბუნებრივი მემკვიდრეობაა“ დაცული. მსოფლიოში პირველი იელოსტოუნის- ერობვნული პარკი ჩრდილოეთ ამერიკაში 1872 წელს დაარსდა.

ეროვნული პარკის გარდა დაცულ ტერიტორიებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (რომელიც შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს) მიეკუთვნება: სახელმწიფო ნაკრძალი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

ყველაზე მკაცრად დაცულია სახელმწიფო ნაკრძალი, ხოლო ყველაზე „რბილი“ კატეგორიაა მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, რომელიც უფრო მდგრადი განვითარებისთვისაა განკუთვნილი, ვიდრე ბუნების დაცვისათვის.

სახელმწიფო ნაკრძალი კანონმდებლობის მიხედვით იქმნება „ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით“ ანუ სახელმწიფო ნაკრძალში არც ტურიზმია დაშვებული და არც რესურსების (ტყის, სათიბ-საძოვრების, ველური ხილისა თუ კენკრის) რაიმე სახით გამოყენება. ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

ეროვნული პარკი კი იქმნება „ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის შედარებით დიდი და ბუნებრივი მნიშვნელობებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო გარემოს შენარუნების, მეცნიერულ, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის“ ანუ ეროვნულ პარკში გამორჩეული ბუნებრივი მემკვიდრეობაა დაცული, ოღონდ მისი უმეტესი ნაწილი ღიაა დამთვალიერებლის, ტურისტის თუ დამსვენებლისათვის. სწორედ ეს ყოველივე განსაზღვრავს მტირალას ეროვნული პარკისა და მისი დამხმარე ზონის დაარსების გლობალურ მნიშვნელობას. მტირალას მონაკვეთზე აღირიცხება 310 სახეობის ველურად მოზარდი მცენარე. მათ შორის რელიქტურია (ანუ უძველესი დროიდან შემორჩენილია) 67 სახეობა. ენდემურია 27 სახეობა, აქედან 17 სახეობა მხოლოდ აჭარასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გვხვდება. ასეთ უძველეს ენდემურ სახეობებს მიეკუთვნება მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, ეპიგეა და სხვა.

მტირალას ეროვნულ პარკში და მის დამხმარე ზონაში გვხვდება საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი შემდეგი მერქნიანი მცენარეები: მედვედევის არყი, კოლხური ბზა, ჩვეულებრივი წაბლი, კოლხური თხილი, ეპიგეა, კაკლის ხე, კეთილშობილი დაფნა, კოლხური მუხა, ზეთის ხე, ლაფანი, უნგერნის შქერი, კოლხური ჯონჯოლი, უთხოვარი, შიშველი თელადუმა.

მტირალას ბუნებრივ ლანდშაფტს განსაკუთრებულ ელფერს მაღალი ტენიანობა, ხშირი წვიმები და ნისლი სძენს. ტყე ბუჩქნარებში ზოგან 1 ჰა-ზე 30-35 მერქნიანი სახეობა გვხვდება, რაც ასევე უჩვეულოა ზომიერი სარტყლისათვის. ნალექების რაოდენობა აქ 4000 მმ-ს აღწევს და ზოგჯერ აჭარბებს კიდევ.

უნიკალური კოლხური ტყეების და ფაუნის დაცვის გარდა, ეროვნულ პარკს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოს დაცვითი ფუნქცია გააჩნია: მტირალს ეროვნული პარკის და მისი დამხმარე ზონის ჩამოყალიბებით შენარჩუნებული იქნება ქობულეთ-ჩაქვის ქედის ეკოსისტემათა მდგრადობა და ეკოლოგიური წონასწორობა, რითაც თავიდან იქნება აცილებული ეროზიულ-მეწყრული მოვლენების განვითარება და წყალმოვარდნები არა მხოლოდ მთის, არამედ ბარის შესაბამის ზონაშიც. გარდა ამისა, გარანტირებული იქნება აჭარის დიდი ნაწილისათვის სასმელი წყლის მარაგის სტაბილურობა და სისუფთავე.

განსაკუთრებით საჭირბოროტოა სუბალპური ტყეებისა და მდელოების დაცვა-აღდგენის საკითხი. ცნობილია, რომ რელიქტურ და ენდემურ მცენარეთა მნიშვნელოვანი რიცხვი სუბალპურ სარტყელზე მოდის. მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ ამ სარტყელმა მეტად დიდი როლი შეასრულა კავკასიის ადგილობრივი ფლორის წარმოშობისა და განვითარების პროცესში. ამ სარტყელში წარმოდგენილია კოლხური ენდემიზმის ყველაზე მაღალი პროცენტი. სამწუხაროდ თანამედროვე სუბალპური მცენარეულობა ერთობ სახეშეცვლილი და გაღარიბებულია. მდელოები მეტისმეტად გაძოვილი და პირუტყვის ფეხით გათელილია. ზოგან კორდი მოშლილია, მის ქვეშ არსებული ნიადაგი გახრიოკებულია, ტყეები მეტწილად გაჩეხილი და დეგრადირებულია. არსად არ შემონახულა პირველადი მცენარეულობის თუნდაც მცირე ფართობი. ცხადია, ასეთ პირობებში იშვიათ მცენარეებს უჭირთ არსებობა, მათ გადაშენება ემუქრებათ.

დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ცალკეულ სახეობათა დაცვასა და აღდგენა-გამრავლებას. დაცულ ტერიტორიებში შეიძლება დავიცვათ ის სახეობები, რომლებიც მათ გარეთ ინტენსიურად გამოიყენება და ამდენად დაცული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების „კუნძულებად“ გვევლინება.

კოსმოსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიყო აჭარის ბუნებრივი ეკოსისტემების ყველაზე უკეთ შემონახული მონაკვეთები. შემდეგ შეიქმნა თანამედროვე მცენარეულობის რუკა და დადგინდა, რომ მცენარეულობის რომელი ტიპები ექცევა უკეთ შემონახული მონაკვეთების ფარგლებში. გაირკვა, რომ შქერიანი და ტყეები შქერიანი ქვეტყით ემთხვევა ძირითადად ქობულეთ-ჩაქვის ქედების არეს, შავშეთის ქედს (სახელმწიფო საზღვრის გაყოლებაზე) და ნაწილობრივ კინტრიშის ნაკრძალის მიდამოებს.

კინტრიშის ნაკრძალი შეიქმნა 1959 წელს მესამეული ხანის კოლხური ტიპის ფლორისა და ფაუნის დასაცავად. მისი რელიეფი რთული და მრავალფეროვანია. შემონახულია ენდემური და რელიქტიური სახეობები. 500 მეტრამდე ზღვის დონიდან სუბტროპიკული მცენარეულობის სარტყელია, რომელსაც ცვლის რცხილნარი (500-1000 მ) და (1000 – 2000) უფრო ზემოთ სუბალპური მეჩხერი ტყეები (2000-2200) და ალპური მდელოები (2200-2600 მ) მისი დენდროფლორა 102-მდე სახეობას მოიცავს. იშვიათი რელიექტები ჰართვისის მუხა, თელა, კავკასიური ცაცხვი, პონტური უთხოვარი, არყი, ძახველი, მურყანი, რცხილა, ბზა, პონტოს მუხა, მედვედევის არყი, ხეშავი, წნორი, ქონდარა ღვია, კოლხური ჯონჯოლი, კოლხური თაგვისარა, კავკასიური ხურმა, აღმოსავლეთის წიფელი, ნეკერჩხალი, კავკასიური სოჭი, პანტა, მაჟალო, მოცვი, სურო კოლხური და ჩვეულებრივი.

თავად კინტრიშის ნაკრძალი მდინარით შუაზე გაყოფილ ერთ მთლიან ტყიან მასივს წარმოადგენს. ნაკრძალის მდინარეებია: კინტრიში, ხეკნარა, მამედაღი, დიდღელე, მისანათის

ღელე, რომელზეც 30 მეტრიანი თვალწარმტაცი ჩანჩქერია, ბოლქვაძეების ღელე, ჩრდილა (ორსაფეხურიანი 70 მეტრიანი წყალვარდნილით) კინტრიშის შენაკადებია.

აჭარული კლიმატის თავისებურება კინტრიშის ხეობის მცენარეებზე თავისებურად აისახა. მაგალითად ალუჩა ნაყოფს აქ ორჯერ ისხამს – ზაფხულსა და ზამთარში. კავკასიური მოცვი თითქმის 10 თვეს ინარჩუნებს ფოთლებს, ხოლო პონტური მუხა, რომელსაც მაღალ მთაში ფოთლები სცვივა ზამთრობით, დაბალ სარტყელში მარადმწვანე ხედ გვევლინება

დასაცავი ობიექტების სიაში შედს გოდერძის ნამარხი ტყე, რომელიც მდებარეობს მდ. ქვაბლიანისა და აჭარისწყლის ზემო მდინარეთა აუზებში ზღვის დონიდან 1600-2100 სიმაღლეზე.

ძეგლი მსოფლიო მნიშვნელობისაა, ბუნების უიშვიათესი საოცრება, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ შუა აზიასა და საქართველოს მიწაზეა მიკვლეული, მას კაჟის ტყესაც უწოდებენ.

მილიონი წლების წინათ აქ ხარობდა ტყე, რომელიც შემდეგ ვულკანური ქანებით დაიფარა. დროთა განმავლობაში ქანებში მოყოლილი ხის ნაწილები დალპა და მიწის სიღრმეში დარჩა მისი ფორმისა და ზომის სიცარიელე. ალაგ-ალაგ საუკეთესოდ არის შემონახული პალმისა და სითბოსმოყვარული ფოთლოვანი მცენარეების, განსაკუთრებით დაფნისებრების ფოთლების ანაბეჭდები, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდში ჩვენში ტროპიკული ჰავა ყოფილა და შესაფერისი მცენარეები ხარობდნენ. აქ ნაპოვნია პალმები, მაგნოლიები, დაფნები, არყი, რცხილა, წიფლისებრნი.

გოდერძის ფლორის ასაკს ქვედა პლიოცენურად განსაზღვრავენ. მცენარეთა ნაშთები გამოსახულია ხეების გაქვავებული და ნახევრადგაქვავებული ღეროებით და ფოთლების ანაბეჭდებით, რომლებიც მოქცეულია ნაცრისფერ ვულკანურ ტუფში. ზოგიერთი ხე ვერტიკალურ მდგომარეობაშია დამარხული, ზოგიც წაქცეულია. „გოდერძის ფლორა“ მკაცრ დაცვას მოითხოვს მეცნიერული მნიშვნელობის გამო.

მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტი-უთხოვარი ქედის რაიონის სოფელ ქვედა მახუნცეთშია ჯგუფურად გავრცელებული. აჭარაში გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფების ან ერთეულების სახით.

ურთხელი ანუ უთხოვარი-წიწვოვანი მცენარეა, მაგრამ ნაძვის, ფიჭვის, სოჭისა და სხვებისაგან ერთ-ერთი თავისებურებით განსხვავდება გირჩებს არ ივითარებს. ხორცოვან თანათესლში თესლები თითო-თითოდ სხედან ტოტებზე, მომწიფებისას ტკბილი წვენით ივსება და წითელი ან მარჯნისფერი ხდება. უთხოვარი არც ფისოვან ნივთიერებას გამოყოფს.

მერქნის სიმაგრისა და მოწითალო ფერის გამო ურთხელს სხვა სახელებიც აქვს: „წითელი ხე“, „უდამპალი“, წყალში არ ლპება, ფრიად გამძლეა სოკოვანი დაავადების მიმართ. მათ ვერაფერს აკლებს მავნე მწერებიც. უთხოვარი ერთ-ერთი ყველაზე დღეგრძელი ხეა, ცოცხლობს 4 ათას წლამდე, იგი ნელა მზარდი ხეა. 1000 წლის ხეები აღწევენ მხოლოდ 28 მეტრ სიმაღლეს და 130 სანტიმეტრ დიამეტრს.

კოლხური ანუ ჰართვისის მუხა (Quercus hartwissiana) ჩვენში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში იზრდება. იგი უფრო ხშირად სხვა ტიპის ტყეებშია შერეული. ეს მუხა სხვა მუხებისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი ფოთლების ფირფიტის ბოლო მესამედი გაფართოებულია. თვით ფირფიტა მოყვანილობით კვერცხისებრი და მოკლე ნაკვთიანია, ზემოდან შიშველია, ქვედა მხრიდან-განსაკუთრებით ძარღვების გაყოლებაზე ბეწვიანი. ყუნწი 4 სმ. სიგრძისაა, რკოს ყუნწი ფოთლების ყუნწზე გრძელია და სწორადმდგომია. ეს ნიშნები საკმარისია კოლხური მუხის სხვა მუხებისაგან განსასხვავებლად. თვით ხე საშუალო (25 მ-მდე) სიმაღლისაა. კოლხური მუხა ჩვენი ფლორის იშვიათი სახეობაა და შეტანილია წითელ წიგნში.

კრიკინა ანუ უსურვაზი - (Vitis sylvestris) რქაწითელისა და საფერავის მონათესავეა. მცოცავი მცენარეა, მისი გრძელი ლიანისებრი ღერო ხეებზე მიცოცავს ულვაშების დახმარებით, რომლებიც ფოთლის მოპირისპირედ უვითარდება. იგი ულვაშებით ეჭიდება საყრდენი ხის პატარა ტოტებს და მიიწევს ზევით, რათა სხვა ხეებისაგან არ დაიჩრდილოს. ფოთოლი ფართო კვერცხისებრი ან თირკმლისებრი მოხაზულობისაა, მთლიანი ან 3-5 ნაკვთიანი. კიდეებზე არათანაბარი ზომის წვეტიანი კბილები მომრგვალო ოდნავ მოყვითალო-მწვანე ფერის ერთსახიანი ყვავილები აქვს. ე.ი. მდედრობითი და მამრობითი ყვავილები სხვადასხვა მცენარეზეა განლაგებული. ნაყოფი 0,5-1 სმ-მდე დიამეტრის მომრგვალო, ან ოდნავ შებრტყელებული ფორმის, მუქი ლურჯი, იშვიათად კი თეთრი კენკრაა, რომელსაც მომჟავო-მოტკბო და მწკლარტე გემო დაჰკრავს. კრიკინას ნაყოფს ჭამენ, ამწნილებენ, ზოგჯერ მისგან მაჭარსაც ამზადებენ. კარგი თაფლიანი მცენარეა, დიდი რაოდენობით ნექტარს იძლევა. ამასთან იგი სოკოვანი დაავადების და ფილოქსერას მიმართ გამძლეა. ველური ვაზის ერთ-ერთი იშვიათი სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

რელიქტური ჭოროხის მუხის ძვირფასი კორომი მდებარეობს აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ, ქედის რაიონში სოფელ დანდალოში. გავრცელების მცირე არეალის გამო შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მინიჭებული აქვს მაღალკონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის კორომების სტატუსი.

ხელვაჩაური რაიონის სოფელ მირვეთში არსებული კოლხური ბზის კორომი მსოფლიო მნიშვნელობის დაცული ძეგლია. ეს ძვირფასი ფლორისტული ელემენტი წარმოდგენილია მსოფლიო ბუნების დაცვის საერთაშორისო ცენტრში, როგორც საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა. ძეგლს მინიჭებული აქვს მაღალკონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის კორომების სტატუსი.

წაბლნარ-წიფლნარი დიდხნოვანი ბზის ქვეტყით გავრცელებულია ხელვაჩაურის რაიონ სოფელ ხერთვისში.

წაბლი, როგორც გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა, შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“ (მიზეზი: მოსახლეობის მიერ მოხმარება და ბოლო წლებში მასზე გაჩენილი სოკოვანი დაავადებები). ამავე კორომში გავრცელებულია კოლხეთის ძვირფასი ფლორისტული ელემენტი კოლხური ბზა, სადაც იგი 8-10 მეტრ სიმაღლეს აღწევს. ასაკი 250-300 წელი. ძეგლს მინიჭებული აქვს ასევე მაღალ კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყის კორომების სტატუსი.

ჩვეულებრივი წაბლი – ადგილმდებარეობა ქობულეთის რაიონი სოფელი წყავროკა საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ ბინადარია. წყავროკაში მოზარდი ჩვეულებრივი წაბლის სიმაღლე 20 მეტრამდეა. ღეროს დიამეტრი 175 სმ.

საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების უმთავრესი საშუალებაა დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონის (1996) შესაბამისად საქართველოში მიმდინარეობს სხვადასხვა რეჟიმის (IUCN-ის I – IV კატეგორიების შესაბამისი) დაცული ტერიტორიებით აგებული სისტემის ჩამოყალიბება, განსხვავებით მანამდე არსებული მიდგომისაგან, რომელიც მხოლოდ განცალკავებული და მკაცრად დაცული ნაკრძალების შექმნას ითვალისწინებდა. რეჟიმის შესაბამისად სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებში რესურსმოხმარება მკაცრადაა შეზღუდული ან სრულიადაა აკრძალული.

საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და შენარჩუნებისათვის სამართლებრივ ნორმებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ (2003). აღნიშნული კანონის მოთხოვნის შესაბამისად 2005-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კომისიამ საქართველოში გავრცელებული ფლორისა და ფაუნის სახეობათა მდგომარეობა შეაფასა

(IUCN-ის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) კრიტერიუმების კატეგორიების მიხედვით და შეადგინა საქართველოს ახალი „წითელი ნუსხა“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის N9 303 ბრძანებულებით. „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სრულიად იკრძალება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეებისა და ცხოველების მოპოვება სამეურნეო მიზნით. მათი მოპოვება დაიშვება მხოლოდ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, სამეცნიერო მიზნებისათვის აღსადგენად, გადარჩენისა და განკურნებისათვის.

საქართველოს ფლორაში უხვადაა ეკონომიკური ღირებულების მქონე სახეობები, ამასთან მრავალი კულტურული მცენარის ველური წინაპრები. საქართველოს წითელ წიგნში შეტანილია მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი 161 სახეობა.

ქართველი ბოტანიკოსები გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ მცენარეებს შემდეგ კატეგორიებად ყოფენ:

1. თითქმის გამქრალი სახეობები (10 სახეობა მათ შორის მუხუდო, ქართული თელა, ტურანგი).

2. სახეობები, რომელთაც ემუქრებათ სწრაფი გადაშენება (50 სახეობა, მათ შორის სამეფო გვიმრა, მეგრული არყი (Trapa colchica, Dioskorea caucasica).

3. იშვიათი სახეობები (140 სახეობამდე, მათ შორის ბიჭვინთის ფიჭვი, Anthemis saguramika, Pseudovesikaria digitata).

4. სახეობები ძლიერ მცირე პოპულაციებით (140-მდე სახეობა, მათ შორის Ephedra distachya, Pachyphragma macrophyllum და Capparis spinosa).

ეკონომიკურმა აქტივობებმა განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ჭალის ტყეებს, რომელიც არის საქართველოს ლანდშაფტური მრავალფეროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი, ბიოლოგიური კორიდორი და ცხოველთა მრავალი სახეობის თავშესაფარი. დღეისათვის ჭალის ტყეების მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელი ტენდენციები მიუთითებენ ხე-ტყის რესურსების უკანონო მოპოვების შემცირებაზე, სათბობი შეშის დამზადება მაინც რჩება ერთ-ერთ საფრთხედ ბიომრავალფეროვნებისათვის. საშეშე მერქანი ჯერ კიდევ არის ზოგიერთი სოფლისა და პატარა ქალაქის ენერგიის უმთავრესი წყარო.

ტყე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანი ფართობის 65%-ია. სულ ტყის ფონდი შეადგენს 191603,7 ჰექტარს. ტყის მასივების ყველაზე მეტი ნაწილი მოდის ზღვის დონიდან 1000-2000 მ-ის ფარგლებში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ლელვანის ტყე შუახევის მუნიციპალიტეტში და თიკერის ტყე ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე წაბლნარები და წიფლნარები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუკლეტი: „მტირალას ეროვნული პარკი და მისი დამხმარე ზონა“, თბილისი 2008 წ.
2. ბუკლეტი: „ეროვნული პარკის დაარსების საჭიროება და პერსპექტივა აჭარაში“, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი, 1997-ის საქართველოს ოფისი. თბილისი 1997 წ.
3. გეგეჭკორი ა., დედაბუნება, თბილისი 2004 წ.
4. ნიჟარაძე ნ. ჯიბუტი ნ., აჭარის ასსრ, ბათუმი 1957 წ.
5. საქართველოს დაცული ტერიტორიების მოკლე მიმოხილვა, თბილისი 2007 წ.
6. სახელმძღვანელო „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა“, თბილისი. 2014 წ.
7. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა, სახელმძღვანელო, თბილისი 2009 წ.
8. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული მოხსენება (მომზადებულია „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების პროგრამის“ ფარგლებში. დაფინანსებულია მსოფლიოს ბანკის GEF-ის მიერ), თბილისი 2000 წ.
9. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები, თბილისი 2007 წ.
10. მცენარეული სამყაროს დაცვის პრობლემები, ბათუმი 1981 წ.
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, „საქართველოს სსრ“, თბილისი 1981 წ.

მტირალას ეროვნული პარკი

კინტრიშის ნაკრაძალი

მაჭახელას ეროვნული პარკი

უთხოვარი

ქართული მუხა

პონტოური მუხა

ზეთის ხე (წყავმაზა)

ლაფანი

მედვედევის არყი

ძელქვა

ველური ვაზი-კრიკინა

ბზა

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია მუზეუმში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა შრომები და სტატიები. ისინი გამოირჩევიან საკვლევი საკითხების პირველადი შესწავლით, რაც შემდგომში უფრო ვრცელი შრომების საფუძველი გამხდარა. ალექსანდრე დავითაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები „ცხენოსნობის ტრადიციები აჭარაში“ (1986 წ.) ძვირფასი ისტორიული წყაროა მეცხენეობის. ეს საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი და ამდენად, აღნიშნული ხელნაწერის სახით, საქმე გვაქვს იმ ფოლკლორულ თუ წერილობით წყაროებთან, საველე მასალებთან, რასაც თავი მოუყარა ავტორმა და რომელიც ხელს შეუწყობს ამ თემის მომავალში უფრო სიღრმისეულ მეცნიერულ შესწავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე მკითხველს ვთავაზობთ ალ. დავითაძის ხელნაწერს.

გუგული ახვლედიანი

ცხენოსნობის ტრადიციები აჭარაში
(ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები)

ცხენის შერჩევა

ცხენოსნობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცხენის შერჩევას. „ცხენის მცოდნეს“ შეარჩევინებდნენ ცხენს. წინასწარ იყო გათვალისწინებული ცხენი საჯდომად უნდოდათ თუ სატვირთოდ. ცხენის სიმსუქნეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არც გარეგნული სილამაზე ითვლებოდა ძირითად ნიშნად. ცხენოსანთა დახასიათებით კარგი ცხენი ძვალმსხვილი არ უნდა ყოფილიყო. სუსტი, მომაღლო ფეხები, ასევე წვივებიც ზომიერი, მუცელი პატარა უნდა ჰქონოდა. „სამშიერო“ ზომიერი (სამშიერო იყო ბოლო ნეკნიდან მენჯისთავამდე. იგი გამძღარ პირუტყვს აკეცილი აქვს, ხოლო მშიერს ჩავარდნილი). ცხენის კუდი, რომელიც ძუაა. კისერიც გრძელი და სუსტი უნდა ჰქონოდა. საჯდომი ცხენი წვრილი და გრძელია, მორჩილი ტანით, სწრაფი მანევრირებით. ერთი შეხედვით, მას წინასწარ ემჩნევა. სატვირთე ცხენი მძიმეა, მოძრაობაშიც ზანტი, მსხვილი, საკმაოდ დიდი მუცელი და სხვა.

„ცხენის მუხლიც უნდა ვარგოდეს და გულიც“, სუსტი და დაავადებული „სოლოლანი“ ცხენი პატარა გარბენის დროს ოფლიანდება, მუცელს იხვევს, ქლოშინი უვარდება. ასეთ ცხენს არ შეიძენდნენ, იგი არასწორად გახედნილი იყო და მისი გამოსწორება შეუძლებელი ხდებოდა. განსაკუთრებით თუ კი იგი სოლოლიანი იყო. ეს დაავადება ცხენებს უჩნდებოდა გადაღლილზე წყლის დალევის დროს, ან საჭმლის მიღებით. გადაღლილი ცხენისათვის 1-2 საათის დასვენება აუცილებელი იყო. კარგი პატრონი არასოდეს არ მიუშვებდა ნამუშევარ ცხენს წყაროსთან. სოლოლანი ცხენი ყოველთვის „მუცელს დეიხვევს“ თუ გინდ ვაყა იყოს, თუ გინდ ჭაკი.

გარეგანი დათვალიერების შემდეგ ცხენს ცხვირის ნეშტოებს გაუსინჯავდნენ. ნეშტოები ფართო უნდა ჰქონოდა დამატებითი სარქველების. ეს ძირითადი პირობა იყო იმისა, რომ ცხენს ჰაერის უკმარისობა არ ექნებოდა, მისი გულიც კარგი იქნებოდა და მუხლიც. ასეთი ცხენი არასოდეს დაღლას არ იგრძნობდა. ნორმაზე გამოკვებილს შეეძლო ზედიზედ რამდენიმე დღე ემუშავა. შემდეგ ხდებოდა ცხენის კბილების დათვალიერება. 4-5 წლის ცხენს ყველა კბილი უნდა ჰქონოდა ამოსული. 9 წლის შემდეგ კბილები ცვეთას იწყებს, შიგ ღრმულები უჩნდება, იმოდენა, რომ პურის მარცვალი ჩაეტევა. ასეთი ცხენი უკვე ხანშია გადასული. ახალგაზრდას კბილი შავი

აქვს, შეხნიერებულის თანდათან თეთრდება და მერე სულ გათეთრდება და აშკარად ემჩნევა ასაკობრივი ცვლილებები.

შემდგომ ხდებოდა თვალების დათვალიერება. მთავარი იყო ცხენს ქონოდა საღი თვალები. ცხენი ბევრად უკეთესად ხედავს ადამიანზე. იგი ღამეში სწრაფად მოძრაობს ვიწრო ბილიკებზე, ცუდ გზებზე, თან მხედარი ან ტვირთი მიაქვს ზურგით. ცხენს ნაცრემლარი მოწითლებული თვალები არ უნდა ჰქონოდა, თვალზე თეთრი რაიმე თუ ქონდა გადაფარებული, ის ცხენად არ ვარგოდა, თუ ცხენი ბრმაა, მას აუცილებლად თეთრი აქვს გადაფარებული, ხოლო თუ თვალის „ციცა“ კარგად ჩანს, ასეთი თვალი საღია. (ციცას მოსახლეობა ემახის თვალის ცენტრში, შუაში მრგვალ არეში ადამიანის მაგვარ ფიგურას. თუ ის კარგადაა გამოკვეთილი, ასეთი თვალი საღია).

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა შესაძენი ცხენი გახედნილი იყო თუ გაუხედნავი. გახედნას იწყებდნენ 3-4 წლის ასაკში. კბილების მოცლის დროს, ცხენი სუსტდება და ძნელია მისი კარგად გახედნა. უმჯობესია კბილებმოცლილი ცხენის გახედნა. მამალი ცხენი დედალზე ადრე უნდა გახედნილიყო. მოზრდილის დამორჩილება ძნელი იყო. ცხენს 8 წლამდე ხედნიან, ამ ასაკში ძირითადში მთავრდებოდა გახედნა. როცა ცხენის ყიდვა უნდათ ყოველთვის გახედნილი ჯობია. გახედნილსა და გაუხედნავს სხვადასხვა ფასი აქვს.

ცხენის გახედნა

გასახედნავი ცხენის პატრონი წინასწარ ემალება და აჩვევს კვიცს პატრონზე დამორჩილებას, ჯერ სიმინდზე ან ქერზე მიიჩვევს და მერე ხელით სახეზე და ზურგზე ეფერება და სხვა. ძალიან ადვილია სახლში დაბადებული კვიცის შეჩვევა-გახედნა, ხოლო როცა ველზე გაშვებული ცხენი ბადებს და ზრდის კვიცს მისი დამორჩილება ძნელია. ასე შეჩვეულ კვიცს, მერე კისერზე ბაწარს მოამბავენ. ბაწარი ისე უნდა ჩაინასკვოს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პირუტყვი არ დაიხრჩოს ყელზე ჩაჭერილი თოკით. თოკს გრძლად აბამენ, მისი ერთი ნაწილი წინა მარჯვენა ფეხზეც უნდა მოაბან, ისე რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში შორს ვერ გაიქცეოდა, რადგან თავზე და ფეხზე მობმული ბაწარი ამის საშუალებას არ მისცემდა. ჯერ ასე მობმული ბაწრით კვიცს ხელით ატარებენ „პატრონზე გაყოლას ასწავლიან“, შემდეგ მათრახით გავაზე ურტყამენ, ხოლო ბაწრით იკავებენ. ასე შეჩვეულ-დამორჩილებულ ცხენს მერე ზურგზე პატარა რაღაცას ადებდნენ და ბაწრით ამაგრებენ, ასე გაატარებენ ისევ ხელით. შემდეგ აღვირს უკეთებენ თავზე და ლაგამს ამოსდებენ, ამის შემდგომი პროცესია უნაგირის დადგმა. რამდენიმე დღეს უნაგირს აჩვევენ, ასე ატარებენ, შემდეგ ისევ ცოტა სიმძიმეს აჰკიდებენ უნაგირზე, ხოლო მერე შეჯდებიან, ეს ცერემონია რთულია და დიდ გამოცდილებას მოითხოვს. ზოგჯერ ცხენი „ფხუკობს“, დაფრთხება, პატრონს გაიტაცებს და ჩამოაგდებს და დაამტვრევს, ამიტომ საჭიროა მისი დამორჩილება. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ერთჯერ ცხენმა თავისი გაიტანა, მერე ძალიან ძნელია მისი „მოქეშნა“ დაყოლიება. უნაგირის მერე თექალთით, კეხით ხედნიან. იგი უფრო მძიმეა. ცხენი მაგრად არის შეკრული და შემოდებული ტვირთის გადასატანად. ცარიელ თექილაზე შეჩვეული ცხენით შემდგომ მცირე მანძილზე პატარა ტვირთს აჰკიდებენ და ასე გადაჰყავდათ რამდენიმე დღეს. საერთოდ მთლიანად გახედნილს პატრონი დიდ ტვირთს არასოდეს არ ჰკიდებდა. ასევე იყო მანძილიც. გაუხედნავი ცხენით შორს მანძილზე არ წავიდოდნენ.

ცხენის დაჭედვა

გახედნის შემდეგ საჭირო იყო ცხენის დაჭედვა. გაუხედნავი ცხენის დაჭედვა ძნელი იყო, რადგან მას ადვილად ვერ დაიმორჩილებდნენ. ცხენის დაჭედვისათვის აუცილებელი იყო

წინასწარი სამზადისი, ცხენის შეჩვევა. ჯერ წინა ფეხებს დაჭედავდნენ, ხოლო მერე უკანას. რამდენიმე დღეს ცხენს ეფერებოდნენ „დაფხანდნენ“ წინ მკერდზე, ფეხებზე, მერე ფეხს ააწევინებდნენ ზედ ცარიელ ჩაქუჩს დაარტყამდნენ შეჩვევისათვის. თუ ადვილად დანებდებოდა შემდეგ დაიწყებოდა დაჭედვა. დასაჭედავ ფეხს წინასწარ ფრჩხილს გაუწმენდნენ, ნალს მოაზომავდნენ, მოარგებდნენ და მერე დაჭედავდნენ. ფეხის, ფლოქვის იმ ნაწილს, რაზედაც ნალი ეჭედება, ხალხი ტირნაღებს უწოდებს. ცხენის დამჭედავმა ოსტატმა კარგად ცის, თუ ტირნაღის რა ნაწილი მოითლება, რაზე უნდა დაეჭედოს ლურსმანი და სხვა. არის გამონაკლისი, როცა ლურსმანი ღრმად ხვდება ფრჩხილში და ცხენს საშინელი ტკივილი ეწყება ფეხის, დაუჩირქდება და სხვა. მოსახლეობა მას „მუხის წევას“ ეძახის. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სასწრაფოდ მოიხსნას დაჭედილი ნალი. ამოიღოს ლურსმნები და დაზიანებული ადგილი დაამუშაოს ნავთით, ნალურსმანშიც ცოტაოდენი ნავთი ჩაასხას, ამის შემდეგ კი გამდნარ სანთელს ასხამენ ნალურსმანში და ცხენს რამდენიმე დღეს ასვენებენ. შემდეგ ფრთხილად ჭედავენ ტკივილების გაჩერების შემდეგ. ზოგჯერ გამოუცდელ ოსტატს ლურსმანი ისე ღრმად მოსდის, რომ ცხენს ფეხიდან სისხლი ამოდინდება. ნატკენი ადგილის გამოსავლენად მჭედელი ჩაქუჩით ფეხს დაურეგვავს. ცხენს (დარეგვა) და ამის მერე მონახავს უფრო თავისუფალ და უტკივარ ადგილს, რომელზედაც მიამაგრებს ნალს. ჯერ როგორც ავღნიშნეთ, ორ წინა ფეხზე, მერე კი ორი კვირის შემდეგ უკანა ფეხებზე აჩვევენ ჩაქუჩს და სხვა.

ხდება ნელ-ნელა ცხენის დამორჩილება და დაჭედვა. თუ გაძნელდება ცხენის დამორჩილება, რამდენიმე კაცი ცხენს ბაწრებით შეკრავენ. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობაში შემონახულია არაერთი ხერხი. ხშირად კუდს დაახვევენ უკანა ფეხზე და ცხენი გავასა და ტანს ვეღარ იმორჩილებს, კისრით ხეზე მიამბავდნენ, ცხვირის ნეშტოს გადაუღუნავდნენ. ცხენის ქვედა ტუჩზე „ტიტვირზე“ ბაწარს დაახვევდნენ, წვრილ ბაწარს თანდათანობით უჭერდნენ და ცხენს იმორჩილებდნენ. ასეთი მეთოდებით თუ ვერ დაიმორჩილეს ცხენი, იძულებული იყვნენ „გაეკოჭათ“ დაებორკათ, რაც საჭიროებდა რამდენიმე კაცის ერთობლივ მონაწილეობას. ცხენის დაბორკვა ცოდნას მოითხოვდა. ჯერ წინა ფეხებს შეუკრავდნენ, იმავე ბაწარს უკანა ფეხზე მოაბამდნენ და ნელნელა მოჭიმავდნენ. ერთი პირი თავს უკავებდა, ისე რომ ცხენი მძიმედ არ წაექციათ. ასე თანდათან დაუშვებდნენ ცხენს მოლზე და ბაწრით შეკრავდნენ, მერე კი თვითეულად ჯერ წინა, შემდეგ უკანა ფეხებს დაჭედავდნენ. ასეთი დაჭედვით ცხენს აჩვევდნენ და მერე გაუბორკავადაც დაჭედავდნენ. გახედნილი ცხენის დაჭედვას მერე ორი პირიც ყოფნის.

ცხენის ნალი

ნალის დამზადება ადგილზე ხდებოდა სამჭედლოში. მას საგანგებო ოსტატ-მჭედლობა არ სჭირდებოდა. ნალის ზომას ისევ ოსტატი აიღებდა, ასევე შეეძლო ცხენის პატრონსაც აეზომა. ნალის აზომვის პრინციპი გარდიგარდმო იყო ე.ი. მას დიაგონალური ხაზებით ზომავდნენ ცხენის ფლოქვის სიდიდის მიხედვით.

საჭირო იყო ორი დიაგონალური და ერთი ხაზი ჰორიზონტალურად ცხენის ფლოქვზე. ასე აიღებდნენ ერთ წინა და ერთს უკანა ფეხზე, საგანგებო ჭდეებით ჯოხზე აღნიშნავდნენ და ამის მიხედვით ამზადებდნენ ნალებს სამჭედლოში. წინა ყოველთვის დიდი იყო საჭირო, ხოლო უკანა ნაკლები. ახლად გახედნილ ცხენებს მსუბუქ ნალებს უკეთებდნენ, ხოლო გახედნილებს მძიმეს. მძიმე დიდხანს ძლებდა, სქელი ნაჭრისგან იყო დამზადებული და მალ-მალე შეცვლას არ მოითხოვდა. ნალს ჩვეულებრივი რკინისაგან ამზადებდნენ. ფოლადი და მყიფე მასალა არ შეიძლებოდა, რადგან ადრე გატყდებოდა. რბილი რკინა ისე შეუმჩნევლად გაცვდებოდა, რომ პატრონი ვერც კი ახერხებდა მის ახსნასა და გამოცვლას. ზოგჯერ ლურსმნებს აძრობდნენ ხოლმე.

ნალს უკეთდებოდა ექვსი სალურსმნე ხვრელი, იქით-აქეთ ჭდეებში ჩახვრეტილი იყო, რომ ჩარჭობილი ლურსმნის თავები მთლიანად უნდა ჩამალულიყო საგანგებო ჭედვაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ლურსმნის თავი გადაცილდებოდა და ნალიც წაძვრებოდა ცხენს. „ცხენის მუხი“ ცხენის ლურსმანიც ადგილზე მზადდებოდა, სათანადო ზომების მიხედვით. ასე დამზადებულ-დაჭედილი ნალი საშუალოდ სამ თვემდე ძლებდა სისტემატური მუშაობის პირობებში.

ასე დამზადებული ნალების საფასურის გადახდა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იყო. შემონახული ტრადიციების მიხედვით დადასტურდა ნატურალური ანაზღაურებაც, გაცვლა სიმინდზე, ყველზე და სხვა. გაბატონებული ადგილი ბოლოს ფულადმა ანაზღაურებამ დაიკავა. ფასი დახარჯული შრომითა და გასულით იანგარიშებოდა. დაახლოებით იგი ახლანდელი ფულის კურსის მიხედვით 5 მანეთი ღირდა ცალი - სულ 20 მან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №1980. ბათუმი 1986 წ.

დოღი

მიხეილ პიოტროვსკი

ადამიანი უნდა იყოს რთული

მიხეილ ბორისის ძე პიოტროვსკი ცნობილი მეცნიერია (არაბისტი). იგი იკვლევს მუსლიმურ ხელოვნებასა და კულტურას, ამავე დროს არის მსოფლიოში სახელგანთქმული პეტერბურგის სამხატვრო და კულტურულ-ისტორიული მუზეუმის, ერმიტაჟის დირექტორი.

მისი მამა ბორის ბორისის ძეც ერმიტაჟის დირექტორი გახლდათ (არქეოლოგი და ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე). მისი კვლევის არეალში ხვდებოდა სამხრეთ კავკასიაში განლაგებულო კულტურის ძეგლებიც.

ბატონი მიხეილი გარკვეულწილად ისტორიოსოფისტია. ამ მხრივადაც საინტერესოა მისი ინტერვიუ.[6] ის ეხება, ზოგადად, სამუზეუმო და კულტურულ მოვლენებს.

***ნანული სეგუა** (მთარგმნელი)*

მიხეილ პიოტროვსკი – არა მარტო სახელმწიფო ერმიტაჟის გენერალური დირექტორია, არამედ იგი გახდა 21-ე საუკუნის დასაწყისის რუსული კულტურის სიმბოლური პირი. იგი საჯარო ინტელექტუალია და პეტერბურგის ინტელიგენციის არაფორმალური ლიდერია. მუზეუმში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს 1992 წლიდან, მუდმივად ტარდება კულტურული ექსპერიმენტები. მთავარი შტაბის შენობის რეკონსტრუქციის დროს, სადაც ახლა განლაგებულია XIX-XX საუკუნის ხელოვნების კოლექციები, მიუერთეს სამუზეუმო სივრცე. ეზოები გადახურეს მინის სახურავით. ორი წლის უკან ერმიტაჟში ჩატარდა თანამედროვე ხელოვნების ,,მანიფესტის'' ბიენალე, ახლახან კი გაიხსნა თანამედროვე ბრიტანელი სკულპტორის ტონი კრეგის გამოფენა. ყველაფერი ეს ემეზობლება ზამთრის სასახლის საწვეულებო დარბაზებს, ძველი და კლასიკური ევროპული ხელოვნების კოლექციების გამოფენებს. მუზეუმს ყოველდღიურად სტუმრობს ათასობით ტურისტი და მოსწავლე ახალგაზრდობა. „პრაიმირის'' კორესპონდენტი ესაუბრა მუზეუმის დირექტორს თუ ვინაა კულტურული ადამიანი, სამუზეუმო სივრცის საკრალურობაზე (აქ იგულისხმება განსაკუთრებულობა. მთარგ.) მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფაზე, სარწმუნოებისა და კულტურის, ეკლესიისა და კულტურული ინსტიტუტების ურთიერთობაზე.

- მიხეილ ბორისის ძევ, თქვენ ხშირად ამბობთ, მუზეუმი ეს საკრალური სივრცეა.რას გულისხმობთ თქვენ ამ სიტყვებში? რას ნიშნავს თქვენთვის „საკრალური“?

- ადამიანების დამოკიდებულება მუზეუმთან გაუბრავლოვდა.ისინი თვლიან, რომ იქ შეუძლიათ კარები ტალახიანი ჩექმებით შეაღონ.ამიტომაც უნდა შევახსენოთ, რომ მუზეუმი ეს რაღაც განსაკუთრებულია,ეს ტერიტორიაა,სადაც არის წესები. მე კიდევ მომწონს ფორმულირება: მუზეუმი მდებარეობს შუაში-ტაძარსა და დისნეილენდს შორის. არის ძველი გაგება მუზეუმის რაობისა,რომ ეს ხელოვნების ტაძარია (მუზების ტაძარი-მთარგმ.), სადაც მოწიწებით უნდა ფორთხავდე მუხლებზე და ყოველწამს უნდა იხდიდე მადლობას.მაგრამ არის სხვა უკიდურესობა, საითკენაც მიისწრაფვის თანამედროვე გაგება: მუზეუმი ეს არის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი გართობა.

[6] ინტერვიუს პირობებში თავს ნება მივეცით ზოგიერთი შენიშვნა გამოგვეთქვა, თუმცა ინტერვიუსთან დაკავშირებით ეს სულ მთლად მიღებული ხერხი არაა.

ამიტომაც გაჩნდა საჭიროება, მუდმივად ხაზი გავუსვათ,რომ მუზეუმი განსაკუთრებული ტერიტორიაა, იგი დაცულია ქუჩური წესებისაგან და ქუჩიდან მოსული უნდა დაემოეჩილოს უფრო მაღალ წესრიგს. რა თქმა უნდა, მუზეუმი შეიძლება შეიცვალოს შინაგანად, რადგან იგი ითვისებს თავისთავში განსხვავებულ კულტურებს, შეხედულებებს, ესთეტიკურ პრინციპებს. მაგრამ მშვენიერება, კულტურა, ცივილიზაცია, მრავალფეროვნება ეს ისაა, რაც ამ ტერიტორიაზე მოქმედებს ყოველთვის. თუ მუზეუმი ამბობს, რომ ეს შეიძლება, ეს ნიშნავს, რომ შეიძლება. თუ თქვა არა, ე.ი. არაა. ქუჩაში რაღაც შეიძლება აღიქმებოდეს შეურაცხყოფად, მუზეუმში კი არა. საზღვრები თავად მუზეუმებმა უნდა განსაზღვრონ.

- ე.ი. მუზეუმი ის სივრცეა, სადაც მოქმედებენ სხვა კანონები?

- დიახ. და ამ კანონებს პატივი უნდა ვცეთ. ასეთი სივრცის არსებობა დაცულია და წმინდაა- კულტურისა და ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, გასაგებია, რომ ეს ყოველივე პარალელურია ეკლესიისა. სხვადასხვა დროს ერთი ან მეორე ითამაშებს დიდ როლს.

- აქ საინტერესოა ბალანსი რელიგიასა და კულტურას შორის. საბჭოთა პერიოდში რელიგია თითქმის არ იყო საზოგადო სივრცეში, კერძო ცხოვრებაშიც კი ცოტა თუ ფიქრობდა ისე,რომ სულიერებაზე პასუხისმგებელი იყო კულტურა. ახლა კი ისინი გარკვეულწილად კონკურენციაში არიან?

- დიახ, მიახლოებით ასეა. სულიერებაზე პასუხს აგებს კულტურა, მუზეუმები, რელიგიური ცოდნის დაცვაზეც კი. აქვე, ახლა შესანიშნავად უკეთებენ რესტავრაციას ჩვენები ვერონეზეს ,,სავლეს მოქცევას", ძალიან ლამაზი გაწმენდა გამოდის. ასე ხვდებოდნენ პირველად ადამიანები, თუ ვინ არის მოციქული პავლე, სახელდობრ აქ ვერონეზეს ნახატთან. მაშინ ხომ არაფერი იცოდა წესიერად. ამგვარად შეინახა ცოდნა და შესაბამისად ზოგადი კულტურა.

ახლა ეს შეიცვალა, ამიტომაც ბალანსი უნდა იყოს რამდენადმე სხვაგვარი.ასეთი ბალანსის სწორად მონახვა ეს არის პრაქტიკული ამოცანა,რომლის გადაწყვეტა არც თუ ისე რთულია,მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მემკვიდრეობითობა. მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები იმ პრიმიტიულ მიდგომას, რომელიც ამბობს,,ჩვენ გვჩაგვრავდნენ დამნაშავე მუზეუმები,ყველაფერი ჩამოგვართვეს, ახლა უნდა დავიბრუნოთ ყველაფერი.'' ასეთი მიდგომა უნდა აღმოიფხვრას, ეიფორიის და ბრძოლის პირველი წლები გადასულია. ახლა უნდა ვიფიქროთ, როგორ უნდა მოვნახოთ ახალი ბალანსი, რათა შევინარჩუნოთ სულიერება, რომელიც საზოგადოებაში კატეგორიულად მიექანება ქვევით. აქ ყველამ უნდა მოვქაჩოთ და შევაჩეროთ.

- ამასთნავე მასში უნდა იყოს რაღაც შინაარსი, რადგანაც ახლა ეს სულიერება ხშირად შეცვლილია გარეგანით: ტრადიციები,ღირებულებები და ა.შ. რაშია შინაარსი? ძველის აღდგენაში ხომ არა?

- პირველ რიგში დიახ, პატივი უნდა ვცეთ ძველს და ძველის აღდგენას. იმას, რასაც ვხედავთ ახლო აღმოსავლეთში, რასაც აკეთებს ,,ისლამური სახელმწიფო", ესაა იდეოლოგიური განადგურება წინარედ არსებულისა. ქრისტიანობაც თავდაპირველად უარყოფდა ანტიკურ კულტურას, პირველ ხანებში განსაკუთრებულად! ჩვენთან გამოფენაზე ,,ბიზანტია საუკუნეთა განმავლობაში" - ივნისში ჩამოვიდა ვენერას თავი, შუბლზე ამოკვეთილი ჯვარით. პროტესტანტები ანადგურებდნენ ყველაფერს კათოლიკურს. ასე რომ, დამოკიდებულება წარსულთან ეს მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ახლა, საერთოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაგებაა ღირსება. ადამიანებს ამოძრავებთ არა სოციალური მოტივი, ამას ჩვენ ვხედავთ მთელს მსოფლიოში. ადამიანის საქციელზე ყველაზე მეტად მოქმედებს ადამიანური ღირსების შეგრძნება ან დამცირება. ხოლო სამუზეუმო სფერო,

კულტურა აყალიბებს საკუთარი ისტორიული ღირსების გრძნობას. არა იმ არაფრისმთქმელ არასასურველ სიტყვას ,,პატრიოტი'', არამედ ღირსებას: ,,დიახ, ეს ჩვენი წინაპრებია, ჩვენ ყველაფერი ვიცით, შეიძლება განვსაჯოთ ან არ განვსაჯოთ, მაგრამ ეს ჩვენია და ჩვენ არ ვუარყობთ ჩვენს ისტორიას.“ ისტორია არასოდეს არ არის უბრალო. არ არსებობს უკეთესი იდეა,ვიდრე ვიყოთ ღირსეული მემკვიდრენი ჩვენი წინაპრებისა. ეს არ არის ამპარტავნება, სიამაყე, არამედ მშვიდი დამოკიდებულება იმისადმი,რაც არის და ჩვენ არ შეგვიძლია მისი უარყოფა.

მეორე კი არის ზრუნვა კულტურაზე-განვავითაროთ და მოვუაროთ სხვაობას და განსხვავებას. პოლიტიკა ამას არასოდეს გააკეთებს და იზამს, მხოლოდ იმისთვის, რომ შემდგომ ეს ყვავილნარი აჩეხოს. მშვენიერია, როცა არის სხვადასხვა ხედვა, სხვადასხვა კულტურები, როცა ერთთან თეთრი-თეთრია, სხვებთან კი თეთრი-შავია. ეს შესაძლებელია მთლად კარგი არ იყოს პრაქტიკული მუშაობის დროს, ომში თუ ბაზარში, მაგრამ კულტურის სფეროში ეს კარგია. უნდა მივაჩვიოთ ადამიანები იმას, რომ ამისგან იშვება „მოთმინება“ ეს ცუდი სიტყვაა. არის სიტყვა ,,შეუწყნარებლობა“ - აი, ამას საპირისპირო არ აქვს.

- ,,ტოლერანტობა“?

- ეს კიდევ უარესია. არის სიტყვები, რომელსაც წყვილი არ აქვს.

- პატივისცემა, მიმღებლობა?

- დიახ მიმღებლობა, პატივისცემა სხვისადმი და თუ მივიღებთ სამუზეუმო სივრცის საკრალურობას, ამის აღზრდა და ჩვენება შესაძლებელია. შენ უნდა უარყო შენი სიძულვილები, შეუწყნარებლობები, რომლებიც შესაძლებელია ქუჩაში მნიშვნელოვანი და საჯაროა. უხეშად რომ ვთქვათ, შეიძლება გერმანელი გძულდეს ომის დროს, მაგრამ მუზეუმში არ უნდა გძულდეს გერმანული ხელოვნების განყოფილება.

- თუ გავაგრძელებთ თქვენს თემას დისნეილენდზე... ახლა მუზეუმები ცდილობენ წარმოადგინონ უფრო მეტი გართობა, ინტერაქტივობა, პლანშეტები. არის გამოფენები, სადაც ამას წინათ წარმოადგინეს ვან გოგი, სადაც არ იყო თავად ნახატები, არამედ მხოლოდ პროექციები. ყველაფერი ხდება რაღაცნაირად ფრაგმენტული. ამას რა ვუყოთ?

- ესეც ძალზე ადვილია. მაგრამ უნდა გვასხოვდეს, რომ ეს ყველაფერი პრინციპულად უნდა ემსახურებოდეს მთავარს. ვან გოგი და პროექციები, სადაც უკვე არ არის ნივთი - ეს სხვა ოპერიდანაა, ეს შოუ ბიზნესია, ეს გართობაა ან ნახევრად გართობა, ტელევიზიის მსგავსი. ყველა ახალი ტექნოლოგია მუზეუმში უნდა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს - დახმარებას ნივთის ხედვაში.

როგორ შეიძლება დაგვეხმარონ? მაგალითად, ჩემთვის მუდმივი პრობლემაა - არ მიყვარს ეტიკეტები. როცა ადამიანები კითხულობენ ეტიკეტებს, ეს მათ ყურადღებას უფანტავს. ახლა გამოჩნდა აუდიოგიდი, რომელიც გვიცვლის ჩვენ ეტიკეტს, ის ლაპარაკობს, მაგრამ არ გვიშლის ყურებაში, თქვენ კი ღებულობთ ინფორმაციას. კიდევ მაგალითი: მხატვრის ფუნჯის მონასვამს ჩვეულებრივ ვერ ვამჩნევთ. ხოლო როცა აჩვენებენ პლანშეტზე მონასვამს, ეს შესანიშნავია, ეს დამატებაა იმის, რასაც ხედავთ. მაგრამ ამან არ უნდა შეცვალოს ნივთი. ჩვენ განსაკუთრებულად არ ვსაუბრობდით საკრალურობაზე - თითქოს ჩვენ შუაში ვართ და ყველაფერი რიგზეა, გართობა არ აჭარბებს აღმზრდელობით ნაწილს. მაგრამ შემდგომ ადამიანებმა შეწყვიტეს განსხვავება „კარავი“ ,,ვან გოგით“ ყოველ კუთხე-კუნჭულში თუ ნამდვილი ვან გოგისა. ეს ნიშნავს, რომ ეს უნდა გვახსოვდეს. ეს უნდა შევახსენოთ, მათ შორის საქმიანი კითხვების გადაჭრისას. მაგალითად, ახლა ჩვენ დავა გვაქვს კულტურის სამინისტროსთან, რომელიც ერთის მხრივ საზეიმოდ აცხადებს, რომ

მაქსიმალურად ბევრი ხალხი უნდა გავატაროთ უფასოდ, მეორეს მხრივ აქვს რა საშემოსავლო გეგმა - ეს კონფლიქტია, რომელიც არ უნდა იყოს. თქვენ ან ასრულებთ სოციალურ ფუნქციას და წირავთ რაღაცას, ან იბრძვით შემოსავლებისათვის. მაგალითად, ერმიტაჟი შოულობს საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას, მაგრამ არასოდეს სოციალური პროგრამის ხარჯზე. პირიქით, ჩვენთან სამ მილიონ ნახევარი დამთვალიერებლიდან მილიონი უფასოა, ეს არავის შეულახავს რეპუტაციას, ეს ჩვენი ვალია, რომელსაც ვიხდით საკუთარი ჯიბიდან.

- თქვენ როგორ თვლით, მუზეუმში დამთვალიერებელთა რაოდენობა როგორღაც დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კლიმატთან

- სეროვი? (იგულისხმება მხატვარ სეროვის გამოფენა ერმიტაჟში. მთარგმ.)

– დიახ, თუნდაც სეროვი.

– პირველ რიგში სწრებადობა ძალზე მაცდური კრიტერიუმია. როცა მუზეუმში მოდის ოთხმილიონნახევარი კაცი, მუზეუმი გადატვირთულია, ის ვეღარ უძლებს. არ შეიძლება იყოს კრიტერიუმი, რაც შეიძლება მეტი დამთვალიერებელი, საკითხი სხვაგვარად უნდა დავაყენოთ: ,,რამდენია საჭირო?“ მაგალითად, ლუვრი სადაც რვა მილიონი კაცი დადის წელიწადში. ხოლო როცა ააშენეს ახალი ლუვრი იანგარიშეს, რომ ის კარგად იტევს ხუთ მილიონს. მაშინ მათ ერთი მილიონიც არ ყავდათ, ამიტომაც მიესწრაფოდნენ ხუთ მილიონს. ახლა იქ ხალხის ისეთი გროვაა, რომ ტურისტებმა მსოფლიო მუზეუმების ათეულშიც კი არ შეიყვანეს ,იმიტომ რომ იქ რთული მიმოსვლაა, რაც ხელს უშლის დათვალიერებას. ჩვენ დავიანგარიშეთ, რომ ერმიტაჟს შეუძლია შეუშვას სამნახევარი მილიონი. ახლა როცა ჩვენ გავხსენით მთავარი შტაბი, ეს კიდევ ორი მილიონია. აი, ეს იქნება ჩვენი დამთვალიერებელთა რაოდენობა. მეტი შეუძლებელია. ახლა ვპასუხობ თქვეს კითხვას, რა განსაზღვრავს ამ რაოდენობას. პირველ რიგში, როცა კრიზისებია ყველგან, მუზეუმში მომსვლელები მატულობენ. როგორც ჩვენთან, ისე ევროპაში. ეს აბსოლუტურად ზუსტია. ჩემი დირექტორობის 23 წლის განმავლობაში სამი მსოფლიო კრიზისი იყო. მართლაც, მთელს მსოფლიოში მეტი ხალხი დადის მუზეუმებში.

– რატომ?

– იმიტომ, წასასვლელი არ აქვთ, არ შეგიძლია შეიძინო ავტომობილი... კიდევ ერთხელ მიდიხარ მუზეუმში. ძვირადღირებული გართობები გამორიცხულია, რჩება მხოლოდ მუზეუმი, რომელიც არაა ძვირი. ანგლო-საქსურ ქვეყნებში კი, საერთოდ უფასოა. ეს მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე კი იმაშია, რომ ადამიანები გრძნობენ - სამუზეუმო სივრცე განსკუთრებულია. როცა ისინი მოდიან აქ, თუნდაც გზაში გაეხათ პალტო და - აქ დაამტვრიეს კარები, ისინი აქ შიგნით გრძნობენ (ვფიქრობ ასე იყო სეროვის გამოფენაზე), რომ ეს სხვა სამყაროა, სადაც სუფევს სიმშვიდე. როცა ქუჩაში ძიძგილაობის გარდა, ხდება სოციალური შფოთი, როცა გიჭირს, სხვადასხვა განცდები, არასტაბილურობა და აქ ეძებენ სწორედ ამ საკრალურობას. აი ჩვენი ერმიტაჟი მაინც განმარტოების ადგილია, თუმც ჩვენთან მოდიან ბრბოები.

– ე.ი. ეს არის რაღაცნაირი ფსიქოთერაპიული ეფექტი?

– დიახ, ხელოვნება მკურნალობს და ამშვიდებს. რეკლამა ეს სწრებადობის მძლავრი ფაქტორია. სეროვის გამოფენის შემთხვევაში რეკლამა ხანდახან ზღვარზე იყო, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად. ყველაფერი დაემთხვა. მართალი რომ გითხრათ, სწრებადობა ძნელად პროგნოზირებადია. ეს, როგორც ნავთობის ფასია: თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ხდება სხვადასხვაგვარად.

- მაგრამ შესაძლებელია წინასწარ ვივარაუდოთ, რომელ გამოფენაზე იქნება თავის მტვრევა და რომელზე არა?

- შედარებით გასაგებია, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ვინმეს ევარაუდა ასეთი აჟიოტაჟი სეროვის გამოფენაზე. აივაზოვსკიზე წინასწარ იციან. რეპინზე რუსულ მუზეუმში რიგები დგება - ეს არის სავარაუდოდ მობილიზება რალიზმისკენ. ახლახან რუსულ მუზეუმშიც იყო სეროვის გამოფენა, წარმატებული, შესანიშნავი, მაგრამ არავითარი ალიაქოთი.

- კარები მთელია რუსულ მუზეუმში?

- კარები მთელია. იქაც იგივე ნახატები იყო გამოფენილი, რაც მოსკოვში, მხოლოდ გამოფენას ერქვა „სეროვი-არაპორტრეტისტი“.

როცა რიგია ერმიტაჟში ადამიანები ვერ ხვდებიან, როცა მათ ეუბნებიან - „დაკეტილია, გარდერობი გადატვირთულია“ და სხვა მსგავსი, ამ დროს ყველაფერი გათვლილია, მათ შორის გარდერობის გადატვირთულობა.

ერმიტაჟში მთავარი კორპუსის ფარგლებში, შესაძლებელია ერთდროულად იმყოფებოდეს 600111 კაცი. რამდენიც გინდათ იმდენი შევა, მაგრამ ყოველ სართულზე მეხანძრეებს გათვლილი აქვთ რამდენ წუთში მივლენ მნახველები ამა თუ იმ ადგილზე. ამისაგან მათ გამოაქვთ დასკვნები, თუ რამდენი მნახველის შესვლაა შესაძლებელი. რატომაა ასე ცოტა პირველ სართულზე, სადაც დიდი დარბაზებია? აბა შეხედეთ რამოდენა კარებია!

ყოველთვის მომყავს მაგალითი - ნიუ-იორკში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში კედელზე წერია „მუზეუმის ამ ნაწილში ერთდროულად შესაძლებელია იმყოფებოდეს 583 კაცი“. ჩვენთან მთავარ შენობაში შეიძლება გავაკეთოთ ასეთი რამ, როგორც მინიმუმი შეიძლება იყოს მორბენალი სტრიქონი, რომ მუზეუმში ახლა იმყოფება ამდენი და ამდენი ადამიანი. გინდათ გაწერილი მუზეუმი, მაგრამ არ გამოდის. მუზეუმები ხდებიან უნივერსალური ადგილები, სადაც მოდიან სხვადასხვა ეროვნების, აღმსარებლობის ადამიანები. შეიძლება იყოს მეისენური ფაიფურის გამოფენა, პარალელურად კი ჩინური ფაიფურისა, და ესეც კულტურათა დიალოგია. აქ მნიშვნელოვანია ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმის მაგალითი, სადაც წარმოდგენილია უამრავი ქვეყნისა და ხალხის კულტურა, აქ ჩამოსულ ბანგლადეშელ და ინდუსებს შეუძლიათ იხილონ ის, რასაც ვერ ნახავენ თავისთან ინდოეთში.

- იმიტომ რომ მუზეუმი - ეს დასავლური გამოგონებაა.

- დიახ, ეს დასავლური გამოგონებაა. ლონდონში მცხოვრებს აქვს რაღაც თავისი ბრიტანეთის მუზეუმში. ისინი აწყობენ სხვადასხვა კულტურათა, ნაციონალურ უმცირესობათა დღესასწაულებს. ჩვენ ეს ჯერ ჯეროვნად არ გამოგვდის. თუმცა შუა აზიის ექსპოზიციაში ვიწვევთ შუაზიელებს, სომხურში სომხებს, ქართულში ქართველებს. აქ არის მათი კულტურათა წარმომადგენლობა, მათ არა თუ შეუძლიათ ამ კულტურათა აღქმა, არამედ ზრუნავენ, რომ ანახონ ბავშვებს და თვალნათლივ შეინარჩუნონ კავშირები. ჩვენ ბევრს ვყვებით მუსლიმურ კულტურაზე, მის მრავალფეროვნებაზე, მის თავისებურებებზე, რომ ის თავის სიგრძე-სიგანეში უარყოფს თავსმოხვეულ სტერეოტიპებს, მაგალითად, გამოსახულების აკრძალვა. ისლამური ხლოვნება უფრო აბსტრაქტულია, პირობითად რომ ვთქვათ – ევროპული ქრისტიანული, ის ორიენტირებულია სამოთხეზე და აღზრდის მოთხრობებით სამოთხეზე, რომელიც ქრისტიანობისაგან განსხვავებით აღზრდის ტანჯვა-წამებაზეა დაყრდნობილი მოთხრობების მეშვეობით.

მუზეუმის არსი იმაშია, რომ მან რთული უნდა აქციოს მშვენიერად. ადამიანებს უნდა უყვარდეთ სირთულე. ეს საჭიროა კაცობრიობისათვის, იმიტომ რომ უბრალო ადამიანი ვერ

შეძლებს განავითაროს ცივილიზაცია. ორჯერ ორი ყოველთვის არ არის ოთხი, პარალელურმა ხაზებმა შეიძლება გადაკვეთონ ერთმანეთი ან არ გადაკვეთონ. არსებობენ ძალზე რთული კავშირები, ყოველივე ეს შეიძლება ავხსნათ, ამისათვის საჭიროა არასტანდარტული აზროვნება, ეს კი იბადება კულტურისაგან.

არის სხვადასხვა კულტურები. სამაგალითო აზრი ერთერთისა შედეგია: კულტურა პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც ჯერ არ დამდგარა, ის უნდა დაუდგეს მომავლის ადამიანს. ამისგან შემდგომ დაიბადება სხვადასხვა ტექნიკური შთაგონება, სამყაროს ახალი გეგმა, შეიძლება დაისახოს სხვა სულიერი გზები. მე კიდევ მომწონს განსაზღვრება, რომ კულტურა-ეს არ არის თაობის შთამომავლობითი გენეტიკური ხსოვნა. ამიტომაც უნდა იყოს ძალისხმევა იმისა, ვინ ასწავლის და იმისა ვინც სწავლობს.

- თუ ამაზე ვიფიქრეთ, საერთოდ რა საჭიროა კულტურა? ის გვეხმარება მაგალითად შევეწინააღმდეგოთ იდეოლოგიას?

- კულტურა - ეს ადამიანის არსია. იგი ასხვავებს ადამიანს ცხოველისგან. ეკონომიკა ჭიანჭველებსაც აქვთ. პოლიტიკა როგორც ჩვენ, ოღონდ პრიმიტიული ასევე აქვთ ჭიანჭველებს. მაგრამ პრინციპში ცხოველებს არ აქვთ, ადამიანს კი აქვს და ეს ხდის ცხოვრებას გონივრულს. კულტურა ეფუძნება ხსოვნას, როცა ადამიანი კარგავს მეხსიერებას, დამთავრა ის აღარაა ადამიანი.

- ჩვენ - ეს ჩვენი ხსოვნაა?

- დიახ. თუ სრულად დავკარგავთ მეხსიერებას, ადამიანი ცოცხლობს, მას აქვს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ ამას ეძახიან მცენარეულ მდგომარეობას. ხელებისა და ფეხების გარეშე შეიძლება იცოცხლო და დარჩე ადამიანად. მთავარია თაობათა კავშირი. უხეშად რომ ვთქვათ, როცა ყველეფერი დაიღუპება ან მოფრინდებიან უცხოპლანეტელები, სწორედ ამით დაინტერესდებიან ისინი, იმიტომ, რომ ეს არ იქნება მათი მსგავსი. ტექნიკა, მანქანები, თვითმფრინავები ყველაფერი მსგავსია. მაგრამ მხოლოდ კულტურა, ხელოვნება იქნება განსხვავებული.

- როგორ აღწერთ თქვენ იამას, რაც ახლა ხდება ევროპაში? მიგრანტები, იდენტურობათა შეტაკება, კონფლიქტები. თქვენ კარგად იცით ორივე მხარის მენტალობა, მოვლენების განვითარების როგორი სცენარი გგონიათ ყველაზე უფრო მოსალოდნელი - ევროპული იდენტობის წაშლა, ჰუმანიზმის და სულიერების გამარჯვება თუ სხვა ვარიანტი?

- ევროპაში ხდება უკუღმა ჯვაროსნული ლაშქრობა. თავის დროზე ევროპელები ასე მივიდნენ ახლო აღმოსავლეთში: ყველაფერი დაიპყრეს, თავს მოახვიეს ენა (საინტერესოა რომელი? მთარგმ.) მაშინ მშიერი ევროპელები მივიდნენ საძარცვავად და დამკვიდრდნენ. ახლა მშიერი მუსლიმანები მიდიან და მკვიდრდებიან ევროპაში (ეს კეთილი ნების აქტია და არა უკუღმა ჯვაროსნული. მთარგმ.)

არის კარგი რეცეპტი - ეს შეერთებული შტატებია. იქ ქვეყანა აგებულია მიგრანტებზე. ევროპელები ცდილობდნენ გაეკეთებიათ იგივე, როცა ჩამოყავდათ თურქები, მაგრამ არ იცოდნენ სად შეჩერებულიყვნენ. ამერიკელები ხისტი ხალხია, ისინი ასეთი ბუნებისანი არიან, მათ იციან სად უნდა იყოს სიკეთის საზღვარი. ვფიქრობ ევროპაც იპოვის. არის სხვა რეცეპტი, მე მას „რუსულ რეცეპტს ვუწოდებ“, ეს არის ისლამისა და ქრისტიანობის ურთიერთობა რუსეთის იპერიაში. პეტრემ დაიწყო მუსლიმების მოქცევა მართმადიდებლობაში სისასტიკით და არაფერი გამოუვიდა. შემდგომ ეკეტერინემ დაამკვიდრა სულიერი მმართველობა (რუსეთის მუსლიმანები ავტოხთონები არიან და არა მოსულები. მთარგმ.) იქ იყო სრულიად მკაფიო სქემა, სავსებით განსაზღვრული და ყველასათვის გასაგებ ზღვრამდე. აი, თქვენ თქვენი შარიათული სასამართლო. ამის შემდეგ

მოქმედებს მხოლოდ ხელისუფლება, თავის მოკვეთაც კი და სხვა ასეთები. ამ უფლებამოსილებათა გადანაწილებამ იმუშავა ძალიან კარგად, ვიდრე სხვაგან.

- მაშინ მაინც იყო ასეთი პატერნალიზმი, ჩვენი სახელმწიფო არის მართლმადიდებელი, ამ მუსლიმებს კი ვაძლევთ ცხოვრების საშუალებას. ახლა ასე არ გამოვა.

- სახელმწიფო ყოველთვის მკაცრია. ყველა თავისუფლება არსებობს იმ მომენტამდე, სანამ არ მოუჭერს. ამერიკაში ყოველთვის შეიძლება დაიცვა პიროვნების თავისუფლება და უფლებები კერძო ცხოვრებაზე, ინფორმაციაზე. მაგრამ, როგორც კი მოხდა 11 სექტემბერი ყოველგვარი წრიპინის გარეშე შემოიტანეს ახალი კანონები უსაფრთხოებაზე და ყველაფერი მოექცა ხუფის ქვეშ. ახლა ინტერნეტზე და ტელეფონზე არავითარი თავისუფლება აღარ არის. და არა უშავს - ვცხოვრობთ! ჩვენ უბრალოდ მივხვდით, რომ ეს აუცილებელია, თუმცა მოსაბეზრებელი კია.

აქაც ასევე უნდა იყოს მკაცრი მომენტი. სავარაუდოდ ევროპაში უნდა გაუქმდეს დახმარება მიგრანტებზე, და თავისიანებზეც და მათ მაშინ ჩაეშლებათ კიდევ ერთი უტოპიური პროექტი: თანასწორობა სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ყოველი მიეზღვება მოთხოვნილებისამებრ, მოეთხოვება შესაძლებლობის მიხედვით, ჩაიშალა. მათაც აქვთ უტოპიური პროექტი - სოციალური სახელმწიფო, სადაც გამოიმუშავებენ რომ შესაძლებელი იყოს ყველა ვარჩინოთ მეტ-ნაკლებად, როცა ეს ,,ყველა" ხდება ძალიან ბევრი, ეს ყველაფერი ჩამოიშლება, სამწუხაროდ. კარგი ცხოვრების ასეთი უბრალო სქემები არ მუშაობენ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ევროპა ამას ყოველთვის ართმევდა თავს და მომავალშიც გაართმევს.

- კულტურა ამ პროცესში ითამაშებს რაიმე როლს?

- რა თქმაუნდა. მე ვფიქრობ, რომ კულტურა იქნება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, იმიტომ რომ ეკონომიკური ინტეგრირება იქნება რთული, ამიტომაც უნდა ვიპოვოთ ხერხი კულტურული ინტეგრირებისა. ამისათვის აღარ უნდა იყოს გეტო. გეტო რომელიც იქმნებოდა ევროპაში, მიგვიყვანა მძლავრ ანტისემიტიზმთან, ამიტომაც აღარ უნდა იქმნებოდეს არავითარი გეტო - მუსლიმები, ებრაელები, ალჟირელები და ა.შ.

უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ კულტურა იყოს მიმზიდველი. მე არ ვიცი ეს სახელობრ, როგორ უნდა გაკეთდეს. უნივერსიტეტში ჩვენ ვკითხულობთ ისლამზე, ჩვენთან არიან მუსლიმი და არამუსლიმი ახალგაზრდები. მაგრამ განსაზღვრო თუ როდის შეურაცხყოფ მათ გრძნობებს, ანდა როცა შეიძლება, რომ შეურაცხყო? ეს რთული ამოცანაა. ასე, რომ უნდა გამოიმუშაო შენთვის - სად შეურაცხყოფაა მორწმუნეთათვის, და სად არაა შეურაცხყოფა.

- საერთოდ ეს კონცეპტი გრძნობათა შეურაცხყოფისა მუშაობს?

- ის ცუდად მუშაობს, იმიტომ რომ გაუგებარია ვინ იქნება მსაჯული. ყველაფერი უნდა გადაწყდეს ცხოვრების მდინარებაში, არ არსებობს რეცეპტი. ძალიან არ უნდა მივენდოთ კანონს და ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ისეთი კანონის მიღება, სადაც ყველაფერი გაწერილია, ასე არ ხდება!

- უნდა იყოს რაღაც თვითრეგულაცია

- დიახ, უნდა იყოს. კანონი არის ფორმა სადაც აღწერილია, როგორ დალაგდება და მიიღება ის, რასაც ყველამ უნდა მივსდიოთ. საერთოდ, მეტ-ნაკლებად გასაგებია თავისთავად, თუ რა შეურაცხყოფს ან არ შეურაცხყოფს ადმიანის გრძნობებს, მაგრამ ხდება რადიკალიზაცია ორივე მხრიდან: ერთნი თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ ყველა საბაბზე, მეორენი ცდილობენ შეურაცხყოფა მიაყენონ ყოველი საბაბით. ამ წინააღმდეგობათა დემონსტრაციით შესაძლებელია მოინახოს შუალედი და ავხსნათ რომ ასე ნორმალურია.

- ე.ი. შესაძლებელია რაღაც კულტურულად გამოვთქვათ, შეურაცხყოფილ გრძნობათა თაობაზე?
– ვფიქრობ სავსებით შესაძლებელია. ჩვენ ვაწყობდით მრგვალ მაგიდებს იურიდიულ ფორუმებზე მკრეხელობის საკითხებზე. გასაგები გახდა მხოლოდ ერთი რამ, რომ ვერავითარი აკრძალვებითა და კანონებით ამას ვერ აღწერ. იქნება უფრო უარესი. მაგალითად, გერმანიაში სვასტიკის აკრძალვა, შეიძლება იყო აუცილებელი, მაგრამ ნელ-ნელა ძველდება. სვასტიკა სოლარული ნიშანია, ასეთ ამბებში უნდა გვესმოდეს პირობითობა, მეტაფორა. ეს ისევ გაუნათლებლობაა, ეს უნდა შევისწავლოთ.

- ე.ი. ჩვეულებრივ თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ ნაკლებ კულტურული ადამიანები?
- რა თქმა უნდა. რომელთაც არ ესმით თავიანთი თვალსაზრისის მთელი სირთულე. როცა მე ვამბობ „ჩემი გოლგოთა“ მე სრულიად არ შევურაცხყოფ და არც ვაცხადებ თავს ქრისტეს როლზე, გესმით?

- როგორ აღწერდით თქვენ დღეს ეკლესიისა და კულტურული წრეების ურთიერთობას?
– მე ვფიქრობ, რომ ისინი ახლა რთულია, მაგრამ ჩვენ გამოვედით იმ პერიოდიდან, როცა ეკლესიას კონფრონტაცია ჭირდებოდა თვითდამკვიდრებისათვის, ხოლო კულტურულ წრეებში ფიქრობდნენ – თავი უნდა დაიცვა, როცა თავს გესხმიან. ახლა უკვე არის ნორმალური წარმოდგენები, რომ არსებობს საერთო მიზანი, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მატერიალურ საკითხებს, დავივიწყოთ საკუთრება, რაც ასე თუ ისე განაწილებულია, ხაზი უნდა გავუსვათ წარმატებულ შემთხვევებს, როცა ურთიერთშეთანხმებით ვმოქმედებთ. მადლობა ღმერთს ჩვენ ხომ არავის ვეკინკლავებით, ხანდახან ვიღაც აქტივისტები რაღაცას ითხოვენ, მაგრამ აქტივისტები - ეს ეკლესია არ არის.

ერმიტაჟში არის რესტავრირებული დიდი ეკლესია, ჩვენს სამუშაო რეჟიმთან შეთანხმებით, იქ აღევლინება ღვთისმსახურება, მაგრამ არა ფართო წრეებისათვის. ჩვენთან ინახება სიწმინდეები, ბევრი დავაბრუნეთ. ჩვენ გვაქვს მრგვალი მაგიდის პროგრამა, სასულიერო აკადემიასთან, უნდა ვაჩვენოთ ეს ურთიერთობანი და ხაზი გავუსვათ, რომ საინტერესო პროვოკაცია კი არ არის, არამედ უპროვოკაციობაა.

სიტყვამ მოიტანა, თანამედროვე ხელოვნების ჩვენს გამოფენაზე „მანიფესტი“ არ იყო არავითარი პროვოკაცია. ყველა მწვავე თემა, რომელიც აქტუალურად ითვლება. ჰომოსექსუალიზმი, უკრაინა და ა.შ. ეს ყველაფერი კარგად იყო წარმოდგენილი. ეს ყველაფერი ისე იყო გაკეთებული, რომ არ იყო შეურაცხმყოფელი. გამოვიდა არაპროვოკაციული მხატვრული მოვლენა. ადამიანთა ერთმა ნაწილმა ეს დააფასა, დანარჩენმა უბრალოდ ვერ გაიგო. მაგრამ თავად ფაქტი, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს პროვოკაციის გარეშე და ესაა დისკუსიაში მონაწილეობა.

– კონფლიქტი ეკლესიასა და ინტელექტუალებს შორის თავიდანვეა ჩადებული თუ დაძაბულობის არსებობა რაღაც სხვა რამით აიხსნება?
– ის არსებობდა ყოველთვის, მაგრამ ეს არ უნდა გადაიქცეს ანტაგონიზმში. კონფლიქტურობა არის, რადგან ინტელიგენციის წარმოდგენა, რომ მან ყველაფერი იცის და არ აპირებს დაემოეჩილოს რაიმე სულიერ დისციპლინას, მაგრამ ეკლესიაში მას უნდა დაემორჩილო. მაგრამ შუაში არის კიდევ რწმენა, რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ეკლესიას, ინტელიგენტურ ან ფილოსოფიურ წარმოდგენებს. გვერდზეა ასევე ზნეობრივი საფუძვლები და ღირებულებები, რომელსაც მისდევს ადამიანი, ისინი შეიძლება მთლიანად არ ემთხვეოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ეკლესიას და ინტელიგენციასაც რა შეიძლება და რა არა. ეს არასტანდარტულობა ძალიან საინტერესოა და ისინი მაგალითებით უნდა ვაჩვენოთ.

– ე.ი. თუ მათ დავასახელებთ,წარმოვთქვამთ,კონფლიქტი მოიხსნება?

– დიახ, კონფლიქტის ნაწილი მოიხსნება, შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები, ერთის მხრივ არის რწმენა და ეკლესია, მეორე მხრივ - ეკლესია და ათასგვარი აქტივისტები ირგვლივ. მათ უნდა გავემიჯნოთ, რადგანაც ისინი აპროვოცირებენ შეტაკებებს. არის უამრავი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ხარჯავენ უზარმაზარ ძალისხმევას, რომ წააჩხუბონ, რომ შექმნან ეს კონფლიქტი და გააჩაღონ ის.

– რატომ?

– ეფექტურად გამოიყურება, ამ კონფლიქტის ჩრდილში კი შეგიძლია აკეთო რაც გსურს. შეგიძლია ორივე მხარის მანიპულირება, რაც ხდება კიდეც, მაგრამ თუ იქნება ერთიანი მშვიდი ფრონტი და ეს პოლიტიკური იდეოლოგია განშორებული.

– ეს რა საიდუმლო ძალებია?

– მცირედ შხამიანი პოლიტიკა. ზოგადი თვალთახედვით, კულტურის დაწესებულებებს და ეკლესიას მიუფურთხებიათ პოლიტიკისთვის, ისინი ცხოვრობენ სხვა სფეროებში. ყველა წმინდა წიგნიდან შეიძლება ამოვკრიფოთ ტექსტები სიძულვილზე, მშვიდობაზე. იქ შეიძლება იპოვო უამრავი წინააღმდეგობა.

ეკლესიისა და კულტურის საზრუნავი აბსოლუტურად სხვაა - ეს ადამიანი, პიროვნებაა თუ ადამიანთა ჯგუფი და ეს აპოლიტიკური რამეები მათ სულ არ ჭირდებათ, თუ ისინი თავს საკმარისად ძლიერებად გრძნობენ. კულტურას შეუძლია იყოს ზეპოლიტიკური. ეკლესია უნდა იყოს ზეპოლიტიკური, მაგრამ ასე არ გამოდის.

– იმიტომ რომ ფული დამოკიდებულია პოლიტიკაზე.

– დიახ. უნდა ვიპოვოთ რაიმე ხერხი, რომ ასე არ ვიყოთ დამოკიდებული ფულზე

ინგა დიასამიძე

პირველი ქალი მხატვარი აჭარაში

XIX საუკუნეის დასაწყისი... ბათუმის ქუჩებში მოლბერტით ხელში დაიარება ლამაზი ქალბატონი... მაღალი, წითელი ხვეული თმებით, ცისფერი თვალებით და თეთრ ტილოზე გადააქვს ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდება, რაც ტკივა და უხარია, რასაც განიცდის... მის მუზათა კონას. ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ მუსლიმანური სარწმუნოება მეფობდა აჭარაში. სარწმუნოება, რომელიც კრძალავდა მხატვრობაში სულიერის დახატვას იმ ცრუ რწმენით, რომ „იმ ქვეყნად როდესაც მიხვალ, ყველა შენს ტილოზე აღბეჭდილი პორტრეტის პროტოტიპი მოგთხოვს სულის ჩადგმას. ამ დროს უფალი გსაყვედურობს: ჩემს საქმეში ჩარევის უფლება არ მომიცია და სულის ჩადგმა მხოლოდ უფალს შეუძლიაო.“

ეს ქალბატონი მუთებერ ვარშანიძეა.

მუთებერ ვარშანიძის შესახებ საგაზეთო წერილი გამოაქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აჭარა“-ში (1968 წ. N90(12.942): „მუთებერის თანამედროვენი ახასიათებენ მას, როგორც ნიჭიერ, შრომისმოყვარე მხატვარს. დოცენტ ნ.ნიჟარაძის თქმით კი, მუთებერი ხატავდა ნატურმორტებსა და პეიზაჟებს როგორც ტილოზე, ასევე თეფშებზე. დიდი ნებისყოფისა იყო და შეეძლო ერთ ნახატზე დიდი ხანი ემუშევა.“

ამავე წერილის ავტორი გვამცნობს, რომ თურმე მასზე ლექსებს წერდნენ.

პოეტმა ნესტორ მალაზონიამ მუთებერს ლექსი მიუძღვნა:

„მუთებერი სცენაზე გადაშლილი ხელებით
მოსხლეტილი შველივით იდგა,
სიტყვას ამბობდა
დაძაბული დარბაზი
გრძნობაგანახელები,
შესცქეროდა აჭარელ ქალს
რომ ლაპარაკობდა...
ტაში ქუხდა დარბაზში
და მე შენკენ ვიწევდი.
შენ მიცქერდი... ვინ იცის,
იქნებ კიდეც მძრახავდი,
მაგრამ მე კი საცქერად
მხოლოდ თვალებს ვიწვევდი,
რადგან მათში ვიცოდი
ჩარგულთ ზეიმს ვნახავდი.
მართლაც გრძელი გზა იყო
და სიძნელე მრავალი,
მაგრამ მაინც გმირულად განვლე
ჩემო დაო, და
დღეს არ აქვს შენს მხარეს
ეკლიანი სავალი,
დღეს უფრო აყვავილდება
თუ ოდესმე ყვაოდა.“ (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“.1968 წ.N 90).

ქალბატონი მუთებერი ძერწავდა, აფორმებდა წიგნებს. მას წიგნის „აჭარისტანის გეოგრაფიული ნარკვევები“-სათვის რუკა შეუდგენია. (ეს წიგნი გამოსაცემად 1925 წელს მომზადდა, გამოიცა 1928 წელს.) წიგნის ავტორი ნ. ლორთქიფანიძე წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „რუკა შედგენილია ჩვენი მოწაფის – აჭარელი ქალის მუთებერ ვარშანიძის მიერ, რისთვისაც ვუხდი მას უღრმეს მადლობას“ (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“.1968 წ.N 90).

მუთებერ ვარშანიძე აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტის მსმენელებს მხატვრობას ასწავლიდა.

ხელოვანის მამამ შაქრო ვარშანიძემ, განათლებულმა და აჭარაში სასკოლო ცხოვრების ერთ–ერთმა ჭეშმარიტმა ორგანიზატორმა, თავის ორ ქალიშვილს მუთებერსა და სემაეთს უმაღლესი განათლება მოსკოვში მიაღებინა ისეთ დროს, როცა ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას ჯერ კიდევ ჰყავდა მოწინააღმდეგეები.

შაქრო ვარშანიძე 1923 წლიდან იყო აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც ქალთა გიმნაზიის შენობაში (ახლანდელი მეორე საჯარო სკოლა) გაიხსნა.

ამ ინსტიტუტში პირველად თავისი ქალიშვილები მუთებერი და სემაეთი მიიყვანა, შემდეგ მეუღლის დისშვილები, რამაც საზოგადოებაში მითქმა–მოთქმაც კი გამოიწვია. მისმა გადამწყვეტმა ნაბიჯმა ძალზედ დიდი გავლენა მოახდინა აჭარის მოსახლეობაზე. იმავე წელს რამოდენიმე გოგონა მოვიდა ინსტიტუტში. ხოლო ერთი წლის შემდეგ გოგონების რაოდენობამ ორ ათეულს გადააჭარბა.

მუთებერის მამამ მწერალ ანა ანტონოვსკაიას თხოვნით გიორგი საკაძის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები არაბულ ენაზე ქართულიდან თარგმნა. იგი ასევე აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში არსებულ დოკუმენტებს თარგმნიდა.

მუზეუმის ფონდსაცავში ინახება მუთებერ ვარშანიძის ერთადერთი სურათი. სამწუხაროდ, მისი დანარჩენი შემოქმედება ინახებოდა მისი სახლის სხვენში, სადაც დანესტილა, გაფუჭებულა და განადგურებულა. რაც გადარჩა, მხოლოდ ის ნამუშევარია, რომელიც ჩვენი მუზეუმის ფონდსაცავში ინახება. „წითელარმიელის დაბრუნება“-ასე ჰქვია სურათს, მუზეუმში შემოსულა 1968 წელს.

სურათზე აღბეჭდილია ერთი ლამაზი სოფლის პეიზაჟი. სურათის მარცხენა მხარეს წითელი კრამიტით გადახურული ორსართულიანი სახლია აღბეჭდილი. იმ სახლიდან ბიჭუნა გამორბის. სურათის ცენტრში დადა–შვილის შეხვედრის სცენაა, შვილის, რომელიც ჯარიდან შინ დაბრუნდა.ეს ბიჭუნაც მასთან შესახვედრად გარბის. სურათის მარჯვენა მხრიდან მამა მოდის შვილის შესახვედრად. მართალია, სურათი პრიმიტივია, მაგრამ ამ სურათში იმდენად ნათლად იკითხება მონატრებული შვილის სიყვარული, ისე ნათლად არის აღბეჭდილი იმდროინდელი სოფლის ცხოვრება, ზუსტი პროპორციები და განცდები, რომ ეს პრიმიტივს სცილდება. სურათის მთავარი მიზანიც ხომ ისაა, რომ დამთვალიერებელთან მიიტანო შენი სათქმელი ისე, რომ იგივე განცდა დაეუფლოს,რისი თქმაც გსურს. სამწუხაროა, რომ მისი შემოქმედება დღეს მხოლოდ ამით შემოიფარგლება.

იმავე საგაზეთო წერილში ვითხულობთ– „შინაურების აზრით, სურათი“ წითელარმიელის დაბრუნება“ მუთებერმა შექმნა ერთ–ერთი ნათესავის ოჯახში, პროტოტიპებად ამ ოჯახის წევრები გამოიყენა“.

მუთებერ ვარშანიძეს იტაცებდა ყველაფერი. იგი შესანიშნავად მღეროდა, უკრავდა ვიოლონჩელოზე. მას ჰყავდა კიდევ ორი ძმა ზექი და რემზი ვარშანიძეები, რომლებიც ომში დაიღუპნენ. ჰყავდა მეუღლე, ცნობილი ინჟერი მიხეილ (მემედ) ლორთქიფანიძე (1907–1973 წ.წ.). მოსკოვში სწავლის დროს მათ შეეძინათ შვილი ვიქტორი(ბიჭიკო) (1933–2015 წ.წ.), რომელიც ასევე

იყო ცნობილი მოღვაწე. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იყო საქართველოს საბაჟო სამსახურის უფროსი. მას ჰყავს შვილიშვილები თარაში და ხათუნა.

ხელოვანი სულ ახალგაზრდა 30 წლის ასაკში (1909–1939 წ.წ.) გარდაიცვალა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სურმანიძე რ., ისინი აღარ დაბრუნებულან. – გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, N90 (12.942),9.05.1968 წ.
2. მხატვრის ძმისშვილის ნანა ვარშანიძის მოგონება. ბათუმი 2018 წ. 18 ოქტომბერი.

მუთებერ ვარშანიძე – წითელარმიელის დაბრუნება
ტილო, ზეთი 100/80 სმ

მუთეზერ ვარშანიძე

შუაში ზის მუთეზერ ვარშანიძე, დგას მისი და – სემაეთი



შუქრი ვარშანიძე თავის მოსწავლეებთან

მანანა ცეცხლაძე

სასიქადულო მეცნიერი, მამულიშვილი და მოღვაწე ნადიმ ნიჟარაძე

პროფესორი ნადიმ ნიჟარაძე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, შესანიშნავ აღმზრდელ-პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს, მგზნებარე პატრიოტსა და ჩინებულ მოქალაქეს ნადიმ ნიჟარაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის განათლების დარგის განვითარებასა და მის სრულყოფაში, აჭარის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ პრობლემების შესწავლასა და საერთოდ კუთხის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებაში. „ნადიმ ნიჟარაძე დიდი პატრიოტი მოღვაწე, ერის იდიალებისა, აჭარის, ამ უძველესი ქართული მრავალტანჯული მხარის აყვავება-აღორძინებისთვის თავგანწირული მებრძოლი იყო“ – წერს ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 1982:13.09). უაღრესად პრინციპული და გულმოყვასი, მკაცრი და მომთმენი, შესანიშნავი მეცნიერი და უანგარო აღმზრდელი, ასეთი იყო ნადიმ ნიჟარაძე.

ნადიმ ნიჟარძე დაიბადა 1911 წელს ქედის რაიონის სოფელ ვაიოში. დაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში. 1931 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი. ეს ის პერიოდია, როცა ხელისუფლება სპეციალურად არჩევდა ნიჭიერ აჭარელ ახალგაზრდებს და უმაღლესი განათლების მისაღებად გზავნიდა თბილისისა და ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის იყო ნადიმ ნიჟარაძე. იგი 1931 წელსვე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. იმთავითვე გამოირჩეოდა სწავლაში და მეცნიერულ კვლევის უნარს ამჟღავნებდა.

ნადიმ ნიჟარაძემ 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმავე წელს იგი დაინიშნა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს აჭარის განათლების სახალხო კომისრად. 26 წლის ახალგაზრდა ენერგიულად, დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა სახალხო კომისრის მოვალეობის შესრულებას. ნადიმ ნიჟარაძეს აღმოაჩნდა კარგი ალღო, ორგანიზატორული მუშაობის ნიჭი და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა, რითაც მან როგორც სახალხო კომისარმა, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა მასზე მინდობილი დარგის განვითარებისათვის. ამ მოვალეობის შესრულება მას მოუხდა ძნელ პირობებში მეორე მსოფლიო ომამდე არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მოსახლეობის კულტურისა და განათლების დაბალი დონე, კადრების, სკოლების ნაკლებობა, ადგილობრივი პედაგოგიური კადრების არყოლა, უცხოელთა ბატონობის გადმონაშთების მძიმე შედეგები, შემდგომ ომის სიმძიმე და ამით გამოწვეული სიძნელეები აფერხებდა და აძნელებდა ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლებას.

ნადიმ ნიჟარაძემ ბევრი რამ გააკეთა ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლებისა და კულტურის დარგის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის. სერიოზული ნაბიჯები გადადგა სკოლების გაფართოებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასკოლო ასაკის ბავშვების სასწავლო პროცესში მასობრივად ჩაბმისთვის, განსაკუთრებით გოგონების

მიზიდვის თვალსაზრისით, სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის დახვეწისათვის.

ბატონი ნადიმი, როგორც განათლების სისტემის კურატორი, საქართველოს განათლების კომისარიატის მიერ შემუშავებული დებულების საფუძველზე ცდილობდა ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებში მეთოდური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას.

შემუშავებული დებატების თანახმად აჭარის განათლების სახალხო კომისარიატში შეიქმნა ცენტრალური მეთოდური კაბინეტი, რომელიც მუშაობაში დახმარებასა და ხელძღვანელობას უწევდა განათლების რაიონული განყოფილებების მეთოდურ კაბინეტებს.

სკოლების მუშაობის ხარისხი ბევრად იყო დამოკიდებული მეთოდური მუშაობის დონეზე. აქედან გამომდინარე ცენტრალური მეთოდური კაბინეტი სამუშაო შტაბს წარმოადგენდა განათლების მთელ სისტემაში. იგი იმდენად მოქნილი სტრუქტურა გახდა, რომ სკოლების ინსპექტირების შედეგებს უმთავრესად იხილავდნენ და აანალიზებდნენ ცენტრალური მეთოდური კაბინეტის სხდომებზე.

აჭარის განათლების სახალხო კომისარიატში ერთ-ერთი ასეთი შეკრება ჩატარდა 1939 წლის 16 იანვარს. მოხსენება „სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ“ გააკეთაა სახალხო კომისარმა ნადიმ ნიჟარაძემ. მან გაანალიზა რა სკოლების მუშაობა სასწავლო წლის პირველ ნახევარში, აღნიშნა მიღწევები და მუშაობაში არსებული ხარვეზები. კომისარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკოლებში მოსწავლეთა გამოცხადებას, სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგებას, მასწავლებელთა კადრებისა და მეთოდური პრობლემების გადაჭრას. ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ენთუზიასტი ხელმძღვანელი ვერ ეგუებოდა გულგრილობას მუშაობაში. ზუსტი აღრიცხვა, მტკიცე კონტროლი არა ადმინისტრირებით, არამედ მეთოდური და მეგობრული დახმარებით, რჩევა-დარიგებით - აი, მისი მოქმედების მთავარი პრინციპი. ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლების ინსპექტირების საქმეს, შესწავლა-შემოწმების მიზანს, ხერხებსა და საშუალებებს, შემოწმების შედეგების ობიექტურ ანალიზს.

ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის, პირადად კომისრის ნადიმ ნიჟარაძის გაბედული, ენერგიული მოქმედებით გატარებული ღონისძიებების შედეგად, სიძნელეების მიუხედავად ომიანობის პირობების შესაბამისად, ძირითადად მოგვარდა სკოლების მასწავლებელთა კადრებით უზრუნველყოფისა და ევაკუირებული მოსწავლეების სკოლებში ჩაბმის საკითხები. ყოველივე ეს მიუთითებს კომისარიატის მოქნილ მუშაობაზე.

ნადიმ ნიჟარაძე განათლების სახალხო კომისრის თანამდებობაზე ყოფნისას შეთავსებით ლექციებს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში. ამასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც. დადგა სამეცნიერო დისერტაციის გაფორმების ჟამი. ამისთვის საჭირო იყო თავისუფალი დრო, რის დეფიციტსაც იგი ყოველთვის განიცდიდა. ხანგრძლივი მივლინებები თბილისში, მოსკოვში, სახალხო კომისრის დაძაბული მრავალპროფილიანი საქმიანობა, მითუმეტეს ფაშიზმის წინააღმდეგ მძვინვარე ომის პირობებში და დისერტაციაზე მუშაობა მისთვის ძნელად შესათავსებელი იყო. ამ მოტივით ნადიმ ნიჟარაძემ განცხადებით მიმართა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. გაითვალისწინა რა მისი პერსპექტიული მომავალი, აჭარის ხელმძღვანელობამ ნადიმ ნიჟარაძის თხოვნა დააკმაყოფილა.

საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით 1944 წლის მაისიდან ნადიმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის თანამდებობიდან გადაიყვანეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის

გეოგრაფიის კათედრის გამგედ. მალე დაიცვა დისერტაციაც და მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი .

1946 წლის თებერვლიდან 1949 წლის მარტამდე კვლავ სახელმწიფო სამსახურშია. დაინიშნა აჭარის მინისტრთა საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილების უფროსად, ხოლო 1949 წლის მარტიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად.

ნადიმ ნიჟარაძე, ხუსეინ ნაკაიძის (1935-1937 წ.წ), ნური ნიჟარაძის (1938-1941 წ.წ.), მემედ სტამბოლიშვილის (1941-1945წ.წ.), ვლადიმერ ქემხაძის (1943-1947 წ.წ.), ვახტანგ პარკაძის (1947-1948 წ.წ.) შემდეგ ინსიტუტის მეექვსე რექტორი გახდა. იგი ხელმძღვანელ სახელმწიფო ორგანოებში დაგროვილი გამოცდილებით მივიდა ინსტიტუტის ხელმძღვანელად და ახალი ენერგიითა და მოწოდებით შეუდგა უმაღლესი სასწავლებლის რექტორის საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას. მას საქმეს უადვილებდა ისიც, რომ მანამდე აქ ინსტიტუტში ლექციებსაც კითხულობდა. იცნობდა უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციებს, სტრუქტურას, ინსტიტუტის კოლექტივს. ერკვეოდა მის ცხოვრებაში, იცოდა ვის რა უჭირდა და ულხინდა.

მართალია, ინსტიტუტის არსებობის მე-14 წელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა სასწავლებელს მაინც ბევრი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი. ჯერ იყო და 1935 წელს, როცა ინსტიტუტი გაიხსნა, მას არ გააჩნდა საკუთარი შენობა და იგი მოთავსებული იყო პედტექნიკუმის შენობაში. ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის ნური ნიჟარაძის არაერთგზის საკითხის დაყენებისა და მაშინდელი განათლების სახალხო კომისრის ნადიმ ნიჟარაძის ხელშეწყობით 1941-1942 წლებში პედაგოგიური ტექნიკუმი გადაყვანილი იქნა ცალკე შენობაში, ხოლო მისი შენობა მთლიანად დაეთმო პედაგოგიურ ინსტიტუტს. მოეწყო ცალკეული კაბინეტ-ლაბორატორიები. 1945 წლიდან ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი გადაკეთდა ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტად. ნადიმ ნიჟარაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთხელ დაისვა საკითხი ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წინაშე,რომ ინსტიტუტი იყო აჭარაში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ემსახურებოდა არა მარტო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, არამედ დასავლეთ საქართველოს რაიონებსაც. ამიტომ საჭირო იყო მისი სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება. ბატონი ნადიმის შეუპოვარი მუშაობით გადადგა კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი ხელისუფლებამ. დართო ორსართულიან შენობაზე მესამე სართულის დაშენების ნება. საქართველოს მთავრობამ ამისთვის გამოყო 3 მილიონ 90 ათასი მანეთი. 1951-1954 წლებში დასრულდა ინსტიტუტის ორსართულიან შენობაზე მესამე სართულის დაშენება.

მდგომარეობა გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისითაც. კადრებს გამოეყო თანხები კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისა და სათანადო ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინო მასალებით მომარაგებისთვის.

ბათუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, როგორც განათლების პირველმა კერამ აჭარაში, დიდი როლი შეასრულა განათლების, კულტურის, მეცნიერებისათვის კადრების მომზადებისა და ადგილობრივი ინტელიგენციის ჩამოყალიბების საქმეში. ამ დიდ მუშაობას სწორედ 40-50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და შემდეგ პერიოდში უფრო მაშტაბით გაიშალა მისი საქმიანობა.

ნადიმ ნიჟარაძე, როგორც რექტორი, პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი იყო. პირველ რიგში საკუთარი თავისადმი და შემდეგ კოლექტივის თითეული რგოლისა და წევრისადმი. ის, როგორც რექტორი, ყველა შესაძლებლობით ცდილობდა ლექტორ-მასწავლებლებისათვის საჭირო პირობების შექმნას. ასევე მოითხოვდა დეკანატებისა და კათედრისაგან. ასეთი ფუნქცია ენიჭებოდა ადმინისტრაციასაც. რექტორების, დეკანატების, კათედრების, პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივი ამოცანა იყო სასწავლო პროცესის სწორად

წარმართვა, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა ჭეშმარიტ მამულიშვილებად და პროფესიონალურ სპეციალისტებად. გეოგრაფიის კათედრა მისთვის იყო და კვლავ რჩებოდა მრავალმხრივი საქმიანობა-მოღვაწეობის ფორფოსტად, რომლის გამგე გახდა ჯერ კიდევ 1939 წლიდან, ხოლო 1964 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი ხელმძღვანელი იყო. მან სტუდენტთა არაერთი თაობა აღზარდა, მათი ცხოვრების გზის გამკვლევი, კეთილი და ღირსეული აღმზრდელი იყო. 1944 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს – სადოქტორო დისერტაცია. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემების შესწავლა.

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობის პარალელურად ნადიმ ნიჟარაძე სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მუშაობდა აგრეთვე ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში.

ნადიმ ნიჟარაძე იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვინც დაინტერესდა აჭარის ეკონო-მიკურ-გეოგრაფიული პრობლემების კომპლექსური შესწავლით და მიუძღვნა 12 მონოგრაფია, ათეულობით სამეცნიერო სტატია და თეზისი. გულთან მიჰქონდა მხარის სოციალურ-კონომიკური პრობლემები. ეძებდა ამ პრობლემათა გადაწყვეტის რაციონალურ, გონივრულ ხერხებს. 1948 წელს გამოქვეყნდა ნადიმ ნიჟარაძის საყურადღებო მონოგრაფია „აჭარის ალპური მეურნეობა“. ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაცული საკანდიდატო დისერტაციის მოკლე შინაარსს. მონოგრაფია შესავლის, ათი თავისა და დასკვნისაგან შედგება. იგი მკითხველს აცნობს აჭარის ალპური საძოვრების ბუნებრივ პირობებს, მათ სამეურნეო მნიშვნელობას, მეცხოველეობას, საკვებ ბაზას, მის სახეებს, ალპური მეურნეობის ძირითად თავისებურებებს და ფორმებს აჭარაში, ცხოველთა მოძრაობის ხასიათს, გზებს, მოიალაღე მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების პირობებს და ღონისძიებებს, რომლებიც ავტორის აზრით საჭიროა ჩატარდეს აჭარის ალპური მეურნეობის და სართოდ ჩვენი მხარის მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის. ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეულია იმ მხრივაც, რომ აჭარის საზაფხულო საძოვრებისა და ალპური მეურნეობის ირგლივ იმ დროისათვის არავითარი ბეჭდვითი წყარო, ლიტერატურა არ არსებობდა.ცნობილი მკლევარ-მეცნიერის ნადიმ ნიჟარაძის გამოკვლევა პირველი იყო ამ საკითხის გასაშუქებლად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, იგი კარგ სამსახურს უწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს თუ სამეურნეო დარგის მუშაკებს.

ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია ნადიმ ნიჟარაძისა და ნადია ჯიბუტის ნაშრომმა „აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება“. ნაშრომში მოცემული და განხილულია ბუნების ძირითადი ელემენტები, მათი თავისებურებანი, ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასება, აჭარის ისტორიული წარსულის მოკლე დახასიათება, აგრეთვე მოსახლეობისა და მისი კულტურის საკითხები, სახალხო მეურნეობის ყველა მნიშვნელოვანი დარგი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ნაშრომი შეიცავს აგრეთვე ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიული რაიონების მოკლე მიმოხილვას.

ასევე, ინტერესით მიიღო მკითხველმა ნადიმ ნიჟარაძის და ნადია ჯიბუტის ერთობლივი ნაშრომი „საბჭოთა აჭარა 50 წლისაა“. წიგნში კარგადაა წარმოჩენილი აჭარის ისტორიული წარსული. მკლევარს მხედველობიდან არ რჩება ოსმალო-დამპყრობლების მიერ მიტაცებულ აჭარაში შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობა. თურქთა სამასწლოვანმა ბატონობამ აჭარაში მოშალა და შეარყია ამ კუთხის საზოგადოებრივი, სულიერი და ეკონომიკური ცხოვრება“- აღნიშნავს

ბატონი ნადიმი და სავსებით სამართლიანად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „აჭარაში სულთანის ბატონობის პერიოდი მთელი ქართველი ერის ისტორიის სისხლითა და ცრემლით დაწერილი ფურცელია.“ მკლევარი საკითხის საფუძვლიანი ცოდნით ცხადად და ნათლად წარმოაჩენს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ მის სამეურნეო-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს ცვლილებებს. წიგნში ცალკ-ცალკე თავებადაა განხილული მოსახლეობისა და კულტურის, სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კურორტების განვითარების საკითხები. ავტორი დეტალურად იხილავს, აანალიზებს და აშუქებს თითეულ საკითხს, რითაც წარმოდგენას უქმნის მკითხველს აჭარის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებაზე. დასასრულს მკლევარი აკეთებს ოპტიმისტურ დასკვნას: „სამეურნეო და კულტურული წინსვლის კიდევ უფრო წარმტაცი პერსპექტივები იშლება აჭარის წინაშე.“ დიდი პედაგოგისა და მეცნიერ-მკლევარის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ნათლად დაადასტურა ცხოვრებამ (ნიჟარაძე, ჯიბუტი, 1957:92,93).

დასახელებული და სხვა ნაშრომები დღესაც აქტუალურია და სპეციალისტთა და სტუდენტთა სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს.

სამეცნიერო ხაზით ნადიმ ნიჟარაძე თანამშრომლობდა მოსკოვის, პეტერბურგისა და კიევის უნივერსიტეტების ცნობილ მეცნიერ-გეოგრაფებთან. აქტიურად მონაწილეობდა მეცნიერულ ფორუმებში, როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო და საერთაშორისო მაშტაბით.

ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა ნადიმ ნიჟარაძის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო მედლებით, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების და კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდებები. არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრად, აჭარის ასსრ მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეპუტატად, ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა ღვაწლმოსილი მეცნიერისა და მამულიშვილის ნადიმ ნიჟარაძის სახელს ატარებს.

ნადიმ ნიჟარაძე იყო ღრმად ერუდირებული, ფართო დიაპაზონის, ფუტკარივით მუშა, კვლევა-ძიების ნიჭით დაჯილდოვებული ნაყოფიერი მეცნიერი, პრინციპული და პასუხისმგებლიანი ხელმძღვანელი, სამშობლოს ისტორიით დაინტერესებული, დიდად უყარდა საკუთარი სამშობლო, იყო დიდი პატრიოტი და მამულიშვილი, მეგობრული, თავმდაბალი, თავაზიანი, მაღალი ზნეობის მატარებელი, კეთილშობილი, ყურადღებიანი, იუმორის უნარით შემკობილი, მაღალ მოქალაქეობრივი თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნება. უყვარდა მეგობრები, გამოირჩევოდა სტუმართმოყვარეობით, მისი ბინა ბევრჯერ ლიტერატურული საღამოებისა და მეცნიერული პაექრობის სალონის ფუნქციასაც ასრულებდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის წევრთა აბსოლიტური უმრავლესობა ბატონ ნადიმ ნიჟარაძის ხელდასმით თუ ხელშეწყობით გაზრდილი კადრები არიან. ისინი ამრავლებენ იმ ტრადიციებს და აგრძელებენ იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა მათი აღმზრდელი, ხელმძღვანელი, შემდგომში კოლეგა ბატონი ნადიმ ნიჟარაძე.

რა გამოლევს ასეთ კეთილშობილ, საქვეყნოდ აღიარებულ ადამიანებს. სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის ბატონი ნადიმ ნიჟარაძე. იგი დაიბადა და აღიზარდა კეთილშობილურ ოჯახში, შეიძინა კეთილშობილური, მოქალაქეობრივი, ზნეობრივი თვისებები, მიიღო სათანადო განათლება, არგო როგორც საკუთარ სოფელს, კუთხეს, ისე მთელ ქვეყანას. თესა სიკეთე და აკეთა ბევრი სასიკეთო საქმე. უდიდესი სიყვარულითა და ერთგულებით, შესაშური კრძალვით და რუდუნებით, ნამდვილი თავდადებით, რარიგად ერწყმოდა ერთურთს ბატონი ნადიმი მეცნიერი, მკვლევარი,

პედაგოგი, მოძღვარი, მოღვაწე, მოქალაქე, მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა და უებრო მეგობარი.

ნადიმ ნიჟარაძე 1982 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა. რესპუბლიკურ პრესაში დაიბეჭდა ნეკროლოგები და სამძიმრის წერილები. ოჯახს თანაუგრძნობდნენ და ღვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქვეყნის პირველი პირები: ედუარდ შევარდნაძე, გურამ ენუქიძე, ოთარ ჩერქეზია, ვახტანგ პაპუნიძე, სხვა ხელმძღვანელი პირები და თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები.

ბატონი ნადიმის ღვაწლს ავსებს მისი მეუღლის, ცნობილი მეცნიერის - ნადეჟდა ჯიბუტის მოგონება, რომელიც 2002 წლის 25 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „აჭარაში“. მასში ვკითხულობთ:

„1949-1954 წლებში ნადიმ ნიჟარაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. მან ინსტიტუტის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა როგორც ორატორმა, განათლებულმა და განმანათლებელმა, მრავალი თაობის აღმზრდელმა პედაგოგმა“.

ბატონ ნადიმ ნიჟარაძის ღვაწლის მოკლე დახასიათება მოცემულია წიგნებშიც, კერძოდ ვლ.ქემხაძის, პარმენ პატარაიას, დურსუნ ბალაძის, შოთა ჯაფარიძის, ვახტანგ წულუკიძის, ტარიელ ნიჟარაძის და სხვათა ნაშრომებში

და ბოლოს, პატარა წიგნში სათაურით „ნადიმ ნიჟარაძე“ მისმა ქალიშვილმა ნინო ნიჟარაძემ, გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ წარმოადგინა მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, ღირსეული მამულიშვილის ბატონ ნადიმ ნიჟარაძის პორტრეტი რეტროსპექციაში, როგორც ერთგვარი მემორიალი ახლობლების, მეგობრების და კოლეგებისათვის .

ბატონი ნადიმი დღეს ჩვენთან არ არის, მაგრამ მისი სახელი არა მარტო მის სამაგალითო და სანაქებო შვილებსა და შვილიშვილებში, არამედ მშობლიურ მხარეში, სანუკვარ უნივერსიტეტში და ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელში ცოცხლობს, რომელშიც ის მოღვაწეობდა. გვჯერა, რომ სასიქადულო მამულიშვილი თავისი ნაშრომ-ნაღვაწით, თავისი კეთილშობილებითა და მაღალადამიანური ღირსებებით მარად ჩვენთან იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიჟარაძე ნ., აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი 1948 წ.
2. ნიჟარაძე ნ. ჯიბუტი ნ., აჭარის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 1957 წ.
3. წულუკიძე ვ., განათლების ისტორიისთვის აჭარაში, ბათუმი 2002 წ.
4. დუმბაძე ს., პრინციპული ხელმღვანელი, მეცნიერი, მოღვაწე, ბათუმი 2005 წ.
5. „ნადიმ იზეთის ძე ნიჟარაძე“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 13 აგვისტო, 1982 წ.
6. გაზეთი „საბჭოთა აჭარა’, 25 აგვისტო, 2002 წ.

ნადიმ ნიჟარაძე ქობულეთელ მოსწავლეებთან ერთად

აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი. ცენტრში ნ. ნიჟარაძე,
მოადგილეები ო.ჩხიკვიშვილი, მ.ვანილიში და სხვები

რუსუდან კობრავა

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის 2018 წლის ღონისძიებათა დაიჯესტი

18 იანვარი – სკოლა „იბერიის“ IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

18 იანვარი – ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტებს პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა მუზეუმის ექსპოზიციაში ჩაუტარა ლექცია თემაზე „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“.

1 თებერვალი – ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის Vა კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

4 თებერვალი – ბათუმის სპორტული სკოლის რაგბის სექციის წევრებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

7 თებერვალი – ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

8 თბერვალი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და ბათუმის შოთა რუსთავალის უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა ერთობლივი დისკუსია თემაზე „დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველო“.

8 თებერვალი – ბათუმის მე-16 საჯარო სკოლაში მუზეუმის ისტორიის მიმართულების ორგანიზებით ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

15 თებერვალი – ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის VIII ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

21 თებერვალი – საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის III –IV კურსის სტუდენტებთან პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა მუზეუმის ექსპოზიციაში ჩაატარა საჯარო ლექცია. ნაჩვენები იქნა ვიდეოფირი: „1921 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია“. მოეწყო ფონდში დაცული ფოტოების გამოფენა.

22 თებერვალი – ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის მე-2 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ვიცოდეთ ჩვენი ისტორია – საქართველოს ოკუპაცია 1921 წელს“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

23 თებერვალი – ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

23 თებერვალი – ევროკომისიის პროგრამა „ერასმუს პლუსის“მონაწილე უცხოელ ვიზიტორებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

23 თებერვალი – სკოლა-ლიცეუმ „ევრო-2000“-ის მე-8 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „წითელფიგურული კრატერი და ბერძნული მითოლოგია“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

23 თებერვალი – საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

25 თებერვალი – ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

25 თებერვალი – ბათუმის მოსწავლე -ახალგაზრდობის სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის წევრებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ვიცოდეთ ჩვენი ისტორია - 1921 წლის თებერვალ-მარტი“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

28 თებერვალი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის ერთობლივი ღონისძიება „წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი“.

28 თებერვალი – ბათუმის მე-18 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს მუზეუმის ექსპოზიციაში მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე „ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის გათავისუფლების 140 წლისთავი“.

1 მარტი – ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის II გ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

1 მარტი – ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის I ე კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

1 მარტი – ბათუმის მე-4 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

1 მარტი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და სკოლა „ევრო-2000“-ის ერთობლივი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „გაზაფხული შემოსულა ლენ“.

7 მარტი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის ერთობლივი ღონისძიება, მიძღვნილი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დაბადების დღისადმი.

7 მარტი – მოეწყო მუზეუმში დაცული მხატვრული ტილოებისა და კერამიკული ნამუშევრების გამოფენა „XIX-XX საუკუნეების ქალთა ტიპაჟები“.

7 მარტი – ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

7 მარტი – ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

19 მარტი – სკოლა-ლიცეუმ „ევრო-2000“-ის მე-7ა კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“.პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

22 მარტი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის,არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა დისკუსია თემაზე „1921 წლის 18-20 მარტის მოვლენები ბათუმში“.

26 მარტი – ჩატარდა ღონისძიება თემაზე „ჩვენი კუთხე აჭარა“ ბათუმის I-ლი საჯარო სკოლის მე-5ე კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით.

26 მარტი – ბათუმის I საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

29 მარტი – ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის წევრებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

3 აპრილი – „მომავლის სკოლის“ IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

5 აპრილი – ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის III ა და III ბ კლასების მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

11 აპრილი – შპს „განათლების“ V კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

13 აპრილი – ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“.პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

13 აპრილი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ბათუმის მე-8 საჯარო სკოლასთან ერთად ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

18 აპრილი – შპს “ განათლების” III კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. - პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

18 აპრილი – ჩატარდა საბავშვო სტუდია „ჩიკოს“ აღსაზრდელების შეხვედრა ახალგაზრდა პოეტთან ჯაბა გორგილაძესთან.

18 აპრილი – შპს „განათლების“ V კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა“ტრადიციული სამოსი აჭარაში“.პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

19 აპრილი – შპს „განათლების“ II კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“.პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

20 აპრილი – შპს „განათლების“ IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

24 აპრილი – მოეწყო მუზეუმში დაცული უნიკალური წიგნების გამოფენა.

25 აპრილი – ბათუმის მე-7 საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

7 მაისი – ქედის რ-ნ გორგაძეების საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

8 მაისი – მოეწყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის „ვაზი და ღვინო აჭარაში“ პრეზენტაცია. მონაწილეობდნენ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის IX ა კლასის მოსწავლეები. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

11 მაისი – ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის III ა კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

14 მაისი – მუზეუმის კვირეულის ფარგლებში მოეწყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის „როგორ გავხდე მუზეუმელი“ პრეზენტაცია.მონაწილეობდნენ ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის X ა კლასის მოსწავლეები. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

15 მაისი – მუზეუმის კვირეულის ფარგლებში მოეწყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის „სამკაულის ხელოვნება“ პრეზენტაცია. მონაწილეობდნენ ბათუმის 24-ე საჯარო სკოლის VI-VII კლასის მოსწავლეები. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

15 მაისი – ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის IX ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „სამკაულის ხელოვნება“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

16 მაისი – მუზეუმის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის „შავი ზღვის მრავალფეროვნება“ პრეზენტაცია. მონაწილეობდნენ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლის IX^{ბ} კლასის მოსწავლეები. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

17 მაისი – ჩატარდა ფოლკლორის საღამო, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი. მოეწყო 1. ფონდში დაცული მუსიკალური საკრავების გამოფენა. 2. საშა ლეკვეიშვილის წიგნის „ქართული მუსიკალური საკრავები“ პრეზენტაცია და საჩუქრად გადაცემა. 3. ხალხური მუსიკის კონცერტი.

17 მაისი – სოფელ ფერიის საჯარო სკოლაში მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ X, XI, XII კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა ლექცია თემაზე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1917-1921 წლებში“. ლექცია მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს.

18 მაისი – ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის წევრებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მხარაძე.

19 მაისი – მუზეუმის კვირეულის ფარგლებში მოეწყო აქცია „ღამე მუზეუმში“ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

19 მაისი – სკოლის „ნიკე“ მეორე „ე“კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შავი ზღვის მრავალფეროვნება“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

22 მაისი – მოეწყო ფოტოგამოფენა „22 მაისი ბიომრავალფეროვნების დაცვის დღეა“.

25 მაისი – სკოლა „გორდას“ I-IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

25 მაისი – ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება და მუზეუმში დაცული 1918-1921 წლების მოვლენების ამსახველი ფოტოდოკუმენტებისა და გაზეთების გამოფენა.

25 მაისი – ქობულეთის რ-ნ ჯიხანჯურის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „საქართველოს დიდი მეფეები - თამარ მეფე“. პროგრამის ხელმძღვანელი ლიანა ჯაყელი.

25 მაისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

28 მაისი – ბათუმის 22-ე საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი ლია ჯაყელი.

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის IVგ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამებისას შესრულებული ნამუშევრების გამოფენა.

1 ივნისი – მოეწყო პროექტის „ჩვენ და პოეზია“ პრეზენტაცია შშმ პირების მონაწილეობით.

1 ივნისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში მოეწყო სტუდია „არტ-ეკას“ მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრებისა და ხელგარჯილობის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა.

5 ივნისი - სკოლა „ნერგების“ III კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

5 ივნისი – ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

6 ივნისი – ზუგდიდის რ-ნ სოფელ ოდიშის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

6 ივნისი – ხელვაჩაურის 1-ლი საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

6 ივნისი – ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის II გ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

8 ივნისი – ქობულეთის სასულიერო გიმნაზიის მე-3ᵃ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

8 ივნისი – სკოლა -ლიცეუმ „მასტერკლასის“ მე-3ᵇ და მე-3ᵃ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“.

11 ივნისი – სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მე-3 ა, დ, ე კლასის მოსწავლეთა მონაწილეობოთ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“.

13 ივნისი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის ერთობლივი ლიტერატურული საღამო მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავისადმი.

13 ივნისი – მოეწყო ღონისძიება „ერთი ლექსის დღე მუზეუმში“ მახინჯაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

30 ივნისი – 1 ივლისი – აჭარის არ. განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროექტის „ტრადიციული რეწვის ოსტატების განვითარების“ ფარგლებში ჩატარდა ვორქშოფები საქართველოს ტრადიციული რეწვის ოსტატებთან. მოეწყო მუზეუმის ფონდებში დაცული ნაქარგობისა და ხეზე კვეთილობის გამოფენა.

9 ივლისი – სტუდია „არტ-თაიმის“ მონაწილეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

20 ივლისი – სტუდია „ბემბი ლენდის“ აღსაზრდელებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

2 აგვისტო – თბილისელ მოსწავლეთა ჯგუფთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

9 აგვისტო – თბილისელ სტუდენტთა ჯგუფთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

1 სექტემბერი – ბათუმობის დღესასწაულზე ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმმა ხულოს ქუჩაზე მოაწყო გამოფენა „ბათუმი XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე“.

20 სექტემბერი – სტუდია-ბაღ „ბემბი-ლენდის“ აღსაზრდელებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“.პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

4 ოქტომბერი – ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითიო თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

11 ოქტომბერი – მოეწყო ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამის „მე და ჩემი სახლი“ პრეზენტაცია. პროგრამის ხელმძღვანელი ინგა დიასამიძე.

12 ოქტომბერი – „მომავლის სკოლის“ მე-10 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

23 ოქტომბერი – ჭარნალის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

30 ოქტომბერი – ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის V ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შავი ზღვის მრავალფეროვნება“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

31 ოქტომბერი – ჩატარდა გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის VIII დ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით თემაზე :დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (სამხედრო სამსახური. ბათუმი - III თავი).

31 ოქტომბერი – ჩატარდა კონფერენცია თემაზე „სიცოცხლე შავ ზღვაში“.

1 ნოემბერი – ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის IIბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“. პროგრამის ხელმძღვანელი სალომე კოხოძე.

1 ნოემბერი – სკოლა „თამარისის“ VIII კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

4 ნოემბერი - ბათუმის მე-4 საჯარო სკოლის VII ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „დიდი ქართველი მეფეები-თამარ მეფე“. პროგრამის ხელმძღვანელი ლიანა ჯაყელი.

8 ნოემბერი – ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე–5 ბ კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „დიდი ქართველი მეფეები-თამარ მეფე“. პროგრამის ხელმძღვანელი ლიანა ჯაყელი.

9 ნოემბერი – ჩატარდა გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ბათუმის მე–9 საჯარო სკოლის მე-8 ბ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით თემაზე დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“. პედაგოგი რ. ნადარეიშვილი.

9 ნოემბერი – ბათუმის პირველი საჯარო სკოლის მე-10[6] კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

12 ნოემბერი – ბათუმის მე-17 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებს მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე „მემედ აბაშიძე – საქართველოს პატრიოტი“.

12 ნოემბერი – ბათუმის 30–ე საჯარო სკოლის მე–5 ა კლასის მოსწავლეებთან განხორცილედა საგანმანათლებლო პროგრამა „როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში ძველად“. პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია.

12 ნოემბერი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტებთან პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ჩაატარა ლექცია თემაზე: XI-XII საუკუნეების ქართული სამხედრო შეიარაღება და არმია.

14 ნოემბერი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებთან პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ჩაატარა ღია ლექცია თემაზე: უძველესი სახელმწიფოები საქართველოში და შუამდინარეთში.

6 დეკემბერი – გიმნაზია „იბერიის“ მე-6 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

7 დეკემბერი – ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის V^{ბ} კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „საქართველოს დიდი მეფეები – თამარ მეფე“. პროგრამის ხელმძღვანელი ლია ჯაყელი.

10 დეკემბერი – ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“. პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი.

11 დეკემბერი – აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მოსწავლეებთან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“. პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე.

14 დეკემბერი - ჩატარდა საიუბილეო ღონისძიება - ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი 110 წლისაა.

15 დეკემბერი - ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის მასწავლებელმა რუსუდან ნადარეიშვილმა ამავე სკოლის მასწავლებლებთან ჩაატარა ვორქშოპი თემაზე: ავტობიოგრაფიული ნაწარმოების კითხვის სტრატეგიები. კერძოდ, სამუზეუმო მასალის გამოყენება საგნის სწავლებაში.

18 დეკემბერი - ჩატარდა ვორქშოპი სკოლის მასწავლებლებისათვის - მომზადებული სასწავლო რესურსის გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენების დემონსტრაცია. რესურსი მომზადდა მუზეუმის საბუნებისმეტყველო კოლექციაზე დაყრდნობით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობითა და აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის ლექცია საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით

ფოლკლორის საღამო მუზეუმში

უნიკალური წიგნების გამოფენა

უნიკალური წიგნების გამოფენა

საგანმანათლებლო პროგრამის „გიდი“ მონაწილეები

საგანმანათლებლო პროგრამა „ტრადიციული სამოსი აჭარაში“

საგანმანათლებლო პროგრამა
„როგორ გავხდე მუზეუმელი“

საგანმანათლებლო პროგრამა
„შავი ზღვის მრავალფეროვნება“

ბათუმობა 2018

ბათუმობა 2018

დედამიწის დღისადმი მიძღვნილი
ღონისძიება

მუზეუმების საერთაშორისო დღე

ღონისძიება 26 მაისთან დაკავშირებით

წმიდა ექვთიმე ღვთისკაცისადმი
მიძღვნილი ღონისძიება ილია
ჭავჭავაძის მუზეუმში

საგანმანათლებლო პროგრამა
„ფრინველთა სამყარო“

საგანმანათლებლო პროგრამა
„როგორ ცხოვრობდნენ აჭარაში
ძველად“

საგანმანათლებლო პროგრამა
„შემეცნებითი თამაშები“

საგანმანათლებლო პროგრამა
„იმოგზაურე წარსულში“

საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე მუზეუმის ლაბირინთებში“

საგანმანათლებლო პროგრამა „სამკაულის ხელოვნება“

საგანმანათლებლო პროგრამა შშმ პირებისათვის „მე და ჩემი სახლი“

საგანმანათლებლო პროგრამა „ვაზი და ღვინო აჭარაში“

სტუმრები ქ. ეკატერინბურგიდან

საგანმანათლებლო პროგრამა „საქართველოს დიდი მეფეები“

კონფერენცია თემაზე – სიცოცხლე შავ ზღვაში

ღამე მუზეუმში

გაკვეთილი მუზეუმში - დავით კლდიაშვილი ბათუმში

ბათუმის მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეები მუზეუმში

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი ლექციაზე



მეცნიერ-მუშაკი ალექსანდრე ჩხაიძე ლექციაზე

მუზეუმის 110 წლის იუბილე

სარჩევი

ნანა ქორიძე. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი - 110. 3

ოთარ გოგოლიშვილი. აჭარის საგანმანათლებლო ცენტრები და პედაგოგები 1880–1910–იან წლებში 5

ალექსანდრე ჩხაიძე. მიგრაციული პროცესების ძირითადი მომენტები აჭარაში თანზიმათის პერიოდში (XIX ს. 40-70-იან წლებში). 10

მაყვალა გოგუა. სახელოვანი ბრძოლის ისტორიიდან (1877-1878 წ.წ.). 21

ეთერ კიღურაძე. ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის დროს (ფონდებში დაცული მასალების მიხედვით). 26

რუსუდან კობრავა. ბათუმის ერთი ქუჩა – კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა. 33

ასმათ ბაჯელიძე. მცენარეულობის ღვთაება ქართულ ჩუქურთმაში (მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით). 43

საშა ლეკვეიშვილი. ქართველი ინტელიგენცია სამუზეუმო საქმიანობაში ეთნოგრაფიის როლის შესახებ. 47

შორენა მახარაძე. ქალის სამკაული აჭარაში. 59

მზიური მჟავანაძე. საუკუნოვანი ოდა სახლები აჭარაში. 68

იზო აბაიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღესასწაულები (1919-1920 წლები). 74

ნატო ცეცხლაძე. უცხოური სამოვრები (მუზეუმის ფონდსაცავში დაცული მასალების მიხედვით). 83

ლამარა გულორდავა. ვაზის აბორიგენული ჯიშები აჭარაში. 88

თამარ ტარიელაძე. აჭარის ფლორის დასაცავი ობიექტები. 99

გუგული ახვლედიანი. ცხენოსნობის ტრადიციები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები). 109

ნანული სებუა. ადამიანი უნდა იყოს რთული (მიხეილ პიოტროვსკისთან ინტერვიუს თარგმანი) 113

ინგა დიასამიძე. პირველი ქალი მხატვარი აჭარაში. 122

მანანა ცეცხლაძე. სასიქადულო მეცნიერი, მამულიშვილი და მოღვაწე ნადიმ ნიჟარაძე. 126

რუსუდან კობრავა. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის 2018 წლის ღონისძიებათა დაიჯესტი. 133

მუზეუმის ექსპოზიცია. იარაღი და შეიარაღება

საქართველოს ჩაი. გამოფენა მუზეუმში.1933 წ.

სამუზეუმო საქმე 1908 წლიდან

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი 110 წლისაა